სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდი (ოქროპირიძე) გაზეთ "ივერიის" ფურცლებზე (1889-1905)

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდი ოქროპირიძე გაზეთ ივერიის ფურცლებზე

(1889-1905)

კრებული შეადგინა და გამოსცა

საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკის

ბიბლიოგრაფმა კონსტანტინე ალიბეგაშვილმა

თბილისი

„ბეთანია“

2014

წინასიტყვაობა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1919-1921 წლებში, უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდე [ერში ლონგინოზ სოლომონის ძე ოქროპირიძე, დაბადებული 1861 წლის 15 თებერვალს. გორის მაზრის სოფელ დისევში] XIX-XX სს-ის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის გამორჩეული მოღვაწე იყო. იგი წმიდა მღვდელმოწამე კირიონ II და წმიდა ამბროსი აღმსარებელთან ერთად იბრძოდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიისათვის, მრევლში სწავლა-განათლების მოპოვება-განვითარებისათვის...

გაზეთ „ივერიაში“ 1889-1905 წლებში იბეჭდებოდა სტატიები (წერილები, ახალი ამბები, სიტყვები და ქადაგებები) მისი ავტორობითა და მის შესახებ ისტორიული და ბიოგრაფიული ცნობები.

კრებულში მონაცემები დალაგებულია გაზეთ „ივერიის“ გამოცემის თარიღების მიხედვით, სადაც-კი ერთი სიტყვით მაინც ნახსენებია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე. ჩვენ შევეცადეთ სიტყვა-სიტყვით გადმოგვეღო და შეუცვლელად მოგვეწოდებინა თანამედროვე მკითხველისთვის იმჟამინდელი ქართული ენა; შევასწორეთ მხოლოდ უხეში ბეჭდური შეცდომები.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ წინამდებარე კრებული, როგორც ისტორიული წყარო, გამოსადეგი იქნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს ბიოგრაფიით დაინტერესებულ პირთათვის, ისტორიკოსებისთვის, ასევე სასულიერო სასწავლებლების სტუდენტებისთვის და ქრისტეს ეკლესიის ერთგული მრევლისთვის.

შემდგენელი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ლეონიდი (ოქროპირიძე) გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე

ივერია – 1889. – N97. – 11 მაისი. – გვ.2.

ახალი ამბავი: სოფელი მლეთი: - ამ თთვის ოთხს მლეთში შემოიარა სამრევლო და მართლმადიდებელ სარწმუნოების გამავრცელებელ საზოგადოების სკოლების ინსპექტორმა, მამა ლეონიდმა, რომელიც მიემგზავრებოდა კავკავისაკენ სკოლებისა და ეკკლესიების დასათვალიერებლად. ინსპექტორმა ღამე გაატარა მლეთის სამრევლო სკოლის დარბაზში; მეორე დღეს დილით სთხოვა სკოლის მასწავლებელს მღ. ნ. ლეონიძეს სკოლაში შეგროვილიყვნენ აგრეთვე გლეხებიც - შეგირდების მამები. რაკი თავად გაიგეს მლეთელებმა ინსპექტორის მოსვლა და აგრეთვე ის, რომ თვითონ იგი იწვევდა მათ სკოლაში, ათიოდე კაცმა მოიყარა თავი სკოლის დარბაზში. მამა ლეონიდმა პირველად საღმრთო სჯულიდან გამოსცადა შეგირდები და შემდეგ დანარჩენ საგნებიდგან: შეგირდებმა მეტად მშვენივრად მიუგეს ინსპექტორს პასუხი ყველა კითხვაზე. იმათს მკაფიო და გაბედულს ლაპარაკს მსმენელზე მეტად სასიამოვნო ზემოქმედება ჰქონდა. ამ ზემოქმედებას აძლიერებდა შეგირდების სისუფთავე და ერთ ფერი წითელი ხალათები და მოშავო შალვრები. შეგირდები ყველა თავ-პირ დაბანილი და თავ-გაკრეჭილი იყვნენ და ეს ხომ ძალიან იშვიათია ხოლმე სოფლის სკოლებში. მღ. ნ. ლეონიძემ, გარდა ორიოდე შეგირდისა, ოცამდე შეგირდი თითქმის თავის ხარჯით შემოსა ერთ-ფერ ტანისამოსით. მამა ლეონიდი შეგირდების გამოცდით ძალიან კმაყოფილი დარჩა. ძალიან მოეწონა მშვენიერი ნაწერი, მეტადრე ქართული. შემდეგ მოისმინა იმათი ეკკლესიური გალობა. დიდ-მარხვიდგან დაიწყო მღ. ნ. ლეონიძემ და დღემდის შეადგინა შეგირდებისაგან ქართული ხორო, რომელიც ყოველ კვირა-უქმე დღეს ჰგალობს ხოლმე ადგილობრივს ეკკლესიაში. გალობის მოსმენის შემდეგ მიუბრუნდა გლეხებს და გრძნობით სავსე სიტყვა უთხრა მამა ლეონიდმა. მან ნათლად აუხსნა ხალხს, რომ სწავლა-განათლება არის ერთადერთი საშუალება, ერთადერთი წყარო თქვენის კეთილდღეობისა და სიკეთისა, რომ სწავლა-განათლებას შეუძლია კაცი გააპატიოსნოს, მისცეს სინიდისი და სახსარი ოფლით ლუკმის მოპოვებისაო. სიტყვა მამა ლეონიდმა ასე დაათავა: „შეხედეთ, ძმანო, თქვენს შვილებს, როგორ მშვენივრად კითხულობენ, როგორის მშვენიერის კილოთი იძლევიან პასუხს და როგორ სუფთად არიან. ჩემს თავს ბედნიერად ვრაცხ, რომ თქვენის შვილების წარმატებას ვხედავ მთაში. ნუთუ თქვენ არ უნდა გიხაროდეთ თქვენის შვილების ბედნიერება? თქვენ მგონი თქვენს მშობლებზედ უკმაყოფილონი ხართ, ემდურებით, რომ უსწავლელი დაგტოვეს და არ ეცადნენ თქვენ გაკეთილშობილებას, რომ თქვენმა შვილებმაც მომავალში ცუდად არ მოგიხსენიონ და აიცილოთ საყვედური თქვენის შვილებისა, ნუ დაჰზოგავთ მათთვის ნურაფერს, ატარეთ განუწყვეტლივ სკოლაში, ნუ მოაცდენთ სწავლას. მუქთი სკოლა, მასწავლებელი, სასწავლო ნივთები, - ყველა მზად არის, საჭიროა მხოლოდ თქვენი შვილები დაიკლოთ ორს წელიწადს. იმათი სწავლა ბოლოს თქვენვე გაგიტკბებათ.“ და სხვ. შემდეგ მიუბრუნდა ბავშვებს და ბავშვურის

კილოთი მათაც კარგი დარიგება მისცა და დაასაჩუქრა რამდენისამე მანეთით. ბოლოს იქ მყოფთ ყველას დაურიგა პატარ-პატარა ჯვრები. ხალხმა მადლობა მოახსენა ესეთის სწავლა-დარიგებისათვის მამა ლეონიდს. მეორე დღეს ბევრმა ინანა, რატომ ჩვენც არ მოვისმინეთ იმისი ტკბილი სიტყვაო. შეგირდების გამოცდას დაესწრნენ მლეთში შემთხვევით მოსული ქართულის დრუჟინის უფროსი, პოლკოვნიკი ვასილი იოსების ძე რილსკი და რამდენიმე აფიცერი. დრუჟინის უფროსი თავად თვითონ ჰკითხავდა შეგირდებს ლოცვებს და ძალიან გაუკვირდა, რომ იმათ ყველა ლოცვები მშვენივრად იცოდნენ. გენერალმა ტრეიტერმა, რომელიც მეორე დღეს მოვიდა მლეთში, პოლკოვნიკმა რილსკიმ და აფიცრებმა შეგირდები რამდენისამე მანეთით დაასაჩუქრეს.

მამა ლეონიდი იმ დღესვე გაემგზავრა კავკავისაკენ. გზაში დაათვალიერა კობის ეკკლესია, სიონისა, სნოსი და ყაზბეგისა და სამრევლო სკოლის გამართვის შესახებ სოფელ სნოში კარგა ხანი ჰქონდა ბაასი მამა ლეონიდს. თუმცა მოხევეები პირველად ცოტა უარზედ იდგნენ, ვითომ-და სიღარიბის გამო, მაგრამ მაინც ბოლოს ტკბილმა ბაასმა მამა ლეონიდისამ დასძლია მოწინააღმდეგენი და სნოელებმა თანხმობა გამოაცხადეს: შევიკრიბებით როდისმე მთელი მრავლი, ოქმს დავადგენთ და ვეცდებით მოხევეებსაც გვქონდეს სამრევლო სკოლაო. მამა ლეონიდი ეკკლესიების დათვალიერების დროს, დიდს ყურადღებას აქცევდა ისტორიულ და არხეოლოგიურ ნაშთებს. სამღვდელოებასაც ყველას შესაფერი ძმური დარიგება მისცა. ყაზბეგში ივახშმა და ღამის პირველ საათზედ წავიდა კავკავში.

ივერია – 1889. – N113. – 3 ივნისი. – გვ.2–3.

ახალი ამბავი: კავკავი, 19 მაისს. ბარის ოსებს ამ თთვეში ეწვიათ ახალი ინსპექტორი კომისიის სკოლებისა, მღვდელ-მონაზონი მამა ლეონიდი, პირველად, ე.ი. რვას ამ თთვისას, მამა ლეონიდმა გამოსცადა სოფელ ოლგინსკის სკოლის მოსწავლენი და იქიდგან სოფელ ხუმელაგაში წაბრძანდა. ათს ამ თთვეს დილით საათის რვის ნახევარი იყო სწორედ, რომ დაიწყო გამოცდა ხუმელაგის სკოლის შეგირდებისა. გამოცდამ გასტანა თორმეტ საათამდე. მამა ლეონიდი, გამოცდის დროს, მოწაფეებს ტკბილის, ლმობიერისა და მამაშვილურის დარიგებით ამხნევებდა და ეუბნებოდა: „ნუ შეშინდებით და ნუ აჩქარდებით, მშვიდად, დაწყნარებითა და მოფიქრებით ილაპარაკეთო.“ ამ ნაირის ტკბილის დარიგებით გამხნევებული მოწაფენი მართლაც რომ მშვენივრად აძლევდნენ პასუხს გამოცდის დროს. თუ რომელიმე პატარა მოწაფე შეკრთებოდა და შედგებოდა, მამა ლეონიდი ეტყოდა ხოლმე: „ეგრე, ეგრე, სთქვი, ნუ გეშინიან, მე ვიცი, რომ შენ კარგად იციო.“ გამოცდა გაათავა თორმეტს საათზედ და ეხლა საეკკლესიო გალობა აგალობა (მოწაფეებს გალობას ასწავლის აქაურის ეკკლესიის მედავითნე ჯანუევი). შემდეგ მიუბრუნდა იქ შეკრებილს ხალხს და უთხრა: „აი, დღეს ჰხედავთ თქვენს შვილებს, რომ გამოვცადეთ, ჰხედავთ და, რასაკვირველია გიხარიანთ, რომ თქვენი ახლად მოზარდი შვილები კარგად იძლევიან პასუხს, და ჭეშმარიტად გასახარიც არის, რადგანაც თქვენი შვილები გამოდიან ბნელიდამ, და შედიან ნათელში, გამოდიან სინათლის ასპარეზზედ. ამიტომ თქვენც სულითა და გულით უნდა ეცადოთ, რომ არ შეუშალოთ, არამედ მოუმართოთ ხელი თქვენს შვილებს სწავლაში. არ უნდა დააკლოთ სწავლას, არ უნდა მოაცდინოთ მცირე რამ საშინაო საქმისათვის, თორემ ვერც შეგირდი ისწავლის რასმე და

ვეღარც მასწავლებელი მოახერხებს შეგირდების კანონიერ წვრთნასა. მომეტებულად დღეს უნდა იზრუნოთ სწავლისათვის: აქამდე თქვენში ჯარის-კაცის გამოწვევა არ იყო და ეხლა კი შემოვიდა. არ უნდა დაივიწყოთ, რომ როგორც ღმერთს დიდება, ისე ხელმწიფეს სამსახური უნდა. ხოლო ხელმწიფის სამსახურში ის გამოიჩენს თავს, ვინც უფრო კარგი ნასწავლი იქნება. გარდა ამისა, როგორც ვაჟებს, ისე ქალებს ეჭირებათ სწავლა, ქალებიც ჰგზავნეთ ხოლმე სკოლაში: ქალები რომ ისწავლიან, ნასწავლ და კეთილ დედებისაგან კეთილი შვილები აღიზრდებიან და სკოლაში სწავლის დროს სწავლა გაუადვილდებათ, ამასთანავე ამჟამად ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება ინახავს თავისის ხარჯით თქვენს სკოლებს, მაგრამ თქვენ თვითონაც უნდა იფიქროთ რამე თქვენის სკოლის წარმატებისათვის. ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას ახლა სხვა ახლად მოსაქცევ ხალხზედაც უჭირავს თვალი და რამდენი უნდა შეიძლოს მან. ახლა თქვენთვის ცოტა თქვენც უნდა იფიქროთ. აი რა მშვენიერი საბაღე ადგილი აქვს თქვენს სკოლას, ჩაჰყარეთ ხეხილი, შემოჰღობეთ კარგად და ხეხილი რომ გაიზრდება, ისევ თქვენს სკოლასვე გამოადგებაო.“

მამა ლეონიდი ყველა სოფლებში იმას არიგებდა და აგონებდა ხალხს, რომ საჭიროა მასწავლებლებს თანაშემწე დაუქირაოთ თქვენის ხარჯით, რომ უფრო ბევრმა ისწავლოს სკოლებშიო. მადლობა ღმერთს, ღარიბნი არა ხართ როგორც ვხედავ; ადგილი ბევრი გაქვთ და მხოლოდ მუშაობა და გასჯა არის საჭირო. გაისარჯეთ. რა დიდი საქმეა, რომ თქვენის შვილების სასარგებლოდ და საბედნიეროდ თითო მანეთი გაიღოთ კომლზედ, მეტი არ დაგჭირდებათ.

ხალხი ყველგან მადლობას ეუბნებოდა მამა ლეონიდს დარიგებისთვის: ვეცდებითო, რომ თქვენი მამა-შვილური, ტკბილი დარიგება შევასრულოთო.

ათს მაისსავე ნაშუადღევს სოფელ ბათაყოში წავიდა მამა ლეონიდი, თერთმეტს იქაურის სკოლის ეგზამენს მორჩა და იმ დღესვე გაემგზავრა სოფელ დარ-კოხში. თორმეტს იქაც მორჩა ეგზამენებს და არდონში გაემგზავრა. მამა ლეონიდი ყველა სკოლებში გამოცდის დროს ისევე არიგებდა და ამხნევებდა მოწაფეებს, ემუსაიფებოდა ხალხს, როგორც ხუმელაგაში. უნდა მოგახსენოთ, რომ დიდი სიყვარული ჩაუვარდათ მამა ლეონიდისა, აქაურს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. აღარ უნდოდათ მოშორებოდნენ და ამიტომ სულ თან დასდევდნენ ერთის სოფლიდამ მეორე სოფელში. ასე გასინჯეთ, სოფელ ხუმელაგიდგან ბათაყოს სოფელი თვრამეტის ვერსით მოშორებულია და დარ-კოხი ბათაყოზედ ოცდაორის ვერსით, მაგრამ მაინც ამ სიშორეზედ ხუმელაგის სკოლის პირველისა და მეორე განყოფილების მოწაფენი თან დასდევდნენ თითქმის სულ ფეხით თავიანთს ახალ ინსპექტორს და უნდოდათ თვალი აღარ მოეშორებინათ მისთვის.

ბარის ოსეთის ყველა სკოლებში მხოლოდ ოსურსა და რუსულს ასწავლიან. აქეთ ოსობამ ქართული არ იცის, ასე რომ ქრისტიანობა და სწავლა-განათლება აქ რუსულის ენის შემწეობით შემოდის და ვრცელდება არდონიდგან. მამა ლეონიდი სხვადასხვა სოფლებში დაივლის იმ სამრევლო სკოლებს, რომლებიც ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების ხარჯით ინახება. შემდეგ გადაივლის ნარის ხეობაზედ და ისე გადავა ჯავის ხეობაში. მოწაფეების გამოცდის შემდეგ ეკკლესიებსაც სინჯავდა მამა ლეონიდი.

ქართველი ოსებში.

ივერია – 1889. – N274. – 23 დეკემბერი. – გვ.2.

ახალი ამბავი: თიანეთი - თიანეთში 400 კომლია, ზემო-თიანეთში 300, სულ 700. ამოდენა მცხოვრებლებს ერთადერთი სკოლა აქვთ, რომელსაც ინახავს „ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება“ და რომელიც თითქმის ერთადერთია მთელს თიანეთის მაზრაში. სკოლაში 105 შეგირდი იყო და ერთადერთი მასწავლებელი ასწავლიდა. ენკენისთვიდამ, ზემოხსენებულის „საზოგადოების“ განკარგულებით, მხოლოდ 60 შეგირდი-ღა იქმნა დატოვებული სკოლაში, რადგან ერთი მასწავლებელი მეტს ვერ ასწავლის. ინსპექტორმა მამა ლეონიდმა შეჰყარა ყრილობა და ურჩია, ათ ათი შაური რომ გამოიღოთ წელიწადში, მეორე მასწავლებლის მოწვევას შეიძლებთ და შეგიძლიანთ მაშინ 120 შეგირდი იყოლიოთ სკოლაშიო, მაგრამ ამაზე ყრილობა ვერ დაითანხმა. მხნე ინსპექტორმა მამა ლეონიდმა მოიარა ხევსურეთიცა და სთხოვა მიეცათ თიანეთის სკოლაში ბავშვები, სადაც მათთვის თავშესაფარია გამართული, ესე 10 შეგირდისთვის, და საცა „საზოგადოების“ ხარჯით ეძლევათ საჭმელ-სასმელი, მაგრამ ხევსურნიც ვერ დაითანხმა ამაზედ: ჩვენი შვილები ბარში ვერ გასძლებენო. თიანეთი მთის ხევსურს ბარი ჰგონია და იქაური ჰავა მაწყინარი თავისთვის. თუ გინდათ, სკოლა აქ გაგვიმართეთ სადმე, თუნდ ბარისახოშიო. ეს ადგილი პირველი სოფელია ხევსურთა ქვეიდამ მისავალზე. მამა ლეონიდს განზრახვა აქვს ახლა იქ გამართოს სკოლა, იქნება ბარისახოში მაინც გააბარონ ხევსურებმა თავიანთი შვილები წერა-კითხვის სასწავლებლადაო.

ივერია – 1890. – N34. – 15 თებერვალი. – გვ.1.

სიტყვა
თქმული დიდუბის ეკკლესიაში
განსვენებულის დ. ზ. ბაქრაძის დასაფლავებაზე
მღვდელ-მონოზონის ლეონიდის მიერ

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

მგლოვიარენო მსმენელნო! იშვიათად გვინახავს ჩვენში ცხედარი, რომელსაც ჰხვეოდეს ამოდენა ხალხი, რომელსაც ასე მწარედ დაეღონებინოს ყველანი, რომელსაც ეღვრევინებინოს მდუღარე ცრემლი ყველა წოდების, ყველა ხარისხის, ყველა მდგომარეობისა და ყველა ასაკის წარმომადგენელთათვის, როგორც ატირებს და გულსა სწვავს წინამდებარე ცხედარი. უმაღლესნი სასულიერო კაცნი, წარჩინებულნი წარმომადგენელნი სხვადასხვა სასწავლებელთა და სწავლულთა საზოგადოებათა, მაღალხარისხოვანნი სამხედრო წოდებისანი, გამოჩენილნი სამოქალაქო მოხელენი, თავადნი, აზნაურნი, გლეხნი, დედაკაცნი, მამაკაცნი, მოსწავლე ქალ-ვაჟნი - ყველანი ერთ გვარად შეუპყრივართ გლოვასა და მწუხარებას, ყველანი ვგრძნობთ, რომ მოგვწყდა უკეთესი წევრი, ყველას ერთ გვარად გვიწვამს და გვიღონებს გულს კეთილის დიმიტრის სიკვდილი.

გულითადი სიყვარული და თანაგრძნობა, რომელსაც დღეს უცხადებს მთელი ჩვენი საზოგადოება ახლად მიცვალებულს, დაიმსახურა მან მოუსყიდველის ხასიათის პატიოსნებით და მამულისთვის სასარგებლოდ უანგარო შრომით, რომელიც სიყრმიდგანვე იდო თავს განსვენებულმა და რომელსაც სიკვდილის დღემდე გულმოდგინედ, განუწყვეტლად, გასაოცარის მხნეობით ეწეოდა.

მაგრამ ყველამ ვიცით, რომ განსვენებულს სიცოცხლეშივე არ უყვარდა ქება, არ ესიამოვნებოდა, როდესაც მთელი საზოგადოება აღტაცებით ლაპარაკობდა იმის შრომა-ღვაწლზე. ამისთვის ჩვენც არ შევუდგებით განსვენებულის მოქმედებათა მოგონებას, მისი ხასიათის აღწერას, მიმართულებასა და ჭკუა-გონების თვისებას. დიმიტრის შრომა და ღვაწლი, კეთილშობილობა ხასიათისა და განუსაზღვრელი სიყვარული სამშობლოსი უწყის ყველა შეგნებულმა ქართველმა. მრავალმა თხზულებამ, რომელსაც განსვენებულმა მიჰყო ხელი ჯერ ისევ ყმაწვილ-კაცობაში და რომელიც შეეხება განსაკუთრებით სამშობლო ერის წარსულის სვე-ბედისა და ცხოვრების გამოკვლევასა, იმისი სახელი ისე მტკიცედ აღბეჭდა საქართველოს ისტორიაში, ისე ღრმად ამოაჭდია ყველა ქართველის გულში, რომ სრულიად უადგილო იქნება ვიკითხოთ, თუ რითი დაიმსახურა განსვენებულმა თვალ-საჩინო და მართლაც ღირს-შესაშური თანაგრძნობა და სიყვარული მთელის ქართველის საზოგადოებისა.

მაშ რაზე უფრო შეშვენის ლაპარაკი ამ წამს, რაზე უნდა იყოს მიქცეული ჩვენი ყურადღება ეხლა? იქნება უმჯობესი იყოს ვისაუბროთ მასზედ, რომ ასე მოულოდნელად და უდროოდ გამოგვესალმა ყველას განსვენებული, სამუდამოდ შეაქცია ზურგი შრომას და აქაურ ცხოვრებას? მაგრამ უწყოდეთ, ძმანო, რომ ჩვენთან გაყრით იგი დაუახლოვდა უფალსა, საათი ხორციელის სიკვდილისა არს საათი დაბადებისა ახალის, საუკუნო ცხოვრებისათვის. თუმცა-კი მწუხარებით აღვსებულის გულით, მაგრამ მაინც გვმართებს გულწრფელად მივულოცოთ განსვენებულს ცხოვრების დამთავრება და დამკვიდრება იქ, სადაც აღარ არიან ჩვენი ურვანი, გაჭირებანი და საწუთრო სიამოვნებანი. ეხლა განსვენებული იმყოფება არა ზღვაზე, განძევებაში, ანუ საპყრობილეში, არამედ მშვიდ ნავთ-საყუდელში, სამშობლოსა და თავისუფლებაში; ჰხედავს ყველაფერს, რასაც სარწმუნოებით ვაღიარებთ და მოველით მხოლოდ მომავალში.

ოხ, ნეტარო განსვენებულო, რა ამაოდ და მცირედ გეჩვენა, ვგონებ, მთელი დედამიწა და მისი დიდება, როდესაც უკანასკნელად გადაავლე თვალი! იქნება, ჩვენ რომ მგლოვიარეთ გარს ვეხვევით შენს გვამს, შენც მგლოვიარებ და შფოთავ ჩვენთვის - აქ დარჩენილთათვის; მადლობას სწირავ ცხოვრებისა და სიკვდილის უფალს, რომ მან არ განაგრძო ტყვეობა შენი სისხლსა და ხორცში მყოფობით. ამაოა ეხლა ჩვენის მხრით შენი ქება და დიდება, რადგანაც სდგეხარ წინაშე საშინელისა მსაჯულისა და ევედრები გულ-მხურვალედ დაჰფაროს მან მოწყალების კალთით ის, რაც, ჩვენის აზრით, შეადგენს შენს ცხოვრებაში სიკეთეს, პატიოსნებასა და სათნოებას.

ჩვენ ყველანი საზოგადოდ და წევრნი შენგან დაფუძნებულის საეკკლესიო მუზეუმისა - განსაკუთრებით გაძლევთ აღთქმას, რომ ვიდრემდის ჩვენს სისუსტეს შეეძლება ხსენება საშინელისა და ყოვლად-ქებულისა ღვთის სახელისა წმიდა საიდუმლო ევხარისტიის აღსრულების დროს, არასოდეს არ მოგაკლებთ ხსენებასა და ნაწილის ამოღებასა განსასვენებლად სულისა შენისა და თუ შეგიძლიან, სიყვარულის გამო, ზრუნვა ჩვენზე, გევედრებით, შემდეგ მოხსენებისა ჩვენისა წინაშე ღვთისა, გამოსთხოვო მას შენის

დაობლებულ სახლობისათვის სული მოთმინებისა და მხნეობისა, რათა შესძლოს მან გაუჭირებლად ატანა შენის დაშორებისა და მოკლებისა.

ჭეშმარიტად, ძვირფასო დაობლებულო სახლობავ, ამ ხელად ვერაფერი ვერ გაამხიარულებს შენს სულს, ვერაფერი ქვეყნიური ვერ დაამშვიდებს შენს დამწვარ გულს. მხოლოდ ზეციურ მკურნალს აქვს წამალი ყოვლად მკურნალი; ნუგეშ-ცემულნი იესო ქრისტეს მიერ არამც თუ ერიდებოდნენ სიკვდილს, არამედ დიდის სიამოვნებითა და სიხარულით შეეგებებოდნენ ხოლმე. მაშასადამე, მგლოვიარებაში და გაჭირებაში ყოფნის დროს მიმართეთ მხოლოდ უფალს; როგორც სიხარულს უზიარებდით აქამდე, ეხლაც წარმოსთქვით მის წინაშე მტკივნეულობა თქვენის გულისა, იტირეთ მის წინაშე მდუღარე ცრემლით და უეჭველად მოგივლენთ ნუგეშს. შემდეგში-კი, როდესაც დრო თვით დაგიმშვიდებთ მწუხარებით აღვსილს გულს, როდესაც შეგეძლებათ უფრო გულ-მშვიდად და დალაგებით მიიხედოთ უკანვე, თვალი გადაავლოთ ცხოვრებასა და მოქმედებათა მიცვალებულისა მამისა და მეუღლისა, თვით ამ მოგონებაში ჰპოვებთ მუდმივსა და უხვს წყაროს ნუგეშისას.

თუ ძაფი ცხოვრებისა მისისა გასწყდა ცოტა ადრე, მაინც ბევრი-ღა უკლდა მის ცხოვრებას ნამდვილ დასრულებამდე? დაუშალა ამ ორიოდე წლით ნაადრევმა სიკვდილმა სამშობლო ერისთვის კეთილ-გონიერის შრომით შეჭურვა? დაურჩა-ღა თავის არსებაში რომელიმე ძალა, რომ არ გაევითარებინოს და არ ეხმაროს თავის სამშობლოს კეთილდღეობისათვის?

მაშასადამე, მწუხარების მაგიერ თქვენა გმართებთ შესწიროთ ღმერთს მადლობა, რომ მან მისცა მიცვალებულს შეძლება გაეტარებინა სიცოცხლე სწორედ იმ გვარად, როგორც განვლო მან.

ვპოვებთ კიდევ სხვა ნუგეშსაც, თუ უკეთესად დავაკვირდებით გარემოებას ცრემლიანის თვალებით. ოჯახის დედამ დაჰკარგა, მართალია, მეუღლე, მაგრამ დარჩა მას ვაჟი და ორი ქალი: სამი შემწე, სამი ნუგეში, რომლებიც თანდათან გაიზრდებიან, ფრთებს შეისხამენ და გაახარებენ დედის გულს. შვილებს გაეყარათ საყვარელი მამა, სამაგიეროდ დარჩათ დედა, რომელიც დედობრივ სიყვარულთან ერთად მუდამ იჩენდა კეთილ გონიერებასა და სიმტკიცეს მამისას.

მამა მოშორდა შვილებს თითქმის იმ დროს, როდესაც თვითონ შვილები უნდა მოშორებოდნენ დედ-მამის ჭერს, როდესაც მათ უნდა დაეწყოთ საკუთარი თავისუფალი ცხოვრება. ყველაფერი ეს ეხლაც გაგიქარვებს და გაგიადვილებს გლოვას, ყველასთვის ძვირფასო დაობლებულო სახლო და შემდეგშიაც უეჭველად ამ აზრებში ჰპოებ გულის სიმშვიდეს.

წარემართე მშვიდობით, პატიოსანო მოღვაწევ და ჭეშმარიტო მამულისშვილო, უკანასკნელსა გზასა შენსა! შეუერთდი მრავალთა შენ გვართა საქართველოს შვილთა და აუწყე მათ, რომ ქართველებმა შეიგნეს შენის ნაწერების წყალობით სვე-ბედი თავიანთის სამშობლოსი და ადგიან წარმატების გზას. ამინ.

ივერია – 1890. – N36. – 17 თებერვალი. – გვ.1-2.

ახალი ამბავი: - რედაქციამ მიიღო განსვენებულის დიმიტრი ბაქრაძის სახელობაზედ დასაარსებელ ფონდისათვის იმის დასაფლავების გამგეთაგან 278 მანეთი. ამას გარდა შემოვიდა ბატონ გოგებაშვილისგან 25 მანეთი და ბერ-მონაზონ ლეონიდისაგან 10 მანეთი. სულ დღევანდლამდე არის 313 მანეთი.

წერილი რედაქციის მიმართ
II

ჯერ სამი დღეა მხოლოდ, რაც ბნელ სამარეში ჩავუშვით ჩვენის დაუვიწყარის ისტორიკოსის კუბო და აი ამ მოკლე ხანშივე გამოითქვა საზოგადოებაში აზრი, რომ საჭიროა - ა). დავაარსოთ განსვენებულ დ. ზ. ბაქრაძის სახელობაზედ საუნივერსიტეტო სტიპენდია, ბ). ავუგოთ შესაფერი ძეგლი და გ). გამოვცეთ ერთად მისი ნაწერებიო. ჭეშმარიტად, რომ სასიამოვნოა ეს აზრი და მოფიქრება საზოგადოებისა. აქედამ თვალ-ნათლივ ვხედავთ, რომ ჩვენს საზოგადოებაში უკვე აღძრულა დაუყოვნებლივი და მტკიცე სურვილი სამშობლო ისტორიის შესწავლისა. ჭკუა გონებით განვითარებული და დაწინაურებული ქართველი საზოგადოება ჰგრძნობს, რომ საჭიროა ჩვენის წარსულის ცხოვრების მკვლეველი იყოს აუცილებლად აღჭურვილი აწინდელის ისტორიულის მეცნიერების მოთხოვნილებათა შესაფერის ცოდნითა და მეთოდებით და ამისათვის გადასწყვიტა ჰზარდოს ყოველ წლივ უნივერსიტეტში საისტორიო განყოფილებაზე თითო ნიჭიერი ქართველი. მაგრამ უნივერსიტეტში არ ასწავლიან საქართველოს ისტორიას, იქ ქართველი სტუდენტი შეიძენს მხოლოდ სამეცნიერო მეთოდს, გონივრულად გამოკვლევის გზას, კაცობრიობის ისტორიის საზოგადო და დაურღვეველ კანონებს და სხვ.

რასაკვირველია, მეტად სასურველი და ძვირფასია ამ გვარი ცოდნა, მაგრამ იგი შეადგენს საზოგადო სქემას, ჩონჩხს, რომელსაც შემდეგში ქართველმა სტუდენტმა უნდა შეასხას სისხლი და ხორცი, შთაბეროს სული და აღბეჭდოს ეროვნულის სახით. ყველასათვის ადვილი მისახვედრია, თუ რამდენად ძნელი და სამძიმოა ამ გვარის საქმის რიგიანად და შესაფერად აღსრულება, რაოდენი შრომა, მხნეობა, უნარი და გამჭრიახობა უნდა ჰქონდეს რუსულს უნივერსიტეტში კურს-დამთავრებულს ქართველს, რომ მან ამ საზოგადო ისტორიის ქარგაზე ხელოვნურად ამოქსოვოს და დააყვავილოს ჩვენი ერის კერძო ისტორია. აი ეს სიძნელე ჰქონია საზოგადოებას მხედველობაში და განუზრახავს ჩვენის წარსულის მომავალ სწავლულ მკვლეველებს გაუადვილოს ტვირთი, აღუპყრას ხელი, აღარ აშრომოს და უნაყოფოდ აღარ აკარგვინოს ძვირფასი დროება იმის ძებნაში, რაც გამოკვლეული და გარჩეულია, მისცეს ხელში დამჯდარის მეცნიერის ნაწარმოები, ე. ი. შეკრიბოს და გამოსცეს ერთად სუყველაფერი, რაც კი ორმოცის წლის განმავლობაში დაუწერია განსვენებულ დ. ზ. ბაქრაძის კალამს და არის დაფანტული ათას გვარ რუსულ-ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

თუ მხედველობაში ვიქონიებთ ერთის მხრით ძველ ჟურნალ-გაზეთებში წვრილმან წერილებისა და სტატიების ძიების სიძნელეს და მეორე მხრით იმას, რომ მომეტებული ნაწილი ამ ჟურნალ-გაზეთებისა ეხლა ძალიან ძნელად მოიპოვება სრულად, უეჭველია ყველანი ვაღიარებთ ამ აზრის განხორციელებისა და სისრულეში მოყვანის აუცილებელს საჭიროებას. რომ ბაქრაძის თხზულებათა შეუკრებელობა შემდეგში ძალიან შეაფერხებს ჩვენის ისტორიის ლიტერატურის შესწავლის საქმეს, ამას გვიმტკიცებს პლატონ იოსელიანის თხზულებათა მაგალითი. როგორც ვიცით პლატონ იოსელიანის სიკვდილის შემდეგ მის ნაწერებს არ ამოსჩენიათ შემკრები და ერთად გამომცემი და დარჩენილა გაფანტული სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთსა და წიგნაკში.

ამის გამო ეხლა რომ მოინდომოს ვინმე იოსელიანის ყველა ნაწერის შესწავლა და გაცნობა, ძალიან ძნელად აისრულებს წადილს. თვითონ ამ სტრიქონების დამწერს ესაჭიროებოდა ერთ დროს წაეკითხა „დიდ-მოურავიანი," იოსელიანისგან რუსულად ნათარგმნი, მაგრამ, არამც თუ კერძოდ, ტფილისის საჯარო წიგნთ-საცავშიაც კი ვერ იშოვნა ეს თვალ-საჩინო და მოზრდილი შრომა. რაღა ვთქვათ ამას შემდეგ პატარ-პატარა წიგნაკებზე, რომლებიც ძალიან ბლომად დარჩა იოსელიანს? მაშასადამე, ბაქრაძის ნაწერებსაც რომ ესევე არ დაემართოს, უეჭველად საჭიროა იმათი დროზე შეკრება და გამოცემა.

იმედია, რომ რაკი მთელმა საქართველომ დ. ზ. ბაქრაძის სიკვდილი მიიჩნია საზოგადო დასაკლისად, იმის ნაწერებსაც ყველა ქართველი აღიარებს თავის უკეთესს საკუთრებად და არა ღონისძიებას არ დაჰზოგავს იმათის შეძენისათვის. დ. ზ. ბაქრაძის დაკრძალვაზე შეერთებულნი ვიყავით ბერნი და ერნი, სწავლულნი და უსწავლელნი, დიდნი და პატარანი, და იმის თხზულებათა გამოცემის საქმეშიაც საჭიროა ამ გვარი ერთ-პირიანობა და ტვირთის საზოგადო ზურგით აწევა.

ამ ხელად გიგზავნით ერთს თუმანს დ. ზ. ბაქრაძის თხზულებათა გამოცემის თანხის შესადგენად.

მღვდელ-მონაზონი ლეონიდი.

ივერია – 1890. – N66. – 27 მარტი. – გვ.1.

ახალი ამბავი: სოფელი კაკი (საინგილო) - წარსულ კვირას გვეწვია მამა ლეონიდი აქაური სკოლების დასათვალიერებლად. 18 მარტს წირვის შემდეგ მამა ლეონიდმა აქ გამართა საქალებო სამრევლო სკოლა. პირველსავე დღეს 24 ქალი მოგროვდა. სკოლა მოათავსეს საეკკლესიო სახლში. მასწავლებლად დანიშნულ იქმნა ნინა უთიაშვილის ქალი, წინანდელ ჩვენის ბლაღოჩინის ასული. იმედი გვაქვს, ეს სკოლა გონიერად მომართული იქნება და ქალებ შორისაც გაავრცელებს წერა-კითხვას. ჩვენში წერა-კითხვის მცოდნე ქალთა რიცხვი სულ მცირე იყო. ამ 18-20 წლის წინადაც გავმართეთ სკოლა, მაგრამ მალე გაუქმდა. ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ახალ სკოლასაც ის დღე დაადგეს.

ივერია – 1890. – N84. – 22 აპრილი. – გვ.2.

ახალი ამბავი: სოფელი კაკი (საინგილო) - თთვეზედ მეტია, რაც აქ ჩამოვიდა მამა ლეონიდი. სკოლების დათვალიერების გარდა, მის აქ ჩამოსვლას აქვს აგრეთვე სამისიონერო აზრიც. მთელ კავკასიის მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლების ინსპექტორობა აქამდის მარტო მამა ლეონიდს ებარა. ხოლო ამ წარსულ ზამთარში ეს თანამდებობა გაჰყვეს. ლიხს იქითა მხრის სკოლების უფროსად დაინიშნა არქიმანდრიტი კავკასიძე, ლიხს აქეთა მხარე და ჩრდილოეთის კავკასიის სკოლები ისევ მამა ლეონიდს დარჩა. ხოლო ამასთანავე მამა ლეონიდი ითვლებოდა აგრეთვე მისიონერად საინგილოსი. აი მიზეზი, რომლის გამოც მამა ლეონიდი ამდენს ხანს აქ იმყოფება და უქადაგებს ხალხს ქრისტიანობას. იმის მამაშვილურს დარიგებასა და სათნოებით აღსავსე ყოფა-ქცევას დიდი გავლენა აქვს ხალხზე. ხალხი დიდის პატივის-ცემით ეპყრობა თავის მოძღვარს. ახლად გამართულმა ალიბეგლოსა და ყორაღნის სკოლებმა მრავალი მოწაფე მიიზიდეს. ამ სკოლების მასწავლებელნი არა ჰზოგვენ თავის ძალასა და ღონეს, რომ როგორმე მოუქრისტიანებლებსაც შეაყვარონ სკოლა. წელიწადი ჯერ არ არის, რაც გაიმართა ხსენებული სკოლები, მაგრამ შეგირდებმა უკვე ისწავლეს მთელი წირვის გალობა.

ივერია – 1890. – N109. – 27 მაისი. – გვ.3.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

თიანეთი. - აქამდის ფშავ-ხევსურებს ერთი სკოლა ჰქონდათ თიანეთში და ერთიც ერწოში, მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოების მიერ დაარსებული; თუ რაოდენად საკმარისი იყო ორი ერთ-კლასიანი სკოლა მთელის თიანეთის მაზრისათვის, ეს ადვილად წარმოსადგენია. წინადაც ბევრსა ვჩიოდით გაზეთების შემწეობით სკოლების უქონლობასა, მაგრამ ვინ გადმოგვხედა მადლიანის თვალით ყველასგან დავიწყებულს? არავინ. ახლა? ახლა ჩვენთვისაც მოიცალა ბედმა, ცოტათი გაგვიღიმა და მით დიდადაც გვასიამოვნა. აპრილის ოცს ფშავ-ხევსურეთს ეწვია სკოლების ინსპექტორი მამა ლეონიდი იმ აზრით, რომ თიანეთში გაემართნა ერთ-კლასიანის სკოლის მაგიერ ორ-კლასიანი სასწავლებელი და დაეარსებინა კიდევ თითო კლასიანი სკოლები სხვა სოფლებშიაც. ხსენებული სურვილის განსახორციელებლად, ოცდაოთხს აპრილს მამა ლეონიდი გაემგზავრა თიანეთიდგან ფშაველებისაკენ და სოფელ არტანს, შეჰყარა მთელი არტანის საზოგადოება. აქ ყრილობას დაწვრილებით აუხსნა ინსპექტორმა, რა აუცილებელი საჭიროებაა სწავლა-განათლების შეძენა ყველასათვის და განსაკუთრებით - მთიულებისათვის. პირველად ხალხმა ძლიერ იუცხოვა ახალის ხარჯის გაღება და უკან დაიწია; მაგრამ მამა ლეონიდი სასოწარკვეთილებას არ მიეცა და ისევ ახალის ძალ-ღონით განაგრძო მდაბიო საუბარი და დარიგება. ბოლოს ყრილობას უთხრა: - „ხალხნო! ეჭვის თვალით რად მიცქერით? მეც თქვენი ძმა არა ვარ? მეც თქვენი შვილი ვარ და თქვენივე სისხლი და ხორცი. მერწმუნეთ, ძმანო! თუ საზარალო იყოს ჩემ მიერ

დაწყებული საქმე, პირველი მე ვიქნებოდი მაგ საქმის მტერი, პირველადვე მე შევუშლიდი ხელს.“ ყრილობაში ლაპარაკი ჩამოვარდა. ბოლოს ერთი ჟრიამული ატყდა, შემდეგ განაჩენი დაადგინეს და ყოველივე სკოლისათვის საჭირო ხარჯი იკისრა საზოგადოებამ; მხოლოდ სთხოვა ყრილობამ მამა ლეონიდს, რომ ეშუამდგომლა, სადაც ჯერ არს, და გამოეთხოვნა იქიდგანაც შემწეობა, რადგანაც ძლიერ ძნელი არის მთელის სკოლის ხარჯი მარტო არტნის საზოგადოებამ გაისტუმროსო. მეორე დღეს არტნელებმა განაჩენი მაზრის უფროსს წარუდგინეს შესამოწმებლად, რომელმაც შემოწმებული გადასცა ინსპექტორს.

ოცდაექვს აპრილს შეიყარა ქვემო-თიანეთის საზოგადოება, ამათაც მოელაპარაკა მამა ლეონიდი ორ-კლასიანის სასწავლებლის გამართვის თაობაზედ. ხალხი აქაც ჯერ უარზედ შესდგა, მიზეზად მოუსავლობასა, ხალხისა და საქონლის გაწყვეტას ასახელებდნენ. ბოლოს ესენიც დასთანხმდნენ, მაგრამ განაჩენზედ კანონიერმა ხალხის რიცხვმა ვერ მოაწერა ხელი, რადგანაც ცოტანი იყვნენ შეყრილები. ინსპეკტორმა განაჩენი თიანეთის მამასახლისს გარდასცა, დანარჩენს ხალხსაც მოაწერინე ხელი, თუ სურდეთო; თუმცა აქამომდე კიდევ კანონიერი რიცხვი ვერ შემდგარა ხელის-მომწერთა, მაგრამ ყველას იმედი აქვს, რომ თიანეთის მამასახლისს კარგად ესმის სწავლა-განათლების საჭიროება, გულ-მოდგინედ მოექცევა ამ საქმეს თავის ხალხის კეთილდღეობისათვის და დააჩქარებს განაჩენზედ ხელის-მოწერას. რომ იფიქროს კაცმა, არც ძლიერ გასაჭირია ექვსას კომლისათვის ერთის მასწავლებლის შენახვა, მით უმეტეს, რომ ზემო-თიანეთელებიც მხარს აბამენ, და იქ კიდევ ოთხასი კომლი იქნება. ამ თთვის პირველს ზემო-თიანეთელებმა კიდეც დაადგინეს განაჩენი ორ-კლასიანის სკოლის გამართვისა და წარადგინეს შესამოწმებლად. დიდი სირცხვილი იქნება ქვემო-თიანეთელებისათვის, თუ ზურგს არ მიჰყუდებენ ზემო-თიანეთელებს და თავიანთვე სოფელში არ დაიარსებენ ორ-კლასიან სასწავლებელს. დღესაც თიანეთის ერთ-კლასიან სკოლაში მხოლოდ ექვსი შეგირდი სწავლობს ზემო-თიანეთიდგან, დანარჩენი თითქმის ყველანი ქვემო-თიანეთელები არიან; ნება რომ მიეცა ინსპექტორს სამოც შეგირდზე მეტის მიღებისა, ახლა ერთს მასწავლებელს თიანეთის ერთ-კლასიან სკოლაში ორასი შეგირდი ეყოლებოდა, მაგრამ, იმ შეგირდების გარდა, რომელნიც მიღებულნი არიან, ყველასთვის დაკეტილია სკოლის კარები და სწავლის მსურველები ხშირად აბრუნებენ თავიანთ შვილებს უკან, რა-კი ვეღარ იღებენ სკოლაში შეგირდების სიმრავლის გამო. ნუ თუ ქვემო-თიანეთელები არ შეიბრალებენ თავიანთ შვილებს? ნუ თუ დუქანში ღვინოზედ დახარჯავენ ათ შაურს და თავიანთ შვილებისთვის დაზოგავენ? იმედია ქვემო-თიანეთელები წაჰბაძვენ არტნელებსა და ზემო-თიანეთელებსა და წელს ენკენის თთვეში ერთ-კლასიან სასწავლებლის მაგიერ ორ-კლასიანი ექნებათ. აქამდისინაც დაადგენდნენ განაჩენს თიანეთელები, მაგრამ ბოროტმა და მაცდურმა ენამ აქაც ცოტა ხელი შეუშალა განაჩენის გათავებას, როგორც ყველა კეთილ საქმეს. ზოგიერთმა ბოროტმა ხალხმა გაავრცელეს ხმები: წელს რომ ათ შაურზედ მოუწეროთ ხელი, სამერმისოდ მანათს წაგვართმევენ ძალათიო და შეიძლება ერთ დროს წელიწადში თუმანიც წაგვართონო; ზოგიერთებმა ამ ხმებს დაუჯერეს და უკან დაიწიეს. ეს გავრცელებული ხმები სრული სიცრუეა იმ ვაჟბატონებისა, რომლებიც კარგადა ჰგრძნობენ, რომ რამდენიც ხალხში მეტი სწავლა-განათლება დატრიალდება, იმდენად ძნელი მოსატყუვრები გახდებიან და ისე ადვილად ვეღარ გააბამენ მახეში თავიანთ მსხვერპლს. განა თვალ-საჩინო არ არის მიზეზი ამ ხმის გავრცელებისა? ჩემის მხრით ვურჩევ თიანეთელებს, რომ დრო არის ახლა-კი მოიგლიჯონ წურბელები და ნუღარ

დაისხმენ სისხლის საწოვნელად. იარაღი წურბელების მოშორებისა მხოლოდ სწავლა-განათლების შეძენაა. სკოლისთვის ხარჯის მომატება და მოუმატებლობა შემდგომშიაც ხალხის სურვილზედ იქნება დამოკიდებული, როგორც ახლაა. შემდგომში თუ ხალხი ისურვებს სკოლის განკარგებასა და გაუკეთესებასა, შეუძლიანთ ათ შაურზედ მეტი იკისრონ ხარჯი და თუ არ ისურვებენ, ნება აქვთ ისევ ათი შაური იხადონ.

შარშან მთის ხევსურების სოფელში, სახელდობრ ბარისახოშიაც მოინდომა მამა ლეონიდმა სკოლის დაარსება და წელს კიდეც მოიყვანა სისრულეში. რადგანაც ხევსურები უწყალო ღარიბები არიან, ამისათვის არამცთუ მასწავლებლის დაქირავებას და სკოლისთვის სახლის აშენებას ვერ იკისრებდნენ, იქნება მოსამსახურის ჯამაგირიც ვერ მოეგროვებინათ ხალხში. მეტ ნაწილ ხევსურებს არცკი გაუგონიათ სკოლის სახელი. ამ მიზეზების გამო მამა ლეონიდმა მიჰმართა მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმადგენელ საზოგადოებას და სთხოვა, რომ თქვენის ხარჯით გამართეთ ხევსურეთში სკოლაო. ხსენებულმა საზოგადოებამაც შეიწყნარა მამა ლეონიდის წინადადება და გადასწყვიტა: გაიმართოს სოფელ ბარისახოში ერთ-კლასიანი სკოლა ჩვენის ხარჯით და ყოველს წელიწადს იყოს მიღებული ჩვენისავე ხარჯით ოროლი მთის ხევსურის შვილები, გამოსაზრდელად სხვადასხვა სასწავლებელში. როგორც სჩანს, წელს ენკენისთვიდგან ბარისახოში გვექნება ერთ-კლასიანი სკოლა, ხოლო არტანში და თიანეთში ორ-კლასიანი სასწავლებელი.

დავით გორელი.

ივერია - 1890. – N110. – 29 მაისი. - გვ. 2.

ახალი ამბავი: - ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: ტფილისში დაარსებულს „ქართულს საღმრთო-წიგნთ-საკითხავს“ შემოსწირეს: მისმა ყოვლად-უსამღვდელოესობამ იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა თავისი „ქადაგებანი“ - რვა ცალი; დარიის მონასტრის წინამძღვარმა არხიმანდრიტმა, კესარიოსმა - ერთი თუმანი; მამა ლეონიდმა - პარაკლიტონი; ქუთაისის წმიდა გიორგის ეკკლესიის მღვდელმა მამა ნესტორ ყუბანეიშვილმა „სახელმძღვანელო საღმრთო-სჯულის სასწავლებლად“ - ორი ცალი; მამა ალექსანდრე მოლოდინოვმა „საქრისტიანო პირველ სასწავლო მოძღვრება“ ნიკოლოოზ ტფილელისა - ხუთი ცალი და გაზეთ „მწყემსის“ რედაქტორმა 1887 წლის თვისი გაზეთი.

წიგნთ-საკითხავის დამაარსებელი ძმობა უგულითადესს მადლობას უძღვნის შემომწირველთა.

ივერია – 1890. – N112. – 31 მაისი. – გვ.3.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ბარის-ოსები: მაისის 18-ს ბარის ოსებს, სამრევლო სკოლების სარევიზიოდ, წელს მეორედ გვეწვია ინსპექტორი, მღვდელ-მონაზონი მამა ლეონიდი. მამა ლეონიდი თუმცა გზაზედ ცოტა უქეიფოდ გამხდარიყო, მაგრამ მაინც შარშანდელივით ხალხთან საუბარი არ დაიშალა. პირველად, ესე იგი თორმეტს ამ თთვეს, მამა ლეონიდმა სოფელ ოლგინსკაში გამოსცადა შეგირდები, და თოთხმეტს - სოფელ ხუმელაგაში. ხუმელაგაში შეგირდების გამოცდამ დილის ცხრა საათიდგან პირველ საათამდის გასტანა. შეგირდებმა ყველა საგანი შარშანდელზედ ერთი-ორად უკეთ და მშვენივრად იცოდნენ რუსულადა და ოსურად, რასაც დიდს აღტაცებაში მოჰყვანდა მამა ლეონიდი. აქვე სულ ბოლოს საეკკლესიო გალობაშიაც გამოსცადა შეგირდები, რომელსაც ასწავლის ამავე სამრევლოს დიაკვანი ჯანუევი.

გამოცდის გათავების შემდეგ გამობრძანდა სკოლის ეზოში მამა ლეონიდი და მიჰმართა შეგროვილ ხალხს გრძნობით სავსე სიტყვით. ეს სიტყვა ასე დაასრულა: - ძველად ანდაზად დაგვრჩენია ჩვენთა მამა-პაპათაგანო, რომ „სწავლა არის ნათელი და უსწავლელობა ბნელიო," და ეს ანდაზა სწორედ მართალიც არის: როდესაც კაცს სანთელი მიუძღვის ბნელს ღამეში და გზას უნათებს, მაშინ სანთლის სინათლის წყალობით კაცი უშიშრად მიდის გზაზედ, უსანთლოდ ბნელში მიმავალი კაცი კი ხელებს აფათურებს აქეთ-იქით და ჰშიშობს, არსად ჩავვარდეო. ასევე არის ნასწავლი და უსწავლელი კაციც. როცა ცოდნა აქვს ადამიანს, მაშინ ყველგან და ყოველთვის უშიშრად მიდის და ჰმოქმედებს, და თუ არა აქვს, ყოველ ფეხის გადადგმაზედ სადმე გადაჩეხვის შიში თანა სდევს. აბა შეჰხედეთ თქვენს ქვეყნებში უცხოეთიდგან გადმოსულს გერმანელებს. თუმცა იმათ მამულიც არა აქვთ, მაგრამ ჩვენზედ ერთი-ორად კარგადა სცხოვრობენ და ლუკმას გვაცლიან ხელიდგან. რითა? სწავლისა და ცოდნის წყალობით. საცა უნდა იყვნენ ისინი, უთუოდ ყველგან სკოლა უნდა ჰქონდეთ გამართული თავიანთთვის, და ვინც სკოლაში შვილს არ მიიყვანს, ან უდროოდ გამოიყვანს, იმას ჯარიმას ახდევინებენ ხოლმე. დიაღ, ისინი სწავლობენ და ამიტომ სინათლეში არიან. თქვენც უნდა მიჰხედოთ იმათს მაგალითს, კარგი მაგალითები და ჩვეულება ადვილად შეითვისოთ და ცუდი-კი დაივიწყოთ. მადლობა ღმერთს, რომ ჰხედავთ, დღეს თქვენი პატარა და ახლადმოსწავლე შვილები შარშანდელზედ გაცილებით უკეთ იძლევიან პასუხსა და ეტყობათ, რომ აქვთ სწავლის ნიჭიც, მაგრამ - რა უნდა ჰქმნას ერთმა მასწავლებელმა იქ, სადაც ასზედ მეტი ყმაწვილია შეგროვილი ერთ სკოლაში. წესი-კი ისეთია, რომ სადაც მარტო ერთი მასწავლებელია, იქ ორმოცდაათსა და სამოცს მოსწავლეზედ მეტი არ უნდა იყოს. მაშასადამე, ეს მომეტებულთ რა უნდა ეშველოთ, უნდა დაითხოვონ და დარჩნენ სიბნელეში? არა, ამის ასაცილებლად თქვენვე უნდა იზრუნოთ თქვენის შვილების ბედნიერებისათვის. დიდად სამძიმო არ არის მთელის სამასის კომლისათვის, რომ მეორე მასწავლებელიც იყოლიოთ თქვენის ხარჯით - და თქვენს შვილებს სინათლის მოედანი გაუფართოვოთ, აბა იფიქრეთ რამდენი ხანია თავისის ხარჯით ასწავლის თქვენს შვილებს

ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება, და დღესაც ხომ ის ინახავს ერთს მასწავლებელს. ახლა მეორეც რომ თქვენ მოუმატოთ, მაშინ უფრო ადვილად მოევლება საქმეს თავი და აღარ დარჩებიან ბნელში თქვენი პატარა შვილებიო.

ხალხმა ამისთანა ტკბილისა და მამაშვილურის დარიგებისათვის დიდი მადლობა გადაუხადა მამა ლეონიდს. თექვსმეტს სოფელ ბათაყოში გამოსცადა სკოლის შეგირდები და ჩვიდმეტს სოფელ დარკოხში. ჩვიდმეტშივე გაემგზავრა იგი თერგის გაღმა სკოლებისაკენ. ყველა სოფელში ასე ებაასებოდა ხალხს მამა ლეონიდი და არიგებდა. მამა ლეონიდის დარიგებამ უნაყოფოდ არ ჩაიარა, ბარე ორ სოფელში მისცეს იმედი, რომ მეორე მასწავლებელსაც მოვიწვევთო. მამა ლეონიდმა შარშან პირველ მოსვლაზედვე დიდი სიყვარული დაიმსახურა მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის და წელსაც, როგორც შარშან, ერთის სოფლიდგან მეორე სოფლამდის მისდევდნენ შეგირდები.

სოფელ ბესლანში (მაჰმადიან-ოსების სოფელია) სამოცდაათ კომლამდის მართლ-მადიდებელი ქრისტიანე სცხოვრობს. ამ სოფელშიაც მამა ლეონიდმა შეაგროვა ქრისტიანები, ებაასა და აუხსნა სკოლის სარგებლობა. დაარიგა, რომ სახლი იშოვნეთ და მასწავლებელს-კი გიშუამავლებთ და ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ხარჯით დაგინიშნავთო. ხალხმა დიდის სიამოვნებით მიიღო მამა ლეონიდის დარიგება, მაშინვე ერთმა შეძლებულმა ოსმა დაანახვა ერთი მშვენიერი სასკოლე სახლი და აღუთქვა, მუქთად დავუთმობ სკოლასაო. ამას გარდა სკოლისათვის საჭირო ავეჯეულის შეძენაც იმ ოსმა იტვირთა. იმედია, მამა ლეონიდის ჩაგონებით და შემწეობით, სოფელ ბესლანში მცხოვრებ ქრისტიანეთაც ექნებათ სკოლა. ვისურვებთ, რომ მამა ლეონიდის გულ-მხურვალე შრომას ყოველთვის ასეთი კარგი ნაყოფი გამოეღოს.

ქართველი ოსებში.

ივერია – 1890. – N125. – 15 ივნისი. – გვ.2.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფელი ალიბეგლო: - შარშან, 14 სექტემბერს, ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლების ინსპექტორმა მამა ლეონიდმა დააარსა საინგილოში ორი ახალი სკოლა: ერთი სოფელ ალიბეგლოს და მეორე - სოფელ ყორაღანში. ზემოხსენებული საზოგადოება თითოეულ ამ სკოლაზე ჰხარჯავს წელიწადში 320 მანეთს. მაგრამ ამ ფულიდგან 150 მანეთს აძლევს თვით სოფელი ალიბეგლო: ამ სოფლის ხარჯითვეა აშენებული სოფლის შენობაცა. სოფლელნივე აძლევენ მასწავლებელს სადგურს, შეშას და მოსამსახურეს. წლის დამლევამდე ალიბეგლოს სკოლაში სწავლობდა 20 შეგირდი, ხოლო ყორაღნისაში 12.

თქმა არ უნდა, რომ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოებაც და სოფელიც ამ ხარჯს ეწევიან იმისთვის, რომ ინგილოთა შორის ქრისტიანობა დამკვიდრდეს და ავი ზნე-ჩვეულება ხალხისა შეიცვალოს. ამიტომ ცხადია, მასწავლებელნიც დიდის სიფრთხილით

და ცოდნით უნდა ასრულებდნენ თავიანთ თანამდებობას და ყოვლის ღონისძიებით მეცადინეობდნენ შეაყვარონ მოსწავლეებს სკოლა და სწავლა-განათლება და დაარწმუნონ ხალხი, რომ მათი ხარჯი უსარგებლოდ არ იკარგება. ამ მხრით სასიამოვნოა, რომ მამა ლეონიდმა ინება და დანიშნა ალიბეგლოსა და ყორაღნის სკოლის მასწავლებლად აქაურნივე ნასწავლნი ყმაწვილნი კაცნი. ამათ კარგად ესმით სატკივარი ხალხისა, იციან ინგილოთა ენა, ზნე-ჩვეულება და მიმართულება, მათი ისტორიული წარსული და აწმყო ცხოვრება. ამიტომ დიდი იმედი გვაქვს, რომ მათი მხნეობა და მეცადინეობა უნაყოფოდ არ ჩაივლის და სასიკეთოდ შესცვლის აქაურების ცხოვრებასა, ფიქრსა და აზრს. ნაყოფი ალიბეგლოს სკოლისა ეხლავე სჩანს: მის მასწავლებელს ბატონს ა. ივანიცკის დიდი შრომა გაუწევია და კეთილ-სინიდისიერად მოუმზადებია შეგირდები, რომელთა გამოცდაც ამ თთვის ოთხს იყო დანიშნული. შეიყარნენ მოსწავლეთა მშობელნი და სხვანი მცხოვრებნი ალიბეგლოს სოფლისა. ჩამობრძანდა სოფელ კახიდგან მ. ბლაღოჩინი ბარნაბოვიცა მთავარ-დიაკვანითურთ და სოფელ ყორღნის მასწავლებელიცა. მოწვეულნი იყვნენ მოსწავლეთა გამოცდაზედ დასასწრებლად აგრეთვე სოფელ კახის ნორმალურ სკოლის ზედამხედველი ბატონი ნ. ყისაიშვილი და კახის განყოფილების ბოქაული ბატონი მერკულოვი და ზოგიერთი სხვანიცა, რომელნიც სამწუხაროდ, არ მობრძანდნენ. მასწავლებელმა აუხსნა კრებას, რისთვის იყო მოწოდებული, რა უნდა ენახა, რა უნდა გაეგო იმ დღეს და რაში უნდა დარწმუნებულიყო. საღმრთო წერილის მასწავლებელმაც მღვდელმა მამა დ. ჯანაშვილმა ესევე საგანი განუმარტა მდაბიურის ენით ყველა შემოკრებილთა და შემდეგ დაიწყეს კიდეც გამოცდა შეგირდებისა. გამოსცადეს შეგირდები ყველა საგნებში, რაც-კი ესწავლათ: საღმრთო წერილის ცოდნაში, ქართულსა და რუსულს ენაში, არითმეტიკასა, გალობა-სიმღერაში და აგრეთვე წერა და კითხვაშიაც. დამსწრენი დიდად ნასიამოვნები დარჩნენ და უკვირდათ, ყოველივე ეს როგორ მოასწრეს და ისწავლეს ხამმა ყმაწვილებმა სულ რაღაც ცხრა თთვის განმავლობაშიო. მეტადრე ყმაწვილების მამანი იღიმებოდნენ ბედნიერის ღიმილით, ჰხედავდნენ რა თავიანთ შვილების კითხვა-წერასა, მათ ცოდნასა, ისმენდნენ რა მათ მწყობრ გალობასა და სიმღერასა. დიდად მადლობელნი დარჩნენ ისინი თავიანთ მასწავლებელს და ხმა-მაღლა აცხადებდნენ ამ მადლობასა. მამა ბლაღოჩინმა დიდად გაიხარა და ისიამოვნა, რომ შეამჩნია შეგირდების კარგი ცოდნა გალობისა და სამშობლო ხმების სიმღერისა. ორიოდე ტკბილი და თბილი სიტყვა უთხრა ამ საგნის შესახებ ხალხს, შემდეგ გადიხადა სამადლობელი პარაკლისი და ბოლოს, სხვათა შორის, ამ სიტყვებით მიჰმართა იქ შემოკრებილ ინგილო-ქართველობას: „სწავლა ადამიანს საზრდოს მოპოვების ცოდნას აძლევს, ფაქიზად ცხოვრებისას და ყაირათობისას და თანაც დამჩაგვრელ ძალას მტარვალ კაცებისას ასუსტებს და აუქმებს, აძლევს კაცს მომატებულს შნოს და შეიქმს ნამდვილ და ჭეშმარიტ მამულიშვილად.“ ამას მოჰყვა მერმე სიტყვა მღვდელ დ. ჯანაშვილისა შესახებ იმისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ეროვნობის გრძნობის განსაძლიერებლად საერო გალობასა და სიმღერას. ამიერიდგან თქვენი მოსწავლე ყმაწვილები აღარ იმღერებენ თათრულადაო, როგორც თქვენა მღერით, რადგან არ იცით ძველებური, თქვენთა მამა-პაპათა, ქართული სიმღერებიო, ისინი აღარ დაუკრავენ თათრულს საკრავს და ზედ აღარ დამღერებენ თათრულს ჰანგზე უცხო სიტყვებსაო. მაგრამ თუ გინდათ სრულიად მოსპობილ იყოს ყოველივე თათრული თქვენს შორის, საჭიროა ისწავლონ თქვენმა ქალებმაც, რადგან ქალია ბურჯი ოჯახისა და ისა ზრდის შვილებს პირველშივეო. მოიქეცით ასე, ასწავლეთ წიგნი

თქვენს ქალებსაც და ინგილობა ისეთივე ქართველები შევიქნებით სულითა და გულით, როგორც ყოფილან თქვენი მამა-პაპანი, რომელნიც ოდესმე ისე თავ-გამეტებით იბრძოდნენ ქრისტიანობისა და მამულის მტერთა წინააღმდეგო.

როცა ყოველივე ესე გათავდა, ყველა დამსწრენი მღვდელმა დ. ჯანაშვილმა და მასწავლებელმა ა. ივანიცკიმ მიიწვიეს სასაუზმოდ. საუზმის დროს გაცხარებული ბაასი ჩამოვარდა სწავლა-განათლებისა და ქრისტიანობის შესახებ.

მუთაალიმი.

ივერია – 1890. – N207. – 29 სექტემბერი. – გვ.3.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფელი ვანათი. (პატარა ლიახვის ხეობა), 16 სექტემბერს. მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ ვანათში ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა არის გამართული კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებისა. რადგანაც ამ სკოლის სადგურს ჰქონდა ზოგიერთი პედაგოგიური და ჰიგიენური ნაკლულევანება, ამისათვის წარსულის წლის ივნისის პირველს რიცხვებში სამრევლო სკოლების ინსპექტორმა მამა ლეონიდმა (რომელიც მაშინ აქ სკოლის დასათვალიერებლად მობრძანდებოდა) ურჩია ვანათელებს, ორტეველებსა და დმენელებს, (რომლების შვილებიც ამ სკოლაში იზრდებიან) აეშენებინათ, ისეთი სკოლის სადგური, რომელსაც არავითარიმე პედაგოგიური და ჰიგიენური ნაკლულევანება არა ჰქონდა. იმათ მოეწონათ მამა ლეონიდის აზრი, იკისრეს თავიანთი ხარჯით ამნაირის სკოლის სადგურის აგება და, მართლაც, ამ ერთის წლის განმავლობაში ააშენეს ვანათშივე, ძვენის სკოლის ახლო, ახალი, დიდი და ყოვლის მხრივ მშვენიერი სკოლის სადგური, რომელშიაც დაეტევა ასი მოსწავლე. ამ თთვის ათს აი ამ ახალის სკოლის სადგურის კურთხევა იყო. სკოლის დარბაზი ამ დროს შიგნიდგან დამშვენებული იყო ფოთლების გვირგვინებით მორთულის სურათებით; გარედგან სკოლის აივანსაც ამშვენებდნენ სხვადასხვა ნაირი ფოთლების გვირგვინები. სკოლის კურთხევაზედ დაესწრნენ: სამრევლო სკოლების ინსპექტორი მღვდელ-მონაზონი მამა ლეონიდი, ცხინვალის პოლიციის ბოქაული ბატონი დ. ვახვახოვი, ცხინვალში მცხოვრებელი ბოქაულად ნამყოფი ბატონი ჟურული, ორტევის ბლაღოჩინი მღვდელი მ. კაპანაძე, ამ სკოლის საღმრთო რჯულის მასწავლებელი მღვდელი კ. დავითიშვილი და ადგილობრივნი მცხოვრებნი.

კურთხევის წესის შესრულების შემდეგ მჭერმეტყველმა ინსპექტორმა მამა ლეონიდმა წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა, რომელმაც ხალხი აღტაცებაში მოიყვანა. ამ სიტყვაში მამა ლეონიდმა ის აზრი გამოხატა, რომ ახლანდელს დროს მდაბიო ხალხში ღვთის მოყვარეობა ძალიან დაცემულიაო, ასე რომ ბევრმა გლეხმა რიგიანად არც-კი იცის პირჯვრის წერაო; უწინდელს დროში-კი სულ სხვა იყოვო; მაშინ ჩვენი მამა-პაპანი, მიუხედავად იმისა, რომ აქეთ-იქიდგან მათ მრავალნი მტერნი აწუხებდნენ, მაინც ძალიან ღვთის მოყვარენი იყვნენო; იმ დროს იშვიათად ნახავდით გლეხის სახლს, სადაც სახარება,

დავითნი ან სამოციქულო არა ყოფილიყოვო. დედა რომ გაათხოვებდა თავის ქალიშვილს, მზითევში ან სახარებას ან დავითნსა და ან სამოციქულოს გაატანდაო. აი ამისათვის, განაგრძო მამა ლეონიდმა: მათმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება გამოცემა იმისთანა ბრძანებისა, რომელიც ყოველს მღვდელს მოვალედ ხდის, თავის მრევლში საეკკლესიო სამრევლო სკოლა გახსნასო; ამისთანა სკოლიდგან შეგირდები ღვთის მოყვარენი და ნამდვილნი ქრისტიანენი გამოვლენო მშობლებისა და მამულის სასარგებლოდაო.

ბედნიერნი ხართო, მიჰმართა ბოლოს მამა ლეონიდმა გლეხებს: რომ ამისთანა სკოლა გაქვთო; აბა ახლა თქვენ იცით, თუ როგორ მუყაითად ატარებთ თქვენს შვილებს ამ სკოლაშიო, თუ გინდათ, რომ ღვთის მოყვარენი და თქვენთვისაც სასარგებლონი გამოვიდნენო.

სიტყვა რომ გაათავა, მამა ლეონიდმა გლეხებს დაურიგა ხატები და სკოლის შეგირდებს პატარა ჯვრები და ესრედ წოდებული წიგნაკები „ცხოვრება წმიდისა, მოწყალისა და მართალის ფილარეტისა.“

ამის შემდეგ ცხინვალის პოლიციის ბოქაულმა ბატონმა დ. ვახვახოვმა და ბოქაულად ნამყოფმა დ. ჟურულმა აუხსნეს გლეხებს სწავლა-განათლების მნიშვნელობა, ისურვესა სკოლისათვის წარმატება და ურჩიეს მათ მუყაითად ეტარებინათ ამ სკოლაში თავიანთი შვილები.

ზემოხსენებულნი, წარჩინებულნი პირნი სადილად მიიწვია თავის სახლში ადგილობრივმა მღვდელმა კ. დავითიშვილმა. სადილი სადღეგრძელოებით დაიწყო. სულ პირველად სტუმრებმა მიირთვეს სადღეგრძელო მათი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრეს ალექსანდრეს ძისა, შემდეგ მისის მაღალყოვლადუსამღდე-ლოესის საქართველოს ეგზარხოსის პალლადისა, ყოვლადუსამღვდელოესის ეპისკოპოზის ალექსანდრესი და სხვებისა. თითოეული სადღეგრძელო „მრავალ-ჟამიერის“ გალობით თავდებოდა. ამ დროს გლეხები გარეთ „ურას“ იძახდნენ.

ზ. ოქუაშვილი.

ივერია - 1890. – 210. – 4 ოქტომბერი. - გვ.2.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

კულბითი – კულბითი მშვენიერი სოფელია, აქვს კარგი მდებარეობა და საღი ჰავა. ამ სოფლის ადგილი თავის ტყით მეფე დავით აღმაშენებელს უბოძებია ოქროპირიძეების წინაპარ ჩოჩიშვილებისთვის, რომელნიც ოსეთიდგან გადმოსახლებულან, მეფის ყურადღება დაუმსახურებიათ თავის ერთგულობითა და მისივე ნება–დართვით ამოურჩევიათ ეს ადგილი საცხოვრებლად. დავით აღმაშენებელის ნაბოძები სიგელი აქამდე არის დაცული ოქროპირიძიანთ ოჯახში.

სოფლის თავში არის ყინულსავით ცივი წყარო, რომელსაც თურმე სამკურნალო თვისება აქვს; ვისაც გააციებს წყაროს წყალში იბანავებს და მორჩება; ამიტომ ამ წყაროს დაერქვა „წამლაწყარო.“

კულბითში ხშირად უცხოვრიათ ქართველთა მეფეების შვილებს. სხვათა შორის ჩვენის მატიანებიდგან ვიცით, რომ ხუთასის წლის წინად აქ სცხოვრობდა მეფის ძე გოჩა

(გიორგი); ეს სოფელი აგრეთვე ძლიერ ჰყვარებია დიდ ერეკლე II მეფის შვილს იულონს, რომელიც აქ ჩერქეზიანთ ოჯახში აღზრდილა პატარაობიდგან და ხშირად მუხის ძირში დროება გაუტარებია. როდესაც იულონი იძულებული გამხდარა, სამშობლოსთვის თავი დაენებებინა, იმას თან გაჰყოლიან იმერეთში ერთგულნი მხლებელნი, მათ შორის ცნობილი ფირანიც, რომელიც იულონის შეპყრობის დროს ლუკმა–ლუკმა დაუკეპიათ; თავ–განწირულის დაკეპილი სხეული კალათებში ჩაულაგებია ივანე შავარდენიძესა და გადმოუტანია კულბითში სამშობლო მიწისთვის მისაბარებლად.

ისტორიული ძველი ნაშთებით არ არის ღარიბი ეს სოფელი. შიგ სოფელში და მის გარშემო ყოფილა წინად თორმეტი ეკკლესია, რომელთა რიცხვი, თუმცა, სამწუხაროდ შემცირებულა, მაგრამ სანუგეშოდ ჩვენამდე მოუღწევია გოჩასაგან აშენებულს თლილის ქვის ეკკლესიას. მეფის ძეს გოჩას თავის სახსოვრად დაუტოვებია ეს მშვენიერის ხელოვნების მხრითა და გარშემო ჩუქურთმებით შემკული ეკკლესია. იმავე გორაკაზე, რომელზედაც ეს ეკკლესია არის აშენებული, სოფლის მკვიდრთა და ტაძრის დასაცველად მტერთაგან გოჩასვე აუშენებია მკვიდრი ქვითკირის გალავანი კოშკებით. ეკკლესია და ქვითკირის სიმაგრენი თითქმის ორმოც ვერსიდგანა სჩანს. ნეტარ ხსენებულ გოჩას შემდეგ, რომელიც ჩრდილოეთის სვეტისა და სამკვეთლოს შუაში განისვენებს, მისგან აშენებულ ეკკლესიაში აქამომდე არ შეწყვეტილა წირვა–ლოცვა, მხოლოდ ამ რამდენსამე წლის წინად შტატი იქმნა აქედგან გადატანილი ოქროპირიძიანთაგან განახლებულს საყდარში.

გოჩას ეკკლესიის შესავალში ასვენია სასწაულთ–მოქმედი ხატი ღვთის–მშობლისა, რომელიც ჯერ ჩერქეზიანთ ოჯახში სვენებულა და მერე შეუწირავთ ეკკლესიისთვის. ეს ხატი, როგორც ამბობენ, მოუტანიათ იერუსალიმიდგან და არის ნამდვილი პირი ივერიის ღვთისმშობლისა, რომელიც ზღვაზე სასწაულებრივ გამოეცხადა ქართველს ბერს გაბრიელს. ეს ხატი ჟამთა ვითარებისაგან დაძველებულა, წამალი ადგილ–ადგილ გადასვლია. მხატვრობა (რუსული უნდა იყოს) ბუნდადა სჩანს. ამ უკანასკნელის გარემოებით აიხსნება ხალხის ღრმა რწმუნება, რომ ხატი იღრუბლებაო.

დროთა ბრუნვის გამო გოჩას ეკკლესია ძლიერ დაძაბუნდა, ჩრდილოეთის მხარე დაირღვა და აღმოსავლეთის მხარეს საძირკველი გამოუჩნდა. გარედან კედელსა და ფრონტონებს (კალთებს) თითქმის სულ შემოცლილი ჰქონდა თლილი ქვები, ზოგან კალთებიდგან სინათლე ჩამოდიოდა ეკკლესიაში. გუმბათი თუმცა მაგრა სდგას, მაგრამ არც იმას შერჩენია ზევიდგან სახურავი. სამწუხარო იყო ამ ეკკლესიის ამისთანა მდგომარეობა, მით უმეტეს, რომ ხალხი ძალიან ლოცულობს ამ ეკკლესიასა და, თუ გულის შემატკივარნი არ გამოსჩენოდნენ, იქნება ხელიდგან გამოგვცლოდა ეს შესანიშნავი ისტორიული ნაშთი. ბევრი ამისთანა ტაძარი დიდის თავ განწირულობით ჩვენ წინაპართ მტრებისაგან გადურჩენიათ და ჩვენთვის პირ–ნათლად გადმოუციათ, მაგრამ ჩვენ მშვიდობიანობის დროს ჩვენი დაუდევრობით დაგვიკარგავს. ვინ იცის დიდი ხანი ყოფილიყო გოჩას ეკკლესია ამისთანა მდგომარეობაში და აღდგენა არ ჰღირსებოდა, რომ მისი განახლება არ განეზრახა ადგილობრივს მღვდელს დიდათ პატივცემულ მ. გაბრიელ ოქროპირიძეს, რომელმაც ამ ეკკლესიის გასაახლებლად სთხოვა საქართველოს ეგზარხოსს პალადის კომიტეტის დაარსება. კომიტეტში თვით მღვდელს გარდა არიან: გორის მაზრის თავად–აზნაურთა წინამძღოლი ივანე დავითის ძე სულხანიშვილი, გიორგი იერონიმეს ძე საძაგელოვი და ინსპექტორი მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგინებელის საზოგადოებისა მღვდელ–მონაზონი მ. ლეონიდი. საქმის დასაწყობლად მისმა ყოვლად

უსამღვდელოესობამ გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, რომელიც მთელს საქართველოში ცნობილია როგორც უხვი გამღები შეწირულობისა, კეთილ ინება და შესწირა ათი თუმანი. კომიტეტი უკვე შეუდგა ნაკისრს საქმეს, შეეკრა ოსტატ ბერძნებს პირობითა და იმედი აქვს, რომ ამ ენკენისთვის გასვლამდის ნახევარი საქმე მაინც იქნება შესრულებული. ამ ნაირად ამ მოკლე ხანში განახლებულს ნიქოზის ტაძარს მიემატება გოჩას ეკკლესიაც. სასურველია, რომ სხვათაც მიაქციონ ყურადღება ძველს ისტორიულს ნაშთებსა და თუ თვითონ თავს ვერ უდვიათ განახლება, სთხოვონ სასულიერო მთავრობას მცოდნე კაცთაგან კომიტეტების დაარსება და ერთმანეთის დახმარებით შეუდგნენ ძველი ტაძრების განახლებას.

თანამემამულე.

ივერია – 1891. – N23. – 30 იანვარი. – გვ.3.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ოსეთი: 19 იანვარი. მოგეხსენებათ, რომ კავკავში დღემდე არსებობდა ოსეთის დედათა სამ-კლასიანი სასწავლებელი, რომელსაც ინახავდა თავისის ხარჯით კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება. ამ სასწავლებელს დიდი ხარჯი ჰქონდა და სარგებლობა-კი საიმისო არ მოჰქონდაო, იფიქრა ზემოხსენებულმა საზოგადოებამ და იანვრის პირველიდგან გააუქმა სრულიად. მის ნაცვლად მოინდომა ბარის ოსების სოფლებში ორ ალაგას გამართვა ერთ-კლასიანის დედათა სკოლებისა. ამ ორის სკოლის გამართვის შესახებ ტფილისიდგან გვეწვია კომისია, რომელშიაც სამი წევრი იყო: ინსპექტორი მღვდელ-მონაზონი მამა ლეონიდი, დეკანოზი მამა კალისტოვი და პოლკოვნიკი ბატონი კამაროვი. სკოლების გასამართავად კომისიამ აირჩია ორი სოფელი: ერთი თერგს გაღმა სოფელი ჩირისტონყაუ და მეორე თერგს გამოღმა, სოფელი ხუმელაგა.

7 ამ თთვეს კომისია იყო პირველ სოფელში, ჰკითხა ხალხს, გსურთ თუ არა სკოლაო. ხალხიც დიდის სიამოვნებით დასთანხმდა და მაშინვე შენობაც იზრუნა სკოლისათვის. სოფელმა განაჩენი დაადგინა, რომ სკოლისთვის საჭირო შენობას და შეშას ჩვენ ვკისრულობთო, მხოლოდ მასწავლებელს ჯამაგირი „ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებამ“ აძლიოსო. მეორე მესამე დღეს თერთმეტი საათი იყო, რომ კომისია მიბრძანდა მეორე სოფელ ხუმელაგაში. ხალხი შეგროვილი იყო ვაჟების სკოლის წინ. სტუმრებიც პირდაპირ იქ მივიდნენ, სკოლა დაათვალიერეს და გამოცდა დაუწყეს შეგირდებს. შეგირდები, რასაც ჰკითხავდნენ, ყველანი სამაგალითოდ აძლევდნენ პასუხს, როგორც რუსულში, ისე ოსურში. შემდეგ შეგირდების გამოცდისა, კომისიის წევრნი გაერივნენ შეკრებილ საზოგადოებაში. მამა ლეონიდმა, როგორც კვლავ, ისე ახლაც ხალხს დაუწყო ტკბილი საუბარი, განუმარტა სკოლის მნიშვნელობა და სარგებლობა, აგრეთვე დეკანოზმა მამა კალისტოვმა. ხალხმაც თავიანთის მხრით მადლობა მოახსენეს ამ ნაირ კეთილ-ჩაგონებისათვის და მაშინვე სურვილი გამოაცხადეს, იმ ნაირისავე პირობით, რა პირობითაც პირველ სოფელში აარსებთ სკოლას, ჩვენც სრულიად თანახმანი ვართო. შესაბამისი განაჩენიც შესდგა და საქმე დამთავრდა. შემდეგ სტუმრები მიიწვია სადილად ხუმელაგის სამრევლოს მღვდელმა ნ. ბ-ძემ. სადილზედ წარმოითქვა სადღეგრძელოები საქართველოს ეგზარხოსისა, ახალის დედათა სკოლისა და სხვა. ყველა სადღეგრძელოს

ზედ მოსდევდა „მრავალ-ჟამიერ“ და „შირა-ხორზაზთა.“ საღამოზედ კომისია დაბრუნდა კავკავს. ინსპექტორი სკოლებისა მამა ლეონიდი დარჩა იქ სკოლების სარევიზიოდ, ხოლო დანარჩენნი წევრნი ტფილისსვე გაემგზავრნენ.

11 იანვარს სოფელ ბესლანს მიბრძანდა კავკავის ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო პეტრე, ახალის სკოლის დასათვალიერებლად. ყოვლად სამღვდელოს თან ახლდა ინსპექტორი მამა ლეონიდი და ბლაღოჩინი მამა სუხიევი. მათი მეუფება რკინის გზის მატარებლით მიბრძანდა ბესლანის სადგურამდე. სადგურზედ მიეგებნენ ახლო სოფლების მღვდლები, კავკავის მაზრის უფროსი, მეორე განყოფილების უფროსი და სხვანი. აქედან გაემგზავრნენ სკოლისაკენ, საცა მიეგებნენ ბესლანში მცხოვრებნი ქრისტიანი ოსები პურ-მარილით. სკოლაში ჯერ პირველად დაურიგა შეგირდება ჯვრები, წიგნები და აგრეთვე ქრისტიან ოსებსაც დაურიგა ჯვრები. შემდეგ ყოვლად სამღვდელომ დაუწყო გამოცდა შეგირდებს. შეგირდები, თუმცა ორიოდე თთვეზედ მეტი არ არის რაც სწავლობენ, მაგრამ მაინც ყველაფერში მალხაზად აძლევდნენ პასუხს ოსურად. ყოვლად სამღვდელო რუსულად ელაპარაკებოდა და ბლაღოჩინი მ. სუხიევი ოსურად უთარგმნიდა. შეგირდების გამოცდის შემდეგ მათმა მეუფებამ დაუწყო ხალხს ლაპარაკი ქრისტიანულ-საგნების შესახებ. ამ დროს ქრისტიანების გარდა, მაჰმადიანი ოსებიც ბევრნი უგდებდნენ ყურს მათ მეუფების საუბარს. ყოვლად სამღვდელომ სახალხოდ დიდი მადლობა და ლოცვა-კურთხევა გამოუცხადა იმ ბესლანში მცხოვრებ ოსს გაკას, რომელმაც თავის ხარჯით ააშენა და დაუთმო სკოლას შენობა. ქრისტიან ოსებს მისცა მწყემს-მთავრული დარიგება ეკკლესიის აღშენების შესახებ და აღუთქვა შემწეობა. შემდეგ, მათი მეუფება, მამა ლეონიდი და სხვები ყავაზედ და საუზმეზედ მიიწვიეს ქრისტიან ოსის მაციყო თორჩინოვის სახლში, საცა მომზადებული ჰქონდათ ყოველივე ესე იქ მცხოვრებ ქრისტიან ოსებს. იმ დღეს თუმცა კარგადა სთოვდა და ცუდი ამინდი იყო, მაგრამ მაინც ცუდ ამინდს არ შეუშინდა მათი მეუფება და მოინდომა სოფელ ხუმელაგაშიაც (ბესლანის სოფელზედ ხუმელაგა შვიდის ვერსით მოშორებულია) წაბრძანება.

ხუმელაგაში ეკკლესიის დათვალიერების შემდეგ საცა შემოსილი მღვდელი და სკოლის შეგირდები გალობით მიეგებნენ მთავარ-დიაკონის ჯანუევის ლოტბარობით, დაათვალიერა ვაჟების სკოლა და გამოსცადა შეგირდები. შეგირდებს, რაც-კი ჰკითხა მათმა მეუფებამ, ყველაში მშვენივრად მიუგეს პასუხი. შეგირდებს, როგორც ხალხსაც, ყოვლად სამღვდელომ დაურიგა ჯვრები და ზოგთ წიგნაკებიც. საღამოზედ ყოვლად სამღვდელო რკინის გზითვე დაბრუნდა კავკავს. ინსპექტორი მამა ლეონიდი-კი ხუმელაგიდგან თორმეტს იანვარს გაემგზავრა სკოლების სარევიზიოდ. როგორც სხვა დროს, ისე ეხლაც მამა ლეონიდს ეგებებოდნენ ყველა სკოლაში დიდის სიხარულით. მამა ლეონიდიც, ჩვეულებისამებრ, ტკბილად და მამა-შვილურად სცდიდა შეგირდებს, ესაუბრებოდა ყველგან ხალხს და აძლევდა დარიგებას მართლმადიდებელ ქრისტიანულის წეს-რიგის შესახებ. ყოველივე ეს არის მიზეზი, რომ აქეთ ეს სკოლები დიდს წარმატებაშია. ვისაც-კი უნახავს ამ სამის წლის წინად ბარის ოსებში სკოლები, სწორედ გაჰკვირდება, ეხლა რომ ნახოს, ისე დიდია განსხვავება. წინანდელზე ეხლა ერთი-ორად და სამად უკეთ მიდის ბარის-ოსების სკოლების საქმე.

ქართველი ოსებში.

ივერია - 1891. – N39. – 19 თებერვალი. - გვ.2.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ხევსურეთი: 1 თებერვალს. ნეტა არის სადმე სხვა ისეთი ღვთისა და კაცის მიერ დავიწყებული მხარე, როგორც ხევსურეთი? არ გეგონოსთ, მითომ ეს მართლა ტრამა და უკაცური ქვეყანა იყოს. უკაცური მხოლოდ იმით ეწოდება, რომ იქ ვერ იპოვნით თუნდ ერთს ადამიანის შვილს, იმდენად განვითარებულს, რომ იმასთან შესაძლებელი იყოს ცოტაოდენი კაცური ლაპარაკი. ხევსურის ჩაცმულობა, სმა-ჭამა, ცხოვრების ადათები და ჩვეულებანი, შეხედულებანი შესახებ ქვეყნისა და ცისა, ერთის სიტყვით ყოველივე ის, რაც შეადგენს „ხევსურს“ და იმის ცხოვრებას, გეუბნებათ მხოლოდ იმას, რომ ხევსური ჯერ ისევ, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ნახევრად ველურია. დიაღ, ასეთია ხევსურეთი, ასეთის ხალხით არის დასახლებული ის ღადე-ღუდე, ხრიოკ-ხრიაკი, კლდე-ჭიუხიანი ქვეყანა ხევსურეთი, საცა ბევრგან, მოლექსისა არ იყოს: „სუსტ მწერთა მხარნი არც-კი აფანცქვალებულან,“ მაგრამ კაცებს-კი თავის ლანირინტიანი სახლ-კარები წამოუწკეპიათ! აქა ბუდობდნენ ეს „ბწკლიანნი ვეფხვნი“ კმაყოფილებით და უშფოთველად ამ საუკუნის პირველ ნახევრის დამლევამდის. მას აქეთ-კი, ცოტა არ იყოს, შეაფუცხუნა ეს „ყმანი“ ახალ-ახალმა გარემოებამ. ჯერ ქორწინებამ გამოჰყო ხევსურების ნიადაგზედ თავი; მას აქეთ აქციზმა, ქვაბების საქმემ: რაც ამათ დააკლეს, ის „სალდათობამ“ მიუსართა და თავ-ზარი დასცა კლდე-კინჭუხის მოსახლე ჭანგოსან მოყმეებს... სხვა სუნმა დაიარა... აჩქამდა ახლა ინჟენერის ცულ-ქარჩი. რკინის გზის ადგილს პლანვა და ზომვა დაუწყეს. ხევსურს, „მობუბუნე ხარს“ ისევ ყურზედა სძინავს თავის საბინაოზედ. არ იჩუჩება. ერთი ამას-კი კითხულობს ფლეგ-მაჩიურის გულ-გრილობით: „მაშ ამაზედაც თუ შამაჩნდების ხევსურეთის გამამცხვირავ „ბარახოტაი“ ბაბანითად ოდიგრობითა?“

ბოლოს, წარსულ 1890 წლის ენკენისთვიდამ საზოგადოებამ კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებისამ განიზრახა სკოლა გაემართა ხევსურებისათვის, რის გამოც ერთის ხევსურისაგან სოფელ ბარისახოში სახლი იქირავა. მასწავლებელიც დანიშნა... ვგონებ ერთი წელიწადი საცდელად დააარსა ეს სასწავლებელი: „დაიცა ხევსურები სწავლას მოისურვებენ, თვითონ მოსძებნიან სკოლას, თუ არაო...“ სასწავლებლის დაფუძნება კარგი აზრია ხევსურების გამოსაღვიძებლად, მაგრამ ვაი შენს მტერს, რომ ხევსურთ ნდომაზედ დამრჩალი და დამყარებული, სკოლა, თუნდ ამ ასს წელიწადშიაც საძირკველს ვერ ასცილდება... რა ვიცი, როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში წარმომადგენელი ამ საზოგადოებისა სამრევლო სკოლების ინსპექტორი მამა ლეონიდი: ჩაჰშლის სასწავლებელს, თუ იღონისძიებს რასმე იმის სამუდამო სიცოცხლის და აღტყინებისთვის?..

ჯერ-ჯერობით-კი ადგილობრივი მასწავლებელი ბევრს ეჩიჩინება ხალხს და აგონებს სწავლის საჭიროებას. სთხოვს სასწავლებელში შვილების მორეკვას. მაგრამ დღემდის 7-8-ზე მეტი არც-კი ჰყავს ჩაწერილი. „ვინ რას იტყოდაო,“ შამომჩივლა: „თუ ესენი მაინც ყოველდღე დადიოდნენ, თორემ ჩაწერიდამ რა გამოვიდა. სამი იმათგანი მესამე დღესვე გაიყვანეს, ხატი გაჯავრდა, არ მოგვიხდინაო. დანარჩენები ერთი-ორი დღე ერთმანეთზედ რომ ატარონ, მერე აღარ გამოჰგზავნიან.“ მივარდები, ვიკითხავ: „კაცო, რა ღმერთი

გიწყრებათ, რატომ აღარ უშვებთ? ან შამოყვანა რა იყო, ან გაყვანა? თუ გინდა რომ ისწავლოს რამე, მუდამ ავლიე, თუ არადა მაგრე სად გაგონილა?“

- ნუ გეწყინება ჩემი, მასწავლებელო, ვეღარ ვადენ...

- რად არ, ბიჭო? - ხმას აღარ იღებს: ალბათ, ან გაუგონია რამ ჭორი, საზნევი სკოლაში მოსწავლეთა მომავალისა, ან მკითხავს დაუშლია და იმიტომ აღარა წადინობს მამა. გარწმუნებ, რომ ეგ სულ ტყუილია, სიცრუვეა, ვეხვეწები კვლავ გამოგზავნას - ბოლოს ვიყაბულებ... მაგრამ რა გამოვიდა? ხვალ ან ის, ან სხვები ისევ იმას მიზამენ. ასეა ჩემი საქმე: ყოველდღე მარტო 3-4 დაიარებიან; ისინიც ხან მოვლენ, ხან არა. ამას იქით რა იქნება, ღმერთმა უწყის. თუმცაო, დასძინა მასწავლებელმა, ბევრნი არიან ძალიან სწავლების წინააღმდეგნი, მაგრამ მე-კი აქ უსარგებლოდ არ მიმაჩნია ძალადობა, მით უფრო, რომ ბევრის ხევსურისაგან მსმენია: „ნეტავ ვინ ძალით-კი წაგვართობდენ სასკოლავედ შვილებსა: მაშინ ხატის და ქვეყნის მუნათშიით და პირშიით გამოსულები ვიქნებოდითო.“ ამიტომ მე ვთხოვე ერთ წარმომადგენელს თიანეთის სამაზრო მართველობისას და ჩაფრებით დახმარებას დავენუკვე. იმედიცა მაქვს ამისრულებსო.“ ღმერთმა ჰქმნას.

- შენ რაღა გაძლებინებს ამ ჯოჯოხეთში-მეთქი? ვკითხე.

პასუხის მაგივრად ხელი წამომავლო, 11 გრადუსიან სიცივეში კარში გამომიყვანა და გამახედა: იქ მხოლოდ თოვლის არზანით ჩამოლესილი და ჯანღ ჩამოხვეული მთები მოჩანდნენ ცაზედ მიკრულები, თითქოს გოლიათები თავისავით საკვირველ დედას მკერდზედ საწოვნელად მიჰსევიანო. მე მარტო ეს-ღა ვუთხარ: „ღმერთმა, შენც მშვიდობა მოგცეს, ძმაო, და მაგათაცა-მეთქი.“

სხვად ხევსურეთი ისევ ისეა, როგორც უწინ გინახავთ: უფრო ჩამობღარულ-ჩამოკაწრული და ჩამოსაცოდავებულია ამ ყინვა-თოვლებისაგან. ხევსური გამოხვეულა ათასგან გამთელებულ ტყაპუჭში და „ფეხ-თითიანი“ გამოიბღვირება გარეშემოზედ. ან კიდე კერის პირას დამჯდარი მძიმე-მძიმედ ჩიბუხს აბოლებს, წრინტავს და ცოლსა სტუქსავს: „აითარ მანდით! მალე მიქენ სისხლ-დუმაის კეცეულნ და მამართვ, თორო, განეე, აგადენ „ტყრაშთ“ - ხო იცი... თუ მალე აითრება „თარუა,“ ხო პატიოსანი, თუ არა და გასდგებიან კიდეც, „ტყრაშნი“ არც ისკანათი, რკინის ცეცხლის საჩხრეკლით, რომელიც იმის ბატონს ქმარს აქვე გვერდით უძევს და წამდაუწუმ გამოაქვს ნაკვერჩხლები ღველფიდამ ყალივნისათვის: აფსუს რომ თარუას ადგილას თქვენ არა ბრძანდებით, ჩვენი „ბარის“ კაბოსანენო, რადგანაც მაშინ უფრო კარგა დააფასებდით თქვენ მიერ გაკაწოწებულს.

თქვენსა ბუდნას ქმრებსა,
თქვენს ყურ-მოჭრილ ყმებსა!

პარასკევა.

ივერია – 1891. – N44. – 24 თებერვალი. – გვ.2–3.

პარასკევას წერილის გამო

დიდის ყურადღებით და ინტერესით წავიკითხეთ „ივერიის“ ოცდამეცხრამეტე ნომერში დაბეჭდილი პარასკევას წერილი შესახებ ხევსურეთისა. ალბათ დიდის რამ საქმის ან რომელისამე გაჭირების გამო, ქალბატონს პარასკევას გაუბედნია და ამ ცივ ზამთარში მოუწადინებია ხევსურეთში გასეირნება. რა თქმა უნდა, ამ ყინვა-თოვლში, ჩვენი მოგზაური ბევრ სიამოვნებას ვერასა ჰნახავდა და ეს გარემოება უნდა იყოს მიზეზი, რომ პარასკევას ხევსურეთი მოუნათლავს „ჯოჯოხეთის“ სახელით. როგორც სჩანს წერილიდგან, ეს ქალბატონი წინადაც ბრძანებულა ხევსურეთში, ახსოვს ხევსურების წინანდელი ცხოვრება, იმ წარსულის სურათს უპირდაპირებს ხევსურების აწინდელ მდგომარეობას და იმ აზრს ასკვნის, რომ „ხევსური ისევ ნახევრად ველურია,“ „ხევსურეთი ისევ ისეთია, როგორც უწინ გინახავთ,“ ერთის სიტყვით, - პარასკევას აზრით, დროის განმავლობაში ხევსური, თუ უფრო უკან არა, წინ ყოველ შემთხვევაში არ წასულა და ჯერ წარმატების ნაბიჯი არ გადაუდგამს.

ღმერთსა ვთხოვ, რომ ჩვენს ბარელ შეგნებულ კაბოსნებს შეაგნებინოს და აღუძრას სურვილი საქართველოს იმგვარ მიყრუებულ კუთხეებში მოგზაურობისა, როგორიც არის ხევსურეთი. ძალიან სასურველია, რომ ყველა ბარელმა „ქუდოსან-მანდილოსანმა“ შეიტყოს თავის მთიელ მოძმეთა ყოფა-მდგომარეობა და ნანახ-შეტყობილი გაუზიაროს სხვასაც. მხოლოდ ვისურვებთ, რომ მთაში მოგზაურობა ყველას შეჰხვედროდეს გაზაფხულსა ან ზაფხულში და არა შემოდგომა-ზამთარში. სასურველია აგრეთვე, რომ ბარელმა ბატონებმა, როდესაც მთებისკენ იქმონენ პირს, ბარშივე დასტოვონ ის ოცნება-აღტაცება, უქმი ფიქრები და ფანტაზია, რომლითაც ბარში ნებივრობენ. არა, თუ ღმერთი გწამთ, ბარელი ამ ზამთარში მთაში მიდიოდეს, და ისიც იმგვარ მთაში, როგორც ხევსურეთი, ნუთუ წარმოდგენილი არ უნდა ჰქონდეს წინადვე, რომ იქ სიცივესაც ბევრსა ჰნახავს, სიტიტვლესაცა, სიღარიბესაცა, ჭკუის სიბნელესაც და სხვა ათასგვარ გაჭირებასაცა! თუ ყოველივე ესე თავიდამ ვერ აგვიცილებია ბარის სოფლებში და თვით ქალაქებშიაც, რა გასაკვირველია, რომ ხევსურეთშიაც იგივე ვნახოთ?! ნუთუ სიცივისა, სიღარიბისა, მოწყენილობისა, უვიც-უსწავლელობის, გაუზრდელობისა და სხვათა მრავალ არასანატრელ ვითარების გამო, რომელიმე კუთხე ქვეყნისა უნდა დავსახოთ, „ჯოჯოხეთად“ და იმ თავგანწირულ მუშაკებს, რომელთაც ხვედრათ ჰრგებიათ ამგვარ ბნელ კუთხეში შრომა მოძმეთა კეთილდღეობისათვის, ისე უწყალოდ და შეუბრალებლად უნდა ჩავწყვიტოთ გული, როგორც მოქცეულა პარასკევა ხევსურეთის მასწავლებლის შესახებ: „ღმერთმა შენც მშვიდობა მოგცეს, ძმაო, და მაგათაცაო.“ (ვითომ ცამდე აყუდებულ, თოვლით ჩამოლესილს მთებსაო).

არა, ბატონო პარასკევა, ამგვარად იმისთვისა სჭრით და ჰკერავთ, რომ გეტყობათ, ჯერ ცოტა გინახავთ გაჭირება, თვალი არ გიდევნებიათ სოფლის მცხოვრებელთათვის საზოგადოდ და განსაკუთრებით მთიულებისათვის. თუ ხევსურეთი ჯოჯოხეთია და იქ მშრომელს მოელის თქვენებური ნუგეში, მაშინ თუშ-ფშავიც, საინგილოც, ოსეთიც, აფხაზეთიც, აჭარა-ქობულეთიც, სვანეთიც და სხვა მივიწყებულ-მიბნელებული კუთხე

ჩვენის ქვეყნისა ჯოჯოხეთი იქნება, მაშინ აღარც ამ განაპირებულ ქვეყნებში ეღირება შრომა-სამსახური!...

თუ ასეა, მაშ რაღასა ვლაპარაკობთ ამდენსა, რაღა ღობე-ყორეს ვედებით და ქვეყანას ვაბეზრებთ თავს, რომ ზემორე დასახლებულ ტომთათვის ვზრუნავდეთო, ისინი უნდა გავანათლოთ და ხალხად ვაქციოთო?! თუ ყველანი თქვენს ალაბს დავიჭერთ ხელში, ქალბატონო პარასკევა, მაშინ ზემორე ჩამოთვლილ ქვეყნებში აღარავინ უნდა წავიდეთ: იქ ჯოჯოხეთია და აბა მიბრძანეთ, რომელი ჭკვათა მყოფელი წავა თავისთავად ჯოჯოხეთში საცხოვრებელად და საშრომელად! რასაკვირველია, ვინც გალაქულ იატაკზეა მიჩვეული ქარივით სიარულს, ვინც ვაქსით სარკესავით გაპრიალებულ ჭრაჭუნა ჩექმების კოხტა ჭვინტებზე იმზირება, ვისაც აღთქმად დაუდვია, რომ ყოველი საღამო გაატაროს თეატრსა, კლუბებსა და მასკარადებში, იმას ხევსურეთი ჯოჯოხეთად ეჩვენება, იქ ცხოვრება შეეზარება და „სკუჩნაობა“ „ჩახოტკას“ გაუჩენს. ხოლო ვინც ყველაფერ ამას არ არის ჩვეული და მიდის ხევსურეთში იმ განზრახვით, რომ იშრომოს მკვიდრთა მდგომარეობის განსაკარგებლად, თავის დღეში ამ ქვეყანას „ჯოჯოხეთად“ არ მიიჩნევს და არც მოწყენილობას იგრძნობს. ყველას ვისაც შრომის ასპარეზად ამოურჩევია ჩვენის ქვეყნის რომელიმე მთა-გორიანი მივიწყებულ-მიყრუებული კუნჭული, უნდა ვამხნევებდეთ, გულს ვუმაგრებდეთ და ხალისს ვუმატებდეთ. ჩემის აზრით ზნეობრივად მოვალენი ვართ ყოველ ახალგაზრდა პატიოსან მშრომელს ვუნერგავდეთ გულში საქართველოს მივარდნილ კუთხეებში სამსახურის წადილსა და ისე არ ვიქცეოდეთ, როგორც პარასკევა იქცევა: „შენ რაღა გაძლებინებს ამ ჯოჯოხეთშიო? ეკითხება იგი ხევსურეთის სკოლის მასწავლებელს. საქმე, ბატონო პარასკევა, საქმე უნდა აძლებინებდეს და არა სხვა რამე. ყოველი მასწავლებელი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი საღმრთო და ფრიად სასარგებლო დანიშნულება, არასოდეს დაჩაგრულად არ ჩასთვლის თავის თავს იმიტომ, რომ მთაში მსახურობს, იგი ყოველ გაჭირებას აიტანს მოძმეს საკეთილდღეოდ და არასოდეს არ მორთავს ცრემლვა-წირპას... ქალაქში სამსახურის მსურველნი ძალიან ბევრნი არიან; სრულებით სასურველი არ არის, რომ სოფელს თავი დავუკრათ, სამუდამოდ გამოვეთხოვოთ, ავიკიდოთ ზურგზე გუდა-ნაბადი და ყველანი ჩამოვლაგდეთ ქალაქში. მოღვაწე უჭირს სოფელს და, ვისაც შრომა უყვარს, ვისაც ნამდვილად გული უთქვამს „უმრწემესის ძმის“ კეთილდღეობისათვის, იგი არ უნდა ერიდებოდეს სოფელს, რაც უნდა ძნელი გასაძლისი და ავი საცხოვრებელი ალაგი იყოს. ამ უკანასკნელს ხანს ერთობ ყველას ემძიმება სოფელში და განსაკუთრებით მთაში სამსახური. რადა? იმიტომ რომ ბეჯითი პარასკევები და მრავალნი მისი მსგავსნი არა ჰზოგავენ არაგვარ ფერადებს, რომ რაც შეიძლება საშინლად და საზარლად წარმოადგინონ მთაში ადამიანის ცხოვრება, ჰსახონ იგი მთა ნამდვილ ჯოჯოხეთად... დროა, ღმერთს ერწმუნეთ, რომ ამგვარ მიმართულებას დავეთხოვოთ, ამოვუდგეთ უშიშრად მხარში მთის გაჭირვებულ ხალხსა და ყველანი მათთან ერთად მოურიგებლად ვეწიოთ გაჭირებულის ცხოვრების უღელს, მოვაშოროთ ის წყვდიადი, რომელშიაც იგი ესოდენს ხანს იმყოფება, დავინახოთ სინათლე და შევექნეთ მეთაურნი ყოველს კეთილს საქმეში.

ახლა ხევსურებში სკოლის შესახებ.

წარსულ 1890 წლის ენკენისთვიდამ, სწერს პარასკევა, კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ განიზრახა სკოლა გაემართა ხევსურებისათვის, რის გამოც ერთი ხევსურისაგან სოფელ ბარისახოში სახლი იქირავა და

მასწავლებელიც დანიშნა... ვგონებ ერთი წელიწადი საცდელად დააარსა ეს სასწავლებელი: დაიცა ხევსურები სწავლას მოისურვებენ, თვითონ მოსძებნიან სკოლას, თუ არაო... სასწავლებლის დაფუძნება კარგი აზრია ხევსურების გამოსაღვიძებლად, მაგრამ ვაი შენს მტერს, რომ ხევსურთ ნდომაზე დარჩენილი და დამყარებული სასწავლებელი თუნდ ამ ასს წელიწადშიაც საძირკველს ვერ ასცილდება!...

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ქალბატონო პარასკევა, რომ ჩვენ სკოლა მარტო ხევსურების ნდომაზე არ დაგვიფუძნებია და არც იმის გამოცდა გვიფიქრია როდისმე, აცა ხევსურები თვითონ მოსძებნიან სკოლას თუ არაო. ვიდრე სკოლას გავმართავდით, ადგილობრივ გამოვიკვლიეთ ყოველივე გარემოებანი, მოველაპარაკეთ ხალხს, გავაგებინეთ ჩვენი აზრი, აგრეთვე შევიტყეთ იმისი გულის პასუხი და ისე შევუდექით საქმესა. რასაკვირველია, ჩვენ არ ვიყავით გატაცებულნი იმგვარის აზრით, რომ ყოველ ჩვენ სიტყვას და რჩევას დაუყონებლივ სისრულეში მოიყვანდნენ ხევსურები; არასოდეს აზრად არ მოგვსვლია, რომ გაიმართება თუ არა სკოლა, ხევსურების შვილები კისრებს დაიმტვრევდნენ ჯიბრით, აბა ვინ ვიც შევასწრებთ სკოლაში შესვლასაო. კარგად ვიცით, რა თვალითაც უყურებს სკოლას გლეხ-კაცი, როგორ უფრთხის და ერიდება და ამის გამო, როდესაც განვიზრახეთ ხევსურეთში სასწავლებლის დაარსება, წინადვე წარმოდგენილი გვქონდა, რომ პიველად სწავლის მსურველთა რიცხვი იქნებოდა ძალიან მცირე, მაგრამ შემდეგში ეს მცირე კიდევ მცირეოდენად იმატებდა და ამგვარად საქმე ნელ-ნელა წარმატებაში შევიდოდა. თავიდანვე ჩვენი სურვილი და მოლოდინი ძალიან შემოფარგლული, გაუზვიადებელი და მცირე იყო და ეხლაც დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ წელს ბარისახოს სკოლამ შეასწავლა წერა-კითხვა 4-5 ბავშვს, სამერმისოდ ყოველსავე ეჭვს გარეშე სკოლას ეყოლება 10-12 შეგირდი და კიდევ ერთის წლის შემდეგ მოწაფეთა რიცხვი ავა 20-25-მდე და ეს სრულებით საკმარისია.

ჩვენ სრულებით ვეთანხმებით მასწავლებელს და პარასკევას იმის შესახებ, რომ სკოლის რიგიანად წაყვანისათვის აუცილებლად საჭიროა იქაურის სამაზრო მმართველობის დახმარება და მისგან ხელის შეწყობა. ნათქვამია: „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.“ მარტო ერთი რომელიმე კერძო საზოგადოება, რა გინდ შემძლე და კარგად მოწყობილი იყოს, თუ სხვებიც არ ეყოლება დამხმარებელი, ბევრს ვერას გაარიგებს. მთელის ხევსურეთის მკვიდრთა (რომელთა რიცხვი შვიდი ათას სულს აღემატება) ბედნიერ-უბედურობა, მათი განათლება, მოქრისტიანება და რიგიან ხალხად ქცევა მიუნდვიათ მარტოდ-მარტო ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისთვის. მართალია, ეს საზოგადოება არა ღონისძიებას არა ზოგავს ხევსურების საკეთილდღეოდ: გადაწყვეტილი აქვს ყოველ წლივ ჰგზავნოს თიანეთის სკოლიდან თითო ნიჭიერი ხევსური თელავის სასულიერო სასწავლებელში და ზარდოს იქ თავის სტიპენდიანტათ, თავის ფულით ინახავს ხევსურების ბავშვებს თიანეთის სკოლაში, გამართული აქვს განსაკუთრებული სასწავლებელი ერწოელ ხევსურებისათვის, მომავალ წელში აპირებს ბარისახოში სასკოლო შენობის აგებას. გადაწყვეტილი აქვს აუშენოს ხევსურების მღვდლებს სახლები და ეკკლესიები, მაგრამ როგორც უკვე ვთქვით, მარტო ერთი საზოგადოება ბევრს ვერას გახდება. უეჭველად საჭიროა ხსენებულ საზოგადოებას მხარში უდგეს და ყოველგვარ შემწეობას უწევდეს სამაზრო ადმინისტრაცია.

იმგვარი ყურადღების ღირსი საქმე, როგორც მთიულების ყოფა-ცხოვრების განკარგებაა, მათი განათლება, მათი მოქცევა და ზნეობრივი გადაკეთება, არასოდეს არ

უნდა იყოს დამწყრალებული რომელსამე კერძო უწყებაზე; ამგვარ საზოგადო საქმეში უნდა იღებდეს მონაწილეობას ყველა შეგნებული წევრი საზოგადოებისა; აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს უწყებათა შორის განხეთქილებას, მტრობას და ეჭვიანობას; ერიც და მღვდელიც უნდა ემსახურებოდეს ხალხის კეთილდღეობას და ჰქონდეთ ერთმანერთში ძმური, განუშორებელი კავშირი... ბევრმა სხვა მწვავე ფიქრმაც გამიარა გუნებაში პარასკევას წერილი რომ წავიკითხე, მაგრამ ჯერ-ჯერობით, რაც ვსთქვი, ეს ვიკმაროთ.

მღვდელ-მონაზონი ლეონიდი.

ივერია – 1891. – N227. – 26 ოქტომბერი. – გვ.2–3.

სამხრეთი ოსეთი: 18 ოქტომბერი.

„კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგინებელს საზოგადოებას“ სამხრეთს ოსეთში დღეს შემდეგი სასწავლებლები აქვს: ჯავისა ორ-კლასიანი და ერთ-კლასიანები: ვანათისა, ყორნისისა, როკისა და ედისისა. ამ სკოლების რიცხვს წლეულს მიემატა კიდევ საქალებო სასწავლებელი, რომელიც დაარსდა სოფელ კოშკაში და რომლის მასწავლებლად დანიშნულ იქმნა ტფილისის საეპარქიო სასწავლებელში კურს შესრულებული ქალი ა. სანაყოშვილი. საქალებო სასწავლებლის დაარსება ოსეთში საყურადღებო და სასიამოვნო ამბად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც დღეს ამ ქვეყანაში ქალი მეტად დუხჭირს მდგომარეობაში იმყოფება.

წარსულის თთვის უკანასკნელს რიცხვებში სოფელ კოშკაში მობრძანდა მღვდელ-მონაზონი მამა ლეონიდი ამ სასწავლებლის დასაარსებლად და საზოგადოდ მისდამი რწმუნებულ სასწავლებლების დასათვალიერებლად. ხალხი მოელოდა სასწავლებლის-თვის ახლად დაქირავებულს გ. გამლოშვილის სახლებში, სადაც შეგროვილიყვნენ ბლომად მოსწავლე ქალები მასწავლებელითურთ. მოსვლისათანავე გარდახდილ იქმნა პარაკლისი, რომლის შემდეგ მამა ლეონიდმა მიულოცა ხალხს სასწავლებლის დაარსება, აუხსნა სწავლა-განათლების მნიშვნელობა საზოგადოდ და ქალებისა კერძოდ და გამოუცხადა თავისი დიდი სიამოვნება, რომ ეხლავე ბლომად შეგროვილიყვნენ სწავლის მოსურნე პატარა ქალნი.

სხვა სკოლების დათვალიერების დროს ყველგან იბარებდა სოფლის მოხელეებს და მთელს საზოგადოებას, ადგენინებდა განაჩენებს სკოლისთვის შეშისა და მოსამსახურის თაობაზედ და ურჩევდა, რომ ერთი შვილიც არ დასტოვოთ უსწავლელი, რადგან კარებზედვე გაქვთ სკოლაო. ედისისა და ვანათის მამასახლისები-კი ძალიან დასტუქსა და შერისხა, რადგან მათ გაზაფხულზედვე უნდა გაეკეთებინათ ედისელების სკოლის შენობა და ვანათელების სკოლის გალავანი. ამიტომ მამა ლეონიდი სრული ორ-ორი დღე დარჩა იქ და სანამ თავის თვალწინ არ დაასრულებინა ედისაში სკოლის სახლი და ვანათში გალავანი, ფეხიც არ მოუცვლია იქიდგან. სასიამოვნო სანახავი იყო, როდესაც ოთხი სოფლის საზოგადოება ვანათის სკოლას გალავანს არტყამდა, რიგი ქვას ეზიდებოდა იქავე ლიახვის პირიდგან, რიგი მარგილებს, რიგი ჯალჯს და რიგი კიდევ ტკბილის სიმღერით გალავანს ავლებდა.

ამგვარად მამა ლეონიდი ერთგულად და მტკიცედ შესდგომია ამ მხარეში სწავლა-განათლების გავრცელებისა და დამყარების საქმეს. ჯავაში დანიშნა მასწავლებლად ხონის

სემინარიაში ახლად სწავლა დამთავრებული ჯიკაევი, წინანდელი ჯაველი, გ. ათაევი, გადაიყვანა ვანათში, ვანათისა სრულიად დაითხოვა. ედისასა, როკასა და კოშკაშიაც კურს შესრულებულნი და უფლებიანი მასწავლებელნი არიან. ამნაირად თანდათან აქაურს სასწავლებელში სწავლა დაუმთავრებელნი და უუფლებონი ადგილს უთმობენ უფლებიანს და კურს დამთავრებულებს სასულიერო თუ საოსტატო სემინარიებში.

ერთი სულიერი.

ივერია – 1892. – N18. – 25 იანვარი. – გვ.1.

განცხადება: 26 ამ იანვარს, საღამო ლოცვის შემდეგ, მეხუთე საათზედ იქმნება ქადაგება ქართულს ენაზედ ტფილისის საკრებულო და საკათედრო სიონის ტაძარში. იქადაგებს ინსპექტორი ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოების, და მისსიონერი მღვდელ-მონაზონი მამა ლეონიდი. საგნად ქადაგებისა აღირჩია მამა ლეონიდმა სჯული უფლისა საზოგადოდ და კერძოდ ათს მცნებაზედ. ქადაგების სმენად მოიწვევიან ამით ყოველნი მართლმადიდებელნი ქართველნი.

ახალი ამბავი: - ხვალ, ამ თთვის 26-ს, საღამოს ლოცვის შემდეგ, სიონის ტაძარში არქიმანდრიტი მამა ლეონიდი იქადაგებს ქართულად. ამის შესახებ დღეს ჩვენს გაზეთში ცალკე განცხადებაა დაბეჭდილი.

ივერია – 1892. – N19. – 26 იანვარი. – გვ.1.

განცხადება: 26 ამ იანვარს, საღამო ლოცვის შემდეგ, მეხუთე საათზედ იქმნება ქადაგება ქართულს ენაზედ ტფილისის საკრებულო და საკათედრო სიონის ტაძარში. იქადაგებს ინსპექტორი ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოების, და მისსიონერი მღვდელ-მონაზონი მამა ლეონიდი. საგნად ქადაგებისა აღირჩია მამა ლეონიდმა სჯული უფლისა საზოგადოდ და კერძოდ ათს მცნებაზედ. ქადაგების სმენად მოიწვევიან ამით ყოველნი მართლმადიდებელნი ქართველნი.

ივერია – 1892. – N254. – 1 დეკემბერი. – გვ.1–2.

ახალი ამბავი: სოფელი ქარელი (გორის მაზრა): - ამ თთვის 16 აქ მობრძანდა მამა ლეონიდი სკოლის საქმეთა შესახებ. მამა ლეონიდმა გაიგო თუ არა, რომ ხუთი წელიწადია, რაც ქარელში სამინისტრო სასწავლებელი არსებობსო, საჭიროდ აღარ სცნა, ხალხისთვის ექადაგნა მეორე სამრევლო სკოლის დაარსების შესახებ, რადგანაც მამა ლეონიდს კარგად მოეხსენება ჩვენის ხალხის ავლა-დიდება; ჩვენს ხალხს ერთი სკოლაც ვერ შეუნახავს, როგორც რიგია, არა თუ მეორესთვისაც იზრუნოს; ამიტომ მამა ლეონიდმა სთხოვა ბლაღოჩინს მღვდელს ნიკოლოოზ მცხვედაძეს, რომ მიიღოს ზრუნვა სამრევლო დედათა სკოლის დაარსებისათვის; ამისათვის საჭირო ფული უნდა გადაიხადოს ხოლმე ეკკლესიის შემოსავლიდანაო. ამას გარდა, „ქრისტიანობის განმავრცელებელი საზოგადოებაც“ დაეხმარება სკოლასაო. ბლაღოჩინმა ნიკოლოოზ მცხვედაძემ დიდის სიამოვნებით მიიღო მამა ლეონიდის წინადადება და დაჰპირდა სკოლის აშენებას; უთუოდ ვეცდები და ავაგებო. ბლაღოჩინს ნ. მცხვედაძეს სრული იმედი აქვს, რომ თავადნი ციციშვილები ამ

ყოვლად კეთილ საქმეში შემწეობას აღმოუჩენენ, როგორც სკოლის შენობისათვის ხე-ტყის შეწირვით, აგრეთვე ფულითაც.

ქარელიდგან მამა ლეონიდი იმავე დღეს წაბრძანდა ზემო-ხვედურეთს, სადაც ორი დღე დაჰყო; შეაკრებინა თავადობა და გლეხობა. უამინდობისა გამო ხალხი ბლომად ვერ შეიკრიბა. მამა ლეონიდმა უქადაგა, რა არის სკოლა და რა სარგებლობა მოაქვს. ხალხს ძლიერ მოეწონა მამა ლეონიდის დარიგება და ერთხმად აღუთქვეს, სასწავლებელს უთუოდ გავმართავთო, თავადმა ილია ციციშვილმა, მომავალ სკოლას უფასოდ დაუთმო თითქმის ორის დღის მიწა. ეხლა იმედია, რომ ხვედურელებიც ეღირსებიან სასწავლებელ-სა.

ივერია – 1892. – N257. – 4 დეკემბერი. – გვ.2–3.

წერილი ხევიდამ

სოფელი სტეფან-წმინდა - სკოლის დაარსება სტეფან-წმინდაში (ყაზბეგში) - კურთხევა სკოლისა - ისტორია მის დაარსებისა - ბერ-მონოზონი მამა ლეონიდი - პანაშვიდი მ. ზ. ყიფიანის მოსახსენებლად - ქადაგება სკოლის დასაარსებლად და განაჩენის შესადგენად - წინად და ახლა - 120 შეგირდი

მზე მოგვეახლა, უკუნი
ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმა,
არსება მისი გრძელია.

22-ს ოქტომბერს სოფელ სტეფან-წმინდაში აკურთხეს სოფლის სკოლა, რომელიც ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების სახელობაზედ დაარსდა. სკოლის მასწავლებლად არის ტფილისის სასულიერო სემინარიაში კურს-დამთავრებული ბატონი ნ. კახისშვილი. სკოლის კურთხევის დღეს ადგილობრივს ეკკლესიაში მწირველი იყო იერომონახი მამა ლეონიდი თანამწირველობით კობის ბლაღოჩინის მ. ნასარიძესა, სნოს მღვდლის მ. გ. სირაძესა, სიონის მღვდელ ზ. კობიაძესა და ადგილობრივ მღვდელ პ. ბარნაბიშვილისათა; წირვას ხალხი ბევრი დაესწრო, ასე, რომ ეკკლესიაში ტევა აღარ იყო. წირვის შემდეგ მამა ლეონიდი კრებულითურთ და ხატებით ხალხს სკოლის შენობაში გაუძღვა,სადაც გადაიხადეს პარაკლისი და ბავშვებს დაურიგეს ყელზედ სატარებელი ჯვრები. სკოლის დარბაზის კურთხევის შემდეგ სამღვდელოთ ხატები ისევ ეკკლესიაში წაასვენეს.

მამა ლეონიდმა მდაბიურად უქადაგა ხალხსა და აუხსნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქრისტიანობას, ეკკლესიას, სკოლას და სწავლას ხალხისათვის. რა დღე ჰქონდათ უწინ ჩვენს წინაპართა, რა დღეში ჩაცვივდნენ შემდეგ გარეშემო მოსახლე მაჰმადიანთა მტრობით, და რითი შეიძლება იმ ბედნიერებისა, რომელიც წინად ხელთ ჰქონდა ჩვენს ერსა. მამა ლეონიდმა სიტყვით და მაგალითებით დაუმტკიცა ხალხსა, რომ სწავლით შეიძლება მოპოვება კაი კაცობისა და მოქალაქეობისა, სწავლავე ჰბადებს შიშსა და სიყვარულს ღვთისას და ხელმწიფისას, სწავლითვე შეიყვარებს კაცი და შეითვისებს სჯულსა და მამულსა, სწავლითვე სცემს პატივს კაცი მშობლებსა და ნათესავებს. ამგვარმა ქადაგებამ მამა ლეონიდისამ ხალხი, უფრო-კი ბერი კაცები, სმენას გადააქცია. ბერი კაცები

ამბობდნენ, ამისთანა მასწავლებელი რომ წინადაც გვყოლიყო, სკოლა აქამდინაც გაიმართებოდაო.

წირვას და ქადაგებას ერთი სრულიად უსინათლო ბერი კაცი ს. გიგაური დაესწრო და იმან ასე სთქვა ეკკლესიაში: - ნეტავი, როგორც ბერ-მონოზონის სიტყვებმა სმენით დამატკბო, ისე მაგის სახის ხილვაც შემეძლოს და მერე თუნდა მოვმკვდარიყავიო.

მართლა და ეს დღე სტეფანწმინდელებისათვის დღესასწაულ დღედ გადაიქცა, რადგანაც ბერის მიერ წირვა და ქადაგება, აგრეთვე ამგვარის ნეტარის საქმის დაარსება, როგორიც სკოლაა, მთის ხალხისათვის პირველი მაგალითია.

ქადაგების შემდეგ ხალხისავე თხოვნით მამა ლეონიდმა კრებულითურთ ეკკლესიაში გადაიხადა მოკლე პანაშვიდი მიხეილ ზაალის ძის ყიფიანის სულის მოსახსენებლად, რადგანაც განსვენებულს ყიფიანს ეკუთვნის აქ სკოლის გამართვის პირველი სურვილი. განსვენებულმა მ. ზ. ყიფიანმა მიწერ-მოწერა გაგვიმართა 1890 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობასთან სტეფანწმინდაში სკოლის გამართვის შესახებ. ხსენებულმა საზოგადოების გამგეობამაც, თანახმად განსვენებულის ყიფიანის მოხსენებისა, სტეფანწმინდაში სკოლის გამართვის სურვილი განაცხადა და პირველად საქმის დაწყებისათვის თავის მხრით 200 მანეთის შემწეობა აღგვითქვა. მაგრამ სამწუხაროდ, მარტის 2-ს 1891 წელს უწყალო სიკვდილმა წაგვართვა ამნაირი სასარგებლო კაცი და მაშინვე ჩვენი სკოლის ბედიც სხვანაირად შეიცვალა. ჩვენ, შეძლებესადა გვარად, ხალხში ხელისმოწერას ვმართავდით, თითო-ოროლა გროშს ვაგროვებდით და თანაც ხალხს ვაიმედებდით, სკოლას გავმართავთო; 290 მანეთი შევაგროვეთ, და სკოლის გამართვა-კი ვერას გზით გვიხერხდებოდა. სოფლად ხალხის ჯავრობას და სიცილს ბოლო არა ჰქონდა; ერთნი ჯავრობდნენ, სკოლა არ გვინდა, ხარჯი დაგვედება. მეორენი იძახოდნენ: ფული შეკრიბეს და შეჭამეს, სკოლა-კი არსად არისო. მაშინ ჩვენც, როგორც ყველა მხრით იმედ-მოკლებულთა, წარსულს მაისის 13-ს მათ იმპერატორებითის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატრიცას მივართვით ქაღალდი და ვსთხოვეთ უმდაბლესად შემდეგი: რადგანაც შეუძლებელი ხალხია აქ, სკოლის მასწავლებელი სახელმწიფო ხარჯით დაგვენიშნოსო.

პირველად მამა ლეონიდი წარსულს მაისის 29-ს მობრძანდა სკოლის საქმის გამო. მამასახლისს უბრძანა, რომ ხალხის ყრილობა მოახდინე და განაჩენი დაადგენინე ხალხსაო; მამასახლისს არ ესიამოვნა ეს ამბავი, რადგანაც თვითონ უშვილო იყო, და ბერის ბრძანება დიდად არად მიიჩნია; - ეგ რა ჩემი ნაჩალნიკიაო. ბერს მაშინაც, როგორც ამ უკანასკნელ დროს, გვერდს ახლდნენ სამღვდელონი: კობის ბლაღოჩინი მ. ნასარიძე და სნოს მღვდელი მ. გ. სირაძე. ბერი ადგილობრივს ეკკლესიის გალავანში მიბრძანდა სამღვდელოებითურთ და ხალხს იქ უცდიდა საქადაგებლად და განაჩენის დასადგენელად. ხალხი ამ დროს დუქნის კარებზედ იდგა შეგროვილი, და საშინლად სწყევლიდა იმათ, ვინც სკოლა აქ მოიგონაო. ბოლოს, როგორც იყო 20-მდე მოხუცმა კაცმა ეკკლესიის გალავანში მოიყარა თავი და დაიწყო მამა ლეონიდმაც ქადაგება. მამა ლეონიდმა სთქვა, სხვათა შორის: სწავლა კაცისათვის საჭირო არის; უფრო მთის ხალხისათვის არის საჭირო, იმიტომ, რომ მთის ხალხი ძლიერ საწყალი ხალხი ხართ. როდესაც თქვენი შვილები სწავლას მიიღებენ, გავლენ-გამოვლენ და ყველგან საზრდოს იშოვნიანო. საზოგადოდ-კი ქართველებისთვის სწავლა მით უმეტეს საჭიროა, რომ დღემდე საქართველო სამხედრო ბეგარას არა ხდილობდა, დღეს-კი სავალდებულოდ გაგვიხადაო. თქვენს შვილებს, რომ

წერა-კითხვა და ანგარიში ეცოდინებათ, ისინი ყველგან საქმეში დაწინაურებულნი იქნებიან და თავს ისაზრდოებენო (ხალხში ისმის: არც ერთი „სწავლული გდია უადგილოდ და მშიერი დაეხირება“). ერთმა დაასახელა კიდეც ამისთანები და ისეთებიც, რომელთაც არა უსწავლიათ-რა, მაგრამ შემძლე ოჯახის შვილები-კი არიანო... თუ იმას სწავლა არა აქვს, ან ოჯახი არ უვარგა და ან ბიჭობით ვინმე აჯობებსო.

ბერ-მონოზონმა სთქვა: თუნდა საქმეში და ხელობაში არსად იყვნენ, რა-კი თქვენს შვილებს წერა-კითხვა და ანგარიში ეცოდინებათ, მაშინ სხვადასხვა ხალხის მიერ მოტყუებას, ძარცვა-გლეჯას მაინც თავიდამ აიცილებენო. დღეს ბევრს ვხედავთ ვაჭრებსა, ფრანგებს, ურიებს და სხვებს, რომელნიც ჩვენს ქვეყანაში თითქოს მთლად ტიტველ-შიშველნი და მშიერნი მოდიან, ჩვენ გვატყუებენ, თვითონ ფულის პატრონები ხდებიან, ამ ადგილის მკვიდრთ სულს აძრობენ და თანაც ჩვენსავე მიწა-წყალზედა სახლდებიანო. სულ არა იყოს-რა, თქვენი შვილები იმას მაინც ისწავლიან, ვის რა ძალა და ღონე აქვს, ვის რისი ნება აქვს და რისა არა. ერთი მოხელე რომ მოვიდეს ეხლა თქვენთან, ელდა გეცემათ; რადგანაც ფორმის ტანისამოსი აცვია, თქვენა გგონიათ, ამას ყოველივე შეუძლიანო. უბრალო იასაული რომ მოვიდეს და დაგჭივლოსთ, თავ-პირიც რომ ცემით აგინთოსთ, თქვენ შიშით ხმას ვერ გასცემთ, რადგანაც არ იცით უსწავლელობის მიზეზით, რა ძალა აქვს იმას თქვენზედ და თქვენ რა გაქვთ მასთან სათქმელი. თუ თქვენი შვილები რასმეს ისწავლიან, მაშინ ვერც ამისთანა მოხელეები გაგიწევენ თავნებობასა, ვერც უწესოდ რასმეს წაგართმევენო და დაგსაჯამენ, რადგანაც თქვენც გეცოდინებათ, რაც იმას ძალა აქვს უმაღლესის მთავრობისაგან მინიჭებული. თუ ურიგოებას რასმეს ჩაიდენს ნასწავლს ხალხთან, მაშინ ისინიც წესისამებრ მოეპყრობიან და იმ მოხელეს დასჯიანო.

- მართალსა ბრძანებს, მართალსა! გაისმა ხალხში.
- ამის მეტად არც თქვენ გიცნობდით და არც თქვენ მე მიცნობდითო, განაგრძო მამა

ლეონიდმა: მაგრამ დღეს-კი, რადგანაც ხელმწიფის და ეგზარხოსის წყალობა არის თქვენზედ და ისინი მსურველნი არიან, აქ გაჰმართონ სკოლა, რომელსაც სჭირდება თქვენის მხრით სახლი, შეშა, სანთელი და მოსამსახურე, მოიმედე ვარ, რომ სტეფან-წმინდელები უარს არ იტყვით და დიდის სიამოვნებით იკისრებთ ამ ჩემ მიერ ნათქვამს მოვალეობას და დაადგენთ ამაზედ საერთო საზოგადოების განაჩენს; რაც შეეხება მასწავლებლის ჯამაგირს, სასკოლო და სასწავლო ნივთებს, - ამაებს ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოება იკისრებს და თქვენ აღარა მოგეთხოვებათ-რაო.

ჩამოვარდა დიდი ლაპარაკი და კამათობა და ბოლოს ისევ სკოლის მომხრეებმა დასძლიეს. იმ დღეს ასე გათავდა საქმე. მეორე დღეს კიდევ გაიმართა კამათობა და ლაპარაკი. მამა ლეონიდმა ხელ-ახლად აუხსნა ხალხს მოსალოდნელის სკოლის არსებობის პირობანი და განიმეორა აგრეთვე წინანდელი ქადაგებაც. მაშინ ღაბა ქუშაშვილმა მოახსენა: - ძლიერ ბეჩავი და ყველა მხრით შევიწროებული ხალხი ვართ, სათიბი და სახნავი მიწები არა გვყოფნის, ხაზინის მხრითაც საკომლო გადასახადი მეტად ბევრი გვერთმევა. აი დღეს ჯარის ბეგარა (ბარგი) 50 ურმით ჩვენმა სოფელმა წაიღოვო. მამა ლეონიდმა უპასუხა: - მაგ ჯარმა უწინ სხვა სოფლებზედ ჩამოიარაო; რაც შეეხება თქვენს სიბეჩავეს და ადგილის სიმწირეს, უნდა ვსთქვა, რომ სკოლაც უფრო თქვენთვის ყოფილა საჭიროვო.

- რა ვქნათ, უპასუხა ხალხმა. - ეხლა ეგრე იძახით და ბოლოს, რომ ყველა ხარჯი სოფ-ელს მოგვეხვიოს თავზედაო?
- მე ბერი ვარ და თქვენი ცოდვა რად მინდა? პირობა დავდოთ, ერთი პირი პირობისა

თქვენთან გარჩეს და მეორეს მე წავიღებ; რასაც მე პირობას გაძლევთ, მე შევასრულებ და, რასაც თქვენ გავალებთ, თქვენ შეასრულეთო. ხალხიდამ ხმა ისმის: კარგი იქნება, თუ ერთი პირი ჩვენ გვაქნება ხელშიო.

ამითი დაბოლოვდა საქმე; შემდეგ სტეფან-წმინდელები გავიდნენ ცალკე, მოილაპარაკეს რაღაც და მოვიდნენ ბერთან.

- მაგ ხარჯს ჩვენ ვიკისრებთ და სხვა გარეშე სოფლებს ხელი ნუ ექმნებათ სკოლასთანო.

ბერმაც ამ სიტყვაზედ მადლობა გადაუხადა და დაიწყეს განაჩენის წერაც. განაჩენის წერის დროს ყრილობიდამ ერთი გლეხ-კაცი წავიდა და ამბობდა: მე ჩემს სულს არ წავწყმენდავ და ჩემს ჩამომავალთ სკოლის ხარჯს არ დაუდგენ ვალადაო; ჩემ მაგიერ მანდ ხელი არავინ მოაწეროთ, თორემ ვიჩივლებო. რა გაეგოთ სხვა სოფლელებს, გერგეტელებს და სხვათ, გამოვიდნენ და ეხვეწებოდნენ, რა-კი სტეფანელები კისრულობენ ხარჯსა სკოლისასა, ჩვენც დაგვწერეთ და ჩვენც ვიკისრებთო. მაშინ ხალხმა შეადგინა საერთო განაჩენი და გახდნენ ყველანი სასკოლო ხარჯის გადახდის თანახმანი.

დღეს სკოლის კარებზედ მომდგარია 120 მოწაფე, - ადგილობრივს მკვიდრთ შვილები. სხვა საზოგადოებიდამ ბევრს უნდა სკოლაში ბავშვების მიბარება, მაგრამ, სამწუხაროდ, სკოლაში მიღებული 60 მოწაფედ მეტი არ იქნება, რადგანაც არც სკოლის შენობაში მოთავსდებიან მეტნი და არც მასწავლებელს შეუძლია სამოცს მოწაფეზედ მეტის სწავლება. საკვირველი ის არის, რომ ვინც წინად სკოლის გამართვაზედ წინააღმდეგობას გვიწევდნენ, დღეს ისინი უფრო წინ იწევენ სკოლაში ბავშვების მოსათავსებლად. სწავლა დაიწყეს გიორგობისთვის დამდეგს. როგორ იხარებს და იმოქმედებს სკოლა, დრო გამოაჩენს.

ა. კობაიძე.

ივერია – 1892. – N258. – 5 დეკემბერი. – გვ.3–4.

წერილი რედაქციის მიმართ

II

გთხოვთ, ნება მიბოძოთ, თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო მღვდელ-მონაზონს მამა ლეონიდს, რომელმაც შემოსწირა თხუთმეტი მანეთი ფული ჩემდა რწმუნებულს სტეფანწმინდის სამრევლო სკოლას - საღმრთო სჯულის სურათებისა და სხვა სასკოლო საგნების შესაძენად.

მადლობას ვუხდი აგრეთვე ანდრია კობაიძეს, რომელმაც შემოსწირა ამავე სკოლას ათი ნომერი ჟურნალ „ჯეჯილისა“ და კიდევაც აღუთქვა გამოწერა მისი მომავალ წლისათვის. ამ ჟურნალების შემოწირვით დაიწყო სახალხო წიგნთ-საცავის დაარსების საქმე. თუ ეს განზრახვა კეთილად განხორციელდა, ცხადია, მცირე სარგებლობას არ მოუტანს სკოლასთან ერთად იმ ერს, რომელიც არის შემწყვდეული ციცაბო კლდეებს შუა და სძინავს ისევ გამოურკვეველის ძილით.

იმედია, თანაგრძნობას გაუწევს ამ კეთილ საქმეს ქართველობა და არ დაიშურებენ მცირეოდენ შემოწირულობას, ფულით იქნება, თუ წიგნებით.

სტეფან-წმინდის სამრევლო სკოლის მასწავლებელი
ნიკოლოოზ კახიშვილი

ივერია – 1893. – N13. – 20 იანვარი. – გვ.3.

სიტყვა,
თქმული ნინოობა დღეს, სიონის ტაძარში
იღუმენის ლეონიდის მიერ

„ნინას ხსენება სიხარულისა ღირს არს.“
(იხ. წმ. ნინას საცისკრო საგალობლის
მერვე გალობის მეორე მუხლი)

„ცხოველის სიხარულით და საღმრთო სიამოვნებით უცემს დღეს გული ყოველ შეგნებულ ქართველს; დღეს ყოველი გონიერი ქართველი ქედმაღლობს თავის ხალხოსნობით და საბუთად სადღესასწაულო სიხარულისა, წმიდა სიამოვნებისა და ლხინისა აქვს ხსენება ღირსისა დედისა ნინო ქართველთ-განმანათლებელისა, ხსენება იმისი, რომელმა „დაადგა ქართველ ერს გვირგვინი ქრისტეს მიერი ზოგადი,“ რომლის ლოცვითა და ვედრებით „არმაზ დაეცა გოდებით და ზადენისნი გაიმ გაცითურთ მეხდატეხილ იქმნეს.“

შემდეგ იღუმენმა ლეონიდმა უამბო მსმენელთ, რა გვარი კერპთ-თაყვანისმცემლობა იყო საქართველოში მირიან მეფის დროს; წმიდა ნინოს მოღვაწეობით, როგორ მიიღო ქრისტიანობა მეფემ და ერმა და ასე დაასრულა თავისი სიტყვა:

„ასე და ამგვარად დაწესდა ქრისტიანობა საქართველოში, ამგვარად ნათელ-იღო ქართველმა ერმა და ამგვარად მოჰფინა ნათელი ქრისტესი სიბნელეში მყოფს ერს წმიდა ნინომ, რომლის ხსენებასაც ვყოფთ დღეს დღესასწაულებრივის სიხარულით; მიანიჭა საქართველოს ღვთაებრივი ძალა, რომელმაც განავითარა, განაძლიერა და ააყვავა ქართული ენა; გააწმინდავა, აღამაღლა, გააფაქიზა და გააკეთილა ქართველების სულიერი ცხოვრება, ზნეობა, ყოფა-ქცევა და საზოგადო შეხედულობა ქვეყნიერობაზედ; დავრდომილი და ნაწილ-ნაწილად დაყოფილი ერი ააღორძინა, შეაერთა და გახადა სახელოვან, მძლავრ სამეფოდ; შემუსრა მის გარშემო ათასჯერ მასზედ მძლავრნი და მაგარნი მტერნი და სხვა. ამის გამო ყველა შეგნებული ქართველისათვის, ჭეშმარიტად, „ნინოს ხსენება სიხარულისა ღირს არს.“

„ნინომ მოგვანიჭა მართლმადიდებლობა, რომელსაც დიდი ძალა და მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენის ერის ბედ-იღბალზე მთელ მის ისტორიულ სიცოცხლის განმავლობაში. საქართველოს ერის სამოქალაქო ისტორია განუყოფელი, შეთვისებული და შეერთებულია იმისავე ეკკლესიისა, სარწმუნოებისა და სათნოების ისტორიასთან. მართლმადიდებელ სარწმუნოებას უმოქმედებია, უმხნევებია და გაუმაგრებია ქართველები, როგორც განსაცდელსა და გაჭირვების ჟამს, ისე შვებისა და შეღავათის დროს. ყოველი ნაბიჯი ჩვენის ხალხისა ძველად აღიბეჭდებოდა ღრმა, გულითადის და შეურყეველის სამშობლო ეკკლესიის და სარწმუნოების სიყვარულით. ყველიფერზე პირველი და ყველაზე მაღალი ქართველი ხალხისათვის იყო სარწმუნოება. სარწმუნოებისა და ეკკლესიის დაცვა-დაფარვა იყო პირველი საგანი გარეშე მტრებთან განუწყვეტელის ბრძოლისა. ყოველ შემთხვევაში ქართველი ერი მუდამ მზადა ყოფილა განეწირა თავი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა-

თვის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და მთლად ქრისტიანობის გულისათვის. წმიდა სარწმუნოებისთვის თავი დასდვეს და ეწამნენ ყოველ წოდების წარმომადგენელნი; - მეფენი და თავადნი, აზნაურნი, სამღვდელონი, მოვაჭრენი და გლეხნი. სარწმუნოების სიყვარულით და სასოებით გაბედულად გადულახამთ ქართველებს განუვალი უფსკრულები, გასულან დიდრონ და საშიშ მდინარეებს, ასულან მაღალ და მიუვალ მთის წვერს, აუღიათ და აუოხრებიათ უძლეველნი სიმაგრენი, მრავალჯერ მოუთმენიათ შიმშილი, წყურვილი, სიცივე და გადაურჩენიათ თავიანთი სამშობლო ეკკლესია და საყვარელი მამული დაღუპვას. ერთის სიტყვით, სარწმუნოება იყო სული ქართველი ერის სიცოცხლისა. უსარწმუნოოდ ქართველს თავისი თავი ქართველად არ მიაჩნდა. ამ სარწმუნოებამ, რომელიც ქვაკუთხედი იყო ხალხის ცხოვრებისა, აღზარდა და დაჰბადა ხალხში ერთსულოვნობა, თანხმობა და სიყვარული, ხოლო ყველაფერმა ამან დავარდნილი და უძლური ერი გადააქცია დიდ და მძლავრ სამეფოდ. ჭეშმარიტად ძველ ქართველს საბუთი ჰქონდა ეთქვა და ამბობდა კიდეც: „ესე არს ძლევა, რომლითა სძლევს სოფელსა, სარწმუნოება ჩვენი.“ (1-იოანე: 5,4-5). აღმოსავლეთიდან მოგვიტანა სარწმუნოება წმიდა ნინომ; აღმოსავლეთიდანვე გადმოგვიღეს წმიდა მამებმა სამშობლო, გასაგებ ენაზე საღმრთო და საეკკლესიო წიგნები. ამის გამო, რასაკვირველია, განვითარდა, გამოირკვა, განმტკიცდა, წარმატებაში შევიდა და ხელოვნურად შემუშავდა ქართული ენა, ხოლო ენასთან ერთად განმტკიცდა და განირჩა ეროვნული თვით-ცნობა, ამაღლდა სული ქართველობისა და ეს, მხოლოდ ეს გარემოებაა უმთავრესი მიზეზი იმისი, რომ ჩვენმა მამა-პაპამ მოიშორა თავიდან ათასგვარი მტერი, აიტანა აუტანელი გაჭირვება, შეგვინახა და დაგვიტოვა მშვენიერი ტაძრები, შეგვინახა და გადმოგვცა ტკბილი სამშობლო ენა, შეგვინახა და გადმოგვცა სამშობლო მიწა-წყალი.

რა საკვირველია, ჩვენთვის საყვარელი და სათაყვანოა ის, რომელმაც მოგვანიჭა ამგვარი ბედნიერება, სათაყვანოა ის ღვთაებრივი ძალა, - სარწმუნოება, - რომელმაც დაჰბადა, ააღორძინა და გაამძლავრა ქართველი ერი; საყვარელნი არიან ის წიგნნი და ენა, რომლებშიაც და რომლითაც განმარტებულია სარწმუნოებრივი სწავლა-მოძღვრება, საყვარელნი და მარად სახსოვარნი არიან ისინი, რომლებმაც განაგრძეს შრომა წმიდა ნინოსი და არ დაზოგეს თავიანთი თავი სამსხვერპლოდ სარწმუნოებისა, მამულისა და ეროვნებისა. მერე გვიყვარს განმანათლებელი ჩვენი, ღირსი დედა ნინო? ვამტკიცებთ ამ სიყვარულს იმის შრომა-ცხოვრების დაწვრილებითი ცოდნით? გვაქვს ყველას ოჯახში იმისი წმიდა ხატი ჩვენდა და ჩვენ შვილთა საგულისხმიეროდ, ან ვსწავლობთ იმ წიგნებს, რომლებშიაც უმეტ-ნაკლებოდ არის აღწერილი წმიდა ნინოს მიერ მოტანილი ქადაგება, მოიპოვებიან იგინი ჩვენს ოჯახებში, ვიხსენებთ ღირსეულად ჩვენ მამა-პაპის ღვაწლს სამშობლო ეკკლესიისათვის, ვუღვიძებთ და ვუნერგავთ ჩვენ შვილებს გულში მამა-პაპურ მხურვალე და მტკიცე სიყვარულს ეკკლესიისა, ენისა და მამულისას? გადაწყვეტილი და გულახდილი პასუხი ამისი მოგვინდვია თვით მსმენელთათვის. ხოლო უკეთუ სუყველაფერი ესეები დავიწყებული გვაქვს, ანუ უკეთუ გულგრილად ვიმყოფებით ყოველ ზემოხსენებულის შესახებ, ვუწყოდეთ, რომ ჩვენ დავსდგომივართ გადაშენების, უბედურობის და უკუღმართობის კვალს; ვუწყოდეთ, რომ უარ-გვიყვია ჩვენის განმანათლებლის შრომა და ცრემლი, ჩვენი მამა-პაპის დანთხეული წმიდა სისხლი, მათი წმიდა და გაუტეხელი ანდერძი, რის გამოც, რა კითხვა უნდა, ჩავცვივით პასუხისგებაში წინაშე ღვთისა, სამშობლო ეკკლესიის დამაფუძნებელისა და ყოველთა ქართველთა

წმიდათა, რაისაგანაც სამუდამოდ გვიხსნას ჩვენცა და მთელი ჩვენი ჩამომავლობაც უფალმა იესო ქრისტემ, ვედრებითა და მეოხებითა წმიდისა დედისა ჩვენისა ნინოსითა. ვისურვებთ წრფელის გულით, რომ ყოველ ქართველს დიდსა და პატარას, კაცსა და ქალს შეეგნოს და პირნათლად აღესრულებინოს თავისი ზნეობრივი მოვალეობა წინაშე სამშობლო ეკკლესიისა, რათა ყველა ქართველს სასიხარულოდ და სანუგეშოდ მიაჩნდეს ხსენება მოციქულთა სწორისა ნინოსი. ამინ.“

ივერია – 1893. – N127. – 18 ივნისი. – გვ.2.

ახალი ამბავი: სოფელი ხუმელაგა. (კავკავის მაზრა): - ინსპექტორი ქრისტიანობის აღმადგენელ-საზოგადოებისა არხიმანდრიტი მამა ლეონიდი გვეწვია წელს, სკოლების სარევიზიოდ. მამა ლეონიდი, არხიმანდრიტი ყველა სოფლებში ხალხის ყრილობას ახდენინებდა და თავისებურად ტკბილის მამაშვილურის საუბარით ურჩევდა სკოლას ერთგულად მოეკიდეთო, გზავნეთ თქვენი შვილები სკოლაშიო, თორემ ღვთის წინაშეც პასუხისმგებელნი იქნებითო და დიდი ხეირიც არ დაგეყრებათო. ეხლანდელ დროში უსწავლელი კაცი არსად არის გამოსადეგი და ყველგან ყველა საქმეში უკან არის ჩამორჩენილიო. ხალხი დიდის კმაყოფილებით ისმენდა მამა არხიმანდრიტის საუბარს და ბევრგან აღუთქვეს სასწავლებლის დაარსება თავიანთი ხარჯით.

ივერია – 1894. – N138. – 1 ივლისი. – გვ.2.

ახალი ამბავი: ოსეთი: - ბარის ოსეთში ამ ბოლო დროს საკმაოდ ბლომად გაიმართა სამრევლო სკოლები. ინსპექტორად ამ სკოლებისა 1889 წლიდგან იყო მამა არხიმანდრიტი ლეონიდი, რომელმაც დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის. 1893 წლის დამლევს მამა ლეონიდმა თავი დაანება აქეთ სამსახურს. მასწავლებლებმა გადასწყვიტეს გამოეცხადებინათ მისთვის თვისი თანაგრძნობა და პატივისცემა და ამ აზრით შეიკრიბნენ 18 ივნისს არდონში, გადიღეს თვისი ერთიანი სურათი და სახსოვრად გაუგზავნეს თვის უფროსად ნამყოფს.

ივერია – 1894. – N237. – 8 ნოემბერი. – გვ.2.

ახალი ამბავი: სოფელი კახი (ზაქათალის ოლქი): - 22 ოქტომბერი. სექტემბრის 18, კახის წმიდა გიორგის ეკკლესიაში სწირა პატივცემულმა მამა არხიმანდრიტმა ლეონიდმა. წირვის შემდეგ მამა ლეონიდმა გრძნობიერის, მოკლე სიტყვით გამოეთხოვა ხალხს და გამოუცხადა ეს უკანასკნელად ვწირავ ამ ტაძარში და თქვენთან ერთად, უკანასკნელად მხურვალე გულით შეევედრი ღმერთსა თქვენს კეთილდღეობასა და ქრისტიანობრივ კეთილ-წარმატებასაო. ბევრს ცრემლი მოერია თვალში და აუჩუყა გული. ამ სიტყვებით შეიტყეს მსმენელთა, რომ მამა არხიმანდრიტი ლეონიდი აღარ იქნება მისსიონერად ზაქათალის ოლქში და ამ მიზეზით შორდება აქაურ მკვიდრთა. მრავალგვარი თანამდებობა ჰქონდა და აქვს კიდეც მამა ლეონიდს მინდობილი სასულიერო მთავრობისაგან. და ამის მიზეზით ხან ერთ კუთხეშია, როგორც ინსპექტორი, სკოლების მეთვალყურედ და ხან მეორეში, ხან მონასტერშია, როგორც წინამძღვარი, ხან მონასტრებს

ათვალიერებს, როგორც მონასტრების ბლაღოჩინი, ხან ჩვენ ზაქათალის ოლქში მობრძანდებოდა, როგორც მისსიონერი, და სხვა და სხვა... ასე გაფანტულია დრო და მოღვაწეობა მამა ლეონიდისა მთელ ტფილისის გუბერნიაში და ზაქათალის ოლქში და საკვირველია, ამ გარემოებაში მყოფმა მამა არხიმანდრიტმა ლეონიდემ, როგორ დაიახლოვა ასე ხალხი და დაიმსახურა იმისი პატივისცემა და სიყვარული? ეს საკვირველი არ არის იმისთვის, ვინც დაახლოვებით იცნობს მამა ლეონიდს და მის კეთილ-სათნოებიანს ხასიათს. ტკბილი, მამა-შვილური საუბარი ხალხთან, მშვიდი ხასიათი, გაჭირვებულთა გულშემატკივრობა, ნამდვილი მოძღვრული თავდაჭერილობა და დარბაისლობა, ჰხიბლავს ყველას, ვისაც შეჰხვედრია მისი ნახვა-გაცნობა. დასაკლისია და სამწუხარო ზაქათალის ოლქის ქრისტიან მცხოვრებთათვის მამა ლეონიდის მოშორება, მაგრამ სასულიერო მთავრობამ დაინახა, რომ ზაქათალის ოლქში სამისიონერო საქმის კეთილ-წარმატებისათვის უთუოდ საჭირო არის, რომ ამ ოლქს თავისი საკუთარი მისსიონერი ჰყავდეს და მუდმივ აქა სცხოვრობდეს და ჰმოქმედობდესო. მამა ლეონიდს თავისის მრავალგვარის თანამდებობის აღსრულება ნებას არ აძლევდა მუდამ ჩვენში ეცხოვრა და ემოქმედა. ამისთვის დანიშნეს განსაკუთრებული მისსიონერი, აქაურივე მცხოვრებელი, სამისსიონერო სასწავლებელში ახლად კურს შესრულებული ტარასი ივანიცკი. იმედია, რომ ახალი მისსიონერი ივანიცკი, როგორც აქაურივე მამულიშვილი, ეცდება შრომას თავისს წმიდა საქმისა და მამულისათვის.

ცოტა ხანს იყო მამა ლეონიდი ჩვენში მისსიონერად და თავისს მრავალ თანამდებობა-თა აღსრულებისა გამო თითქმის სტუმრად მობრძანდებოდა ხოლმე ჩვენში, მაგრამ ამის-და მიუხედავად ბევრი რამ საყურადღებო გაკეთებულა ქრისტიანობის სასარგებლოდ ჩვენს ოლქში მამა ლეონიდის მეცადინეობით. ააშენა ორი ეკკლესია, ქურმუხისა და თასმალოსი, რომლის აღმაშენებელ კომიტეტთა თავმჯდომარედ იყო, დააარსა სამი სამრევლო საეკკლესიო სასწავლებელი, კახისა, ალიბეგლოსი და ყორაღნისა; ააშენა კახის სკოლისათვის მშვენიერი ქვითკირის სახლი და სხვა. ვინც იცის, თუ რა ძნელია ჩვენში შენობის კეთება, ხეირიან ხელოსანთა შოვნა, ხელოსნების უპირულობა, მუშათა და მასალის შოვნა და სხვა, ის ნათლად წამოიდგენს, რა წვალება, ჯაფა და უსიამოვნება გამოიარა მამა ლეონიდმა და მასთან მოღვაწეებმა ამ ეკკლესიების და სკოლის სახლის აშენების დროს.

ძნელად სათქმელია, რა შევიწროვება და სულიერი ტანჯვა გამოიარა მამა ლეონიდმა სოფელ თასმალოში 1892 წელს, როდესაც უქადაგებდა და დარიგებას აძლევდა 12 კომლს გადამდგარ ქრისტიანებს. მარტის პირველიდგან დაწყებული მაისის ნახევრამდის მამა ლეონიდი ერთ ვიწრო, კომლიან და ცივ ოთახში სცხოვრობდა ულოგინოდ და თითქმის უსაჭმელოდ და ამ შევიწროვებასთან ერთად სულიერად იტანჯებოდა; მაგრამ მამა ლეონიდი არ უჩიოდა თავისს შევიწროებასა და სულიერს ტანჯვას, ოღონდ-კი ღმერთს დაეჯილდოებინა იმის მეცადინეობა გადამდგარ ქრისტიანეთა შეერთებით. შრომამ უნაყოფოდ არ ჩაუარა, გადამდგრები ისევ ქრისტიანობას შეუერთდნენ და ამ სიხარულმა სულ დაავიწყებინა მამა ლეონიდს ტანჯვაცა და შევიწროებაც.

ინგილო.

ივერია - 1895. – N58. – 16 მარტი. - გვ.2-3.

კორესპონდენცია

თიანეთი. - ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების მიერ ჩვენში დაარსებულია სკოლა. საზოგადოებას დაქირავებული ჰყავს თავისის ხარჯით ამ სკოლისათვის ერთი მასწავლებელი, სემინარიაში სწავლა-შესრულებული და აგრეთვე ადგილობრივი მღვდელი, (მე აქ არ ვეხები სადურგლო განყოფილების მასწავლებელს და აგრეთვე საქალებო განყოფილების მასწავლებელს, რომლებიც ამავე საზოგადოებისაგან აღებენ ჯამაგირს). მასწავლებელს აქვს დავალებული ასწავლოს შეგირდებს საგნები გარდა საღმრთო წერილისა, რომლის სწავლებაც ადგილობრივის მღვდელ-ბლაღოჩინ კოშორიძეს ვალია. მაგრამ რამდენად კეთილ სინიდისიერად ასრულებს მამა კოშორიძე ამ თავისს მოვალეობას ამას შემდეგში დავინახავთ. აგერ მეშვიდე თვე მიდის, ენკენისთვეს აქეთ, სკოლა საღმრთო სჯულის უმასწავლებლოდ არის მიტოვებული, ამ ხნის განმავლობაში მამა კოშორიძეს ორჯერ არ შეუდგამს ფეხი სკოლაში გაკვეთილების მისაცემად. იქნება იფიქროთ, შეიძლება სხვა მასწავლებელმა იკისრა ამ საგნის სწავლებეცაო. უბედურებაც ეგ არის, რომ არც იმას უკისრნია, რადგანაც თავისს გაკვეთილებსაც ვერ აჰსვლია და ეს უპირველესი საგანი ხალხის ზნეობის გამასპეტაკებელი უყურადღებოდ არის დატოვებული.

რას უნდა მიეწეროს ასეთი მისი გულგრილობა, რად უთხრის მამა კოშორიძე ძირს ამ მეორე ტაძარს ღვთისას. დავიჯეროთ, იმდენად არის დატვირთული თავისს სამრევლო საქმეებით, რომ არ შეუძლიან სკოლას თავისს დროზედ მოჰხედოს? სხვა მღვდლებსაცა აქვთ სამრევლოები; ნეტა ისინი როგორ-ღა ასწრებენ სკოლებში სიარულს, ან რა უნდა ქნან ქალაქის მღვდლებმა, რომელთაც მრევლიც მრავალ-რიცხვოვანი აბარიათ და სკოლებიც უკეთესი. თუ არ შესწევს იმდენი ძალ-ღონე, რომ ერთსაც გაუძღვეს და მეორესაც, ხელს რატომ არ აიღებს სწავლების სასყიდელზედა და სხვას ვისმე არ გადასცემს ამ საგნის სწავლებას?

ზევით ვსთქვი, რომ კოშორიძეს თითქმის შვიდის თვის განმავლობაში ორჯერ ფეხი არ შეუდგამს-მეთქი სკოლაში; საუბედუროდ არც წინა წლებში უკეთებია რამე. შარშანდელსა და შარშანწინდელს სამოსწავლო წლებშიაც არ გვინახავს, რომ კოშორიძეს ერთხელ ფეხი შეედგას კლასსებში; მხოლოდ მაშინ დაესწრებოდა ხოლმე, როცა მამა ლეონიდი მობრძანდებოდა ეგზამენიებზედ, ან სარევიზიოდ. მკითხავთ, ვინ ასწავლიდაო? მოგახსენებთ.

ადგილობრივი მთავარ-დიაკონი ონ. ხიზანაშვილი თითქმის ორი წელიწადი ასწავლიდა საღმრთო სჯულს კოშორიძის მაგიერად და არაფერი ჯილდო-კი არ ეძლეოდა ამ შრომისათვის. სინიდისის ქვეშ უნდა ვსთქვათ, რომ ხიზანაშვილი მეტად ბეჯითად ეკიდებოდა ამ კეთილს საქმეს: შეგირდებმა მშვენივრად შეისწავლეს საღმრთო ისტორია, რაც ცხადად დამტკიცდა ეგზამენიებზედ გამოცდის დროს. მაგრამ მთავარ-დიაკონს ხიზანაშვილსაც მოსწყინდა ეს უსარგებლო შრომა, გული აუცრუვდა და იმანაც შესწყვიტა შეგირდების სწავლება. ან-კი ვინ დაემდურება, პირიქით იმ შრომისა და ღვაწლისათვის, რაც მან სკოლას დასდო, დიდის მადლობის ღირსია. აი, ასეა სკოლის საქმე დაყენებული

და თიანეთში, რომელიც ცენტრია მთელის მაზრისა. ეს აქ და ვინ იცის რა ხდება უფრო მიყრუებულ სოფლის სკოლებში?

იმედია, ყურადღებას მიაქცევს ვისიც ჯერ არს და ამ უწესობას ბოლოს მოუღებს.

ივერია - 1895. – N133. – 25 ივნისი. - გვ.4.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

თქვენის პატივცემულ გაზეთის 58 ნომერში იყო დაბეჭდილი უსახელო კორესპონდენცია თიანეთიდგან იმის შესახებ, ვითომ და თიანეთის სამრევლო სკოლაში საზარლად იყოს დაყენებული საღმრთო სჯულის სწავლების საქმე, ვითომ-და ხსენებულ სკოლის საღმრთო სჯულის მასწავლებელს, ბლაღოჩინ მღვდელ ი. კოშორიძეს არც მიმდინარე წელს და არც კვლავ ფეხი არ შეუდგამს სკოლაში და სხვადასხვა. აღნიშნავს რა ყველაფერს ამას, კორესპონდენტი აცხადებს გულმტკივნეულად: „სასურველია მიექცეს ამ სამწუხარო გარემოებას უმაღლესის სასულიერო მთავრობის ყურადღება.“

საღმრთო სჯულის მასწავლებელმა, ბლაღოჩინმა ი. კოშორიძემ, სათანადო პასუხი გასცა ამ პასკვილის დამწერს გაზეთ „კვალში.“ სხვათა შორის მამა კოშორიძე სწერდა, რომ თუ კორესპონდენტს ჰსურს დანამდვილებით გაიგოს, იციან რამე თუ არა მოწაფეებმა საღმრთო სჯულიდგან და ვინ მისცა მათ ეს ცოდნა, ვთხოვ კორესპონდენტს კეთილ-ინებოს და დაესწროს მოწაფეების გამოცდასაო. გამოცდა მოწაფეებისა მოხდა მაისის 19 და 21 რიცხვებში. გამოცდას დაესწრნენ ინსპექტორი ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლებისა [მამა ლეონიდი], თიანეთის მაზრის უფროსი, თიანეთის სამაზრო მკურნალი, მაზრის სამმართველოს ორი შეგნებული მოხელე და მრავალნი სხვები. როგორც წინა წლებში, ეხლაც გამომცდელთა განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული იმას, თუ რამდენად შეგნებით და სავსებით გაუვლიათ მოწაფეებს საღმრთო სჯულის დადებული კურსი. უნდა გენახათ, ბატონო, და სულით დამტკბარიყავით, რა გონივრულ, აზროვან და მოხერხებულ პასუხებს იძლეოდნენ სუყველა განყოფილების მოწაფეები არამცთუ პროგრამმიდგან ამოღებულ კითხვებზედ, იმნაირებზედაც-კი რომლებსაც ჰქონდათ უფრო მაღალი ღვთისმეტყველების ხასიათი. პატივი და დიდება მამა კოშორიძეს, რომ ასე ჩინებულად შეუსწავლებია მოწაფეებისათვის საღმრთო სჯული და ამასთან ერთად ცდილა და მოუხერხებია მაღალ და განყენებულ დოღმატიურ ჭეშმარიტებეთა გადაცემა ჯეროვან საღვთისმეტყველო ლექსთ-მეტყველებით, ტერმინოლოგიით.

მაშ რაღას „ჰგოდებს და იგლოვს“ ზემოხსენებული კორესპონდენტი? იმას ბატონო, რომ ყველაფერი ეს შეგირდებმა იციან სამშობლო, გასაგებ ენაზედ და არა სლავურ-რუსულით; კორესპონდენტს ვერ მოუნელებია ის, რომ ბავშვებს ტვინი არა აქვთ გალაყებული სლავენურ ენაზედ ტროპარ-კონდაკების ზეპირობით და ვერ გაუკბილავთ ოციოდე საღმრთო მოთხრობა რუსულ სახელმძღვანელოდგან. იმ აზრს, რომ ყველა ჩვენი სკოლები იყვნენ მოწყობილნი უცხო ნიადაგზედ თიანეთელ კორესპონდენტზედ უფრო მძლავრი, გავლენიანი და მოხერხებული მექომაგეები ჰყვანან; შესაძლოა სულ მოკლე ხანში ამ უკანასკნელმა პირებმა მიაღწიონ თავიანთს დიდის ხნის გულის წადილს;

მოსალოდნელია, რომ ჩვენი სამრევლო სკოლები აივსნენ სლავურ ჟამნ-დავითნ-პარაკლიტონებით და მაშინ გაიხარებს ჩვენი გულშემატკივარი კორესპონდენტი, რადგანაც ყველა ბავშვს სხაპა-სხუპით ეცოდინება ის, რისთვისაც ახლა ასე სტირის. მაგრამ, ვგონებ, ამგვარ სკოლაზე ზედ გამოჭრილია შემდეგი სიტყვები წმიდა სახარებისა: „არცა ქვეყანასა, არცა სკორესა სარგებელ არს.“

ჩხოკეთელი.

ივერია - 1895. – N141. – 6 ივლისი. - გვ.2.

პასუხად ჩხოკეთელს

ბატონო ჩხოკეთელო! თქვენი წერილი „ივერიის“ 133 N-ში დასტამბული ყოვლად უსაფუძვლოა და მარტო ცილისწამება კორესპონდენტის, ე. ი. ჩემ შესახებ.

მე ვამბობდი ჩემს კორესპონდენციაში: „წარსულის წლის ენკენისთვიდგან მარტამდე ორჯერ არა ყოფილა თიანეთის სკოლაში საღმრთო სჯულის მასწავლებელი მამა კოშორიძე და იმის წინა ორ წელშიაც სხვა ასწავლიდა იმის მაგიერო. როგორც მოგეხსენებათ, ყოველი ესე დამტკიცდა გამოძიებაში. ამის მეტი მე ხომ არა მითქვამს-რა. თქვენ-კი აი რა პასუხს იძლევით: „კორესპონდენტს ვერ მოუნელებია ის, რომ ბავშვებს ტვინი არა აქვთ გალაყებული სლავურ ენაზედ ტროპარ-კონდაკების ზეპირობით და ვერ გაუკბილავთ ოციოდე საღმრთო მოთხრობა რუსულ სახელმძღვანელოდგან... ყველაფერი ეს სამშობლო, გასაგებ ენაზედ იციან.“ მერე, მე როდის, ან სად მოგახსენეთ, ან სკოლის მოწყობისა და ტროპარ-კონდაკების შესახებ, ან სამშობლო და უცხო ენის შესახებ?! თქვენ სრული ნება გაქვთ, თქვენის მფარველობის კალთა გადააფაროთ მამა კოშორიძეს, მაგრამ ჩემის კორესპონდენციის სწორე აზრის დამახინჯების ნება-კი არა გაქვთ; არც იმის ნება გაქვთ, რომ იმისთანა აზრი მომაწეროთ, რომელიც მე არ მეკუთვნის.

ის აზრი, თუ რამდენად მომზადებულები აღმოჩნდნენ მოწაფეები ეკუთვნის მამა კოშორიძეს, მე მათ ცოდნაზედ ხმაც არ ამომიღია. ეგ მხოლოდ კოშორიძემ, - რაკი დაინახა, რომ კორესპონდენციის წინააღმდეგ თავს ვერ გაიმართლებდა, ისღა იღონა, რომ დღეში ორჯერ - დილით და საღამოთი, დაიწყო სკოლაში სიარული, ერთი თანაშემწეც დაიქირავა და დიდგულად მოჰყვა ყვირილსა: „მე ორ თვეში დაგიმტკიცებთ თქვენს სიცრუვესაო,“ ესე იგი მოისურვა მთელის წლის კურსი ორს თვეში ესწავლებინა.

კიდევ ვიმეორებ და ვამტკიცებ, რომ კოშორიძე ათასში ერთხელ მიბრძანდებოდა ხოლმე სკოლაში მარტამდე, და იმის შემდეგ რა სასწაული მოახდინა სკოლაში - ამას არც შევხებივარ და არც ვეხები.

ეხლა გთხოვთ, მიბრძანოთ, ბატონო ჩხოკეთელო, რა არის ჩემს კორესპონდენციაში უმართლო და რამ გაიძულათ ისეთის ცილის-წამების შემოტანა ჩემზედ, რომლის მიზეზი მე თქვენთვის არ მომიცია?! როგორც მოგეხსენებათ, პასკვილი ბინძურ, მოჭორებულ ამბავსა ნიშნავს, და არა ჭეშმარიტ საქმის გარემოებას, რომელიც მე გამოვსთქვი ჩემს წერილში. ხოლო თქვენ-კი ჩემს მართალ წერილს პასკვილს უწოდებთ! რატომ ნებელობთ ამას?

ისევ ის თიანელი კორესპონდენტი
95წ., 1 ივლ. ს. თიანეთი.

ივერია – 1895. – N143. – 8 ივლისი. – გვ.3–4.

წერილი რედაქციის მიმართ

თიანეთელის კორესპონდენტის შენიშვნა - „პასუხად ჩხოკეთელს,“ რომელიც დასტამბულია „ივერიის“ 141-ე N-ში, ცოტა არ იყოს მეც შემეხება, როგორც თიანეთის სკოლის მეუფროსეს და ამისათვის ზნეობრივ მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს განვაცხადო, რომ ხსენებულის კორესპონდენტის წერილები აშენებულია პიროვნულ ანგარიშებზედ კოროშიძესთან და სრულებით მოკლებულნი არიან სინამდვილეს.

კორესპონდენტი დარწმუნებული ბრძანდებოდეს იმაში, რომ იმის გარდა სხვებსაც შესტკივათ გული საზოგადო საქმისთვის, სხვებსაც მოეპოვებათ მომეტებული და არა ნაკლები მასთან შედარებით ზნეობრივი სიფაქიზე და მოქალაქეობრივი პატიოსნება; მაშასადამე, ეჭვს გარეშეა, რომ კოშორიძის საქციელი, თუ-კი მართლა მას ოდესმე ჰქონიყოს ალაგი თიანეთის სკოლაში, დღევანდლამდის არც ჩემგნით და არც სხვის მხრივ არ იქნებოდა დაფარულ-დამალული. იმ კორესპონდენციის წაკითხვის შემდეგ, რომელიც იყო დაბეჭდილი „ივერიის“ 58-ე N-ში, მე შევუდექი საღმრთო სჯულის მასწავლებლის შესახებ ყოველგვარ ცნობების შეკრებას, ბოლოს პირადადაც მივედი თიანეთში და რაც შემეძლო, ყველაფერი გამოვიძიე, მაგრამ იმგვარი არა აღმოჩნდა-რა, რასაც ბატონი კორესპონდენტი სჩიოდა და სჩივის დღეს.

სხვა ცნობათა შორის, რომლებიც შევაგროვე კოშორიძის შესახებ, საკმარისად ვრაცხ გავუზიარო კორესპონდენტს ერთი, რომელიც ეკუთვნის თიანეთის მაზრის უფროსს: აი ეს პასუხი უმეტ-ნაკლებოთ:

„ვრაცხ ჩემს ზნეობრივ მოვალეობად, გაუწყოთ, ღირსო მამაო: წარსულ მაისის უკანასკნელს რიცხვებში მე და ჩემდამი რწმუნებული სამმართველოს მოხელე როსტომაშვილი და ცისკარიშვილი დავესწარით თიანეთის სასწავლებლის გაკვეთილებს და ეგზამენებს, და ყმაწვილები ჩინებულად იყვნენ მომზადებულნი. ამასთანავე ვცანით, რომ მასწავლებლებს და მათ შორის განსაკუთრებით მამა კოშორიძეს კეთილ-სინდისიერად შეუსრულებიათ თავიანთი მოვალეობა.“

„წარსულის წლის ენკენისთვიდგან მარტამდე ორჯერ არ ყოფილა თიანეთის სკოლაში საღმრთო სჯულის მასწავლებელი მამა კოშორიძეო.“ - ბრძანებს კორესპონდენტი. მაგრამ განა ამგვარი საქციელი კოშორიძესი კორესპონდენტის გარდა მაზრის უფროსისთვის, როსტომაშვილისთვის და ცისკარიშვილისთვის-კი შეუტყობელი დარჩებოდა?!

მაშ რად იბღალავენ ხსენებული პირნი სინიდისს და რის გამო ჰმოწმობენ, რომ კოშორიძე სინიდისიერად ასრულებს თავისს მოვალეობას სკოლის შესახებო? იქნება ბატონმა კორესპონდენტმა ბრძანოს, რომ ჩვენ ყველას, როგორც „ჩხოკეთელს,“ კალთა დაგვიფარებია კოშორიძესთვის და ბატონ კორესპონდენტს, უმანკო კრავს, - ცილსა ვწამებდეთ!

ბატონი კორესპონდენტი ბრძანებს, რომ წინადაც ორის წლის განმავლობაში სხვა ასწავლიდა კოშორიძის მაგიერად საღმრთო სჯულსა და ამ წლის მარტიდგან ცალკე თანაშემწე დაიქირავაო. დიდად დავალებული ვიქნები კორესპონდენტის ერთგულებით,

თუ მაცნობებს იმათ ვინაობას, ვისი ხელითაც მამა კოშორიძეს ნარი უგლეჯია. რასაკვირველია, თუ კოშორიძის მაგიერად საღმრთო სჯული უსწავლებია ვისმეს, ისიც ორ წელზედ მეტი, ამგვარი პირი უნდა ყოფილიყო კოშორიძის ხელქვეითთაგანი, მაგრამ თამამად ვარწმუნებთ ბატონს კორესპონდენტს, და თუ საჭიროება მოითხოვს, ნათლადაც დავუმტკიცებთ, რომ კოშორიძის ხელქვეითთაგანმა არც ერთმა არ იცის საღმრთო სჯული ისე შეგნებით და სავსებით, როგორც იციან მოწაფეებმა და ცხადია, რომ გარდა კოშორიძისა არც არავის შეუძლია მოწაფეებთან მეცადინეობა.

არხიმანდრიტი ლეონიდე.

ივერია – 1895. – N149. – 15 ივლისი. – გვ.2.

სიტყვა,
თქმული 8 ივლისს შიო მღვიმის მონასტერში ალექსანდრე ეპისკოპოსის ბერობაში ორმოცდაათი წლის შესრულების დღეს

ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, მოწყალეო მწყემსთ-მთავარო და მამაო!

ვინც გონივრულად დაჰკვირვებია როდისმე თავისს სულის მოძრაობას და ყურადღება უთხოვებია მისთვის, იმას ეჭვი არ არის, გამოცდილებით ეცოდინება ის სულიერი მდგომარეობა ადამიანისა, როდესაც უკანასკნელს, - ადამიანს, - დიდი სურვილი, გულითადი წადილი ჰქონია უკლებელი სისრულით განუზიაროს მეორე პირს, თავისის გულის გრძნობანი სავსებით, უმეტ-ნაკლებოდ, გამოსთქვას და ცხოველათ დაასურათოს იგინი, მაგრამ, წინააღმდეგ გულითადი წადილისა ნახევარზედაც ვერ მოუხერხებია ესე, რადგანაც სიტყვა უკან რჩება გრძნობასა, სიტყვას დაუკარგავს თვისი ჩვეულებრივი სიმძლავრე, გამხდარა იგი სუსტი და უფერული. აი სწორედ ამგვარ სულიერ მდგომარეობაში ვიმყოფები მეც, დაუფასებელო მწყემსთ-მთავარო და სათნოებით მოსილო ბერო, დღეს, გარდავდივართ-რა გონებით ორმოცდაათის წლის უკან და ვიგონებ შენის ბერობის პირველ დღეს, შენს ანგელოსებრივის ფრთოვანებით შემოსავს. ამის გამო მომიტევე, მეუფეო, მამობრივი სიყვარულით, რომ ჩემი სიტყვიერი ტაბლა დღეს მცირე და მწირია, თუმცა-კი უფრო შესაფერი იქნებოდა, რომ იგი ყოფილიყო განსაკუთრებით სრული და უხვი. სამაგიეროდ მიიღე მცირედი ესე სიტყვა, როგორც ნაკვთი სულისა, რომელიც მოცულია უზომო სიყვარულით ბერობისადმი, მიიღე სუსტი ესე სიტყვა, როგორც ნაყოფი გულისა, რომელსაც შვილობრივი სიწრფელით და სავსებით ჰსურს შენთვის სიკეთე და ნეტარება იმ ზომით, რა ზომითაც-კი შესაძლებელია ეს ადამიანისათვის ამა და იმ სოფლად.

აწ მხცოვანი და სრული ჭაღარა მოსილი, ორმოცდაათის წლის წინად, როდესაც იმოსებოდი ძაძით და იბურავდი თავს შავის ბარტყულით, შენ იყავ ჯერ ისევ ნორჩი,

მოზარდი, სავსე ჯანით და სიცოცხლით, ახალგაზრდა, პატრონი გრძნობიერის, სულ-ჭაბუკი გულისა.

რა მიზეზი იყო შენის მხრით ასე ადრე კავშირის გაწყვეტისა ტკბილ, სასიამოვნო და მიმზიდველ სოფლის ცხოვრებასთან? იქნება ახალგაზრდა გული დაგიწყლულა რომელიმე მძიმე, ძნელად ასატანმა შემთხვევამ და ამის გამო ზურგი აქციე ამაო და გაუტანელ სოფელს? არა; ამგვარ შემთხვევას არასოდეს ალაგი არ ჰქონია შენს ცხოვრებაში. მაშ იქნება შენ დაემორჩილე შენ დროს ჩვეულებრივ მიმართულებას, ესე იგი წახველ მონასტერში იმისთვის, რომ სხვებიც მრავალნი მიდიოდნენ იქ? არა; შენ დროს ახალგაზრდობა სრულებითაც არ იყო გატაცებული ბერობის სიყვარულით; ერთი მაგალითიც არ გინახავს, რომ შენზე წინ ან შენთან ერთად მოსწავლეთაგანს მიეღოს ვისმეს ბერობა. მიზეზი სიყრმიდგან შენი ბერობისა იყო ერთის მხრით ის მხურვალე და წარუხოცველი სიყვარული ქრისტესი და ქრისტიანული ცხოვრებისა, რომელიც სულ ადრე დაგინერგეს გულში სათნოებით აღვსილმა მშობლებმა, მეორე მხრით კიდევ ის გონივრული და სასიქადულო სიყვარული სამშობლო ერისადმი, რომელმაც სულ ადრე გაიმართა შენს გულში ფართო და მკვიდრი ტახტი. ბავშვობიდგან შენს გულში ანთებულს ქრისტეს სიყვარულის ლამპარს ბეჯითად და განუწყვეტლივ უმატებდი სათნოების ზეთს და ამგვარად აძლიერებდი სიყვარულის ალს, რომელმაც სრულებით მოგიცვა შენ და მიგიყვანა იესო ტკბილის მყუდრო ნავთ-სადგურს.

ამ საღმრთო, უმაღლესის სიყვარულის გვერდით ჰღვივდებოდა, იზრდებოდა და მძლავრდებოდა შენს გულში სამშობლო ერის მხურვალე ტრფიალებაც. შობილი იმგვარ ოჯახში, რომელსაც მუდამ მტკიცე და მჭიდრო კავშირი ჰქონია და აქვს ხალხთან, შეზრდილი მდაბალი ხალხის შვილებთან, ბავშვობაშივე შეიგნე ჩვენის ხალხის ხასიათი, სულიერი მიდრეკილება, იმისი საწადელი და მისწრაფება. ბავშვობაში ყველა გაქებდა და ყველას მოსწონდი, რადგანაც გიყვარდა ეკკლესია. აქედამ შენ დაასკვენ, რომ ჩვენი ხალხი ღრმად მორწმუნე ხალხია და მისს გულს მოიგებს მხოლოდ ამგვარადვე მორწმუნე ადამიანი. ბავშვობაში შეამჩნიე, რომ ყოველ მოსწავლე ახალგაზრდას ხალხი უწოდებდა დიაკვანს. აქედამ შენ დაასკვენ, რომ ჩვენი მორწმუნე ერის შეხედულებით, ნასწავლი და კეთილად აღზრდილი კაცი უნდა იყოს ეკკლესიის მსახური. ბავშვობაში შენ არჩევდი, რომ მდაბალი ხალხი, ყოველთვის მოუცლელი და მუდამ ყელამდის სავსე ათასგვარი საქმეებით, ივიწყებდა ყოველგვარ გაჭირვებას, გატაცებით, თავდავიწყებით, სრული გულ-მოდგინეობით და სიხარულით ისმენდა მოთხრობებს წმინდანებისა, მონასტრებისა და სახელოვან ბერების შესახებ. აქედამ შენ დაასკვენ, რომ ვისაც ჰსურს მოიპოვოს ამ უბრყვილო ხალხის თანაგრძნობა ხალხისავე საკეთილდღეოდ, უეჭველად უნდა მიიღოს ბერობა და აი, სხვათა შორის, ყოველივე ესე შეიქმნა შენს ცხოვრებაში იმ მძლავრ და გადაწყვეტილებითად ძალად, რომელმაც ზურგი შეგაქცევინა სოფლიური ცხოვრების სიტკბოებას, რომელმაც სამუდამოდ გაგაცვლევინა ძაძა-ბარტყულაზე სოფლის შვება-სიამე.

ღვთისა და ხალხისაგან ნაჩვენები გზისთვის ორმოცდაათის წლის განმავლობაში არც ერთხელ არ გიღალატია შენ, არც ერთხელ არ შეგილახავს იგი, არც ერთხელ არ გადაგიხვევია მისგან. ორმოცდაათი წლის განმავლობაში შენ მუდამ მაღლა გჭერია ალაგი სათნოებიანი ბერობისა და საუკუნის ნახევარში შენ მიერ განვლილი გზა წარმოადგენს

ასპარეზს, განშვენებულს და მობრწყინვალეს ათასგვარი საღმრთო და საერო ქველმოქმედებით.

რა იყო ეს მონასტერი ამ ათიოდე წლის წინად, უწყის ყველამ, რა გაკეთდა, ან რა კეთდება დღესაც აქ მარტო შენის პირადის მეცადინეობით, ყველასთვის ცხადი და თვალსაჩინოა. შენი მოქმედება ამ „სავანეში არის“ სასანთლესა ზედა აღნთებული სანთელი, რომელიც ჰნათობს ყოველი ქართველისთვის. განაგრძე კვლავ სახელოვანი შენი მოღვაწეობა და დარწმუნდი, რომ მიაღწევ შენის მაღალის შრომის სასურველ ბოლოსაც - გამრავლებას განათლებულ, გულწრფელ და ზნეობრივ კეთილშობილ ბერთა გუნდისას. „უფალმა სამკლისამან“ ყურად-იღო ვედრება შენი, მოხედა შრომასა შენსა და აჰა, გისრულებს კიდეც გულითადს წადილს - „ავლენს მოქმედთა სამკალსა თვისსა.“ განავრცე შენი სათნოიანი შრომა და დარწმუნებული იყავ, ეს ახალნი მუშაკნი, უღრმესის მოხუცებულობის დროს, ამოგიდგებიან შენ მხრებში და შეიქნებიან სანდო კვერთხათ, გაგიწევენ ჭეშმარიტს სულიერ შვილობას, გაუტეხელად აგისრულებენ იმ საღმრთო თხოვნას, რომლითაც მიგიმართნია ეხლა ყოველი ქართველისათვის და შესთხოვ: - ვინ არს ბრძენ და მეცნიერ თქვენს შორის, აჩვენენ კეთილად სვლისაგან საქმენი თვისნი. (იაკობ: 3,13) ამინ!

არხიმანდრიტი ლეონიდე.

ივერია – 1895. – N195. – 12 სექტემბერი. – გვ.1–3.

პანაშვიდი
კრწანისის ველზედ სამშობლოსათვის დახოცილ მეომართა სულის მოსახსენებლად

გუშინ, 11 სეკტემბერს, დილის 9 საათზედ გარდახდილ იქმნა ლიტურგია ბერძენთა წმიდა ნიკოლოზის ეკკლესიაში კრწანისის ველზედ აღა-მაჰმად-ხანის ურიცხვ ჯართან ბრძოლაში სამშობლოსათვის თავდადებულ ქართველ მეომართა სულის მოსახსენებლად. მწირველი იყო ეპისკოპოსი ალექსანდრე და სამღვდელოება. წირვას დაესწრნენ ქართველნი წარჩინებულნი პირნი, თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავადი კონსტანტინე მუხრან-ბატონი, გენერალ-ლეიტენანტი თავადი ამილახვარი, ღენერალ-ლეიტენანტი ბატონი კონსტანტინე მამაცაშვილი, ღენერალ-მაიორნი თავადი გ. ხიმშიაშვილი, თავადი ივანე ჭავჭავაძე; გორის მაზრის წინამძღოლი ბატონი სულხანიშვილი, სიღნაღის მაზრის წინამძღოლის მაგიერი თავადი ვაჩნაძე და სხვანი თავადნი და აზნაურნი ტფილისის გუბერნიისა. ვიცე-გუბერნატორი გრაფი ტიზენ-გაუზენი, ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელნი, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი სვიმონ წერეთელი, შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი მიხ. აბაშიძე, ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ბატონი ბიკოვი, დეპუტატებად ფშავ-ხევსურთაგან გამოგზავნილი რკინის ჯაჭვ-ჩაჩქანით გამოწყობილნი, ქართველი მწერლები და სხვანი. წირვაზედ გალობდა ქართველ თავად-

აზნაურთა სკოლის ხორო, ქართული ხორო ტფილისის სასულიერო სემინარიისა და ხორო ექსარხოსისა. ურიცხვ ხალხს მოეყარა დილიდგანვე თავი ეკკლესიის გალავანსა და მის გარშემო. ეკკლესიის წინ, ქუჩაში, იდგნენ რიგზედ ჩამწკრივებულნი ტფილისის ამქრების წარმომადგენელნი ბაირაღებით, რომლებიც რიცხვით 34-მდე იყო. ბევრი იყო ხალხი აგრეთვე ქუჩაში და იმ გზაზედ, საითაც კორტეჟს უნდა გაევლო.

ასე თორმეტი საათი იქნებოდა, რომ წირვა გათავდა და ამქრები თავისის ბაირაღებით, ხალხი საეკკლესიო დროშებითა და აგრეთვე მღვდლები ხატებითა წინ წაემძღვარნენ ეპისკოპოსს ალექსანდრესა და სამღვდელოებას, რომელთაც უკან მიჰყვებოდნენ წარჩინებულნი ქართველნი და მრავალი ხალხი.

თვითონ პანაშვიდის გადასახდელად დანიშნული ადგილი მდებარეობს მარკოზოვის ბაღის ზევით დაცემულ ვაკეზედ, რომელსაც დასავლეთ-სამხრეთით გორები საზღვრავს. აი ამ ადგილას იყო დადგმული დიდი, ასე თხუთმეტის საჟენის მანძილზედ, კარავი, რომელიც მწვანითა, ყვავილებით და სამგლოვიარო ლენტებით იყო შემკული. ამ ადგილას და აგრეთვე ახლო-მახლო გორაკებზედ მრავალი ხალხი შეკრებილიყო დილიდგანვე საყურებლად.

ქართველი თავად-აზნაურობა, სამსახურის ხალხი, სოფლიდგან ჩამოსული ამ დღისათვის, ქალაქის ვაჭარი და მუშა ხალხი ერთმანეთში ირეოდნენ; ყველა დიდის მოწიწებით შეჰყურებდა შორიდგანვე კარავს, სადაც პანაშვიდი უნდა გარდახდილიყო. მივიდნენ კიდეც, დაეწყვნენ რიგზედ კარავის წინ ამქრები თავისის ბაირაღებით; ამათ შუა დაიჭირა ადგილი სამღვდელოებამ და მათს გარეშემო ურიცხვმა ხალხმა, რომელთა რიცხვიც 5.000-მდე იქნებოდა. პანაშვიდი დიდის დიდებით გადაიხადეს; გაისმა ქართველ მგალობელთა ტკბილი და მოწყენილი სამგლოვიარო ხმა იმ ადგილს, სადაც ამ ასის წლის წინად თავგანწირვით იბრძოდნენ ჩვენნი წინაპარნი მოხუცის გმირთა-გმირის მეფის ერეკლეს მეთაურობით.

პანაშვიდის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა არხიმანდრიტმა ლეონიდემ ქართულს ენაზედ, რომელიც აქვე იბეჭდება:

საგოდებელ ყავთ სახელი უფლისა, რამეთუ მაღალნი ქმნა,
მიუთხრენით ესენი შორის ყოვლისა ქვეყანისა.
(ისაია: 12,5)

პატარა სივრცით, ხოლო ფასდაუდებელი ბედნიერი მდებარეობით, შემკული ღვთისაგან ნაკურთხი ბუნების საუცხოვო შვენება-მოხდენილობით, სილამაზე-სიკეკლუცით, დასაჩუქრებული საოცარი სიუხვე-სიმდიდრით, ჩვენი სამშობლო, ედემის მსგავსი საქართველო, გარეშემოზღუდული უთვალავ-ძალოვან ხალხებით, პირველითგანვე იზიდავდა ამ უკანასკნელთა შურიან და სიხარბით სავსე ყურადღებას, პირველითგანვე ჩავარდა იგი „მგელთა შორის მივლინებულ კრავის“ მდგომარეობაში, პირველითგანვე გარდიქცა დაუსრულებელ, სასტიკ, მძაფრ ბრძოლის ველად. მტერთა შური საქართველოსადმი და მათი დაუღალავი მეცადინეობა ამ ქვეყნის დაჭერა-მითვისებისათვის განძლიერდა, გაორკეცდა და გამწვავდა მომეტებულად მას უკან, რაც ივერიის მაღალ-ბუნებოვან, ნიჭიერ მკვიდრთ უკუ აგდეს „აჩრდილნი სიკვდილთანი,“

შეიმოსეს „ნათელი დიდი,“ დაემოწაფნენ ქრისტე მაცხოვრის ღვთაებრივ სწავლას, აღმართეს თვალ-გადუწვდენელის მთების, მუდამ სპეტაკის თოვლით მოსილ მწვერვალებზედ ცხოველ-მყოფელი ჯვარი, ააგეს, მორთეს, შეამკეს მრავალნი დიდებულინი ტაძარნი, იწყეს ჭეშმარიტი ღვთის ლოცვა-გალობა ტკბილ, მარტივ, შვენებით სავსე სამშობლო ენაზედ, ერთი სიტყვით, მას უკან, რაც ქრისტეს აღსარების მეოხებით დაფანტულ-დანაწილებულმა ქართველმა თემებმა ჰსცნეს ერთურთის ძმობა-ნათესავობა და ამის გამო შეერთდნენ, დაახლოვდნენ და დაადგნენ ერთობის მტკიცე კვალს; ქრისტიანობამ შეჰქმნა და წარმოშობა ქართველის ერის გონებრივი და მოქალაქობრივი ძალა, ქრისტიანობამ თავდადებით შეაყვარა ქართველს სამშობლო ეკკლესია, როგორც აკვანი ეროვნულის თვით-არსებისა, ეროვნულის განვითარებისა და სამშობლო ენის აჰყვავება წარმატებისა. ხოლო ამგვარი გატაცებული სიყვარული სამშობლოსი, ამგვარი თავდადებითი შეტკბობა სამშობლო მამულის ყოველის მტკაველისა, ლახვრად ესობოდა გულს მოსაზღვრე, მაჰმადის სარწმუნოების მიმდევარ ერთ, უღვიძებდა მათ სურვილს ქართველთა შორის ქრისტიანობის გაქრობისას და რასაკვირველია, ქრისტიანობასთან ერთად, ერის არსებობის მოსპობისა, განადგურებისა და ძირითადის დამხობისას. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება, რომ მაჰმადიან-სპარსთ-ოსმალთაგან არა ჰქონია საქართველოს მოსვენება და მუდამ უტრიალნია მას ცეცხლსა და ალში. გადავშალოთ საქართველოს მატიანე, გადავიკითხოთ რამდენიმე თავი და ყველანი ერთხმად მივმართავთ ამ მრავალწამებულ ერს იერემია წინასწარმეტყველის სიტყვებით: „ყოველთა მტერთა შენთა დაისტვინეს და დაიღრჭინეს კბილნი მეტყველთა: შთანვთქათ იგი. (იერემია: 2,16. გოდება) სიტყვის გამოუთქმელი მძვინვარებით და ბრაზით, ანუ როგორც წინასწარმეტყველი ამბობს, სტვენით და კბილთა დაღრჭენით, მოედებოდნენ ხოლმე საქართველოს მაჰმადიანთა აუარებელნი ურდონი და ჰლამობდნენ მის შთანთქმას, განადგურებას, დედამიწასთან გასწორებას და წალეკვას. მურვან-ყრუ, ლანგ-თემური, ჩინგიზხანი, ჯალალ-ედინი, შაჰ-აბაზი - რომელ ქართველს არ უვლის სხეულში ჟრუანტელი ამ უსულო და კაჟგულოვან პირთა ხსენებაზედ? რომელმა ქართველმა არ იცის, რა მეხი დასცეს და რა ცეცხლში გაატარეს მათ საქართველო? რომელი ქართველი არა ხედავს დღესაც ჩვენში მათ ნავნებ და ზიანს? ამგვარად და ამ ზომითვე სამძიმო, გულ-დამწველი მოსაგონია ყოველის ქართველისათვის საზიზღარის საჭურისის აღა-მაჰმად-ხანის სახელიც. სრული საუკუნე შესრულდა დღეს, რაც აღა-მაჰმად-ხანი აუარებელის ჯარით შემოესია საქართველოს დედაქალაქს ტფილისს, მოსრნა მცხოვრებნი, გასწყვიტა მამულისათვის თავდადებულნი ძენი, „აჭამა დედათა ნაყოფი მუცელთა მათთა,“ მოაოხრა გარემო სოფლები და აჰყვავებული ქვეყანა გახადა „საძაგლად მოოხრებისა.“

საჭიროდ არ ვრაცხ წარმოგიდგინოთ დაწვრილებითი სურათი ქართველთა ტანჯვა-წამებისა, კვნესა-ტყებისა, ხსენებული საჭურისის და იმის ლაშქართა ავზნეობისა, გულუღრძობისა და სიცოფისა. ვგრძნობთ და ვიცით ყველაფერი ეს და ამის გამოა, რომ შევგროვილვართ აქ. ვხედავთ ცხადად, რომ კრწანისის ფართო ველს გმირთ საღმრთო სისხლი, ჯერაც კრწანისის არე-მარე სავსეა სარწმუნოებისა და მამულისათვის თავ-დადებულ შვილთა ძვლებით და ამის გამო გულდაწყლულნი მოვსულვართ, რომ წრფელის ლოცვით შევავედროთ ღმერთს მსხვერპლად დაკლულთა სულნი.

ვილოცოთ, ძმებო და დებო, მდუღარე ცრემლთა ფრქვევით ვილოცოთ კრწანისის ველზედ დახოცილ ქართველებისთვის, „განჰვფინოთ ვითარცა წყალი, გული ჩვენი წინაშე

პირსა უფლისასა, აღვიხვნეთ მისდა ხელნი ჩვენნი სულებისთვის“ აქა მოსრილთა და ამასთანავე გავიხსენოთ ჩვენდა სანუგეშოდ, რომ თვით ამ შავ და ბნელ დროს შედეგად მოჰყვა ჩვენი ბედნიერება და კეთილდღეობა. გამარჯვება მტრისა ჰყო უფალმან საქართველოსთვის „ცისკარად განთიადისა.“ ტანჯვით და წამებით განწმენდილ გამოხურვებულმა სახელოვანმა „გმირთა-გმირმა“ ირაკლი მეორემ აღა-მაჰმად-ხანისაგან დამარცხების შემდეგ, გარდასწყვიტა ჩააბაროს თავისი სამშობლოს სვე-ბედი თანამორწმუნე რუსეთის მძლავრ სახელმწიფოს; შეერთებულმა ძალამ დაამკვიდრა საქართველოში მშვიდობა; სულ მცირე ხნის განმავლობაში უზრუნველ-იქმნა საქართველო ყიზილბაშ-თურქთა დარბევათაგან და დაეცა შიშის ზარი მოუსვენარ ლეკებს, ჩაჩნებს, ქისტებს, ჩერქეზებს და ოსებს. დაიმშვიდა გული ქრისტეს სახელისათვის წამებულმა ერმა, თავისუფლად მოითქვა მან სული, იწყო მყუდრო შრომით სავსე მოქალაქობრივი ცხოვრება და, საჭიროების მოუთხოვნელობისა გამო „თანადაჰსჭრა, - ანუ გადააკეთა მახვილები თვისი სახნისად და ლახვრები თვისი მანგლად“ (ის. 2,4) ჭეშმარიტად, უნდა საგალობელ - ვყოთ სახელი ჯერაც ვერ შეუშრია ქართველთა უფლისა, რამეთუ მაღალნი ქმნნა და მიუთხრნათ ესენი შორის ყოვლისა ქვეყანისა!

ცხადია, ჩვენ აწმყო ყოფა-ცხოვრებას ხედვენ წამდგარნი წინაშე ღვთის დიდებისა ჩვენნი წამებულნი მამა-პაპანი და ჰმადლობენ იგინი ამისთვის ჩვენ წილ უფალსა.

ცეცხლსა და სახმილსა შინა განვლილ ჩვენ წინაპართ უხარიანთ დღევანდელი ჩვენი მყუდრო ცხოვრება, მაგრამ უნდა-კი ვგრძნობდეთ, რომ სიხარული მათი არ არის სრული და სავსე. რა-გინდ რომ თვალი ავარიდოთ, მაინც ცხადია, რომ ჩვენში აღარ ჰღვივის ის მხურვალე და შეუდრეკელი სიყვარული ქრისტიანობისა, რომელიც ამოქმედებდა ჩვენ მამა-პაპათ; რა-გინდ რომ სამარცხვინოდაც მივიმჩნიოთ, მაინც უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ აღარ გვაქვს მათებრ გამჯდარი ძვალ-რბილში სამშობლო ენის სიყვარული; რა-გინდ რომ ბევრიც ვიწყინოთ, მაინც უნდა ითქვას, რომ მივცემივართ კერძო, პიროვნულ ანგარიშებს და ნაკლებად-ღაა ჩვენში ძველებური, მამა-პაპისეული საზოგადო, სამშობლოსათვის თავ-შეწირულობა. კეთრი მცირედ-მორწმუნეობისა, ზერელობა სამშობლო ენის შესწავლა-განვითარებისა, გველი წვრილმანი თავმოყვარეობისა და ერთმანეთის გაუტანლობისა, - აი მტრები, რომლებიც წარმოვშობეთ ჩვენ თვითონ, რომლებსაც დაუჭერიათ აღა-მაჰმადის ალაგი და რომელთა გამოც არ არის სრული და სავსე ჩვენ მამა-პაპათა სულიერი სიხარული აწინდელ ჩვენ ცხოვრებაში.

აქ, კრწანისის ველზედ, რომელიც მორწყულია საქართველოს წარჩინებულ შვილთა სისხლით და განპოხიერებული მათი ძვლებით, დავდოთ ამ საერთო მგლოვიარობის დღეს მტკიცე აღთქმა, რომ მოვიშლით ყოველიფერ ამას და დღეის იქით ვიქნებით მიმდევარნი მამათა საქებურ საქციელისა! წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ დავუმტკიცებთ ქართველთა გმირთ გულითადს სიყვარულს და დღევანდელი ჩვენი გლოვა ტირილი იქნება ამაო, უშედეგო. ამინ!

ივერია – 1895. – N229. – 24 ოქტობმერი. – გვ.1–2.

შესხმა,

თქმული რაფიელ ერისთავის ორმოცდაათის წლის იუბილეს დღეს

აღმოსთქვა გულმან ჩემმან სიტყვა კეთილი.
(ფსალ. 44,1)

დღევანდელი დღე საქართველოში შეადგენს რაფიელის სრულ საკუთრებას. სწავლული და მოსწავლე, მხცოვანე და ჭაბუკი, გლეხი და თავადი, ქალი და ვაჟი, ბარად და მთად, სოფლად, დაბად და ქალაქად ჰბჭობს, მსჯელობს, ლაპარაკობს და ფიქრობს მხოლოდ იმ სასიქადულო მამულიშვილზედ, რომლის „გულმა აღმოსთქვა სიტყვა კეთილი,“ რომელმაც დაგვასაჩუქრა ხელის-ხელ საგოგმანებელი ობოლი მარგალიტებრივი ლექსებით, რომელთა კითხვას არა ერთ გზის დავუტკბივართ, ვუნუგეშებივართ, გავუმხნევებივართ, ზნეობრივ გავუზრდივართ და გავუფაქიზებივართ, ვითარცა გულითადს ლოცვას.

სამშობლო, ანუ ის მცირედი ნაწილი დედამიწისა, სადაც ვჩნდებით და პირველად ვახელთ თვალს, რომლის ჰავით ვიწყებთ დაბადებისავე უმალ სუნთქვას, სადაც ფეხს ვიდგამთ და ვიმართებით წელში, ერთობ ძვირფასი, ერთობ საყვარელი, ერთობ ტკბილი და სასიამოვნო რამ არის ყველასათვის. ენა, რომლითაც დავუტკბივართ დედას თვისის ალერსით, რომლის შემწეობითაც მიგვიღია მონაწილეობა სწორ-ამხანაგთა ლხინ-გართობაში, რომელზედაც გვსმენია ეკკლესიაში დამატკბობელი ლოცვა-გალობა, ძვირფასი და საწადელია ჩვენთვის. მუდამ გვიზიდავს მშობელი სოფელი თავისს ვენახ-ჭალებით, მინდორ-ტყეებით, თავისის კეთილ, სათნო, მუდამ შრომაში მყოფი მკვიდრებით. ამ სათაყვანო საგნებს უმოქმედნიათ და ამოქმედებენ დღესაც მთელს სახელმწიფოებს, მათთვის უწირავთ და სწირვენ დღესაც თავიანთ გონებრივ ძალას ყოველი თემის საუკეთესო შვილები. უბედური, უმერმისო და უდღეურია იგი ერი, რომელსაც გაჰნელებია ეს საღმრთო ცეცხლი, რომელსაც შესცვლია მამულზედ გული და დაუკარგავს სამშობლო ენა. ამგვარი ერი თვითონ ისპობს არსებობის ფესვს, თვითონ იხმობს სიცოცხლის მკვიდრობის ძირს და ემსგავსება გამხმარ ქარქვეტს, რომელსაც მცირე ქარიც ადვილად ჰგლეჯს ძირიანად მიწიდგან და მიმოაქვს, საითაც-კი მოუხდება.

სანუგეშოდ და სასიქადულოდ ჩვენდა უნდა ითქვას, რომ ამგვარ სენს არ ჰქონია საზოგადოდ ალაგი ჩვენის ერის წარსულს ცხოვრებაში, ნაკლებია იგი ჩვენ შორისაც და აი ამისი თვალსაჩინო საბუთი ხომ ეს დღევანდელი ყრილობაცაა.

რისთვის მოსულან ამოდენა წარმომადგენლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდგან, თუ არა იმისათვის, რომ პირადად გამოუცხადონ გულითადი პატივისცემა და წრფელი თანაგრძნობა იმ პირს, რომელსაც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე შეუწირავს დედაენის, მამულისა და მშობელი ერის სამსახურისათვის, რომელსაც სიცოცხლეში ულხენია მშობელი ერის სიხარულით და უკვნესია მისივე კვნესით, რომელმაც უკვდავი ლექსებით, ღრმა გრძნობებით და ხელოვნური სურათებით გადაგვიშალა თვალწინ ქართველის გულის სივრცე-სიფართოვე, ქართულის ენის სიღრმე-სიმდიდრე, ქართველი

გლეხის ჭირი და ლხინი, თანდილა, ბერუა, თინია და სესიეების ავი და კარგი, მათი გრძნობა და მისწრაფებანი! საღმრთოდ ჰსჩნევია და მიაჩნია დღესაც ქართველს აღნიშნული საგნები. ძვირად აფასებს და ღრმად პატივს-სცემს იგი ყველას, ვინც-კი მადლიანი კალმით ეხება ამ საგნებს და ხელოვნურად, გრძნობიერად, მარჯვედ, ფსიხოლოგიური სინამდვილით გამოსთქვამს მათ სიდიადეს, მათ სიმაღლეს და მნიშვნელობას. ფასდაუდებელ იუბილარს, როგორც ქართველი ერის ღვიძლ შვილს, კარგად ჰსმენია, რა იზიდავს ქართველის გულს, რა მიაჩნია ქართველს ყველაზედ უძვირფასესად, რას ავედრებს იგი მუდამ-დღე უფალსა და სწორედ ამ საგნების საგალობლად, ამ საგნების საქებლად, ამ საგნების დასასურათებლად უშრომია მას დაუღალავად მთელი ორმოცდაათი წელიწადი, უშრომია, რასაკვირველია, იმ მიზნით, რომ უფრო დაუახლოვოს იგინი ქართველის გულს, მეტად შეაყვაროს იგინი მას, მეტის ძალით აგრძნობინოს ქართველს სამშობლოს სიყვარული, დედაენის უაღრესობა და მშობელი ერის საკეთილდღეოდ უანგარო მუშაობის სიტკბოება.

თუ რა მადლით, რა ნიჭით და ძალით არის აღბეჭდილი იუბილარის „გულიდამ აღმონათქვამი კეთილი სიტყვა,“ ამას ცხად-ჰყოფს დღევანდელი, სიყვარულით აღვსილი, პატივისცემით აღფრთოვანებული, მადლობის გადახდის სურვილით გატაცებული კრება. ამერ-იმერნი, ბარელ-მთიელნი, მღვდელნი და ერი თანაბრად შევტრფით ნიჭიერს მგოსანს ნიშნად იმისა, რომ მის ნაწერებს დიდად უმოქმედნიათ ჩვენზე, მისი მადლიანი სიტყვა ჩაგვწვდომია ყველას გულის სიღრმემდე, მისი აზრი და მისწრაფება მიგვიღია ყველას სახელმძღვანელოდ. დიაღ, ბედნიერი იუბილარი თავისის თვალით ხედავს დღეს, რომ მას არ უშრომია ამაოდ, მიუღწევია თავისის შრომის პატიოსნური მიზნისთვის - „მისი გულიდგან აღმონათქვამს კეთილ სიტყვას“ - გაუღვიძებია ქართველის გულში მამული-შვილობის მნათობი ალი და სწორედ ამ აზრის შეგნება, ამ აზრზე გულის დაჯერება შეადგენს მისთვის უმაღლესს ჯილდოს.

მაგრამ, მხიარულნო მსმენელნო, საყვარელი მწერალი მოიმკის დღეს ჩვენ შორის თავისის ნათესის მხოლოდ ოცდაათს ნაყოფს; სრული ნაყოფი კი კეთილ მიწაზედ ნათესისა, სახარების სიტყვით, შეადგენს რომელიმე სამეოცს და რომელიმე ასს. აი სწორედ ამ სრული და უხვი სამკლისკენ გაიმზირება დღესაც მოხუცი მწერალი და ჩვენ, თუ გვსურს ჯეროვნად დავაჯილდოოთ იგი, თუ გულით გვწადია შესაფერად დავუფასოდ მას ნახევარ საუკუნის განმავლობაში მამულისთვის თავდადებული შრომა და ჯაფა, მოვალენი ვართ გავუმზადოთ მისს ნათესს შესაფერი ნიადაგი, ვეცადნეთ ყოველის ღონისძიებით, რომ იუბილარის ნაჭირნახულევმა აღმოაცენოს ასი ნაყოფი. ნიადაგი, რომელსაც უნდა ხელი შევუწყოთ სრული სამკლის მისაღებად, არიან ჩვენი შვილები, ჩვენი მოზარდი თაობა. ყოველი მშობელი, რომელსაც მართლა ძვირფასად მიაჩნია ქართველობა, მოვალეა სიყრმიდგანვე შეაყვაროს და მტკიცედ დაუნერგოს თავისს შვილს მშობელი ერის საქებური ზნე-ხასიათნი, შეუსისხლ-ხორცოს მისი (ერის) აღმაფრთოვანებე-ლი სულის სიმაღლე, შეაწოვოს და შეადუღოს მისი (ხალხის) მხნეობა, დარბაისლობა და დიდსულოვნობა, აღუძრას შვილებს სამშობლო ენაში წვრთნის განსაკუთრებითი ხალისი, მომეტებული სიყვარული და გულმოდგინება, მოაწყოს იმგვარად თავისი შვილების გონებითი განვითარების გზა, რომ სულით და გულით იზიდავდეს მათ სამშობლო ენის შესწავლის წადილი, მშობელ ენაში ვარჯიშობა შეადგენდეს მათთვის გონების არსებითს მოთხოვნილებას. ამგვარ გზა-კვალზედ დადგომით ერთის მხრით რომ ჯეროვანად

დავასაჩუქრებთ გულითადად პატივცემულს იუბილარს და სხვათა მის გვარ საზოგადო მოღვაწეთ, მეორე მხრით მივცემთ საშუალებას ჩვენს შვილებს გონივრულად და მოსაზრებით დაუკავშირონ მათ თავიანთი ცხოვრება მამა-პაპათა სახელოვანს ცხოვრებას; შესაძლოდ გავხდით ჩვენის შვილებისთვის მეტის სისწორით, მეტის შეგნებით, მეტის სიმტკიცით და გარკვევით მოქმედებას. უამისოდ-კი მათი ქცევა-ცხოვრება იქნება უფრო წაბაძვითი, ვიდრე დამოუკიდებელი, უფრო შემთხვევითი, ვიდრე გაზომილ-მოსაზრებული, უფრო უაზრო, ვიდრე ეროვნულის თვისებებით აღბეჭდილ-დაფერადებული!

ღმერთო მამათა ჩვენთაო, მომნიჭებელო ყოვლისა კეთილისაო, მოჰმადლე მშვიდობა და დღეგრძელობა მამულისათვის დამაშვრალს თავადს რაფიელს; განაგრძე სასიქადულოდ ჩვენდა დღენი ცხოვრებისა მისისანი და ღირს ჰყავ იგი მის წრფელთა წადილთა სავსებით აღსრულებისა! – „მისის გულიდგან აღმონათქვამ კეთილის სიტყვის“ ასის ნაყოფის მომკისა. ამინ!

არხიმანდრიტი ლეონიდე.

ივერია - 1897. – N10. – 28 იანვარი. - გვ.1.

ახალი ამბავი: – როგორც ვუწყით, ბრიტანიის საღმრთო წერილის საზოგადოებამ უწმიდესის სინოდისაგან ქართულის დაბადების დასტამბის ნებართვა მიიღო. ეხლანდელი ქართული დაბადება მეთვრამეტე საუკუნეში არის ბატონიშვილის ბაქარის მიერ სლავიანურიდგან ნათარგმნი. ბაქარს მრავალი შეცდომა შეჰპარვია დაბადებაში. როგორც ეტყობა, სლავიანურის ენის სუსტად ცოდნისა გამო, და აგრეთვე იმიტომაც, რომ არც თვით სლავიანური დაბადება იყო მაშინ ნაკლს აცილებული. რათა ახალი გამოცემა ამ გვარ ნაკლს ასცდეს, საქართველოს ექსარხოსმა, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ვლადიმირმა, არხიმანდრიტის მამა ლეონიდის თავმჯდომარეობით, კომისია შეადგინა, რომლის წევრებადაც მიწვეულნი არიან მამა კირიონი (საძაგლიშვილი), მღვდელი კალისტრატე ცინცაძე და კონჭოაშვილი და ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ბატონი ანტონ ნატროშვილი. კომისიის წევრნი კვირაში ორჯერ იკრიბებიან და მათდამი მინდობილს საქმეს გულმოდგინედ აკეთებენ. ისინი ეხლანდელს დაბადებას ადარებენ სლავიანურს, რუსულს, ბერძნულსა და ებრაულს დაბადებას. ამასთანავე კომისიას მოუპოვებია ორი ძვირფასი ქართული ვარიანტი, მშვენიერის ენით დაწერილი, ერთი იმათგანი მცხეთისა, მეშვიდე საუკუნეში ებრაულით ნათარგმნი, და მეორე ათონისა, მეათე საუკუნეში ბერძნულით ნათარგმნი. კომისია, როცა შექმნას (მოსე წინასწარმეტყველის 5 წიგნია) შეასწორებს, მაშინვე საზოგადოებას გადასცემს დასასტამბად და შემდეგ სხვა წიგნების შესწორებას შეუდგება. კომისია ჩქარა ვერ მორჩება მუშაობას, რადგან საქმეს ერთობ სიფრთხილით ეკიდება.

ივერია – 1897. – N69. – 9 აპრილი. – გვ.3.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

გუდამაყარი. 3 აპრილი. - გუდამაყარი საქართველოს ერთი იმ კუთხეთაგანია, რომლისთვისაც ჯერ ნათლის სხივს არ დაუკრავს და თვალები არ აუხელინებია, რომელიც ჯერ ისევ სიბნელით მოცულია და არც ვინმე გულშემატკივარი ჰყავს ამ მიყრუებულს კუთხეს ისეთი, რომ თვალები აუხილოს და დაანახვოს ნათელი.

წარსულს 1896 წელს ამ ხეობას ეწვია კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სასწავლებლების ინსპექტორი მამა ლეონიდი, რომელმაც თავისის მჭევრმეტყველის ქადაგებით შეაგონა და დაანახვა ხალხს სასწავლებლის საჭიროება და სარგებლობა. ხალხმაც სიამოვნებით მოისმინა კეთილი ქადაგება, გამოაცხადა სურვილი და საქმედაც გარდააქცია. ამავე წელიწადს ააშენა სასწავლებლისათვის სახლი და უკანასკნელი გროში არ დაიშურა ამ კეთილისა და სასარგებლო საქმისთვის. როცა იგი მზად იყო მამა ლეონიდსა სთხოვა ხალხმა დაპირებისამებრ მასწავლებელი დაენიშნა თავისის ხარჯით ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას. მაგრამ სამწუხაროდ, რაღაც უცნაურის მიზეზის გამო ჯერაც არ ჰღირსებია გუდამაყარს სასწავლებელი და ამ სახით ხალხი სასოწარკვეთილებას მიეცა.

დიდს მადლსა და სიკეთეს იზამდნენ, ეს მადლიანი საზოგადოება და ის კერძო კაცნიც, რომელნიც ყოველს კეთილს საქმეს ხელს უწყობენ და საქველმოქმედო საქმისათვის შეძლებისდაგვარად არ იშურებენ შემწეობას, რომ ამ საქმისთვისაც ხელი შეეწყოთ. ვირდე სიტყვა საქმეზედ არის მისული და მამა ლეონიდის ქადაგებაც ხალხის გულში ჯერ ისევ თბილად ინახება, არ გაციებულა, არ გამქრალა, თორემ მერე გვიან-ღა იქნება და დარჩება ეს უბედური ხეობა ისევ იმ სიბნელით მოცული, როგორშიაც დღეს იმყოფება.

გ. დ.

ივერია – 1897. – N223. – 29 ოქტომბერი. – გვ.3-4.

ხაშმის სამონასტრო სკოლა

კვირას, 12 ოქტომბერს, აკურთხეს ხაშმის ერთ-კლასიანი სამრევლოს სკოლა, რომელიც არხიმანდრიტმა მამა ლეონიდმა დააარსა მისდამი რწმუნებულ იოანე ნათლის-მცემლის მონასტრის ხარჯით. კურთხევაზედ დაესწრნენ: თვით გამგე და დამაარსებელი სკოლისა მამა ლეონიდი, ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი მამა სერაფიმე, საეპარქიო ზედამხედველი სამრევლო სკოლებისა ბატონი ნ. გ. ტატიშვილი, ტფილისის სამაზრო სკოლების ზედამხედველი ბლაღოჩინი მღვდელი მამა მარკოზ ტყემალაძე, სართიჭალის მღვდელი მამა კორ. ელიზბაროვი, ხაზინადარი მონასტრისა მღვდელ-მონაზონი მამა გერასიმე და მრავალი ხალხი. მწირველი ბრძანდებოდა თვით არქიმანდრიტი ლეონიდი. წირვაზედ ჰგალობდა ქართულად აქაური მედავითნეთა

კრებული. წირვის შემდეგ ლიტანიით გაემგზავრნენ ახალის სკოლის შენობისაკენ, რომელიც მონასტრის გვერდზედ კოპწიად გამოიყურება. გარდახდილ იქმნა მცირე პარაკლისი, აკურთხეს წყალი და მერე თვით შენობა. კურთხევის შემდეგ მამა ლეონიდმა მშვენიერი მოკლე სიტყვა წარმოსთქვა სწავლა-განათლების მნიშვნელობის შესახებ.

სიტყვის შემდეგ მასწავლებელმა მამა ლეონიდის დავალებით, დაურიგა ყმაწვილებს ჯვრები და შემდეგ გამოაცხადა სია მიღებულ მოსწავლეებისა. როგორც სიიდგანა სჩანს მსურველ ქალ-ვაჟთა რიცხვი 90 აღემატებოდა თურმე, მაგრამ, რადგანაც ეს სკოლა მარტო ვაჟებისათვის არის დაარსებული, ქალებს უარი განეცხადათ. მიღებულ იქმნა ჯერ მხოლოდ 30 ყმაწვილი, რომელთა მშობლებმაც მასწავლებელს შემდეგი ხელწერილი მისცეს:

1) ყოველი საჭირო სასწავლო ნივთები და წიგნები, რასაც-კი მოითხოვს მასწავლებელი მოსწავლეებისათვის, მოვალენი ვართ ჩვენ ვუყიდოთ ჩვენს შვილებს.

2) სამს წლამდე ნება არა გვქონდეს ჩვენს ნებად გავიყვანოთ შვილები სკოლიდგან, სკოლის გამგეობის ნება-დაურთველად; უკლებად ვატაროთ სკოლაში, როგორც სასწავლო დღეებში, ისე კვირა-უქმეს ეკკლესიაში სასიარულოდ და არ მოვაცდინოთ ჩვენის შინაურ საოჯახო საქმეებისათვის.

3) შვილები უნდა ვატაროთ სკოლაში სუფთად და ფაქიზად ჩაცმულები, ერთფერის ტანისამოსით, რომელსაც თვით სკოლის გამგეობა განაწესებს.

4) შეგირდების მიღმა, დათხოვნის წეს-რიგი სრული უფლებაა სკოლის გამგეობისა და ჩვენ არავითარი ხმა არა გვაქვს ამ საქმეში.

5) უკეთუ რომელიმე ჩვენთაგანმა დაარღვიოს რომელიმე ზემოხსენებული მუხლთაგანი, დამნაშავემ სკოლის სასარგებლოდ გარდაიხადოს ჯარიმად ხუთი მანეთი.

თვით სკოლის ფართო და ლაზათიანი შენობა, მშვენივრად მოწყობილი ყოველის სასწავლო და საკლასო ნივთ-ავეჯეულობით, მამა ლეონიდმა თავის მონასტრის ხარჯით გაჰმართა და მასწავლებელიც თავისის ხარჯით მოიწვია.

ჩვენის მხრითაც ვისურვებთ ამ ახალის ნორჩის სკოლის წარმატებას და ნაყოფიერებას. ვინატრით, რომ თვით ხაშმის საზოგადოებაც ღრმად ჩაუკვირდეს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებას, შეიგნოს მისი ავან-ჩავანი, იცნოს მტერი და მოყვარე და ერთგულად მისცეს მხარი დიდად პატივცემულს, დაუცხრომელ მოღვაწეს, მამა ლეონიდის.

ნ. კ.

ივერია – 1898. – N8. – 13 იანვარი. – გვ.3.

სიტყვა

წარმოთქმული არხიმანდრიტის ლეონიდის მიერ 11 იანვარს სიონის საკათედრო ტაძარში ჩვენის სასიქადულო მეფის ერეკლე მეორის პანაშვიდის გარდახდის დროს

ვიგონებ დღეთა მათ პირველთა, და ვიწურთიდ.
(ფს. 76,6)

მხნეობითა და ვაჟკაცობით სახელგანთქმულს, ჭკუით მაღალს და კეთილშობილს ებრაელთა მეფე-წინასწარმეტყველს დავითს, რომელიც იყო უხვად დაჯილდოვებული მრავალ-გვარის სიკეთით, სხვათა შორის, ამკობდა და ამშვენებდა ის კეთილი, გონივრული, ყოვლად სასარგებლო და ყველასაგან წასაბაძი ჩვეულებაც, რომ ყოველთვის და ყველგან ახსოვდა თავისის ერის წარსული ცხოვრება, ბეჯითად და გულდასმით სწავლობდა თავისს წინაპართა თავგადასავალს, მათ ჭირსა და ლხინს, მათ ავკარგიანობას და ამით იწვრთებოდა, ესე იგი ამისდა მიხედვით, ამის დაკვირვებით და აწონით დაასკვნიდა ხოლნე, რა გვარი, ანუ რა ხასიათის განკარგულება და მოქმედება შესძენდა მის ერს ბედნიერებას და იქნებოდა იმავე დროს ღვთის საამო; მშობელის ერის განვლილ ცხოვრების გათვალისწინებით, მამა-პაპათა წარსულის ბედის ცხადად წარმოდგენის დახმარებით გადასწყვეტდა ხოლმე, რა იყო საჭირო თანამედროვე მემამულეთათვის, რა არგებდა მის ქვეშევრდომებს, რა ააცდენდა თავიდგან განსაცდელს და სხვა. ერთის სიტყვით, ამ მეფეს თავისის ცხოვრებისა და გამგებლობის გზის მაჩვენებლად, შუქ-მომფენ ლამპრად და მტკიცე ყავარჯნად მიაჩნდა წინაპართა წარსული ცხოვრება და ამ რწმენას მოკლედ და მარტივად გამოსთქვამს იგი უკვე მოყვანილ სიტყვებში: „ვიგონებ დღეთა მათ პირველთა, და ვიწურთიდ.“

ჩვენც, ხსენებულის წმიდა მეფისა მსგავსად შევკრებილვართ რა სიმრავლით ამ მამა-პაპეულ ძველის-ძველ სალოცავში, რომელიც მომსწრეა ჩვენის სამშობლოს მრავალის ჭირისაც და ლხინისაც, ვიხსენებთ ჩვენდა გასაწვრთნელად საქართველოს ცხოვრებიდგან ერთს საგულისხმიერო და ღირს-შესანიშნავ დღეთაგანს. დიდი და პატარა, ქალი და კაცი მოვსულვართ აქ იმ აზრით, რომ მოვიგონოთ საქართველოს სახელოვანისა, ნიჭიერისა, თავდადებულის, მოსიყვარულე პატრონ-ბატონისა, პატარა კახის, მეფე ერეკლეს ასი წლის გარდაცვალების დღე. დღეს სწორედ ერთი საუკუნე შესრულდა, სრულმა ასმა წელიწადმა განვლო მას შემდეგ, რაც მოისპო გმირთა გმირი მეფე ერეკლეს ქვეყნიური ცხოვრება, დღევანდელ დღეს ამ ასი წლის წინად გაწყდა სიცოცხლის ძაფი იმ მეფისა, რომლის სახელით ამაყობდა ყოველი ქართველი, რომლის შეხედვა გმირათა ჰქმნიდა მის ქვეშევრდომსა, რომლის რიხიანი ხმა თავს ზარსა სცემდა საქართველოს აუარებელს მტრებს; დღეს დიდი და პატარა მოვსულვართ აქ იმ აზრით, რომ შევავედროთ ზეციერ მამას სული იმ მეფისა, რომლის გონივრულმა და დიდად ბრძნულმა მოსაზრებამ შეგვინარჩუნა სამშობლო ენა, შეგვინახა ეს და სხვა მრავალი წმიდა ტაძარი, მამა-პაპათაგან ნაშრომ-ნაღვაწი ჯვარ-სახარება, სასიქადულო სახელი ქრისტიანობისა, დაგვადებინა ძირს

სისხლის საღვრელი ბასრი ფრანგული და დაგვაყენა მშვიდობისა, პატიოსან შრომისა და ზნეობა-გონების სწავლა-განვითარების მტკიცე გზაზედ.

ღვთის საამო და ერთა შორის სასიქადულოა ეს ჩვენი საქციელი. პატივცემითი ხსოვნა, არ დავიწყება და ყოველთვის მადლობით ხსენება იმათი, რომელთაც უღვაწიათ საზოგადო ბედნიერებისათვის, არ დაუზოგავთ თავიანთის სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვა მოძმეთა საკეთილდღეოდ და აღვსებულნი ყოფილან ღვთისა და მამულის უანგარო სიყვარულით, შეადგენს შთამომავლობის უმაღლესს და უუსაღმრთოესს მოვალეობას. „იცნა ხარმან მომგებელი და ვირმან ბაგა პატრონისა თვისისაო," სწერს ღვთივ-განბრძნობილი წინასწარმეტყველი ისაია (1,3) და რაზომ უმადურნი და უგუნურნი უნდა ვიყვნეთ ჩვენ, რომ დავივიწყოთ იმისი სახელი, რომელიც ღამეც-კი არ აძლევდა თავისს თავს მოსვენებას სამშობლოს კეთილდღეობისთვის შრომა-ფიქრის გამო, რომელიც პირველი იყო ყოველ გასაჭირში და იცოდა საოცარი გამხნევება ქვეშევრდომთა. „ძმებო, ყველანი სიკვდილის შვილნი ვართ, გარნა სიკვდილი მამულისა და მეფისათვის ყველაზე უდიდესია; გავწყდეთ ყველანი, მეც აქ თქვენში ვარ, ნუ უჩვენებთ მტერს ზურგს და ჩვენს გვარსა და სახელს ნუ მოვაყივნებთ." რად მოგვცემს ღმერთი კეთილს და რად წაგვიმართავს იგი ცხოვრებაში ხელს, თუ დავივიწყებთ რა და დავაფასებთ შრომას იმასას, რომელიც არასა ჰზოგავდა ხალხში ზნეობისა და სარწმუნოების აღდგენისათვის, რომელმაც სძლია ათასნაირი დაბრკოლებანი, შეჰკრიბა ქართლ-კახეთის მწყემს-მთავარნი და მათთან ერთად განარჩია და აღმოფხვრა ქართველთა შორის უწესოდ ქცევანი, დაუდვა მათ სჯული მტკიცე და შეურყეველი, გამართა სტამბა და აღავსო ყოველი ქართველი წიგნითა.

დიაღ, დღეს ჩვენ ვხდილობთ ერეკლეს პატიოსანის სახელის წინაშე ზნეობრივ ვალს, ვასრულებთ ამ საღმრთო მოვალეობას სიამოვნებით, სიწრფოებით, ქრისტიანულის სასოებითა და მტკიცე იმედით, რომ ღმერთი შეისმენს ჩვენს ლოცვა-ვედრებას, ყურად იღებს ამოდენა ერის ღაღადს და მართალთა თანა განუსვენებს მონასა თვისსა, კეთილ-მორწმუნესა მეფესა ჩვენსა, ერეკლეს, რომელიც მუდამ ჟამს გამზადებული იყო შეეწირა თავისი თავი ზვარაკად მამულისა და სარწმუნოებისათვის; ამასთან ერთად დიდი და პატარა ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ღვთივ-გაბრწყინვებული სული პატარა კახისა გახარებულია დღეს ჩვენის საქციელით და თავისებრივის მხურვალე სიყვარულით შესთხოვს, ეხვეწება და ევედრება ზეციერს მამას, რომ უმეტ-ნაკლებოდ შევიგნოთ და შევითვისოთ, ჯეროვნად გავითვალისწინოთ და შესაბამისად განვახორციელოთ იგი დიადი აზრი, რომელიც წინ წაიძღოლა და სარჩულად დაუდო მან საქართველოს სვე-ბედის მძლავრ რუსეთთან გაკავშირებას.

ქრისტიანობის შეურყევლად დაცვა, შენახვა დედა-ენისა შეუბღალავად, აღყვავება, განვითარება, წინმსვლელობა და ბედნიერება ერისა თავის სამშობლოსავე მიწა წყალში, მამა-პაპათა სისხლით განპოხებულ მიდამოში, აუარებელ გმირების წმიდა ძვლებით გაპატიოსნებულ ნიადაგზედ - აი ყველა ის, რისთვისაც იბრძოდა და დაუძინებლად იღვწოდა მეფე ერეკლე, რის გამოც ეკვეთებოდა ოსმალ-ყიზილბაშ-ლეკთა უთვალავ ლაშქართ, რის საპოვნელადაც აიხადა გვირგვინი, მოიხარა თავი რუსეთის ტახტის წინ, გადასცა თანამორწმუნე რუსეთის მძლავრ თვითმპყრობელს ბისონი, დიადემა, სკიპტრა და სფეროი. ვინ არ იცის რა სავსებით, სისრულით და სინამდვილით, რაგვარის დიდ სულოვნობით და კეთილშობილურად, მამობრივის ერთგულობით და პატრონულის

მზრუნველობით ასრულებდნენ და ასრულებენ დღევანდლამდის დიდბუნოვანნი, ქრისტეს მმოსავნი და მძლავრნი რუსთა მეფენი ერეკლეს ანდერძს და მის მხურვალე ხვეწნა-ვედრებას ქართველის ერის დაცვა-შენახვის, ქრისტიანობის განმტკიცებისა და ძვირფასის მამულის მოვლა-პატრონობის შესახებ? ვინ არ იცის, რა მტკიცედ და შეურყეველად დაიპყრეს ქართველის ერის თანაგრძნობა და ნდობა ჩვენმა მფარველმა და სარწმუნოებით ძმებმა - რუსებმა თავიანთი უანგარო, ქრისტიანობრივის პატიოსნების სათანადო ჩვენზედ გულშემატკივრობით, ჩვენი კეთილდღეობისათვის მზრუნველობით, ჩვენის სიხარულისათვის სიხარულით და ტკივილისათვის სიმგლოვიარით? ყოველი ამისი თვალ-საჩინო, ცხადი და უტყუარი საბუთი, სხვათა შორის, თვით ეს დღევანდელი დღეც არის: ეს დღევანდელი დღე, საგულისხმიერო განსაკუთრებით ქართველის ერისთვის, ჩვენთან ერთად უცვნიათ პატივსადებად რუსეთის ტახტისა და ერის წარმომადგენლებსაც და ჩვენთან ერთად ძმურად, მეგობრულად, ქრისტიანობრივის ერთობით განუზრახავთ მათ მარად სახსოვარის ერეკლეს სულის შევედრება ღვთის მიმართ. აი, ეს უკანასკნელი გარემოება - გამოცხადება რუსეთის ერის წარმომადგენელთა მიერ დღეს ქართველების მიმართ ერთგულობისა, მოქალაქობრივის მეგობრობისა და ქრისტიანულის სიყვარულისა გვადებს აწინდელ ქართველებს ერთგვარ მოვალეობას, რომლის დავიწყება და მომავალში არა განხორციელება გაგვხდის ზნეობრივ დამნაშავედ, როგორც წინაშე დიდებულის რუსის ერისა, ისე წინაშე ერეკლეს ბრწყინვალე სულისა. ეს დიდი და შვილიშვილთათვის საპასუხო ზნეობრივი მოვალეობა ის არის, რომ ამიერიდგან ყოველი ჩვენგანი თვითონ უნდა შეგნებით და მოსაზრებით ხელს უწყობდეს ჩვენსა და რუსთა შორის სულიერი კავშირის განწყობას, თვითონ უნდა ჰშველოდეს რუსებს და უადვილებდეს მათ იმ მძიმე ტვირთის განხორციელებას, რომელიც უღლად დაიდვეს საქართველოს შეერთებით, თვითონ ჩვენ უნდა ვცდილობდეთ აღვაშენოთ ჩვენი და რუსთა ერთობა მტკიცე და საიმედო საფუძველზედ. ამისთვის, ყოველი ქართველი მოვალეა სიყრმიდგანვე შეუდგეს თავისის თავის შესაწავლას, თავისის ერის წარსულის ცხოვრების კვლევა-ძიებას, გულ-დადებით შესმენას მამა-პაპათა საქებურ ზნე-ხასიათთა, შეთვისებას მათის პატიოსნების, დარბაისლობისა და მხნეობის და სხვათა სათნოებათა შესისხლ-ხორცებას.

საჭიროა მოვიპოვოთ და შევიძინოთ ყოველი ესე იმისთვის, რომ ჩვენი მფარველი ერი, ღვთის განგებით მოვლენილი პატრონ-ძმები ჩავახედოთ ძველის ქართველების სასიქადულო მოქალაქეობრივს ცხოვრებაში, დავანახოთ მათ სიდიადე ქართველის კაცის ბუნებისა, სისრულე ქართველის ერის გონებრივ განვითარებისა და ამგვარად აღვზარდოთ მათში ის ძმური ნათესაობრივი და მოყვასებრივი ჩვენდა გრძნობა, რომლის საპოვნელად მიეპყრა ერეკლეს თვალი რუსის ტახტის მპყრობელისაკენ და რომელიც არ მოჰკლებია საქართველოს მთელის საუკუნის განმავლობაში არც რუსის ერისგან და არც მის მპყრობელთაგან. თვით რუსეთის სახელმწიფოს უგანათლებულესნი და უკეთილ-შობილესნი შვილები გვასწავლიან, რომ ვიცას სიცოცხლე არ მოსძულებია და არ განუზრახავს თავისის თავის ქვეყნიდამ აღგვა, ვინც მოწადინებული არ არის გარდაქმნა-გადაგვარებას, სხვა ერის გამოუსადეგარ ბარგად და მავნე მეტ-ხორცად გახდომას, ის მხნედ უნდა ადგეს მამა-პაპათა ცხოვრების შესწავლის კვალსაო. და ეს ხომ ვცანით, რომ ყოველივე ამ განსაცდელს და სიგლახაკეს უფრთხოდა სამშობლოს მოყვარული მეფე ერეკლე, საქართველოს არსებობისა და კეთილ-დღეობისათვის მუდმივი ზრუნვა არ

ჰშორდებოდა არც დღე, არც ღამე. ქართველის ერის არსებობისა და მისის ბედნიერების მოპოვების განუსაზღვრელმა სურვილმა დაათმობინა მას მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით მიღებული სამეფო გვირგვინი და ათქმევინა სამუდამოდ უარი სამშობლოს გამგებლობისაგან, რომელიც შეავედრა და დაულოცა თანამორწმუნე რუსეთის ძალოვან მეფეებს. უკანასკნელნი დიდად ჰმადლობდნენ უზენაესს ესოდენ საღმრთო და დიადის ხვედრის მოვლენის გამო და მეფურად თავს იდვეს ქართველის ერის არსებობის დაცვა, მისის მშვიდობიანობის შეურყეველობა, მისის სულის თვისებათა შენახვა.

აი, რას გვამცნებს ყველას დღევანდელი დღე, რა ვალსა გვდებს დღევანდელი ეს ჩვენი კრება. მაშ მივიღოთ ჩვენც ამგვარი მცნება ჩვენს გარდუვალ მოვალეობად და შემდეგ მხურვალე ლოცვათა აღვლენისა, მიუძღვნად ჩვენის მხრით შესაწირავად სულით მნათობ ერეკლეს მტკიცე გარდაწყვეტილება, რომ ამ დღიდგან ბეჯითად შევუდგებით ყველანი იმის შეგნებასა, შეთვისებასა და მოპოვებას, რის დასაცავადაც იბრძოდა იგი სიყრმიდგან სიკვდილამდე, ხოლო ბრწყინვალე რუსეთის მეფეები, რომლებმაც ჩაიბარეს საქართველო და ეჭვი არაა, რომ დღეს ჩვენთან არის სულიერად, გავახაროთ და ვასიამოვნოთ მტკიცე და წრფელის აღთქმით, რომ რუსეთის ერის მამა-პაპათაგან ნაანდერძევ განუსაზღვრელ სიყვარულს, მოქალაქობრივს ერთობასა და განუყოფელ ნათესაობას არ ვუღალატებთ.

ივერია - 1898. – N57. – 15 მარტი. - გვ.2-3.

ქართული საეკკლესიო საუბარი ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკკლესიაში

ტფილისში წარსულს წელს დაარსებულის საეპარქიო სამისიონერო სასულიერო განათლების ძმობის საბჭომ სცნო აუცილებელ საჭიროებად – ამ დიდ–მარვაში გაემართა ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკკლესიაში ქართულს ენაზედ საეკკლესიო საუბრები ქართველების სასულიერო საჭიროების დასაკამყოფილებლად. ამ ფრიად მოსაწონის აზრის განსახორციელებლად ძმობის საბჭომ სწორედ რომ კარგის ადგილის და ისტორიულის მნიშვნელობის ტაძარი აღმოირჩია, ეს ტაძარი ქვაშვეთის წმიდის გიორგის ტაძარია, რომელიც მოწამეა საქართველოს თავზედ გადავლილთა თითქმის ყოველთა უბედურებათა და მწუხარებათა...

საეკკლესიო საუბარნი გამართულ იქმნენ ჯერ–ხანად ამ დიდ–მარხვაში. საეკკლესიო საუბრისთვის დანიშნულია დიდ–მარხვის თითოეული კვირა დღის საღამო. ამ დღეს ქვაშვეთის ტაძარში, საღამოს ხუთს საათზედ, იწყება ლოცვა, ლოცვას მოსდევს „დაუჯდომელი“ ღვთის მშობლისა, რომლის წილ–ხდომილია მრავალ–წამებული საქართველო. „დაუჯდომელის“ შემდეგ დანიშნულია საეკკლესიო საუბრის წარმოთქმა. პირველს კვირას დიდმარხვისას წარმოსთქვა საეკკლესიო საუბარი მარხვისა და იმისს მნიშვნელობის შესახებ ქვაშვვეთის წმიდა გიორგის ეკკლესიის წინამძღვარმა მამა მარკოზ ტყემალაძემ, მეორე კვირას – საეკკლესიო წიგნების კითხვის მნიშვნელობის შესახებ არქიმანდრიტმა მამა ლეონიდემ, – მესამე კვირას – დიდუბის მღვდელმა მამა კალისტრატე ცინცაძემ იესოს ჯვრის შესახებ. მეოთხე კვირას, – 15 მარტს წარმოსთქვამს საეკკლესიო საუბარს საქართველოს მეფის წმიდა დავით აღმაშენებლის შესახებ ტფილისის

სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ი. ფერაძე; მეხუთე კვირას–კი – იღუმენი მამა კირიონი.

ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკკლესიაში ამ საუბრების მოსასმენად იმდენი ხალხი არ დადის, რამდენსაც მოელოდა ძმობის საბჭო, – თუმცა არ შეგვიძლიან არ ღვნიშნოთ, რომ მაინც საკმაოდ დადის ხალხი ამ საუბრების მოსასმენად, რომელთა შესახებ თავისს დროს გამოუცხადა სამწყსოს მამა მარკოზ ტყემალაძემ... მაინც ამდენი ხალხი არ დადის, რამდენიც ყაზანის ღვთისმშობლის სამისსიონერო ეკკლესიაში, სადაც საეკკლესიო საუბარს რუსულს ენაზედ ამბობენ ძმობის საბჭოს დადგენილების თანახმად. ამ ტაძარში ხალხი არც–კი ეტევა საუბართა წარმოთქმის დროს...

ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი მამა სერაფიმე, რომელიც ძმობის საბჭოს თავმჯდომარეა, ძლიერ სცდილობს, რომ ქართულ საუბრების მოსასმენად იმდენივე ხალხი დადიოდეს, რამდენიც რუსულ საუბართა მოსასმენად დადის... ამ აზრით კვირას, 15 მარტს, და ამავე თთვის 22–საც საღამოს ლოცვისა და დაუჯდომელის კითხვის დროს ქვაშვეთის ტაძარში, მამა რექტორის სერაფიმეს განკარგულებით, იგალობებს ტფილისის სასულიერო სემინარიის ქართულ მგალობელთა გუნდი და ქვაშვეთის საეკკლესიო–სამრევლო სკოლის მოსწავლენიც. იმედია, რომ ქართველობა, უკეთუ მას მცირედ მაინც უღვივის სიყვარული სამშობლო ენისა და ღვთის–მსახურებისა არ დაიზარებს საეკკლესიო საუბრების მოსმენას ქართულს ენაზედ ქვაშვეთის ტაძარში... უკეთუ ქართველობა თანაგრძნობით მოექცევა და ივლის ამ საუბართა მოსასმენად, ძმობის საბჭოს თავმჯდომარეს არქიმანდრიტს მამა სერაფიმეს განზრახვა აქვს გააძლიეროს და გაახშიროს ქართულს ენაზედ საეკკლესიო საუბარნი. იგივე თავმჯდომარე სცდილობს გამოსცეს ქართულს ენაზედ საუკეთესო საეკკლესიო საუბრები ორიგინალური და რუსულიდგან ნათარგმნი. ამ მოკლე ხანში გამოცემულ იქნება გიმნაზიის საღმრთო სჯულის მასწავლებლის მ. ი. ვოსტორგოვის ფრიად საინტერესო საუბარი, ქართულად ნათარგმნი.

ივერია – 1898. – N71. – 2 აპრილი. – გვ.1.

ახალი ამბავი: - არქიმანდრიტი ლეონიდი, რომელიც ახლახან გორის ეპისკოპოსად იქმნა დანიშნული. ამ ჟამად 37 წლის კაცია. განათლება კიევის სასულიერო აკადემიაში მიიღო, სადაც სწავლა კანდიდატის ხარისხით დაასრულა. 1888 წელს მამა ლეონიდე კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლების ინსპექტორად და ზაქათალის მისიონერად იქმნა დანიშნული, ხოლო შემდეგ, 1889 წელს, საქართველოს საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს წევრად. 1892 წელს იღუმენის ხარისხი ებოძა და დანიშნულ იქმნა ჯერ ზედაძნის, ხოლო შემდეგ ხირსის მონასტრის წინამძღვრად. 1893 წელს არქიმანდრიტად აკურთხეს და საქართველოს ეპარქიის მონასტრების ბლაღოჩინად დანიშნეს. ხოლო 1896 წელს ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორის წევრად. ამის გარდა მამა ლეონიდე თავმჯდომარედ იყო სასულიერო წოდების ღარიბთა სამზრუნველოსი და იმ კომიტეტისა, რომელსაც ტფილისის საეკკლესიო ძველ ნაშთთა საცავი აქვს ჩაბარებული. მამა ლეონიდე მუდამ გულმხურვალე მონაწილეობას იღებდა ყველა საზოგადო საქმეში და ფულით თუ საქმით ეხმარებოდა.

ივერია – 1898. – N72. – 3 აპრილი. – გვ.2.

ბატონ მოსე ჯანაშვილის წერილის გამო

20 მარტს გაზეთ „ივერიაში“ იყო დასტამბული ბატონ ჯანაშვილის წერილი შემდეგი სათაურით: „მამა-პაპათა ანდერძი.“ წერილის ავტორი, მოგვითხრობს რა საქართველოს მეფის წმიდა ლუარსაბის მოწამებრივ აღსრულებას სპარსეთში, გამოსთქვამს სურვილს ამ მოწამის წმიდა ნაწილების გადმოსვენებისას მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძარში, რომელიც არის საძვალე ჩვენი მეფეებისა და წარჩინებულთა [ჯანაშვილის წერილით ლუარსაბის ხსენება უნდა აღდრულდეს 20 მარტს, ხოლო ქართული ეკკლესია იხსენიებს 21 ივნისს. რითი უნდა ავხსნათ ეს განსხვავება, ამის შესახებ როდისმე მოვილაპარაკებთ. ავტორი.] სწორედ კეთილშობილური და ყველასაგან მოსაწონია ბატონ ჯანაშვილის აზრი! ყოველი ერი, რომელსაც არ ჩაჰქრობია ხალხოსნური თვით-გრძნობა, რომელსაც ჯერ კიდევ უცემს მაჯა თვითარსებობისა, სცდილობს შეძლებისა დაგვარად არ დაივიწყოს თავისის მოდგმის საუკეთესო კაცნი, გაუთვალისწინოს შთამომავლობას მათი ღვაწლი და შრომა მამულის სასარგებლოდ, მათი დავალება სამშობლოსი, ის დიადი და საღმრთო აზრი, რომელსაც შესწირეს მსხვერპლად თავიანთი სიცოცხლე, რომელიც აკეთილშობილებს, აპატიოსნებს, სულიერად ამაღლებს და ზნეობრივად აფაქიზებს როგორც მთლად ერს, ისე თითოეულს მისს წევრს. საზოგადო მოღვაწე, რა ასპარეზისაც უნდა იყოს იგი, ძვირფასია თავისს მემამულეთათვის არა მარტო სიცოცხლის დროს, არამედ სიკვდილის შემდეგაც. ამითი აიხსნება, რომ როდესაც ამ რჩეულ კაცთ სიკვდილი სამშობლოს გარეშე მოჰხდომიათ, შთამომავლობას არ დაუტოვებია მათი გვამი უცხო ქვეყანაში, დიდის ამბითა და ლიტანიობით გადმოუსვენებიათ ძვირფასნი ძვალნი პატივსადებ მიცვალებულთა სამშობლოში და სათანადო პატივისცემით ჩაუსვენებიათ იმ მიწის გულში, რომელზედაც ირწებოდა ამ შესანიშნავ კაცთა აკვანი, რომელზედაც გაგორდა პირველად მათი ჭოჭინი და რომელზედაც აღიდგეს ფეხი. ყველაფერი ეს დაურღვეველ მოვალეობად და სავალდებულო მცნებადა აქვთ აღიარებული მოწინავე და გონება-განვითარებულ ერთ. საბედნიეროდ, ეს საღმრთო და მაღალი მცნება იხსენიება ხოლმე ხანდახან ისეთის დაქვეითებულ და შეუძლო ერისაგანაც, როგორიც ვართ, მაგალითად, ქართველები. გავიხსენოთ, როგორის პატივისცემითა და ჩვენგან შესაძლო სიყვარულით მოვასვენეთ განჯიდგან ჩვენის სახელოვანის მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი ქალაქ ტფილისს. მაგრამ რა სიტყვაში მოსატანია აწინდელი ჩვეულება? ღრმა სიყვარული შესანიშნავ კაცთა ნეშტთა მიმართ და განხორციელება ამ სიყვარულ-პატივისცემისა ნეშტთა გადმოსვენებით უცხო ქვეყნიდგან სამშობლო მამულში მომდინარეობს ისეთ შორეულ ჟამთაგან, როგორიც არის ებრაელთა ყოფნის დრო ეგვიპტეში. აი, სხვათა შორის, რასა ვკითხულობთ ამის შესახებ მოსე წინასწარმეტყველის პირველი წიგნის მეორმოცე თავის მეცამეტე მუხლში: „და მოიღეს (ეგვიპტით) იგი (ე. ი. იაკობი) ძეთა მისთა ქვეყანად ქანაანისა და დაჰფლეს იგი ქვაბსა შინა მრჩობლსა, რომელი მოიგო აბრაამ მოსაგებელად საფლავისა ძეთაგან ეფრონ ქეტელისათა, წინაშე მამბრესა.“

თუ დღევანდლამდე წმინდა მოწამე ლუარსაბის ნაწილები განისვენებენ უცხო ქვეყანაში, ეს უტყუარი ნიშანია ჩვენის სარწმუნიებრივის გულგრილობისა, ზნეობრივის დაკნინებისა, მამულიშვილობის დასუსტებისა და მოქალაქეობრივის გაბედულობის მოდუნება-მოშვებისა. მთიებრ მნათობნი ნაწილნი მოწამე ლუარსაბისა, განისვენებენ რა

არა ჭეშმარიტის სარწმუნოების აღმასრულებელის ერის მამულში, ვერა ჰხარობენ სამშობლო ენაზედ აღვლენილის ღვთის მსახურებით და ამის გამო ხმა მათი დღე მუდამ ჰღაღადებს ღვთისა მიმართ ჩვენდა სასჯელად. ეჭვს გარეშეა, რომ ეს რომ შეგვიტყონ გარეშე ხალხთა, ყველა დაგვძრახავს, ყველა დაგვარცხვენს, ყველა გაგვკიცხავს და დაგვამდაბლებს. დროა, სწორედ დროა ეხლა მაინც შევიგნოთ ეს ზნეობრივი ჩვენი მოვალეობა და ვიზრუნოთ, რომ სამშობლოსათვის სისხლის დამთხეველის გვამის ნაწილები ჩავასვენოთ სამშობლოს მიწაშივე, მისი ძვლები გავახაროთ მშობლიურ ენაზე აღსრულებულის ლოცვა-ვედრებით, რაიცა ისე უყვარდა ჩვენ მამა-პაპას და რის წყალობითაც დაგვიცვეს მათ ჩვენი მარჩენელი ძვირფასი მიწა-წყალი, ხოლო ვინ უნდა ივალოს ამ საღმრთო, საერო საქმის მეთაურობა? ჩემის აზრით, ამ საქმის განხორციელება უნდა თავს იდვას ქართლ-კახეთის სახელოვანმა თავად-აზნაურობამ, რომელსაც, საბედნიეროდ, დღეს წინამძღოლობს კეთილშობილი ნაკვთი თვით მოწამე ლუარსაბისა, ყველასაგან კეთილად ცნობილი და ღირსად პატივცემული თავადი კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ მუხრანბატონიშვილი. ამ საქმის განხორციელებით თავადი კონსტანტინე მუხრანბატონიშვილი გულითა და სულით შეაერთებს და დაუახლოვებს ერთმანეთს თავისს თანამემამულეებს, დააყენებს ქართველობის მომეტებულ ნაწილს მცირე ხნობით მაინც იმ სულის ამამაღლებელ და განმამხნევებელ გრძნობის ქვეშ, რომელსაც ჰქვიან მამულის სიყვარული, რომელიც არის კეთილ შობილის სულის უწარჩინებულესი თვისება. იმედია, ხმა ესე არ დარჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.“

არხიმანდრიტი ლეონიდე.

ივერია – 1898. – N80. – 16 აპრილი. – გვ.1.

მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა, 20 წარსულ მარტს, უმაღლესად კეთილ ინება და დაამტკიცა უწმიდესი სინოდის უქვეშევრდომილესი მოხსენება იმის შესახებ, რომ იოანე ნათლის-მცემლის უდაბნოს წინამძღვარს, არქიმანდრიტს ლეონიდეს ებოძოს გორის ეპისკოპოსობა, იმ პირობით, რომ სახელწოდება და ეპისკოპოსად კურთხევა ტფილისში მოხდეს.

ახალი ამბავი: - ჩვენ გვატყობინებენ, რომ ხვალ, 17 აპრილს, პირველ საათზედ, შესრულებულ იქმნება წესი ეპისკოპოსად სახელ წოდებისა არხიმანდრიტის ლეონიდისა, ხოლო მომავალ კვირას, წირვის დაწყების დროს, სიონის საკათედრო ეკკლესიაში აკურთხებენ გორის ეპისკოპოსად. ამ შემთხვევისათვის მოელიან კავკავის ეპისკოპოსს ვლადიმირსა და ალავერდის ეპისკოპოსს ბესარიონს. ეპისკოპოსად სახელწოდების წესს შეასრულებს საქართველოს ექსარხოსი, მთავარ-ეპისკოპოსი ფლაბიანე.

ივერია – 1898. – N82. – 18 აპრილი. – გვ.3.

არხიმანდრიტის ლეონიდეს სახელ-წოდების დღესასწაული

გუშინ, 17 აპრილს, პირველ საათზედ შესრულდა სახელ-წოდება არქიმანდრიტის ლეონიდესი ეპისკოპოსად. თერთმეტ საათიდამ ხალხმა დაიწყო დენა ექსარხოსის სასახლის ეზოში, განსაკუთრებით სამღვდელოებამ, მაგრამ არა ნაკლებ იყო სხვა საზოგადოებაც, რომელიც სასოებით მოელოდა ამ დღესასწაულის ხილვას. ჯვარის ეკკლესია თორმეტს საათზედვე აივსო ორსავე სქესის კაცთაგან; პირველის ნახევარზედ გაივსო დარბაზი ექსარხოსის სადგომისა, რომელშიაც ეკკლესიიდგან არის გასავალი, და მამაკაცთა საზოგადოება გავიდა დარბაზში, ხოლო ქალთა საზოგადოება დარჩა თვით ეკკლესიაში. დარბაზში იდგა გრძელი მაგიდა, გარს ედგა ოთხი სელი - ორი მარჯვნივ და ორი მარცხნივ. მარჯვნივ ბრძანდებოდნენ ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, ექსარხოსი სრულიად საქართველოისა და ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსი ალექსანდრე, ხოლო მარცხნივ ყოვლად უსამღვდელოესი ვლადიმირი, ეპისკოპოსი კავკავისა და იმერეთის ეპისკოპოსი ბესარიონი. სადღესასწაულო ცერემონია დაიწყო ამ რიგად: შეიმოსნენ ოთხივ ყოვლად სამღვდელონი მანტიებით და დაიჭირეს თავ-თავისი ადგილი. ჯვარის ეკკლესიიდგან გამოვიდნენ ორი არქიმანდრიტი მანტიებით - მამა სერაფიმი, რექტორი სემინარიისა, და კესარიოსი, ფერისცვალების მონასტრის წინამძღვარი; მას შემდეგ ეკკლესიიდგანვე გამოვიდნენ დეკანოზნი: ელიევი და მანსვეტაშვილი, თაყვანი სცეს კრებას, ლოცვა-კურთხევა მიიღეს, შებრუნდენენ და შემოიყვანეს არქიმანდრიტი ლეონიდე, რომელმაც კურთხევა მიიღო ექსარხოსის ფლაბიანესი და ყველა მღვდელ-მთავართა და ჩადგა მამა სერაფიმეს და კესარიოსის შუა, უკან ჩაუდგნენ ხსენებული დეკანოზები. მაშინ სინოდის კანტორის იმერეთის განყოფილების მდივანმა ს. მგალობლიშვილმა წაიკითხა უმაღლესი ბრძანება არქიმანდრიტის ლეონიდეს ეპისკოპოსად დანიშვნისა და გადასცა მეორე საპასუხო ბრძანება, რომელიც მამა ლეონიდემ ზეპირად წარმოსთქვა.

ბრძანებების წაკითხვის შემდეგ საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ მცირე მშვიდობიანი წარმოსთქვა, ხოლო საგალობლებს ყოვლად სამღვდელონი ამბობდნენ ნელად, ხმა ტკბილად და შეწყობილად.

ამ მცირე ლოცვის შემდეგ, რომელიც ფეხზედ წამოდგომით შესრულდა, მთავარ-დიაკონმა სიონის კათედრისამ მამა კონსტანტინე კარგარეთელმა მშვენიერის კილოს მიმოქცევით, რომელშიაც ძლიერება ხმისა შერთული იყო მის სინარნარე-სიტკბილესთან, წარმოსთქვა მრავალ-ჟამიერი ხელმწიფე იმპერატორისა, იმპერატრიცისა, დედისა მათისა, მემკვიდრისა, უწმიდესის სინოდისა და ახლად ეპისკოპოსად სახელ-წოდებულის არქიმანდრიტის ლეონიდესი. დასი ექსარხოსის მგალობელთა მწობრად იმეორებდა მრავალ-ჟამიერსა და ლეონიდეს ხსენების დროს ქართულად სთქვეს მრავალ-ჟამიერ.

გათავდა ლოცვა, შეჩერდა ზრიალი მთავარ-დიაკონის დიდებულის ხმისა, დარბაზი სმენად გადაიქცა. და აი ეს წმიდა სიჩუმე განაპო ტკბილმა, გრძნობით აღსავსე სიტყვამ მამა ლეონიდესამ, წარმოთქმულმა მშვენიერის რუსულის ენით. დაწყებიდანვე სიტყვისა თითქმის ყველა მსმენელს თვალში ცრემლი მოადგა. განსაკუთრებით საგრძნობელი იყო

სიტყვა მამა ლეონიდისა ექსარხოსის მიმართ, რომელსაც მიანდო თავი თვისი, როგორც პირუთვნელ, ღრმად განსწავლილ, გამობრძმედებულს და ბრძენს ყოვლად უსამღვდელოესს; ხოლო უაღრესი გავლენა იქონია მისმა ღრმა, სიყვარულით და უმაღლესის მადლობით აღსავსემ სიტყვამ მხცოვანის ეპისკოპოსის ალექსანდრეს მიმართ, რომელიც არის მკვიდრი ბიძა მამა ლეონიდესი.

ს. გ-ძე.

ივერია - 1898. – N83. – 19 აპრილი. - გვ.2.

ახალი ამბავი: - დღეს, 19 აპრილს, სიონის ტაძარში წირვის დაწყებამდის ეპისკოპოსად აკურთხებენ ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორის წევრს არქიმანდრიტს ლეონიდეს, რომელიც გორის ეპისკოპოსადა და საქართველოს ვიკარად არის დანიშნული.

ივერია – 1898. – N84. – 21 აპრილი. – გვ.1.

ახალი ამბავი: - კვირას, 19 აპრილს, სიონის ტაძარში, გორის ეპისკოპოსად ხელდასხმულ იქმნა ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორის წევრი არქიმანდრიტი ლეონიდე. წირვა და ხელდასხმის წესი შეასრულა საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ კავკავის ეპისკოპოსის ვლადიმირისა, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს და ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრის დროებით მმართველის ეპისკოპოსის ბესარიონის თანამსახურებით. ტაძარი სავსე იყო ხალხით, რომელთაც წირვის დაწყებამდე მოიყარეს თავი. სხვათა შორის წირვას დაესწრო გენ.-კავ. თავადი ი. გ. ამილახვარი, თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავადი კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი, კავკავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, ტფილისის ვიცე-გუბერნატორი კ. კ. სტეფანოვიჩი. საკურთხეველი სავსე იყო ადგილობრივის და სოფლებიდგან ჩამოსულ სამღვდელოებით. სავსე იყო ხალხით ეკკლესიის ეზო და სიონის ქუჩაც. წირვის დროს ჰგალობდა ორი ხორო - ექსარხოსისა - რუსულად და სემინარიის მოსწავლეთა - ქართულად. წირვის დაწყებამდის გამობრძანდა საკურთხევლიდგან ექსარხოსი ფლაბიანე და ადგილი დაიჭირა კათედრაზედ. ექსარხოსს უკან მოუდგნენ ეპისკოპოსები და წინ არქიმანდრიტები და დანარჩენი სამღვდელოება. შემდეგ დეკანოზის ელიევისა და მთავარ-დიაკონის კარგარეთელის თანძღოლით საკურთხევლიდგან გამოვიდა არქიმანდრიტი ლეონიდე, შეჩერდა ექსარხოსის ფლაბიანეს მახლობლად და გარდახდილ იქმნა ხელდასხმის წესი. წირვის დროს ახლად ეპისკოპოსად ხელდასხმულმა ეპისკოპოსმა ლეონიდემ სემინარიის სტუდენტი იაშვილი აკურთხა მთავრად. წირვის დასასრულ ხელახლად გამოვიდა საკურთხევლიდგან ექსარხოსი ფლაბიანე სამღვდელოებითურთ, ეპისკოპოსს ლეონიდეს ჩააბარა სამღვდელ-მთავრო კვერთხი და მოკლე, გრძნობით სავსე სიტყვა უთხრა. შემდეგ ექსარხოსის სასახლეში გამართულ იქმნა სადილი და მიწვეულ ყველა ტფილისში მყოფი ეპისკოპოსები, ახლად ხელ-დასხმული ეპისკოპოსი ლეონიდე და მრავალი სხვა.

ივერია – 1898. – N90. – 30 აპრილი. – გვ.1–3.

ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, ეპისკოპოსი გორისა, ვიკარი საქართველოს ქართლ-კახეთის ეპარქიისა

არიან ადამიანნი, თითქოს განგებისაგან გაჩენილნი რაიმე საქმისათვის. ამათგან არის დაშთენილი ხშირად ღრმა კვალი ცხოვრების ხნულში. ამ რჩეულთ ეკუთვნის, სხვათა შორის, უმაღლესად დანიშნული გორის ეპისკოპოსად, ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, საქართველოს საექსარხოსოს ვიკარი.

დიდ არს და ძნელ საეპისკოპოსო მოღვაწეობა, ეკლით და ნარით ფენილ არს გზა სამღვდელთ-მთავრო მათის სარბიელისა! ეპისკოპოსს მეტად, ვიდრე სხვა ვისმე, სჭირია იყოს დაჯილდოვებული უხვად ზეციურის მადლით: იგი უნდა წარმოადგენდეს მოწინავეს და მესვეურს, თავისი დროის წოდების წევრს, იყოს აღჭურვილი დიადის გონებრივისა და ზნეობრივის მადლით; მტკიცე, შეურყეველის ხასიათითა და პატიოსნებით; ქრისტიანულის მოყვასისადმი სიყვარულითა და საზოგადო საქმისათვის თავდადებით; პირადის მაღალის ზნეობით და წმიდა ღვაწლით ქრისტეს ეკკლესიისა და ერის წინაშე. მძიმე მოვალეობა უწევს მღვდელ-მთავარს, როდესაც ეკკლესიასა და სამშობლოს მოელის რაიმე საფრთხე და შიში; როდესაც მტერი, ვითა მძვინვარე მტაცებელი მგელი, მზა არს შევარდეს ფარეხსა ქრისტეს ეკკლესიისასა, რათა დაჰგლიჯოს ცხოვარნი მისნი და განფანტოს წმინდაი სამწყსო მისი. „მეცნიერებით აუწყე სულსა სამწყსოსა შენისასა და რათა დაადგინე გული შენი სამწყსოთა შენთა მიმართ.“ (იგავი. 22,23). საჭიროა დიდად მღვდელ-მთავარი განაღვიძებდეს და ჯეროვანად ჰკურნებდეს სულთა მძინარე უღირსთა მწყემსთა, რათა იგინი არევთა თვისთაგან მგელთა მტაცებელთა განაგდებდნენ და სულთა დასდებდნენ სამწყსოსა თვისისათვის, რათამცა არა მყვედრებელ იქმნენ პირველის მის მწყემსთ-მთავრის მიერ სიტყვითა იერემია წინასწარმეტყველისათა, რომელი იტყვის: „ჰოი, მწყემსნო, წარწყმენდელნო და განმაბნეველნო ცხოვართა ნაძოვრისა ჩემისათა, იტყვის უფალი. ამისთვის იტყვის უფალი ღმერთი ისრაილისა მწყემსთა ზედა, მწყსელთა ერისა ჩემისათა. თქვენ განაბნიენით ცხოვარნი ჩემნი და განაგარეენით იგინი, და არა მოიზიდენით იგინი. - აჰა მე შურ ვიგო თქვენ ზედა, ბოროტთაებრ სიმარჯვეთა თქვენთა, თქვა უფალმან.“ (იერემია. 23,1).

საქართველოს ეკკლესია იმ თავითვე იმითი იყო მტკიცე და შეურყეველი, რომ განგება უგზავნიდა ისეთ მოღვაწეებს, რომელნიც თავგანწირულად ჰშრომობდნენ მისდა საკეთილდღეოდ, მისის გონებითისა და ზნეობითის განვითარებისათვის. ასეთის ზნეობისანი იყვნენ ჩვენნი ძველნი მღვდელ-მთავარნი და ეპისკოპოსნი. იმათი ფიქრი და გრძნობა ქვეყნის დიდებას დასტრიალებდა თავს, რომლის გარეშე ყოველივე მისწრაფება და წადილი იყო „ამავოება ამავოთა.“ (ეკკლესიასტე 1,2). ისინი მოწინავე რაზმში იდგნენ, კვერთხით და ჯვარით ებრძოდნენ მტერსა, ლოცვითა და ვედრებით სასოებასა და ნუგეშს ჰფენდნენ საქართველოსა. იმათი სიქველე, მაღალი ზნეობა, დიადი გონებრივი ძალა, შეურყეველი პატიოსნება, მოძმეთა სიყვარული, ჩაგრულთა და მაშვრალთა შებრალება, დაუღალავი შრომა, მტკიცე სარწმუნოება დღევანდელის ქართველებისათვის გახდნენ

სანთლით საძებარნი ყოველ წოდებაში. დიდი, ძალიან დიდი, დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის სამღვდელოებას სამშობლოსა და ქრისტეს ეკკლესიის წინაშე. მართლ-მადიდებელი სარწმუნოება და თავ-განწირული სამღვდელოება აი, ის მძლეთა-მძლე ბურჯი, ის მტკიცე და შეურყეველი სალი კლდე, რომელზედაც მუდამ მაგრად იდგა ქართველი ერი და რომელთაც ფეხზედ წამოაყენეს, წარმატების გზაზედ დააყენეს, განაცხოველეს და განაძლიერეს მისი საზოგადოებრივი ცხოვრება; შეჰქმნეს მისი მრავალ-საუკუნოვანი ისტორია; მისცეს და დაიცვეს მისი ეროვნული თვით-არსებობა და სხვა და სხვა.

სამწუხაროდ, ულმობელთა დროთა ბრუნვამ სრულებით შესცვალა ის მაღალი ზნე, ის მთავარი აზრი და წმიდა გრძნობა, რომელიც სხივოსანის შარავანდედით ამკობდა ძველის სამღვდელოების, ბერთა და მონაზონთ ღვაწლს სამშობლოს და ქრისტეს ეკკლესიის წინაშე. მონასტერნი და ლავრანი დაცარიელდნენ, სამღვდელონი და მონაზონნი ზნითა და ქველობით დაკნინდნენ. მღვიმესა და მაღაროში მოღვაწეობა თითქმის აღარავის იზიდავდა; ხოლო თუ ვინმე ამ მოღვაწეობას ხელს ჰკიდებდა, მომეტებულნი წარსულს ზნესა, მცნებასა და აღთქმას აღარ მისდევდნენ.

სასიხარულოდ, ამ ბოლო დროს სასიამოვნო მოვლენას ვხედავთ: უმაღლესს სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულნი ქართველნი იწყებენ ბერ-მონაზონად შესვლას და ამ გზით სამსახურს ერისა და ქრისტეს ეკკლესიის წინაშე. ამგვარად ეკუთვნიან: ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, იგუმენი ქვათა-ხევის მონასტრისა კირიონი (გ. საძაგლიშვილი), ბერ-მონაზონი დიმიტრი (აბაშიძე) და სხვა.

აი, ეს ათი წელიწადია, რაც ყოვლად სამღვდელო ლეონიდე ჰმოღვაწეობს ძნელს სამონაზონო ასპარეზზედ. მისი მოღვაწეობა ამ სარბილეზედ იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროდ ვრაცხთ ვაცნობოთ საზოგადოებას მისი მრავალ ფოთლიანნი და კეთილ ნაყოფიერნი შრომა და ბიოგრაფიული ცნობანი.

ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, ერის კაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე, არის შვილი სოლომონ მღვდლისა. იგი ღვიძლი ძმისწულია ყოვლად სამღვდელოს ალექსანდრესი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსისა. დაიბადა გორის მაზრაში, სოფელ ნაქალაქევში, 1861 წელს, მაშასადამე ჯერ ყმაწვილი კაცია, 37 წლის. თავდაპირველი განათლება მიიღო ტფილისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც იმ თავითვე ყველა მოსწავლეების და მასწავლებლების ყურადღებას იზიდავდა, როგორც ღვთის მოსავი, სათნო ხასიათის და სწავლაში გულ-მოდგინე ყმაწვილი. სასულიერო მოღვაწეობის მისწრაფება და ბერულ ცხოვრების ტრფიალი მას თანდათან ემატებოდა და განსაკუთრებით განუცხოველდა კიევის აკადემიაში ყოფნის დროს, სადაც მეოთხე კურსზედ მან თავისის წმიდა ცხოვრებით ცნობილის აკადემიის რექტორის სილიბისტრეს ზედ-გავლენით სურვილი განაცხადა ბერად აღკვეცისა და კიდეც აღიკვეცა 1887 წელს. მეორე წელს მან დაამთავრა წარჩინებულად სასულიერო აკადემიაში სწავლა, მიიღო ღვთის მეტყველების კანდიდატობის ხარისხი. ხელ-დასხმულ იქმნა მღვდელ-მონაზონად და გამოემგზავრა სამსახურისთვის საქართველოს საექსარხოსოში.

ამ საუკუნის დასაწყისში, შემდეგ ერთ-მორწმუნის ძლევა-მოსილის რუსეთის სახელმწიფოს მიერ თავისს მფარველობის ქვეშე საქართველოს მიღებისა, თუმცა ამ ქვეყანაში დამკვიდრდა მშვიდობა და მტერთაგან უშიშრობა, მაგრამ მრავალ საუკუნეთა ჩაგვრამ მაჰმადიანთ ქრისტეს ჯვარისა და სარწმუნოების მტერთაგან, ღრმა შავ-ბნელი

კვალი დაასვა ქართველების ცხოვრებას და მათ სარწმუნოებით-ზნეობრივს შეხედულებას. ამ ზნეობრივ-დამაქვეითებელ გავლენას მოჰყვნენ მომეტებულად უფრო საქართველოს განაპირა ნაწილები და ხალხნი: თუშ-ფშავ-ხევსურნი, ინგილო-გაღმა-მხარელნი; ოსნი აბხაზნი, სვანნი, ქობულეთელ-აჭარელნი და სხვანი. საზოგადოდ აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქართველოს განაპირა ერნი. თუმცა ქრისტიანობა ამ ქვეყნებში აი ეს მე-15 საუკუნე იქმნება, რაც გავრცელდა, მაგრამ სარწმუნოებრივი მათი რწმენა-შეხედულება ძალიან შორსა სდგას ქრისტიანულ მართლმადიდებლობითის ეკკლესიის დოღმატიურ სწავლისა და წესრიგისაგან. სარწმუნოება მათი გარყვნილია მაჰმადიანობითა და წარმართობით, მართლმადიდებელ სამღვდელო კაცთა გარდა, იმათა ჰყავთ თავიანთი სამღვდელონი: ხუცეს-დეკანოზები და სხვა.

აი, ამისთანა სურათს წარმოადგენდა მდგომარეობა ამ საქართველოს განაპირა ნაწილების ხალხთა, რომელთ სულიერ ხელმძღვანელად, სარწმუნოების-ზნეობრივ მხრივ, იყო მოწოდებული ჯერედ ახალგაზრდა, ახლად აკადემიაში სწავლა დამთავრებული მღვდელ-მონაზონი ლეონიდე, დანიშნული მისსიანერად და ინსპექტორად ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლებისა იმ დროის ექსარხოსის, აწ უპირველესის სინოდის წევრის, მიტროპოლიტის, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის პალლადის მიერ. დიდი უვიცობის უტეხი ტყე ედვა წინ გასაკაფავად ყოვლად სამღვდელოს. რომელს მარტო-ხელს მთესველს შეეძლებოდა არ გასტეხოდა გული განათლების თესვის დროს იმისთანა ყამირში, რომელსაც განათლების ბარი და საკვეთი პირველად ჰხვდებოდა. მაგრამ ასეთი როდის არის ყოვლად სამღვდელო. მან თავისის მგრძნობიარე გულით ალღო აიღო, რომ განათლება ის ქვა-კუთხედია, ის დედა-ბოძია, რომელზედაც უნდა იყოს დამყარებული თაღი ჩვენის ერის კეთილდღეობისა. ამიტომ მანამ ამ დედა-ბოძს მკვიდრს ნიადაგზედ არ დააყენებდა, ამ ქვა-კუთხედზედ არ ააგებდა საკურთხეველს პატიოსანის შრომის თაყვანის-მცემელთათვის, მანამდე ნამდვილის წარმატებისა და განათლების მადლი ჩვენ იქმნება არ გვღირსებოდა და მოგვხდომოდა.

თავისის სამშობლო ერის ამისთანა არა-სანატრელ მდგომარეობისა გამო ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა იდო თავს მოღვაწეობა, რათა გაენათლებინა ნათლითა ქრისტეს სახარებისათა ეს მივარდნილნი საქართველოს კუთხენი. თავისის აზრის მისაღწევად მან აღირჩია ორი საშუალება: სკოლა და ცხოველი ქადაგებითი სიტყვა.

თანამდებობაზედ დანიშვნის უმალ მას ვხედავთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მთელის თვეობით სცხოვრობს იგი მთებში, სადაც ჰქადაგებს და არიგებს ხალხს ხან ერთ, ხან მეორე, ხან მესამე სოფელში. მას შეხვდებით თერგის ოლქში, თუშეთში, ხევსურეთში, ფშავეთში, აბხაზეთში, გაღმა-მხარში ლეკებსა და ინგილოებს შორის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში და სხვა. ზოგს ადგილას ხსნის იგი სკოლებს, ზოგან ეკკლესიის კრებულთათვის სადგომებს, ზოგან აღადგენს ნანგრევთაგან „ტაძართ შთენთ დიდებულთა და მონასტერთა აოხრებულთა,“ სადაც ძველად ჰყვავოდნენ და აღიზრდებოდნენ საქართველოს ერთგული მოღვაწენი.

მისის მეცადინეობით, სხვათა შორის, აღდგნენ ნანგრევთაგან თვისთა ქურმუხისა და თასმალოს ეკკლესიანი, ზაქათალის ოლქში, სადაც აშენებულ იქმნენ ეკკლესიის კრებულთათვის სადგომები.

ენა-ტკბილმა და თავაზიანმა, მარტივმა ცხოვრებაში და ყველასათვის მისაწვდომ მოსახვედრმა, გულ-კეთილმა და წრფელმა ყოვლად სამღვდელომ მოღვაწეობის

დასაწყისიდანვე მიითვისა და დაიახლოვა ყველანი, ვისთანაც-კი საქმე უნდა დაეჭირა; გაამხნევა თითქმის სასოწარკვეთილი მასწავლებლები ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სასწავლებლებისა; გაუღვიძა მოწაფეთ ცნობისმოყვარეობა სწავლის შესათვისებლად და მისაღებად; შეაგნებინა მოსწავლეთა მშობლებს ბავშვების ქრისტიანულ სარწმუნოებაზედ აღზრდის უპირატესობა და საჭიროება და სხვა. სულ მცირე ხნის განმავლობაში ყოვლად სამღვდელომ გააორკეცა რიცხვი იმ 25 საზოგადოების სასწავლებლისა, რომელიც ჩაიბარა მან განწესების დროს. ყველგან დაიყოლია ხალხი აეშენებინათ სასწავლებლისათვის ახალი და მოხერხებული შენობები და ბავშვები მიეცათ სასწავლებლად სკოლაში.

არანაკლებ მრავალფეროვანი და მრავალ ნაყოფიერი იყო მოღვაწეობა ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა ქიზიყში. მისის შრომითა და თაოსნობით გადაკეთებულ იქმნა აქ საწინამძღვრო შენობა და შესანიშნავი ტაძარი ხირსის წმიდა სტეფანეს მონასტრისა, დიდებული ნაშთი მეშვიდე საუკუნისა. დაეგო ახალი იატაკი ტაძარში, დაედგა ახალი მშვენიერი ლუსკუმა წმიდა სტეფანეს საფლავზედ, გაილესა და გამშვენიერდა ტაძარი, შეაკეთებინა კარგად ვენახი და სხვა. აქვე გაიხსნა საეკკლესიო სამრევლო სკოლა. ეს უკანასკნელი პირველ ხანში ინახებოდა ყოვლად სამღვდელოს ხარჯით, მხოლოდ ბოლო დროს, მისის შუამდგომლობით უწმიდესმა სინოდმა დანიშნა მისს შესანახად 300 მანეთი. ყოვლად სამღვდელოსავე თაოსნობით გაიხსნა ასეთივე სკოლა ხაშმში მშვენიერის, კარგად მოწყობილის შენობით და 300 მანეთი მასწავლებელისათვის ჯამაგირად.

ასეთი ერთგული და მრავალ ნაყოფიერი სამსახური ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა, რასაკვირველია, არ დარჩა უყურადღებოდ უწმინდესის სინოდისაგან. ერთგულის სამსახურისათვის და სამაგალითო ცხოვრებისათვის მღვდელ-მონაზონი ლეონიდე ისევ 1889 წელს დაჯილდოვებულ იქმნა ხაბარკულით; იმავე წელს დაინიშნა ქართლის საეპარქიო სამრევლო საბჭოს წევრად. ძალიან მალე, შემდეგ ამისა, ნაყოფიერი სამისსიონერო მოღვაწეობისათვის დაჯილდოვებულ იქმნა მკერდის ჯვრით და აღყვანილ ზედაძნის მონასტრის წინამძღვრად. 1893 წელს უწმიდესის სინოდის ბრძანებისამებრ დანიშნულ იქმნა ხირსის წმიდა სტეფანეს მონასტრის წინამძღვრად და აღყვანილ არხიმანდრიტის ხარისხზედ, ამასთან დარჩა მისსიონერად და ინსპექტორად. იმავე წელს არხიმანდრიტი ლეონიდე დაინიშნა ქართლ-კახეთის ეპარქიის მონასტრების ბლაღოჩინად. 1896 წლიდან იგი გადმოყვანილ იქმნა დაჯილდოებით სინოდის ქართლ-იმერეთის კანტორის წევრად და წინამძღვრად იოანნე ნათლისმცემლის უდაბნოისა.

ამ ბოლო დროს ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს ცოტა შრომა არ მიუძღვის, როგორც თავმჯდომარეს სიონთან დაარსებულის არქეოლოგიურ სიძველეთა მუზეუმისას, თავმჯდომარეს დაბადების გამასწორებელ კომიტეტისას და თავმჯდომარეს სასულიერო წოდების ღარიბთა სამზრუნველოსას.

მეორე მხარეს ყოვლად სამღვდელო ლეონიდის მოღვაწეობისას შეადგენს, როგორც ვსთქვით, მისნი მოძღვრებანი და ქადაგებანი. ყოვლად სამღვდელომ, როგორც სიყრმითვე თანაშეზრდილმა თავისს სამშობლოს ბუნებასთან და თანამოძმეების სვე-ბედთან, კარგად იცის ადგილობრივ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება, ზნეობრივი მათი ელფერი, გონებრივი შეხედულება და სარწმუნოებრივი გრძნობა. ამისათვის ყოველი მისი სიტყვა დიდად ჰმოქმედებს ხალხზედ და ღირსეულის ნაყოფითაც გვირგვინდება, რადგანაც იგი

შეთანხმებულია ადგილობრივ ვითარებასთან, რაიცა აორკეცებს მისს მოღვაწეობას ამ სარბიელზე.

წმიდის გრძნობით მივულოცავთ მღვდელ-მთავრობის ხარისხის მიღებას და ვისურვებთ მისთვის ხანგრძლივს მოღვაწეობას სამშობლო ერისა და ქრისტეს ეკკლესიის სასარგებლოდ. დიდად მოხარულნი ვართ, რომ ღვაწლი, შრომა, ნიჭი და განათლება ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა ღირსეულად დაფასებულ იქმნა.

მით უფრო გვიხარის, რომ მას ჰხვდა წილად სამსახურისათვის ის ქრისტიანობის უძველესი აკვანი, რომელსაც შეადგენს დედა ქართლი.

ა. ნატროშვილი.

ივერია - 1898. – N92. – 2 მაისი. - გვ.1.

ახალი ამბავი: - ოთხშაბათს, 29 აპრილს, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდათ მცხეთის ტაძრის გამნაახლებელ კომიტეტის წევრთ. თავმჯდომარის წინადადებისამებრ კრებამ დაადგინა: ვთხოვთ საქართველოს ექსარხოსს მაღალ ყოვლად სამღვდელო ფლაბიანეს, რომ კომიტეტის თავმჯდომარეობა თვითონ იკისროს. კრებას მოჰხსენდა აგრეთვე, რომ კომიტეტის წევრებად მიღებულ იქმნენ: დიდუბის ეკკლესიის წინამძღვარი მამა კალისტრატე ცინცაძე და ბატონი ა. ი. ნატროშვილი. კრებამ ერთხმად მიიღო ეს წინადადება. ამის შემდეგ ლაპარაკი აღიძრა ტაძრის განსაახლებლად შემოწირულებათა შეკრების საქმის გაწეს-რიგების შესახებ, რადგან შემოწირულებათა შეკრება უკვე უმაღლესად ნება-დართულია. კრებაზედ გამოირკვა: ა). მეტად სამწუხარო ყოფა-მდგომარეობა ამ სიწმიდისა და ბ). ის, რომ შემოწირულება მაგრე რიგად არ შემოსულაო. სულ მოგროვდა 9.000 მანეთი და ტაძრის განახლებას-კი დასჭირდება 200.000 მანეთი. კომიტეტმა დაადგინა: ა). იზრუნოს მცხეთის ტაძრის საისტორიო-საარქეოლოგო აღწერისა, ტაძრის კარგად გადაღებულის სურათისა და ტაძრის განსაახლებლად მოწოდების დაგზავნის შესახებ. ტაძრის აღწერა მიენდოს კომიტეტის წევრს ბატონს ნატროშვილს, მოწოდების შედგენა მღვდელ კალისტრატე ცინცაძეს და სურათის გადაღება - ფოტო გრაფს ბატონს როინაშვილს; ბ). ყველა ამ საგნების დამზადების შემდეგ შემოწირულებათა შესაკრებად რუსეთში გაიგზავნოს მღვდელი კალისტრატე ცინცაძე და ყარსის ოლქის ბლაღოჩინ-მღვდელი მ. კომარი, რომელთაც უნდა გადაეცეთ შუამდგომლობანი პეტერბურგისა, კიევისა და მოსკოვის მიტროპოლიტებისა და სხვა მაღალ წოდების კაცთა წინაშე შესაფერ დახმარების აღმოსაჩენად შემოწირულებათა შეკრების საქმეში. ადგილობრივ ამიერ-კავკასიაში შემოწირულებათა შეკრება მიენდოს მღვდელ-მონაზონს მამა გერასიმეს და სხვათ, რომელთაც დასახმარებლად მიჰმართავს კომიტეტი.

აღიძრა აგრეთვე ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა საშუალება უნდა იქმნას ხმარებული ტაძრის განახლების დროს, რომ ტაძრის პირვანდელი სახე იქმნას დაცულიო და კომიტეტმა დაადგინა, ამ აზრის განსახორციელებლად საჭიროა მივმართოთ იმ ხუროთ-მოძღვართ, არქეოლოგთ, რომელნიც იცნობენ და შესწავლილი აქვთ ეს ტაძარი, სახელდობრ, მაგალითად, პროფესორს კონდაკოვს, თავად ტრუბეცკოის და საარქეოლოგო საზოგადოების თავმჯდომარეს გრ. უვაროვისას და ვსთხოვოთ დაგვეხმარონ ამ საქმეშიო.

ივერია – 1898. – N94. – 5 მაისი. – გვ.2–3.

სიტყვა
წარმოთქმული ლეონიდის მიერ
მისის ეპისკოპოსად სახელწოდების დღეს

თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ, ღვთივ განმბრძნობილნო მღვდელთ-მთავარნო და მამანო! ყრმობისა ჰასაკითგანვე დაჯერებულ ვიყავ და მტკიცე რწმენა მქონდა, რომელ პირისაგან ღვთისა გამოვალს განმართლებაი კაცისა. (ფს. 16,2). და უფლისა მიერ წარემართების სლვაი მისი. (ფს. 36,23). მადლითა ღმრთისათა გარეშე წმიდისა და მაცხოვნებელისა ამის ჭეშმარიტებისა მე არა მქონებიეს არცა ერთი დღე ცხოვრებასა შინა ჩემსა, გარნა იგი ჭეშმარიტება უფროსად ცხოველ და განსაკუთრებულ მიჩნს აწინდელსა, ჩემთვის უაღრესსა, ამას წამსა, ოდესცა განცხადებულ იქმნა ნება საყდროსანისა აღყვანებად ჩემდა, ჭაბუკისა საეკკლესიო მსახურებითა, უაღმატებულესსა ხარისხსა საეკკლესიო მსახურებისასა, - მსახურებასა მღვდელ-მთავრობისასა. გონებითა ჩემითა განვიცდი-რა წარსულსა და აწმყოსა ჟამსა ცხოვრებისა ჩემისასა, უმეტესადრე ვსასოებ თქმულისა ამის ჭეშმარიტების მტკიცე ყოფასა და სრულის სიცხადით ვხედავ ჩემზედა ღვთის მზრუნველობითსა მარჯვენესა, წინაისწარ მანმმზადებელსა აწინდელისა ამის ჩემის ხვედრისასა.

მყოლიეს მე წინაპარნი, რომელნი თაობითი თაობად მღვდელობდნენ ეკკლესიის მწყემსთა გუნდთა შორის და მეცა მაქვნდა კურთხევა ზეციერისა მამისა დაბადებად ეს ვითარცა კერასა, რომლისა ცხოველი მოწოდება იყო დანერგვა და განმტკიცება ქრისტიანობრივის კეთილ-მსახურებისა მისის სახლისა ყოველთა წევრთა შორის. მიზეზისა ამის გამო უწინარესადრე განმიკვეთეს მე გულმოდგინედ სლვა ტაძარსა უფლისასა, დგომა და კითხვა მას შინავე, ხოლო სახლსა შინა წმიდად დაცვად კეთილ-მსახურებითთა წესთა და დადგენილებათა ეკკლესიისათა. რვისა წლისა განმაშორეს მე მშობლიურსა საფარველსა და მემცეს სასულიეროსა სასწავლებელსა, გარნა აქაცა კეთილ-მომქმედი მარჯვენე ღვთისა თანამგზავრ მექმნა მე: მარჯვენემან მან დამადგინა მე უმახლობელესსა ზე-გავლენასა ქვეშე ნათესავისა ჩემისა მღვდელ-მთავრისასა, რომელი აწცა მნათობიერებს სასანთლესა ზედა ქრისტეს წმიდა ეკკლესიისასა. თქმულმან მამათმთავარმან, რომელი მექმნა მე მოადგილედ მშობელთა ჩემთა, მომანიჭა მე უმეტესი შეძლება მეგემა კეთილმყოფელობა და მრავალსატფურობა დედისა ჩვენისა მართლ-მადიდებელ ეკკლესიის წიაღისა და მანვე საუკუნოდ შემაერთა ეკკლესიასა ამასთან განუყრელის სიყვარულითა და სარწმუნოებრივის კავშირით. ვიყავ-რა მეორისა ამის მშობლისა ჩემისა საღმრთო მსახურებათა მხილველი, მისი უაღმატებულესად საჩინო წესი მსახურებისა წარმიტაცებდა მე მარადის და მახსოვრობასა ჩემსა არა დაუცავნ არცა ერთი შემთხვევა, რომე დიადსა მისსა აღსლვასა საკურთხეველსა შინა, ბრწყინვალედ მნათობიერთა ორ და სამ რტოვან სასანთლეებითა მარცხენესა და მარჯვენესა ხელთა შინა პყრობით, არა გამოეწვიოს თვალთა ჩემთაგან წმიდანი ცრემლნი ლმობიერებისანი.

ერთსა ამგვარსა ხილვასა მსახურებისა ჩემის კეთილისმყოფელისასა, უცხადესად მომესმა იდუმალი ხმა მოწოდებისა თვით ვიტვირთო მსახურება ეკკლესიისა

სამღვდელოითა ხარისხით. ჰასაკისა და წელთა ზრდასაზევე მეზრდებოდა და მემტკიცებოდა მე ესე უზეშთაესი შთაგონება. გარნა სულისა ჩემისა სწრაფვა იყო შეძლებისა და გვარად ვრცლად და მრავალნაყოფიერად მოქმედება ყანობირსა ზედა უფლისასა და თანავე აღტყინებულ იყო სურვილითა მისწდომოდა უმაღლესსა მეცნიერებასა, ვითარცა უმართლიერესსა სახსარსა უსირცხვოდ განგრძობად ქრისტეს საქმისა და ღირსებით დასაცველად წმიდისა დედის ჩემის ეკკლესიისა, მისის კეთილ-განმართვისა, განმტკიცებისა და განვრცელებისა ქვეყანასა ზედა.

დიდითა მოწყალებითა ჩემდამო ყოვლად სახიერისა უფლისა ესე უუსატრფიალოესიცა სურვილი სულისა ჩემისა შესრულებულ იქმნა, ვეღირსე მე შესლვად კიევისა სასულიეროსა აკადემიას შინა, და აი აქ, ერთის მხრივ, რწმენით აღსავსე ქრისტიანებრივმა ცხოვრებამ უმეტესთა ჩემთა მასწავლებელთა და, მეორეს მხრით, ცხოველმა მაგალითმა იდიალურის ბერის, აკადემიის უფროსის, საღვთისმეტყველო სიბრძნის მნათობისა, ყოვლად სამღვდელოს სილიბისტროსმან, შეურყეველად მიმიზიდეს მე მიღებად მონაზონებრივისა წოდებისა. 12 ივნისს, 1887 წელს გარეშე ყოვლის რყევისა წარმოვსთქვი მონაზონებრივი აღთქმანი სწორედ იმ ადგილას, საცა იღვწოდნენ უდიდესად სათნოყოფილნი ღვთისა მიერ ღირსნი ანტონი და თეოდორე მღვიმელნი.

იგივე, - ყოვლად სახიერი და მოწყალე მამა ჩემი ზეციერი, განაგებდა ცხოვრებასა ჩემსა შემდეგცა აკადემიისა მისგან გამოსლვისა. მისის ბრძნულის განგებულებით წილყოფილ იქმნა ჩემდა სასურველი ხვედრი, რათა ცხოველისა და უკუნისამდე არსისა ღვთისა სიტყვითა აღმეორძინნა მე მკვიდრნი მშობლიურთა ჩემთა კავკასიის მთათანი და ქრისტიანებრივი აღზრდა შვილთა მათთა მეტვირთნა. გარნა თანამდებობათა ამათ შესრულებასაზე დავუახლოვდი, შევუკავშირდი და შევისწავლე სულიერი მისწრაფება იმ ერისა, რომლისა მსახურებად მოვიწოდები აწ უაღმატებულეს ხარისხოვანი თვით-მპყრობელის ბრძანებითა.

ვხედავ, უცხადესად ვხედავ, რომელ მენიჭება მე დიადი მოქმედება, ვგრძნობ კარგად, რომე მრავალი ნიჭი სახმარ არს ჩემდა, რომელსა მოკლებულ ვარ, და, მიუხედავად ამისა, არ უარ ვყოფ ტვირთსა საეპისკოპოსო მსახურებისასა, არ უარ ვყოფ მისთვის, რომე უწმიდესისა სინოდის აღრჩევასა და ნება-ყოფლობასა უსაღვთოესისა და საყდროსან უფლებისასა, რომელნი მიწოდებენ მსახურად ახალსა ხარისხსა ზედა, განვჭვრეტ ნებასა მთავრისა და მომცემლისა ჩვენის რჯულისასა. ამისა გამო ლმობიერებით თავს ვიხრი წინაშე ნებისა ღმრთისა კეთილისა სათნოისა და სრულისა. (რომაელ. 12,2). და, აღსავსე გულითადის მადლობით და კრძალულებით მორჩილებით ვღაღადებ: - ხელთა შენთა შინა არს, ღმერთო, მკვიდრობაი ჩემი (ფს. 30,16). უფალმან გულთამხილავმან უწყის, რომელ მე არა მოვიძიებდი პატივსა საეპისკოპოზოსა, ვმუშაკობდი ჩემსა შეუმჩნეველსა სარბიელსა ზედა აზრითა მით, რომე ვშრომობ არა კაცთათვის, არამედ ღვთისათვის; ვშვრებოდი, ვითარცა მწირი - მორჩილი თვისთა უფროსთა. მრწამს-ღა აწ, რომე უკეთუ უფალმან ღმერთმან ინება ჩემი მოწოდება, იგივე მოინებებს მომანიჭოს მე ძალნიც, თანამდებანი მსახურებისა მისისათვის. განმზადებულ არს, უფალო, შენდამი გული ჩემი! მოვალ მოწოდებისა შენისადამი, უგულებელ მყოფელი უძლურებისა ძალთა ჩემთათა, ვინაითგან შენ ხარ ძლიერებაცა ჩემი, შენ ხარ ღმერთი ჩემი და სიხარული ჩემი!

ვმადლობ მეუფესა ცხოვრებისა ჩემისასა, რომე მიჩვენა მე ადგილიცა მსახურებისა ჩემისა სამშობლოსა და ცნობილსა ქვეყანასა შინა, ქვეყანასა, რომელი უწინარეს ჟამითგან

ცნობილარს შეურყეველის რწმენით ქრისტეს წმიდა სწავლისა და ყოვლად უცხოი ქსელთაგან მწვალებლობისა და ცრუ მოძღვრებათაგან.

ვმადლობ შემოქმედსა ჩემსა, რომე პირველნი, არა მტკიცე ნაბიჯნი სარბიელსა ზედა საეპისკოპოსო მსახურებისასა, მისაჯა მე შესრულებად ბრძნულსა და გამოცდილსა წინამძღვრებასა ქვეშე შენსა, მხნეო მამადმთავარო საქართველოს ეკკლესიისავ. ნება მეც ვიგულვო მტკიცე რწმენა, რომე შენ განმიკითხავ მამობრივის სიყვარულით, ნაკლულევანებასა აღმივსებ, შრომათა და ღვაწლთა შინა მწე და ხელმძღვანელ მექმნები.

გლოცავ თქვენ, უწმიდესნო მღვდელ-მთავარნო და მამანო, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერითა და სიყვარულითა სულისა წმიდისათა, თანამოღვაწე მექმნენით მე ლოცვათა შინა ჩემთვის ღმრთის მიმართ (რომაელ. 15,30) და თქვენითა კურთხევითა გარდამოავლინენით ჩემ უძლურსა ზედა უმრავლესნი ნიჭნი სულისა წმიდისანი.

შენდამი ჩემო კეთილისმყოფელო და მამავ მეორევ, უმეტესად მოვმართავ სულსა ცემსა და ვედრებასა სივრცელით შენის სიყვარულისაით განმიმრავლე შენნი მამადმთავრულნი ლოცვანი და მაკურთხენ წინამდებარესა ამას ღვაწლსა ზედა ესე ვითარითა მამობრივითა კურთხევითა, რომელი განამტკიცებს სახლთა ძეთათა. ამინ.

მ. ჯ.

ივერია – 1898. – N131. – 21 ივნისი. – გვ.1.

ახალი ამბავი: - ქალაქი ფოთი. 15 ივნისს აქ ჩამობრძანდა მათი ყოვლად უსამღვდელოესობა, გორის ეპისკოპოსი ლეონიდე. მათმა მობრძანებამ ცნობის მოყვარეობა აღუძრა ფხიზელ მეგრელთ და ყველა ისწრაფოდა მათი მეუფება ენახა. ყოვლად-უსამღვდელოესი ყოველ ლოცვის დროს დაბრძანდებოდა საკათედრო ტაძარში, სადაც ფოთელებს ნახვის სურვილი აღუსრულდათ. მათმა მეუფებამ ჰნახა ქალაქის მოურავი ბატონი ნიკოლაძე. ხუთშაბათს მათის მეუფების გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს თხოვნით აბაშაში წაბრძანდა მიცვალებულის დასასაფლავებლად. პარასკევს მათმა მეუფებამ, ყოვლად უსამღვდელოესმა ლეონიდემ ახალგაზრდა სტუდენტის მათე ოქროპირიძისა და სენაკის მსახურითურთ მთელი წირვა იგალობა. მსმენელნი ნამდვილის პატივისცემითა და სიყვარულით აღივსნენ მათის მეუფების მიმართ, რომელმაც დინჯად, ტკბილად და ხმის შეწყობით კარბელაშვილთა კილოზედ იგალობა პირველი ანუ მაღალი ხმა. ეს გალობა სწორედ სასოებასა ჰგვრიდა მაყურებელს და გულში პატივისცემას უღვიძებდა მათის მეუფების მიმართ.

ივერია - 1898. – N179. – 21 აგვისტო. - გვ.1.

ახალი ამბავი: – მამა არხიმანდრიტის კირიონის სახელდება ეპისკოპოსად დანიშნულია საქართველოს ექსარხოსის სახლის დარბაზში შაბათს, 22 მარიამობისთვეს, დღის 12 საათზედ, ხოლო ხელ–დასხმა ეპისკოპოზად კვირას, 23 მარიამობისთვეს, სიონის საკრებულო ტაძარში. ამ დღისათვის მოწვეულნი არიან ეპისკოპოსნი: გურია–სამეგრელოსი, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, რომელიც უკვე ჩამობრძანდა, და

იმერეთისა – ყოვლად სამღვდელო ბესარიონი. ამათ გარდა ხელ–დასხმაში, რომელიც შესრულებულ იქმნება მისის მაღალ–ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს მიერ, მონაწილეობას მიიღებს ყოვლად სამღვდელო ლეონიდი, ეპისკოპოსი გორისა.

ივერია - 1898. – N180. – 22 აგვისტო. - გვ.1.

მოწოდება
მართლმადიდებელ მსოფლიო ეკკლესიის
ქრისტეს მიერ საყვარელნო შვილნო!

ქალაქ ტფილისიდგან ჩრდილოეთით ოცის ვერსის მანძილზედ, სწორედ იმ ალაგას, სადაც მდინარე არაგვი ერთვის მდინარე მტკვარს, გაშენებულია მცხეთა, ოდესმე სახელოვანი დედა-ქალაქი, ქართველ მეფეთა და პატრიარქ-ქათალიკოზთა სამყოფელი ალაგი, ხოლო აწ მწირი და უპოვარი სოფელი, მიმზიდველი ადამიანის ყურადღებისა იმით-ღა, რომ მის შუა გულში აღმართულია ქრისტიანული სიძველის დიადი ნაშთი, წმიდათა ათორმეტთა მოციქულთა საკრებულო ტაძარი, რომელსაც ქართველები უწოდებენ სვეტი-ცხოველს. სვეტი-ცხოველი წარმოადგენს ქართველთა წმიდა ემბაზს, მათს დიდებასა და სიამაყეს, მათ შეურყეველ მართლმადიდებლობის მოწმეს; იგია საქართველოს მრავალ მეფეთა და ქათალიკოზთა განსასვენებელი და უუძველესი ალაგი, სადაც ინახებოდა ისეთი უდიდესი სიწმინდე ქრისტიანობისა, როგორიც უკერავი კვართია უფლისა.

აღნიშნული საუნჯე (კვართი უფლისა), ღვთის სამოსლის გაყოფის შემდეგ მაცხოვრის ჯვარცმაში მონაწილეთა შორის, ერგო მცხეთელ ურიას ელიოზს, რომელმაც მოიტანა იგი მცხეთაში თავისის იერუსალიმიდგან დაბრუნების შემდეგ.

და ელიოზისა, მართალი სიდონია, აღძრული ღვთის შთაგონებით, სწრაფად გამოეგება სახლში მომავალ ძმას, გამოსთხოვა ყოვლად უბიწო მარიამ ქალწულის ხელთ ნამუშევარი კვართი ქრისტესი, ეამბორა ვითარცა უდიდესს სიწმინდეს და ღრმა სასოებით შეიტკბო იგი თავისს ქალწულებრივს მკერდს. გარნა საკვირველ არს ღმერთი საქმეთა შორის თვისთა! სიდონია, შემდეგ კვართის მიღებისა, მეყვსეულად მიიცვალა და რადგან შეუძლებელი გახდა საკვირველის სამოსლის მის ხელთაგან გამორთმევა, იგი დამარხეს ხსენებულ სამოსლითურთ. სასწაულის აზრი ცხად იქმნა მხოლოდ დიდის ხნის განვლის შემდეგ: ადგილი მაცხოვრის კვართის დაკრძალვისა აღმოჩნდა ღვთის მიერ განმზადებულად საქართველოში პირველ ქრისტიანულ სამლოცველოს აღსაშენებლად. ყოველივე ესე განცხადდა ივერიის განმანათლებელის, მოციქულთა სწორის, ქალწულის ნინოს დროს, როდესაც წმიდა ემბაზიდგან მის მიერ აღმოშობილმა მირიან მეფემ თავისს წალკოტში მართალის სიდონიას საფლავზედ ააშენა ეკკლესია წმიდათა დიდებულთა ათორმეტთა მოციქულთა სახელობაზედ. ამ ხელ და ხელ აშენებულ ხის ეკკლესიის მაგივრად, მეხუთე საუკუნეში, ვახტანგ გორგასლანის დროს, აეგო საკმაოდ მოზრდილი ქვითკირის ეკკლესია, რომელიც შემდეგში გახდა პატრიარქ-ქათალიკოზების კათედრად. რვაას წელიწადზედ მეტი იდგა უვნებლად ეს ეკკლესია და მხოლოდ 1318 წელს დაანგრია

იგი საშინელმა მიწის-ძვრამ. ამავე ალაგას ააშენა დიდებული ტაძარი გიორგი VI, ბრწყინვალედ წოდებულმა, და საბოლოოდ დაამშვენა იგი ალექსანდრე I-მა მეთხუთმეტე საუკუნეში. იმ დროდგან მოკიდებული დღევანდლამდე სვეტი-ცხოველის სასტიკად შეხამებული ფორმები, საოცარი გუმბათი, ხელოვნურის თლილის ქვის სახურავი, საოცნებო გაბედულობით გადაყვანილი თაღები და ქანდაკები კედლებისა, აკვირვებდნენ და აკვირვებენ მნახველს, იწვევდნენ და იწვევენ ყველას გულში ღვთის დიდების აზრსა და ქედს ახრევინებდნენ ამ საღმრთო სალოცავის წინაშე იმგვარ ქრისტიანობის მტარვალთაც-კი, როგორიც იყო შახ-აბბას პირველი.

სამწუხაროდ, ტაძარი ესე გადარჩენილი მტერთა რისხვას, ვერ გადურჩა ყოველის შემმუსვრელს დროს: სამხრეთის მზის მძლავრთა სხივთა, მწვავ გრიგალისა და ხშირი წვიმების მავნე გავლენის მიზეზით სრულად დაძველდა და გამოიქარა სახურავის ლომფინი და ვეღარ იჭერს წყალს, რის გამოც სინესტე ატანს გუმბათის შინაგან ყელამდე და უბრალო ქვისაგან გასაცარის ხელოვნებით გადაქმნილნი თაღები, რომლებიც იმაგრებს გუმბათს და სახურავს, ყოველ წამს ჩამოწოლას ჰლამის. გამოიქარა ამასთანავე ის თლილი ქვა, რომელიც შეადგენს ტაძრის კედლების გარეთა პირს და თან და თან იღუპება იმის მდიდარი ორნამენტიკა, რომელიც შეადგენს ქართული საეკკლესიო ხუროთმოძღვრების დამახასიათებელს კუთვნილებას; განქრა სრულებით კედელზედ მხატვრობა al fresco, რომლითაც სავსე იყო სვეტი-ცხოველი ძირიდგან ზემომდე; ამ მხატვრობის მცირედი-ღა კვალი სამხრეთ კედლის ნაწილზედ და დიდებული სახე მაცხოვრისა საკურთხეველში უმეტ-ნაკლებოდ ასურათებენ იმ სავალალო მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფება დღეს ხსენებული ტაძარი.

საქართველოს ეკკლესიის ექსარხოსნი, რომელთაც ეხლა უჭირავთ მიტროპოლიტთა ტახტი, ყოველ ღონისძიებასა ხმარობდნენ, რომ გადაერჩინათ ტაძარი სრულს დარღვევასა და ჰფიქრობდნენ შემდეგისთვის მისს აღდგენას პირვანდელის სახით, მაგრამ ამ საღმრთო აზრის განხორციელება თხოულობს დიდ ძალას, ფულს: მცოდნე კაცთა გამოანგარიშებით ტაძრის შესაფერ შეკეთებას დასჭირდება 200.000 მანეთამდე და ტაძარს-კი არსაიდგან არა მოეპოვება-რა. რადგანაც ტაძრის აღდგენისათვის გამოანგარიშებულ ფულის შეგროვება ადგილობრივ დიდათ საძნელო გახდა, ხოლო ტაძარს, როგორც საჩინო ძეგლს, დიდი მნიშვნელობა აქვს საქრისტიანო ქვეყნიერობისათვის, ტფილისში დაარსებულმა კომიტეტმა უწმიდესისა და უმართებულესი სინოდის შუამავლობით სთხოვა მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას ნებართვა მთელს იმპერიაში ფულის შეგროვებისა აღნიშნულ საგნისათვის. კომიტეტის თხოვნა შეწყნარებულ იქმნა და გამოიცა ყოვლად უმოწყალესი ნებართვა ფულის მოგროვებისა მთელს იმპერიაში. ამისთვის კომიტეტი მოჰმართავს მართლმადიდებელ მსოფლიო ეკკლესიის თვითოეულს შვილს და სთხოვს ძმურს შველა-დახმარებას.

მწყემსნო და მასწავლებელნო მართლმადიდებელის ეკკლესიისანო, რომელნიც მარად დღე აღავლენთ ღვთისადმი ლოცვას, „რათა მან წმიდა ჰყოს მოყვარენი სახლისა მისის შვენიერებისანი," ყოველის წოდების და მდგომარეობის მართლმორწმუნენო, მუშაკნო მართლმადიდებლობის განმტკიცებისათვის სიტყვითა და საქმით, ქრისტეს მოყვარე მხედრობავ, მდგომარეო სახმილავსა ზედა სარწმუნოებისა, ტახტისა და მამულისასა, მსყიდველნო და გამსყიდველნო, რომელთა გიყვართ და ხელს უწყობთ ყოველს კეთილს და ღვთის საამო საქმეს, მართლმადიდებელნო ქრისტიანენო სრულიად

ივერიისანო, ყველას ერთად მოგმართავთ კომიტეტი და გულ-მოდგინედ გევედრებათ უფლისა იესო ქრისტესი და მისთა ათორმეტთა მოციქულთა სახელით შესწირეთ, ვისაც რა შეგიძლიანთ, სახელოვანის სვეტი-ცხოველის აღდგენის საქმეს. შეწირულებანი შეიძლება გაიგზავნოს ქ. ტფილისს სინოდის საქართველოს კანტორაში.

თავმჯდომარე კომიტეტისა, საქართველოს ექსარხოსი,
მთავარ-ეპისკოპოსი **ფლაბიანე.**
თავმჯდომარეს ამხანაგი **ლეონიდი** ეპისკოპოსი გორისა.

ივერია – 1898. – N181. – 23 აგვისტო. – გვ.1-4.

არქიმანდრიტის მამა კირიონის ეპისკოპოსად სახელდება

22 აგვისტოს, შაბათს, შუადღისას, საქართველოს საექსარხოსოს დარბაზში მოხდა სახელდება ეპისკოპოსად არქიმანდრიტის კირიონისა, რომელიც უმაღლესის ბრძანებით დანიშნულ იქმნა ალავერდის მღვდელ–მთავრად, ქართლ–კახეთის ეპარქიის მეორე ქორ–ეპისკოპოსად... სახელდების წესრიგს მრავალი ხალხი დაესწრო. სახელდება მოხდა საქართველოს ექსარხოსის მაღალ–ყოვლად სამღვდელო ფლაბიანეს, გურია–სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს, იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონის, გორის ეპისკოპოსის ლეონიდეს და სინოდის საქართველოს კანტორის პროკურორის თანადასწრებით. ეპისკოპოსად სახელდებას დაესწრო, დიდის საზოგადოების გარდა, რამდენიმე არქიმანდრიტი, დეკანოზი და მღვდელ–მონაზონი და მათ შორის ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი გერმოგენი და ამავე სემინარიის ინსპექტორი მღვდელ–მონაზონი დიმიტრი...

სახელწოდების წეს–რიგის შესრულება დაიწყო სინოდის საქართველოს კანტორის მდივნის ბატონ სოფრომ მგალობლიშვილის მიერ წაკითხულის უმაღლესის ბრძანებით. ამ ბრძანებაში ნათქვამია, რომ რუსეთის ხელმწიფემ და თვით მპყრობელმა ნიკოლოზ მეორემ ყოვლად–უმოწყალესად დაამტკიცა უწმიდესის სინოდის განაჩენი, რათა არქიმანდრიტი კირიონი, წინამძღვარი ქვაბთახევის მონასტრისა, იქმნას ალავერდის ეპისკოპოსად, ქართლ–კახეთის ეპარქიის მეორე ქორ–ეპისკოპოსადაო...

ამ ბრძანების წაკითხვის შემდეგ მისმა მაღალ–ღირსებამ არქიმანდრიტმა კირიონმა გამოაცხადა თავისი თანხმობა წესისამებრ ეპისკოპოსის ხარისხის მიღების შესახებ... ამის შემდეგ დაიწყო მაღალ–ყოვლად–უსამღვდელოესმა ფლაბიანემ მშვიდობიანი, წმიდა ეკკლესიის მიერ წარმოსათქმელად დაწესებული, ეპისკოპოსად სახელდების დროს.

შემდეგ ახლად ეპისკოპოსად სახელდებულმა არქიმანდრიტმა კირიონმა წარმო–სთქვა გრძნობით აღსავსე სიტყვა. დაახლოვებით ამ სიტყვის შინაარსი შემდეგია:

„მე სრულიადაც არ წარმოვიდგენდიო ამ თვრამეტის წლის წინად, როცა კურსი შევასრულე კიევის სასულიერო აკადემიაში, თუ ეს ჩემთვის ბედნიერი და დიდ–მნიშვნელოვანი დღე დადგებოდაო... მე კურსის შესრულების შემდეგ დავიწყე სამსახური სასულიერო წოდების ახალ თაობის აღმზრდელის ასპარეზზედ. მას უკან ბევრს რასმეს ვფიქრობდი, ბევრს გეგმას ვაწყობდი ჩემის მომავლის მოღვაწეობისას, ბევრს ადგილს

ვირჩევდი სამსახურისას, მაგრამ უფლის განგებულებამ დღეს ნაჩვენებ გზაზედ დამაყენა: სხვებსავით მეც ვფიქრობდი მომეპოვებინა მყუდროება და ბედნიერება ოჯახურს ცხოვრებაში, მაგრამ ბედმა აქაც მიმუხთლა და ამის გამო სამსახური ეკკლესიის მიმართ მონოზნის წოდებაში ჩემთვის აუცილებელ აუშორებელი შეიქმნა. სწორედ ოცის თთვის წინად ამავე ადგილს, სადაც ეხლა ვდგევარ, ვიდექი მონაზონის მარტივსა და უბრალო ტან–საცმელში და ვაძლევდი აღთქმას მონაზონურის ცხოვრებისას... დიდი მადლობელი ვარ იმ ჩემის მოძღვრისა, რომელმაც ამ ჭეშმარიტს გზაზედ დამაყენა. დღეს უმაღლესის ბრძანებით უნდა ვიტვირთო მძიმე მოვალეობანი მწყემს–მთავრისა და ვიქმნე ალავერდის ეპისკოპოსად – იმ ალავერდისა, სადაც ჰმოღვაწეობდა, სადაც ქადაგებდა და სადაც განსვენებულ არს წმიდა მამა აბბა იოსებ ალავერდელი... ალავერდის კათედრაზედ მოღვაწეობდა მრავალი ღირსი მღვდელ–მთავარი, რომელთ მის წიაღშივე იგემეს საუკუნო განსასვენებელი. ალავერდის ტაძარი ისეთი სიწმინდეა, რომელსაც დიდს პატივსა სცემენ არა თუ მხოლოდ მართლ–მადიდებელნი, არამედ არა–მართლმადიდებელნიც, და თვით მთიანის დაღესტნის მკვიდრნი: ლეკები და მაჰმადიანნიც–კი, რომელთაც ჩვენში წინაპრები ხმლით ხელში ეომებოდნენ თვისთა სარწმუნოებრივ სიწმიდეთა დასაცველად და ბოლოს ქედი მოადრეკინეს თვისის სიწმიდის წინაშე საღმრთო განგებამ მარგუნა ძველი მართლ–მადიდებლობით განთქმულ ალბანიაში ალავერდის ეპისკოპოსს სამსახური წმიდა ეკკლესიის სასარგებლოდ. ვმადლობ საღმრთო განგებას ამ ხვედრისათვის მით უმეტეს, რომ მე ხელმძღვანელად მეყოლება ეკკლესიის სასარგებლოდ მოღვაწეობის საქმეში გამოცდილი და ბრძენი მღვდელ–მთავარი... დასასრულს გთხოვთ, წმიდანო მღვდელ–მთავარნო, წარმომადგენელნო ივერიის ეკკლესიისანო, ილოცოთ ჩემთვის, რათა თქვენის მწყემს–მთავრულის ლოცვის მეოხებით უფალმან მომცეს შეძლება, ძალი და სიმხნე მისის ეკკლესიის სასარგებლოდ მოღვაწეობისა.“

ამ სიტყვების გათავების შემდეგ მთავარ–დიაკონმა მამა კარგარეთელმა ესოდენ განთქმულმა თვისის მშვენიერის ხმით, წარმოსთქვა „მრავალჟამიერი“ ხელმწიფე იმპერატორის, მისის უავგუსტოესის მეუღლისა, და დისა და მემკვიდრისა, აგრეთვე უწმიდესისა სინოდისა და ეპისკოპოსის ახლად სახელდებულისა არქიმანდრიტის კირიონისა, რასაც თან მოჰყვა „მრავალჟამიერი,“ ექსარხოსის მგალობელთა გუნდის მიერ მწყობრად წარმოთქმული.“

ამით გათავდა არქიმანდრიტის კირიონის ეპისკოპოსად სახელდება დღეს, 23 აგვისტოს, აკურთხებენ ეპისკოპოსად სიონის მიძინების საკათედრო საკრებულო ტაძარში. ამის შემდეგ მისის მოღვაწეობის ასპარეზად იქნება კახეთი, რომლის მართლ–მადიდებელნი მკვიდრნი მოელიან თვის შორის მართლ–მადიდებლობის, კეთილ–ზნეობის და კეთილდღეობის განსამტკიცებლად... ამ ქვეყანაში, რომელსაც სპარსელები „ოქროს ფოთოლს“ ეძახდნენ, ძლევა მოსილის მეფეების წმიდა დავით აღმაშენებლის და თამარის დროს ღირსეულ მღვდელ–მთავრებისა და მღვდლების თანადახმარებით მართლ–მადიდებლობამ მკვიდრად მოიკიდა ფეხი. ამ ქვეყანაში დღეს მრავალი ტაძარია დანგრეული და აოხრებული, მრავალი სიმდიდრე ინახება, ფრიად ძვირფასი ჩვენის წარსულის შესასწავლად, გასათვალისწინებლად, ბევრი რამ სჭირდება მას ხალხში სარწმუნოებისა და ზნეობის გასამტკიცებლად, სასულიერო განათლების დასანერგად და აღსაყვავებლად... სრული იმედია, რომ ყოვლად–სამღვდელო კირიონი, კარგად ცნობილი საქართველოში, როგორც გვამი, განმაახლებელი მრავალთა ნაშთთა ჩვენის ძველის

ხუროთ–მოძღვრებისა და სასულიერო განათლების თანამგრძნობელი, შეძლებისა დაგვარად იმოღვაწებს კახეთის სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ასპარეზზედ. იქაც აღადგენს ნანგრევთაგან რამდენსამე ტაძარს, დაუფასებელს ძეგლს კახეთის ძველის მართლმადიდებლობისას, რომლის განსამტკიცებელად იღვწოდნენ წმიდა იოსებ ალავერდელი და მრავალრიცხოვანი გუნდი ღირსეულ მღვდელ–მთავართა, მწყემსთა, მეუდაბნოეთა და მონაზონთა... საქართველოს ეკლესიის სასარგებლოდ მოღვაწეობისათვის ყოვლად–სამღვდელო კირიონს ცოდნაც შესწევს, ძალაცა და გამოცდილებაც.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა მოღვაწეთა შორის სარწმუნოების და ზნეობის განმტკიცების ასპარეზზე მოღვაწე უფრო ძვირფასია, უფრო თანაგრძნობისა და სიყვარულის ღირსია, ვინაიდგან სარწმუნოება–ზნეობა „ქვეყნის მარილია," „საღმრთო ცეცხლია" და თუ ეს ცეცხლი ჩაქრება, კაცობრიობის ცხოვრებაც ერთს წერტილზედ შეჩერდება და მისი წინსვლა შეუძლებელი იქმნება.

ი–ძე.

ყოვლად–უსამღვდელოესი კირიონი, ეპისკოპოსი ალავერდისა

აღიღე კვერთხი სამღვდელმთავროი და წარუძეღ ერსა ჩვენსა გზასა სიმართლისა, სარწმუნოების და სათნოებისასა.

ქვეყნის ძალ–ღონეს ნივთიერი სიმდიდრე და ქონება–კი არ შეადგენს, გარნა სიმრავლე მაღალ–ზნეობიან, მორწმუნე და სათნოებიან ადამიანთა.

ესენი არიან ციხე–სიმაგრენი ხალხის ცხოვრებისა, შემნახველნი და განმადიდებელნი ერის კეთილდღეობისა; მძლეთა–მძლე ბურჯნი, რომელთ წყალობით ქართველმა ერმა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მტკიცედ შეინახა სარწმუნოება და ეკკლესია, განაძლიერა თვისი საზოგადოებრივი ცხოვრება, დაიცვა ეროვნული თვისი არსებობა და სხვანი.

ორი წმიდათა–წმიდაა ქვეყნიერობაზედ: სარწმუნოება და სამშობლო. ეჭვი არ არის, რომ ძალას სახელმწიფოსას, ქვითკირს ცხოვრებისას შეადგენს მორწმუნე ზნეობიანი ხალხი. არასოდეს არც ერთი სახელმწიფო, არც ერთი ერი არ განვითარებულა და აღყვავებულა, მოქალაქობრივ ურწმუნოების ნიადაგზედ. ასე ყოფილა და ასე იქნება ყველგან და მუდამ. კაცს, დარწმუნებულს, რომ სიკვდილით ისპობა სრულიად და სავსებით მისი არსებობა; რომ სიკვდილის შემდეგ იგი აღარაფერს აზროვნებს, აღარაფერსა ჰგრძნობს, ვერა რა აიძულებს უკუ აგდოს პირადი თვისი სარგებლობა, სიამოვნება და ისწრაფოდეს საზოგადო სარგებლობისაკენ, პატივის–ცემით ეპყრობოდეს სხვის პიროვნებასა. ერთად–ერთს ლოღიკურს მსჯელობას, საზომს ამ ნაირის ადამიანებისას შეადგენს სამოქმედო კანონი, რომლის შესახებაც იტყვის პავლე მოციქული: – „უკეთუ მკვდარნი არა აღსდგნენ, ვსჭამოთ და ვსვათ, რამეთუ ხვალ დავიხოცნეთ" (1–კორ. 15,32). ანუ, როგორც უფრო ვრცლად ასე უცხოთ არის აღნიშნული წიგნსა „სიბრძნისა სოლომონისასა:" – „შემთხვევით ვშობილვართ და შემდგომად ამათსა ვიქმნებით, ვითარცა არა მყოფნი... მოვედით უკვე და დავიტკბნეთ მდგომარეთა ამათ კეთილთა და

გავასახმაროთ მოსაგებელი, ვითარცა სიჭაბუკისა მოსწრაფება. ღვინითა მრავალ სასყიდლისა და მირონისა კეთილ სულნელითა აღვივსნეთ, რათამცა არა წრგუხდეს ჩვენი ყვავილი ჟამოვანი. გვირგვინოსან ვიქმნეთ ვარდითა ნარგისითა პირველ ვიდრე დაჭნობადმდე. ნურცა ერთი ჩვენთაგანი უნაწილო რათა იქმნების ჩვენისა მეტკბობისა ჩვენის, ყველგან დაუტეოთ ნიში სიხარულისა, რამეთუ ესე წილი ჩვენი და ნაწილი ესე. ვმძლავრობდეთ გლახაკსა მართალსა და ნუ შევიწყალებთ ქვრივსა, ნუცა მოხუცებულისა გურცხვენის მხცოვნისა მრავალ წლოვანთა.“ (სიბრძნე სოლომონისა, თავი 2–10).

ურწმუნნო ადამიანნი არამც თუ უსარგებლონი არიან ქვეყნისა და ხალხისათვის, არამედ მავნენიც. იმიტომ, რომ მხნეობა ძალა ხასიათისა და ნებისა, ეს კაცის თვისებანი, საჭირონი სამოქმედოდ კაცთათვის ყოველ გვარ სარბიელზედ, განვითარდება მხოლოდ რწმენის ნიადაგზედ.

ყოველ ერს, რაგინდ მცირე–რიცხოვანი იყოს, აქვს თავისი დიდებული რამ: ღირს სახსოვარნი ისტორიულნი მოვლენანი, სასარგებლო დაწესებულებანი, ხელმწიფენი და მმართველნი, რომელთაც იგი გაუძლიერებიათ, მეცნიერნი, მამულისშვილნი, რომელთაც თავისის მოქმედებით რაიმე ღვაწლი მიუძღვით ხალხის, ერის წინაშე ამ ბრძოლის დროს, ან მეცნიერებაში, ან ხელოვნებაში და სხვანი. ყველა ეს მოვალედ ჰხდის თითოეულს წევრს საზოგადოებისას უყვარდეს თავისი სამშობლო და ჰქონდეს თავი გადადებული მისის კეთილდღეობისათვის.

საქართველოს ერი და ეკკლესია, იმიტომ იყო ბედნიერი, რომ განგება უგზავნიდა მას ისეთს მოღვაწეებს, რომელნიც თავ–განწირულად იბრძოდნენ მისდა საკეთილდღეოდ, მისის გონებითისა და ზნეობითის განვითარებისთვის. ასეთის ზნეობისანი იყვნენ ჩვენნი ძველნი მეფენი, მღვდელ–მთავარნი და ეპისკოპოსნი. იმათი ფიქრი, აზრი და მზრუნველობა მუდამ თავის ერისა და ქრისტეს სარწმუნოებისადმი იყო მიმართული. იმათი სიქველე, მაღალი ზნეობა, მოძმეთა სიყვარული, ჩაგრულთა შებრალება, დაუღალავი შრომა, მტკიცე და შეურყეველი ხასიათი დიდხანს ექმნება ქართველ ხალხს საიდეალოდ. დიდი ღვაწლი მიუძღვით მათ, სამშობლოს და ქრისტეს ეკკლესიის წინაშე.

ასეთისავე მაღალის ღირსებით იყვნენ შემკულნი უწინდელნი ქართველნი. ქართველთ, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, ჯვარითა და იარაღით ხელში, დაიცვეს უმწიკვლოდ ეკკლესია და სარწმუნოება.

დრონი იცვალნენ. სამწუხაროდ, ულმობელმა ჟამთა ბრუნვამ სრულიად შესცვა–ლა ის მაღალი ზნე, ის მთავარი აზრი და წმიდა გრძნობა, რომელიც ამკობდა ძველის ერის და ბერის, მეფეთა და მთავართა ღვაწლს სამშობლოს წინაშე. ამ მხრივ აწინდე–ლი ჩვენი ქართველი აჩრდილსაც აღარ წარმოადგენს უწინდელის ქართველისას. დღეს ქართულს ოჯახს თავისებური ხასიათი აღარა აქვს. მისი სარწმუნოება და ზნეობა საძირკვლიდგან დაძრულია. საკმაოა მცირე ქარ–ბუქი ცხოვრებისა, რომ ეს ორი დედა–ბოძი სამკვიდრო სათნოებისა დასცეს ძირს და მისი მაგიერობა საიჭიროს ყოველგვარმა ქვენა გრძნობამ, უსინდისობამ, უადამიანობამ, ოღონდ–კი შემკულ იყოს გარედან ყვავილებითა და თვალის ამხვევ მორთულ–მოკმაზულობით.

სადღა არიან აღმშენებელნი დიდებულის მცხეთის, ალავერდის, გელათის, ბაგრატის, სამთავროს, ხირსის და მრავალ სხვათა მონასტერთა და ეკკლესიათა? ჩვენთვის მათი განახლებაც–კი დიდი და დიდი გასაჭირი გამხდარა.

აღარ არიან საზოგადო საქმისათვის თავდადებულნი, მამულისა და რჯულისათვის თავ–განწირულნი დიმიტრი თავდადებულნი, ქეთევან და ლუარსაბ მეფენი, თევდორე მღვდელნი და სხვა. ყველა ესენი საარაკონი შექმნილან ჩვენის დროისათვის. ნუ იფიქრებთ, რომ ჩვენს დროში შეიძლებოდეს და შევხვდეთ დედათა შორის იმისთანა ქალს, რომელსაც მიუცია ხელში ფარი თავისის შვილისათვის და უთქვამს: – „დაბრუნდი ან ამით, ან ამაზედაო.“ ან იმისთანა დედას, რომელისაც ხუთი ვაჟი შვილი ყოფილა წასული ომში და როდესაც მონას მოუტანია ამბავი: „ხუთივე შენი შვილი დაიხოცა ბრძოლაშიო,“ მან უთხრა გაჯავრებით: – „განა მე მაგას გკითხავდი, საძაგელო მონავ?! შენ მითხარ, თუ როგორ გათავდა ომის საქმეო.“ „ჩვენ გავიმარჯვეთო.“ – მიუგო მონამ. დედა მხიარული გაიქცა ტაძარში ღვთისა მიმართ მადლობის შესაწირავად. ერთის შეხედვით თითქოს ზნეობრივად წარმატების გზას დავსდგომოდეთ. მაგრამ ეს ერთობ შემცდარი შეხედულებაა. პირიქით, ყველა ჩვენგანი მაგრად ჩაკეტილა, მაგარის ციხე–გალავანით შემოზღუდვილა, ჰფიქრობს მხოლოდ თავისის თავისათვის და დარდი არა აქვს სხვისა. არიან ამ ჩვენს კურთხეულ სამშობლოში ისეთნი ბედნიერნი, რომელნიც ქვა ქვაზედაც რომ დადუღებულიყოს, მაინც „ჰარალო–ჰარიალალეს“ იმღერიან და დიდების საფეხურზედ ოჩაფეხით ასვლას ჰლამობენ, დროშას აფრიალებენ და თამამად გაიძახიან „ჩვენ ვართ დიდება და სხივი ჩვენის ერისაო,“ „თუ გინდ დაიქცეს ქვეყანა, რა გვენაღვლება ჩვენაო.“ ისინი ჰფიქრობენ, რომ თავიანთი თავი უზრუნველ ჰყონ და მერე თავისს სოროში მიეცნენ განცხრომას და იმეორონ ნამუსის დასამშვიდებლად რომაული ანდაზა: – „სადაც თავს კარგად ვგრძნობ, ჩემი სამშობლო იქ არისო.“

დიდის სიხარულით მიეგებება ქიზიყ–კახეთი ყოვლად სამღვდელო კირიონის დანიშვნას ეპისკოპოსად კახეთ–ქიზიყში: ბედნიერად სთვლის თავისს თავს, რომ იგი წილად ჰხვდა იმ ადამიანს, რომელმაც კარგად იცის მისი ავი და კარგი, რომელსაც მისი ტკივილი ზედმიწევნით შეგნებული აქვს. ხოლო სადაც მიზეზი ჭირისა შეგნებულია, იქ მკურნალობაც ერთი ორად გაადვილებულია.

ბევრის საქმის შესრულება მოელის ყოვლად სამღვდელოს ქიზიყ–კახეთში.

ქართველი ხალხი, რომლის ხელით გაშენებულა აუარებელი რიცხვი ეკკლესია–მონასტრებისა თვალ–უწვდენელ მთებზედ, ტყეებში, ხევ–ღელეებში, სოფელ–დაბებში, ქალაქებში და სხვა. დღეს ისეთი გულ–გრილი გამხდარა თავის ეკკლესიისა, რომ 100–მდე ეკკლესია ქიზიყ–კახეთში უპატრონოთ დატოვებულია, ნადირთა და გველთა საბუნაგოდ ან საბუდარად გადაქცეულა. ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩვენს თვალ–წინ ინგრევა, იბღალება, თითქმის ისპობა დიდებულნი ნაშთნი ქრისტიანობისა, რომელნიც ძველად განათლების შუქს ჰფენდა საქართველოს არე–მარეს. თვით ეკკლესიათა და მონასტერთა ნანგრევნი იდუმალ ჰგლოვობენ თავისს აოხრებას, განადგურებას, უშემწეობას, უპატრონობას და თანაც თითქოს დასტირიან ქართველთა გულ–გრილობას სამშობლოს სიძველეთა მიმართ.

საჭიროა მიექციოს ყურადღება უპირველესად ქრისტიანობის დიდებულ ძეგლთა ძეგლს წმიდა ალავერდისა და ხირსის მონასტრების განახლებასა და გამშვენიერებას. დიდი ღვაწლი დასდო უკანასკნელს ჩვენმა სასიქადულო მღვდელ–მთავარმა, ეპისკოპოსმა გორისამ ლეონიდმა, მაგრამ კიდევ ბევრი რამ ესაჭიროება.

აგრეთვე საჭიროა აღდგენა და განახლება დიდებულისა წმიდა ამაღლების მონასტრისა, რომელიც ჯერ კიდევ მთლადა სდგას. ეს მშვენიერის ხელოვნების მონასტერი, ჯერედ არ ცნობილი ჩვენისა და უცხო მწერლობაში, მდებარეობს ქიზიყში,

სოფელ ოზაანის ახლოს, ტყეში. აქ ჯერ კიდევ კარგად დაცულია თამარ დედოფლისა და დავით სოსლანის სურათები კედელზედ.

იმასაც უნდა მიექციოს ყურადღება, რომ ქიზიყ–კახეთი გაღმა–მხრითურთ დიდ–განსაცდელსა და გაჭირვებაში არის ჩაცვივნული დღეს. ჩვენ ვამბობთ ეკონომიურად გაჭირვების მხრივ კი არა, სწორედ სარწმუნოებრივ და ზნეობრივ განსაცდელის შესახებ. გარედგან არტყიან მაჰმადიანნი: ლეკნი და თათარნი, ხოლო შინ გაბმული აქვს ქსელი მწვალებელთ. იმათის ზედგავლენით არა ერთი და ორი გაგარეწარებულა და შექმნილა ქრისტეს ეკკლესიის ურჩ შვილად. მღვდელნი გარდაქცეულან დაქირავებულ დღიურ მუშებად, რომ ჰკრიჭონ და ჰპარსონ ცხოვარნი. არამც თუ ვერ შევხვდებით ეკკლესიებში ცხოველს სიტყვა–ქადაგებას მწყემსისას თავისს სამწყსოს მიმართ, თითქმის წირვა–ლოცვაც–კი არა ყველგან სრულდება ეკკლესიებში იმისთანა დროსაც–კი, როგორც მარიამობის მარხვის დღეებია.

ამისათვის უნდა გაძლიერდეს ცხოველი ქადაგება ეკკლესიებში, იმართებოდეს კვირა–უქმეში საუბარნი–კითხვანი ზნეობრივ და სარწმუნოებრივ საგნების შესახებ.

ძალიან საჭიროა გამრავლდეს საეკკლესიო–სამრევლო სკოლები, რომელთა რიცხვი დიდად და დიდად მცირეა ქიზიყ–კახეთში.

აი, ეს რამდენიმე წელიწადია გვპირდებიან მეორე კლასიანის სკოლების დაარსებას ქიზიყსა და კახეთში, მაგრამ არ იქმნა, არა ეშველა რა საქმეს. ეს იმითი–კი არ აიხსნება, რომ ვითომც არ თანაუგრძნობდნენ ამ სკოლების დაარსებას მკვიდრნი, გარნა იმით, რომ არ მოიპოვებიან ამ საქმის მეთაურნი და სულითა და გულით ხალხის სიკეთეს მოწადინებულნი. ქართული ანდაზაა: „ხალხი ქვევრია, რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო.“

საეკკლესიო–სამრევლო სკოლები ახალი ხილი არ არის ჩვენში. ქართველის კაცის თვალში სწავლა იმ თავიდგანვე შეადგენდა დიდსა და წმიდა საქმეს, რომლის საფუძვლად იგი მუდამ ჰხადდა ღვთისა სიტყვას და საღმრთომსახურების წიგნებს. ეს წიგნები წარმოადგენდა, მისის შეხედულობით, ერთად ერთს წყაროს დაუშრეტელის ღვთაებრივის სიბრძნისასა და გზასა ცხოვრებისასა. ამათის მეოხებით ქართველმა ერმა ათასი წელიწადი შეინახა შეუცვლელად თავისი რჯული და ენა. მშვენიერის ენით თარგმნილი: „დავითნი,“ „სახარება,“ „სამოციქულო,“ „დაბადება,“ „წმიდათა მამათა ცხოვრება“ და სხვა. წმიდა წიგნები, აგრეთვე მათი განმარტება იმათთვის ისტორიაც იყო, კატეხიზმოც, ღვთის მეტყველებაც, კანონმდებლობაც და სხვა. „სამრევლო სკოლა ჰყოფდა საეკკლესიო მსახურსაც და სახელმწიფო მმართველსაც, მღვდელსაც და ერსაც.“ ერთს საუკეთესო მხარეს მაშინდელის ჩვენის სკოლისას შეადგენდა მათი ზნეობრივი ხასიათი და მიმართულება, რომლითაც იყო აღბეჭდილი მთელი ცხოვრება და წეს წყობილება სკოლისა. ამას დიახაც, რომ დიადი ზნეობის ამამაღლებელი, განმაპატიოსნებელი და განმასპეტაკებელი გავლენა ჰქონდა ბავშვის სულიერად განვითარებისა და აღზრდა განათლებისათვის. ასეთი ხასიათი ჩვენის სკოლებისა ზედ–გავლენა იყო ძველის აღმოსავლეთისა და საბერძნეთის განათლების სისტემისა.

ჩვენის ძველის დროის სწავლა–აღზრდის ასეთის მნიშვნელობის მიუხედავათ, დროთა ვითარებამ გამოიწვია ახალი განათლების მოთხოვნილების სკოლები. როგორც სხვაგან, ჩვენშიც დაარსდა ესრედ წოდებული საერო სკოლები, რომელთაც დიდი, ძალიან დიდი ცვლილება მისცეს იმ ათასის წლის მოხუცს, ამ ჟამად უსულოდ მდებარეს, რომელსაც ეწოდება „ქართული განათლება.“ სწავლა–განათლებას საზოგადოდ ის

განსაკუთრებული თვისება აქვს, რომ აუცილებლად დაიმორჩილებს ადამიანს, თუ რომ იგი შეთანხმებული იქმნება იმის ენისა და ბუნების მოთხოვნილებასთან, მისს გულის ნაღვაწის და სულის სწრაფვასთან, ექმნება კავშირი მისს წარსულ ცხოვრებასთან. ამისთვის საჭირო იყო, რომ ახალი წეს–წყობილება ძველზედ აღმოცენებულიყო, მკვიდრად მასთან დაკავშირებული ყოფილიყო.

სამწუხაროდ, ძველის სწავლა–განათლების საძირკველი შეირყა ძირიანად, მისი წეს–წყობილება მოიშალა, არავინ დააცალა, რომ დროთა მიხედვით ახალი სწავლა–განათლება ძველზედ დამყარებულიყო. შედეგი ერთი იყო: სკოლამ თავისებურება დაჰკარგა: ძველი უარყოფილ იქმნა, ახალი ვერ შევითვისეთ, დავრჩით „ძუძუთა ბავშვივით“ ძიძის ანაბარად. დღეს ეს ნაკლულევანება სკოლებისა ცხადად და ნათლად გამორკვეულია უწმიდესის სინოდის მიერ, ამიტომ იმის უვარგისობის დამტკიცებას დიდი ჩიჩინ–ჭიჭინი აღარ ეჭირვება. ვისურვებთ სულით და გულით მხოლოდ, რომ ყოვლად სამღვდელო კირიონი თავისებურის გულ–მხურვალებითა და თავ–გამოდებით შესდგომოდეს საეკკლესიო–სამრევლო სკოლების გამრავლების საქმეს თავისს სამწყსოში.

მოვედ ღირსო მეუფეო და ღირსეულად დაიმკვიდრე სამღვდელ–მთავრო კათედრა ამბროსი ნეკრესელის, იოსებ აბბა ალავერდელის და ბოდბელისა. „ხე ხი–ლისაგან იცნობებისო, ნათქვამია, ხილი ხისაგან.“

აღიჭურვე სრულის ძალ–ღონითა და მხნეობითა, „ვინაიდგან აქ სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი ყოვლად მცირე.“

ა. ნ.

წერილი რედაქციის მიმართ

ბევრი წერილი მომდის საეკკლესიო ხუცურ წიგნების ბეჭდვის შესახებ. რადგანაც თითოეულად იმათი პასუხის მიცემა შეუძლებელია, ამისათვის საყოველთაოდ მოვახსენებ: უწმიდესის სინოდის ნება-დართვით სინოდის საქართველოს კანტორამ გარდაწყვიტა „ხუცურ საეკკლესიო წიგნების“ ბეჭდვა და კვლავინდებურად მომანდვეს ეს საქმე. ამ ჟამად იბეჭდება „სახარება“ და „სამოციქულო,“ მზადდება დასაბეჭდად „ჟამნი,“ „კონდაკი“ და „მარხვანი,“ რომელთა ბეჭდვასაც ჩქარა შევუდგებით. არ შემიძლია არ მოვიხსენიო, რომ ამ თორმეტის წლის განმავლობაში ბევრი ლაპარაკი გამოიწვია ამ წიგნების ბეჭდვამ. სამწუხაროდ, აღმოჩნდნენ იმისთანანი, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ თუ რუსეთში გარდატანილ იქმნა წიგნების ბეჭდვა, უფრო კარგად და შეუცდომელად დაიბეჭდებაო. მაგრამ დარწმუნდა მთავრობა, რომ ტფილისშიაც კარგათ დაიბეჭდება, თუ გამსწორებელი კარგი ეყოლება. ჩემდა სამწუხაროდ უნდა გამოვტყდე - აქამდის რიგიანი გამსწორებელი არ ჰყოლია დანიშნული საეკკლესიო წიგნებს და ეხლა-კი, ჩვენდა სასიამოვნოდ, პატივცემული ეპისკოპოსი ლეონიდი დაგვინიშნა მთავრობამ გამსწორებლად. სრული იმედი გვაქვს, რომ ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის ლეონიდის გულმოდგინე შრომით ავცდებით ყველა იმ მიზეზს, რომელსაც გამოუცდელნი აწერდნენ სტამბას.

მოხუცი მესტამბე ექვთიმე ხელაძე.

ივერია - 1898. – N182. – 25 აგვისტო. - გვ.1.

ახალი ამბავი: – გუშინ წინ, 23 აგვისტოს, სიონის საკათედრო ტაძარში ეპისკოპოსად აკურთხეს ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი, არხიმანდრიტი კირიონი. მწირველად იყო მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე და მანვე შეასრულა წესი კურთხევისა. ექსარხოსს ეხმარებოდნენ ყოვლად უსამღვდელოესნი ეპისკოპოსნი გურია–სამეგრელოსი ალექსანდრე, იმერეთისა – ბესარიონი და გორისა – ლეონიდე; არხიმანდრიტნი ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი ჰერმოგენი და შემოქმედის მონასტრის წინამძღვარი იონა; საკათედრო ტაძრის დეკანოზი მ. ელიევი, სემინარიის ინსპექტორი მღვდელ–მონაზონი დიმიტრი, კანდელაკი სიონის ტაძრისა მ. თოთიბაძე და სხვ. მთელი სიონის ტაძარი და ეზო სავსე იყო ხალხით, რომელმაც დილიდგანვე მოიყარა თავი. საკურთხეველი აევსოთ სასულიერო წოდების კაცთა, რომელთა შორის ბევრნი სხვა ადგილებიდგან იყვნენ ჩამოსულნი. ტაძარში ექსარხოსის ხორო ჰგალობდა. კურთხევის წესის შესრულების შემდეგ, წირვის დროს თვით ახლად ნაკურთხმა ეპისკოპოსმა მღვდლად აკურთხა მ. იაკიმოვიჩი, კიევის სასულიერო აკადემიის კანდიდატი. წირვის შემდეგ, გარდასცა რა ეპისკოპოსს კირიონს კვერთხი, მისმა მეუფებამ ექსარხოსმა მცირე სიტყვით მიჰმართა. – „აღიღე ესე კვერთხიო, სთქვა მან, და ჰმწყემსე სამწყსო ქრისტესი, აკურთხე სამწყსო შენი და წარიყვანე იგი გზასა სიმართლისასა, სამართლიანობისასა და ჭეშმარიტ სარწმუნოებისასა.“

ღვთის–მსახურების შემდეგ კურთხევაზედ დამსწრე ეპისკოპოსები და აგრეთვე ეპისკოპოსი კირიონი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს ფლაბიანესთან იყვნენ სადილად მიწვეულნი.

ივერია - 1898. – N211. – 3 ოქტომბერი. - გვ.1

ახალი ამბავი: - 1 ოქტომბერს მცხეთის ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე, ყოვლად სამღვდელოთა გორის ეპისკოპოსის ლეონიდისა და ალავერდის ეპისკოპოსის კირიონის თანამწირველობით. წირვის შემდეგ პარაკლისი იქმნა გადახდილი. შემდეგ საქართველოს ექსარხოსმა დაათვალიერა სამთავროს დედათა მონასტერი და სკოლა. სადილათ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი მიწვეულ იქმნა სობოროს სამღვდელოებისაგან. ღამის მთეველნი ცოტანი იყვნენ, რადგანაც წინა ღამეს საშინელი წვიმა იყო. დღეობასაც უამინდობისავე გამო ხალხი ნაკლებად დაესწრო.

ივერია - 1898. – N215. – 8 ოქტომბერი. - გვ.1.

ახალი ამბავი: - ყოვლად სამღვდელო გორის ეპისკოპოსი ლეონიდი ტფილისში დაბრუნდა.

ივერია - 1898. – N222. – 16 ოქტომბერი. - გვ.1.

ახალი ამბავი: - ამ რამდენისამე თვის წინად საქართველოს ექსარხოსის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის ფლაბიანეს განკარგულებით შესდგა კომისია, რომელსაც მიენდო იზრუნოს იმის შესახებ, რომ ქართული ენის სწავლების საქმე საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო სასწავლებლებში უკეთ იყოს დაყენებული. კომისიის თავმჯდომარედ არის ყოვლად სამღვდელო გორის ეპისკოპოსი ლეონიდი. კომისიას აზრადა აქვს სთხოვოს ექსარხოსს, რათა უწმიდესი სინოდის წინაშე შუამდგომლობა იქმნას აღძრული იმის შესახებ, რომ ქართულის ენის გაკვეთილების რიცხვი გამრავლებულ იქმნას ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების სასწავლებლებში, ესე იგი კვირაში 8 გაკვეთილის ნაცვლად, დაწესებულ იქმნას 12 გაკვეთილი, როგორც ეს ამ რამდენისამე წლის წინად იყო.

ივერია – 1898. – N229. – 27 ოქტობმერი. – გვ.1.

ახალი ამბავი: - 20 ოქტომბერს ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდა იმ კომიტეტს, რომელსაც მცხეთის ტაძრის განახლება და შეკეთება აქვს მინდობილი. როგორც ამ სხდომაზედ გამოირკვა, მცხეთის ტაძრის შესაკეთებლად კომიტეტს ჯერ-ჯერობით შეუკრებნია 16.000 მანეთი, აქედგან 2.000 მანეთი შეუწირავს დიდ მთავარს ალექსანრდე მიხეილის ძეს, 3.000 მანეთი - კავკასიის მთავარ-მართებელს გენერალ-ადიუტანტს თავად გ. ს. გოლიცინს; 1.000 მანეთი - მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოსს ფლაბიანეს; 1.500 მანეთი. - გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს, 1.111 მანეთი გადაუდვია უწმიდეს სინოდს. დანარჩენი ფული წვრილ-წვრილ შემოწირულობაა. თუმცა ამ ბოლო დროს მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის მოწოდების დაბეჭდვის შემდეგ გაზეთებში შემოწირულებამ შესამცნევად იმატა, მაგრამ მაინც 16.000 მანეთი საკმაო არ არის, რომ მცხეთის ტაძრის შეკეთებას შეუდგნენ. როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან ამ ტაძრის განსაახლებლად და შესაკეთებლად საჭიროა 200.000 მანეთი. ამიტომ კომიტეტმა ხანგრძლივის მოლაპარაკების შემდეგ დაადგინა გაუგზავნოს ყველა გენერალ-გუბერნატორს, გუბერნატორს, პოლიცმეისტერს, ოლქების უფროსებს და დივიზიის უფროსებს საქართველოს ექსარხოსის სახელით წერილები და სთხოვოს დახმარება შემოწირულების შეკრების საქმეში. ამავე აზრით კომიტეტმა დაადგინა სთხოვოს ყოვლად უსამღვდელოესს ლეონიდს იკისროს რუსეთის უმთავრესს ქალაქებში: პეტერბურგსა, მოსკოვსა, კიევსა, ხარკოვსა, კაზანში წასვლა, ხოლო შემოწირულების შესაკრებად გაჰგზავნოს რუსეთში დიდების ეკკლესიის მღვდელი, ღვთის მეტყველების კანდიდატი მამა კალისტრატე ცინცაძე და მღვდელი მ. ხახუტაშვილი.

ივერია - 1898. – N236. – 4 ნოემბერი. - გვ.1.

ახალი ამბავი: - მცხეთის ტაძრის განმაახლებელმა კომიტეტმა უკანასკნელი კრების დროს დაადგინა ამიერ-კავკასიაში შემოწირულების შესაკრებად, მღვდელ ბერიძის გარდა, აარჩიოს ერთი ან ორი კაცი კიდევ და გაჰგზავნოს ისინი იმერეთის, გურია-სამეგრელოს და სოხუმის ეპარქიებში. ამას გარდა კომიტეტმა გადასწყვიტა მიიწვიოს წევრებად ყოვლად

სამღვდელო კირიონი და დ. ზ. ბარათაშვილი. იმავე კრებაზედ კომიტეტმა, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის წინადადების თანახმად, დაადგინა მიიწვიოს კომიტეტის საქმის-მწარმოებლად ა. ი. ნატროშვილი.

ივერია. – 1898. – N238. - 6 ნოემბერი. - გვ.1.

ახალი ამბავი: - კვირას, 8 ნოემბერს, ავლაბრის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში მწირველი ბრძანდება მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე. წინა დღეს ლოცვასა და ცისკარს გარდაიხდის ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ლეონიდი.

ივერია - 1898. – N241. – 10 ნოემბერი. - გვ.1-2.

ახალი ამბავი: - კვირას, 8 ნოემბერს ტფილისმა იდღესასწაულა მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელმწიფო მოღვაწეობის ორმოცდაათის წლის შესრულება.

ამ დღეს ალექსანდრე ნეველის ტაძარში მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე მწირველი ბრძანდებოდა, ყოვლად სამღვდელო კირიონისა და ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით. წირვის შემდეგ პარაკლისი იქმნა გარდახდილი, რომლის დროსაც წარმოთქმულ იქმნა მრავალ-ჟამიერ მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორისა, მათის მეუღლის დედოფალის იმპერატრიცის ალექსანდრა თეოდორეს ასულისა, მათის დედის - დედოფლის იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულისა, მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრის ძისა, დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძისა, დიდის მთავრის მიხეილ მიხეილის ძისა და სრულიად სამეფო სახლეულობის სადღეგრძელოდ. წირვასა და პარაკლისს დაესწრნენ: კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, კავალერიის გენერალი თავადი ი. ა. ამილახვარი, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ე. ე. ზეზემანი, გენერლობა, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრნი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ეგერ-მეისტერი თავადი კ. ი. მუხრან-ბატონი მაზრის წინამძღოლებითურთ, ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი, ვიცე-გუბერნატორი კ. კ. სტეფანოვიჩი, ტფილისის პოლიცმეისტერი ლ. პ. მასტიცკი, ტფილისის ქალაქის მოურავი სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი და მრავალი ხალხი.

ამავე დღეს ყოვლად-სამღვდელო გორის ეპისკოპოსი ლეონიდი მწირველი ბრძანდებოდა მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში ავლაბარს. წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნა პარაკლისი. პარაკლისი გარდახდილ იქმნა აგრეთვე ტფილისის სხვა ეკკლესიებშიაც. ამ დღეს მრავალი სახლი ბაირაღებით იყო მორთული.

ივერია - 1898. – N274. – 22 დეკემბერი. - გვ.1.

ახალი ამბავი: - 20 დეკემბერს ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში გამართულ იქმნა წლიური აქტი. ამ დღისათვის გიმნაზიის დარბაზი მშვენივრად იყო მორთული ყვავილებითა და ხვეულებით. აქტს დაესწრნენ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე, ყოვლად სამღვდელო გორის ეპისკოპოსი ლეონიდი,

სომეხ-გრიგორიანთა მთავარ ეპისკოპოსი კევორქ სურენიანცი, სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი გერმოგენი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებული ი. ს. მედვედევი, მასწავლებელნი, მოსწავლენი და მრავალი ხალხი. აქტის შემდეგ საუკეთესო მოსწავლეებს საჩუქრები დაურიგეს. ქართველთაგან პირველი ხარისხის საჩუქრები მიიღეს: მესამე კლასის მოსწავლემ ვლადიმერ გაბაშვილმა, მე-4 კლასისა - ვახტანგ ზარაფიშვილმა და ილია სეხნიაშვილმა; მეორე ხარისხისა: მოსამზადებელ კლასის მოსწავლემ ნიკოლოოზ კობიაშვილმა და მეექვსე კლასის მოსწავლემ სიმონ გრძელიშვილმა.

ივერია - 1899. – N10. – 16 იანვარი. - გვ.1.

ახალი ამბავი: - 14 იანვარს, ნინოობა დღეს, წმიდა ნინოს დედათა სასწავლებელში მწირველი ბრძანდებოდა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე. წირვის შემდეგ გამართულ იქმნა წლიური აქტი, რომელსაც დაესწრნენ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე, კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავადი გ. ს. გოლიცინი მეუღლითურთ, კავალერიის გენერალი თავადი ი. გ. ამილახვარი, კავკასიის ჯარის კორპუსის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ე. ე. ზეზემანი, უმაღლესის კარის ეგერ-მეისტერი თავადი გ. დ. შერვაშიძე მეუღლითურთ და მრავალნი სხვანი. საღამოთი სასწავლებელში ბალი იქმნა გამართული.

ამავე დღეს სიონის ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო გორის ეპისკოპოსი ლეონიდი. წირვას აუარებელი ხალხი დაესწრო.

ივერია – 1899. – N11. – 17 იანვარი. – გვ.3.

სიტყვა,

თქმული 14 იანვარს, ქართველთა განმანათლებელ წმიდა ნინოს დღესასწაულის დღეს, სიონის ტაძარში გორის ეპისკოპოსის ყოვლად უსამღვდელოესის ლეონიდეს მიერ.

გიხაროდენ დაუდუმებლად
მქადაგებელო საღმრთო ბაგეო!
(წმ. ნინოს დაუჯდომელიდგან)

ღვთის მზრუნველობამა და განუსაზღვრელმა სიყვარულმა ძველათვე ჰყო ჩვენი სამშობლო ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის წილ ხდომილად, ხოლო ღვთისმშობლის ზეციურმა მხურვალე მეოხებამ მოუვლინა საქართველოს სხივ-მოსილი ცისკარი, რომლის სახელიც ყოველ შეგნებულ და გონიერ ქართველს ღრმად აქვს ამოჭდეული გულის ფიცარზედ და მიაჩნია სალოცავ-სათაყვანოდ. თქვენ უკვე მიხვდით, ვისაც ვგულისმობ, ცხადად ვხედავ, რომ ამ სიტყვებთან ერთად წარმოგიდგათ გონებაში ჩვენის განმანათლებელის, მოციქულთა სწორის, წმინდა ნინოს ნათელ-მოსილი სურათი მთელის მისის სიდიადით. წმიდა ნინო! ოჰ, რამდენ მაღალ და საღმრთოს, რამდენ გამამხნევებელს

და ფას-დაუდებელს, რამდენს სანუგეშო და სანეტარო რამეს აგონებს ქართველის გულს ეს მოკლე და ჩვეულებრივი სახელი!... რომელი ქართველია, წერა-კითხვის მცოდნე მაინც, რომ არ უწყოდეს, რა საოცარი, რა დაუვიწყარი, გონებით მიუწვდომელი და სასწაულებრივი საქმე ჩაიდინა ამ სუსტმა და უსახსრო არსებამ, აღფრთოვანებულმა მხოლოდ ქრისტეს უსაზღვრო სიყვარულით და აღჭურვილმა მარტოდ მისის პატიოსანის ჯვარით? წმინდა ნინოს ლმობიერება-სათნოებით აღვსილმა ქცევამ, მისმა ნამდვილმა დედობრივმა სიყვარულმა დაიმონავა სრულიად მაშინდელის ქართველების კერპთ-თაყვანისმცემლობისაგან გამხმარ-გაცივებული, სასტიკი და განუკითხავი გრძნობა, მისმა ნათელმა, მარტივმა, დღესავით გარკვეულმა და ყველასათვის ადვილად მისახვედრმა მოძღვრებამ შეიპყრა სავსებით იმ დროის ქართველთა გონება და როდესაც ამ სახით ეს რჩეული დედა შეიქმნა მთელის ერის გრძნობა-გონების სრულ მეფედ, ერთადერთ ბატონად და მბრძანებელად, რასაკვირველია, აღარაფერს სიძნელეს აღარ წარმოადგენდა მისთვის ამ ერის გაქრისტიანება, მისი სამუდამოდ დაკავშირება და საბოლოოდ შეერთება უკვდავის ძარღვით იმასთან, რომელმაც ბრძანა: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრებაო.“

აგერ 1600 წელიწადი სრულდება მას უკან, რაც ამ საქართველოს ანგელოზმა მისჯაჭვა სულითა, გონებითა და გულით ქართლოსის ძენი კაცთათვის განხორციელებულს ღვთის სიტყვასა და ამოდენა ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ შერყეულ-მოდუნებულა ქართველთა ერთგულება და სიყვარული ღვთის სიტყვის მიმართ, არ ახსოვს ისტორიას არც ერთი შემთხვევა, რომ ქართველებს ეღალატნოთ ნინოს მოძღვრებისათვის, ეაღოთ რაიმე ეჭვი ამ მოძღვრების შეურყეველ სინამდვილეზედ და დასდგომოდნენ ორგულობის გზას. სამაგიეროდ, იმავე ისტორიას არ ახსოვს ან ახსოვს და ძალიან ნაკლებად იმისთანა მაგალითი, რომ ქვეყნის რომელსამე კუთხეს, კაცობრიობის რომელსამე ნაწილს გადაჰხდენოდეს იმდენი ტანჯვა-წამება, იმდენი ძარცვა-რბევა, იმდენი ხოცვა-განადგურება, როგორც საქართველოს და ქართველებს და ამისდა მიუხედავად, იგი კუთხე არ გამხდარიყოს უდაბნოდ და გარეულ მხეცთა საცხოვრებელ ალაგად, იგი ხალხი არ გამქრალიყოს სრულიად, ან არ გადაქმნილიყოს მხეცთა მსგავს ველურ ბრბოთ. საქართველო-კი, ამის ნაცვლად, დღესაც მოჭედილია იმისთანა საოცნებო, ცის მსგავსის ტაძრებით, როგორიც არის სვეტი-ცხოველი მცხეთაში, ალავერდი - კახეთში, სიონი - ტფილისში და მრავალი სხვა. ქართლოსის ძენი დღესაც ისმენენ წმიდა სახარებას იმ საამურ, მკაფიო, სიმშვენით სავსე, პატიოსნებით შემკობილ და ყოველის აზრის ზედმიწევნით, სრულის სინამდვილით გამომეტყველ ენაზედ, რომლითაც ღირსმა დედა ნინომ გააცნო მირიანს და მთლად მისს სამფლობელოს იესო მაცხოვარი. დიაღ, საკვირველია და ყველასაც უკვირს ეს გარემოება, მაგრამ ამასთან ყველასა სწამს და აღიარებს, რომ ეს საოცარი მოვლენა არის პირდაპირი შედეგი წმიდა ნინოს ქადაგებისა, ყველაფერი ესე მოხდა იმის გამო, რომ საქართველოში არასოდეს არ დადუმებულა მოძღვრებისაგან წმიდა ნინოს საღმრთო ბაგე, არასოდეს არ მოჭკლებიათ, და დღესაც ისევ ცხადად ესმით ქართველებს თავიანთის განმანათლებელის უკვდავი, სამარადისო, ნეტარ-მყოფელი და საწადელი სწავლა-მოძღვრება. მაშ, რა არის, თუ არა ცოცხალი და წმინდა ნინოს პირადი სწავლა-მოძღვრება, თუ არა იგივე ნინოს პირიდგან გადმომდინარე ქადაგება ეს დღევანდელი სადღესასწაულო გამოსვენება წმინდა ჯვარისა, იმ ჯვარისა, რომელიც უტარებია ნინოს თავისის ხელით, რომელიც შეკრულია მისის თმის ნაწნავით,

რომელიც მოწამეა მირიანისა, დედოფალის ნანასი, ქართველთ მთავრებისა და მთლად ქართველის ერის ნათლისღებისა მცხეთაში, ქართველების იორდანე-მტკვარში!

ნუ გამოვაკლდებით, საყვარელნო შვილნო, ჩვენ წინაპართა ბრწყინვალე გუნდს, ფართოდ გაუღოთ ჩვენც მათებრ ყურთა-სმენის კარი ჩვენის განმანათლებელის დღევანდლამდე დაუდუმებელ ქადაგებას, ვასწავლოთ ჩვენს შვილებსაც ამ საღმრთო მოძღვრების დაუზარებლად სმენა-დამარხვა, ვიხაროთ კვლავაც დღევანდებურის საღმრთო სიხარულით და შევ-ძღვნათ ჩვენს სასიქადულო დედას ასეთი გალობა. „გიხაროდენ დაუდუმებლად მქადაგებელო საღმრთო ბაგეო!“ ამინ.

ივერია - 1899. – N46. – 3 მარტი. - გვ.1.

ახალი ამბავი: – ქართლ–კახეთ–იმერეთის სინოდის კანტორის განკარგულებით იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც ქართულის დაბადების შესწორება აქვს მინ–დობილი, ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის ლეონიდის ნაცვლად, დანიშნულ იქმნა ყოვლად სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი ალავერდისა.

ივერია - 1899. – N159. – 28 ივლისი. - გვ.1.

ახალი ამბავი: - 1-ლ აგვისტოს, საქართველოს ექსარხოსის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესის ფლაბიანეს ბრძანებით, მოხდება წყლის კურთხევა ტფილისში. ღვთის მსახურებას ამ შემთხვევის გამო შეასრულებს ყოვლად სამღვდელო ლეონიდე.

ივერია – 1899. – N160. – 29 ივლისი. – გვ.2.

ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსის ლეონიდის მოგზაურობა წალკა-თრიალეთში.

ყოვლად-სამღვდელო ლეონიდმა ინება და მიმოიარა ეს დავიწყებული და ყველასაგან თავ-მინებებული მხარე. მცირე გაჭირვებას არ გამოივლიდა მათი მეუფება ამ მიმოსვლაში, მაგრამ ამიტომაც ამ მიმოსვლას ხვავი და მადლი მეტი ჰქონდა. დიდი და პატარა, ქალი და კაცი სოფლიდგან ორ-სამ ვერსის მანძილზედ ჰხვდებოდა. ეპისკოპოსის დანახვის უმალ მუხლს იყრიდა მის წინაშე, მერე აცილებდა ეკკლესიამდე და აქ, დაწესებულ ლოცვის შემდეგ ისმენდა მშვენიერ მოძღვრებას მათის მეუფებისას და მოწიწებით იღებდა მისგან ლოცვა-კურთხევას. უნდა გენახათ, როგორ მოჰყავთ ზურგზედ აკიდებული უძლურნი და დიდის ხნის ავადმყოფნი, როგორ ჩამწკრივებულნი და მწოლიარენი ყოველ ეკკლესიის კარზედ სასოებით ელოდებიან მისი მეუფების ლოცვა-კურთხევას უძლურნი, ბრმები, კოჭლნი, დავრდომილნი, და მაშინ მიჰხვდებოდით, თუ რა სასოება შეჰრჩენია ხალხს ამ მიყრუებულ მხარეში. არც ერთი მრევლი, არც ერთი ეკკლესია არ დასტოვა ეპისკოპოსმა უნახავი და ყველგან ხალხი გულდასმით ისმენდა მის დარიგებას... დაათვალიერა მან წალკის თავს მდებარე ქართველების სოფელი რეხა; თავისი თვალით ჰნახა, თუ მამა-პაპეული საუნჯე ქართული სახარება როგორ იყო კუნჭულში მისვენებული, ხოლო ბერძნული სახარება, რომელიც არც მღვდელს ესმის და არც ერს, ტრაპეზზედ ესვენა. ხალხმა შესჩივლა თავისი გაჭირვება: „მღვდელი ჩვენთვის გაუგებარ ენაზედ ლაპარაკობს; ჩვენი მაგას არ ესმის, მაგისი ჩვენ და ქართველი მოძღვარი გვაღირსეთო.“ ეპისკოპოსმა უბრძანა მღვდელს ეშოვნა ბერძნის მრევლი, ხოლო ხალხს შეჰპირდა ქართველის

მღვდლის გამოგზავნას. ტანჯულ ხალხს ჯერაც არ სჯერა, რომ ღირსი გახდებიან ასეთი ბედნიერებისა.

წალკიდგან ცხენით ეპისკოპოსი გაბრძანდა სოფელ სოღუთლოში, ხოლო აქედგან 8 მკათათვეს საშინელ ტყე-ღრიან და ხრამიან გზით მიბრძანდა დიდ გომარეთში. ამ გზას ათიოდ ვერსტი გადუხვია და დაათვალიერა დიდებული სიძველე-ფიდარეთის ტაძარი მდ. ხრამზედ. ხელოვნება ამ ტაძრისა საოცარია და იშვიათი. ამ დღეს ეპისკოპოსმა არა ერთი და ორი ვერსტი გაიარა ფეხით და საღამოს 7 საათზედ ააღწია ხრამების თავს ეკკლესიასთან დაჰხვდა დიდი და პატარა. ადგილობრივმა მღვდელმა შემთხვევის შესაფერი მოკლე სიტყვა მოახსენა ეპისკოპოსს.

„თქვენო მეუფებაო! დიადია სულიერი ნუგეში თქვენის მობრძანებისა ამ მიყრუებულ მხარეში, როგორც მღვდელთათვის, ისე მრევლთათვის. თვალწინ გვეხატება ის ძვირფასი და ნეტარი დრო ძველის საქართველოისა, როდესაც ეპისკოპოსნიც, მწყემსთ-მთავარნიც და თვით ქათალიკოსნიც-კი მალ-მალე ლოცვა-კურთხევით, დარიგება-ნუგეშისცემით მიმოივლიდნენ ხოლმე კიდით-კიდემდე სოფლებსა, დაბებსა და ქალაქებსა საქართველოისას. იკვლევდნენ და ისმენდნენ ყველგან გაჭირვებას სამღვდელოისას, ხალხისას, უჩვენებდნენ მათ სახსარს ხსნისას, ამხნევებდნენ და ანუგეშებდნენ მათ. აჰა, თქვენს წინაშე ვსდგევართ, მეუფეო, დიდნი და პატარანი და ვითხოვთ თქვენს ლოცვა-კურთხევას, ნუგეშისცემა-დარიგებას და თქვენ წმიდა ლოცვებში ჩემი პატიოსანი მრევლის მოხსენებას. მეც ჩემს მრევლთან ერთად მხურვალეთ შევევედრები ზეციურ მეუფეს, რათა მან აკურთხოს გზა-კვალი თქვენი, მიმოსვლა თქვენი. წინ გიძღვნათ მან ანგელოზი თვისი, თანამგზავრი, მცველი და მფარველი, როგორც თქვენი მეუფებისა, ისე ჩემი მრევლისა და ქრისტეს ერის ქართველობისა.“

ეკკლესიაში ტევა არ იყო; ამიტომ ეპისკოპოსი კარში გამობრძანდა და აქ მიჰმართა ხალხს მშვენიერის დარიგებით. კარგა შებინდდა, რომ კიდევ გაისმოდა წყნარი დარიგება ეპისკოპოსისა სმენით გარდაქცეულ ხალხით სავსე გალავანში. სიტყვის შემდეგ ხალხმა ლოცვა-კურთხევა მიიღო მისის მეუფებისაგან და ჯვარზე ემთხვია - აქვე ურიგებდნენ ხალხს ჯვრებს, წიგნებს და სხვა.

X.

ივერია – 1900. – N27. – 5 თებერვალი. – გვ.2–3.

სასიამოვნო ამბავი

ვინ არ იცის რა სიმცირემდეა ჩვენში მიღწეული ბერ-მონაზვნობის რიცხვი, როგორ დაცარიელდა და თითქმის უპატრონოდ დარჩა ჩვენი სახელოვანნი ბერთა სავანენი: ბერთუბანი, დოდოს ლავრა, დავით-გარესჯა, იოანე ზედაძნელის სავანე, ქვაბთახევი, ვარძია, ზარზმა და სხვანი? ზოგიერთ ამ სავანეთაგანი, მაგალითად, ბერთუბანი, დოდოს ლავრა და ზარზმა სრულიად გაცივებულნი, ესე იგი უპატრონოდ დარჩენილია და მათი მიგნებაც-კი საძნელო გამხდარა, დანარჩენებში თავი შეუფარებიათ თითო ოროლას, რომლებიც უწევენ ამ სავანეებს უფრო მეთვალყურე, ანუ უბრალო დარაჯის სამსახურს, ვიდრე ნამდვილ ბერისას.

ამ გულ-დამჩაგრ გარემოების გამო აღარ მოისმის ჩვენ მონასტრებში მადლიან კილოზედ საეკკლესიო წიგნების კითხვა, ანგელოზებრივი გალობა-ღაღადება, აღარ იწერება ბერთა მიერ სხვა-და-სხვა შინაარსის თხზულებანი საუცხოვო ქართულის ხელით, აღარავინ ვარჯიშობს საეკლესიო მხატვრობაში და ვეღარავინ იძენს სამაგალითო მეურნეობის ცოდნას. მოისპო ყველაფერი ესე მონასტრებში, მაგრამ ეს კიდევ იმდენად სამწუხარო არ იქნებოდა, რომ მონასტრების ალაგი დაეჭირათ სამრევლო ეკკლესიებს, ან სამრევლო სასწავლებლებს, რომლებიც საკმარისად მრავლდება ყოველწლივ. აბა მოიარეთ მთლად ქართული ეკკლესიები, თუ სადმე დასტკბეთ რიგიანის კითხვა-გალობით, გარდა იმ იშვიათის მაგალითისა, სადაც მღვდელსა და დიაკვანს შეუსწავლიათ ოდესმე საეკკლესიო წესი ისევ ძველ მონასტრებში? აბა ყური დაუგდეთ რა ბუნდოვან, გაუგებარ და შელახულ ენაზედ ჰქადაგებენ ჩვენი სწავლა-მიღებული სულის მამები, რა უცნაურისა და უხერხულის კილოთი კითხულობენ წმიდა სახარებას და გარდა ამისა, რა შეუხამებელ უცხო გემოვნებაზეა დღეს მოწყობილი ქართული საეკკლესიო მხატვრობაც-კი.

სწორედ ეს გარემოებაა, ვგონებ სხვათა შორის, უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ დღეს ქართველი ერი თითქმის სრულიად აღარ დადის ეკკლესიებში წირვა-ლოცვის მოსასმენად და იგი ერი მეტად გაღარიბდა სარწმუნოებრივის სწავლა-ცოდნით, თუმცა-ღა როგორც უკვე მოვიხსენიეთ, ამ გვარ სწავლა-ცოდნის შესაძენად მრავალი სასწავლებელი არსდება თითქმის ყოველ წლივ ქალაქებსა და სოფლებში. დიაღ, დიდად საკეთილო და სასარგებლოა სასწავლებელი ხალხის ზნეობრივ აღსაზრდელად, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი სათაური მონასტერშია, მისი ცეცხლი მონასტრის კარიდამაა აღებული, მისი რძე გამომდინარებს მონასტრის ძუძუდგან. ამ აზრის სინამდვილეს უცილობელ ჰყოფს დიდებულის რუსეთის ერის სულიერ ცხოვრების მაგალითი. ასი ათასობით ამთავრენებ ყოველ წლივ რუსეთში სწავლას სხვა-და-სხვა სასწავლებელში ქალნი და ვაჟნი, მაგრამ ამას მაინც არა ჰკმარობენ და შეუკავებელი ძალით მიისწრაფიან ყველანი სახელოვან მონასტრებში, კიევისა, სერგისა, ალექსანდრე ნეველისა და მრავალთა სხვათა ლავრებში. აქ, მონასტრებში, ეს აუარებელი ხალხი დიდის დაკვირვებითა და გულ-მოდგინებით ისმენს ტაძარში გაწყობილს გალობას, საეკკლესიო წიგნთა კითხვის კილოს, უკვირდება საეკკლესიო წეს-რიგს და მხატვრობას, ღრმად იმარხავს ყველაფერს ამას გულში და როდესაც ბრუნდება თავისს საზოგადოებაში, სცდილობს გაგონილი და ნანახი უმეტ-ნაკლებოდ განახორციელოს თავისს საკუთარ საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში, ესე იგი როგორც სამრევლო ეკკლესიაში, ისე სასწავლებელში შეაქვს იგივე მხატვრობა, იმნაირივე კითხვა და გალობა, როგორიც არის მიღებული უმთავრესს მონასტრებში. ასე, ამ გვარად მონასტრები რუსეთში წარმოადგენს ხალხის სარწმუნოებრივად განათლების უმთავრესს ხეს, ხოლო სამრევლო ეკკლესიები და სასწავლებლები მა ხის რტოებს. ჩვენში თვით ხეს გახმობია ძირი-ფესვები. იგი დაფუღურეებულ-დაყანდებულა და, ამისდა მიუხედავად, გვინდა, რომ მისი შტოები გავანედლ-გავაფურცლოვანოთ!

მეტად სასიამოვნო და სასიხარულოა ის გარემოება, რომ დღეს ჩვენში აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელთაც ზედმიწევნით შეგნებული აქვთ დიადი მნიშვნელობა მონასტრებისა ერის სულიერი განვითარებისთვის და ყოველ ღონისძიებას ხმარობენ მათის აღდგენა-წარმატებისათვის. ვინც ცოტად მაინც ახლო სდგას სასულიერო წოდებასთან, ცხადია, უთქმელადაც მიხვდება, რომ ამ გვარი ბრძანდება დიდად პატივცემული ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, რომელსაც ერთი დღეც არ შეუძლიან ისე გაატაროს, რომ

რამდენჯერმე არ ახსენოს სახელი შიო-მღვიმის მონასტრისა, რომლის განახლება-აღდგენას ანდომებს ყველაფერს, რაც-კი სულს აქეთ აბადია. ასეთსავე გულ-მხურვალეობას და სასიქადულო მოწადინეობას იჩენს მონასტრულ ცხოვრების აღდგენისათვის მეორე პატივსადები ჩვენი ყოვლად სამღვდელო ლეონიდი და აი, დღეს თითქმის განახორციელა კიდეც თავისი მუდმივი აზრი. მეუფეს, მღვდელმთავარს გული ევსებოდა ხოლმე სევდით, როდესაც ჰხედავდა, რომ იმისთანა მონასტერში, როგორიც დავით გარეჯაა, სადაც მეჩვიდმეტე საუკუნეში შაჰ-აბაზმა აღდგომის ღამეს ამოსწყვიტა ექვსი ათასი ბერი, დღეს დარჩენილა მხოლოდ ორიოდ მღვდელ-მონაზონი. მან ჩაისახა გულში ამ მონასტერში ბერთა ზოგადის ცხოვრების წესის შემოღება, რადგანაც ამ გვარის ცხოვრების წესი ერთის მხრივ ხელს უწყობს ბერების გამრავლებას, ხოლო მეორეს მხრივ სავალდებულოდ ჰყოფს წინამძღვრისთვის მუდამ კრებულში ცხოვრებას და თუ იგი, წინამძღვარი, თავიანთი კაცია, უეჭველია, რიგიანად განაგებს ყოველ საქმეს. შტატის მონასტრებში-კი წინამძღვრები სცხოვრობენ მონასტერთ გარეშე, კრებული რჩება უხელმძღვანელოდ, რის გამოც მონასტრებში მოისპო ყოველი წესი და დამცირდა ბერობა. ყოვლად სამღვდელო ლეონიდის მიერ აღძრული მიწერ-მოწერა დამთავრდა, სინოდმა დაამტკიცა დავით გარესჯის უდაბნო ზოგად საცხოვრებელ მონასტრად; ათონის მთიდგან მოვიდა ოთხი საბერო ქართველი, მტკიცედ განსწავლულნი საეკკლესიო მსახურებასა და ბერულ წეს-რიგში; ესენი ამ დღეებში ხელდასხმულ იქმნენ ყოვლად სამღვდელო ლეონიდის მიერ და უკვე გაემგზავრნენ ლეონიდთან ერთად დავით გარესჯის უდაბნოსკენ.

სრული იმედია, რომ ახლად მოსული მამები თავიანთის მოღვაწეობრივის ცხოვრების მაგალითით მიიზიდავენ მრავალთ, გაჰმართავენ მგალობელთა გუნდს, გაგვაგონებენ ჩვენს საკუთარს კილოზედ წიგნთა კითხვას, აღადგენენ ჩვენ ძველებურს საეკკლესიო მხატვრობას, სამაგალითოდ მოაწყობენ მონასტრის მრეწველობა-მეურნეობის საქმეს და ამ გვარად კვალად დაუბრუნებენ ამ უდაბნოს ქართველის ერის გულითადს სიყვარულს. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა, ვინც-კი ჩვენის ერის ერთგულია და ნამდვილად შესტკივა გული, სასიხარულოდ მიიჩნევს ამ ამბავს.

სწორედ დღეს მოვალენი არიან შეუერთდნენ ამ ღირსის მამების დასს ის შეგნებულნი ქართველნი მღვდლები და მთავარ-დიაკვნები, რომლებიც მრავლად მოიპოვებიან საქართველოში და არ არიან დატვირთულნი წვრილ-შვილებით. ეს იქნება ამ ბერების ჭეშმარიტი ზნეობრივი დახმარება ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ ქვრივი მღვდლები და მთავარ-დიაკვნები ამგვარი საქციელით დაამტკიცებენ, რომ მათ ჭეშმარიტად, და არა მხოლოდ ლიტონის სიტყვით, უყვართ მშობელი ეკკლესია, ძვირფასად მიაჩნიათ ქართული გალობა-მწიგნობრობა, გული შესტკივათ მშობელის ერის ზნეობრივ განვითარებისათვის, ერთი სიტყვით, საქმეთაგან თვისთა გვიჩვენებენ სარწმუნოებასა თვისსა.

წამალა წყაროელი.

ივერია - 1900. – N28. - 6 თებერვალი. - გვ.2.

ახალი ამბავი: - დღეს, საღამოს 5 საათზედ, სიონის ტაძარში საღამოს ლოცვას შეასრულებს და დაუჯდომელს წაიკითხავს გორის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ლეონიდი. დაუჯდომელის შემდეგ წაიკითხავენ ქართულს ენაზედ ქადაგებას.

ივერია – 1900. – N126. – 14 ივნისი. – გვ.1–2.

ფელეტონი

ბატონ მოსე ჯანაშვილის წიგნის: „Грузинския обители вне Грузии“-ს გამო.

(ვუძღვნი ყოვლად-უსამღვდელოესს ლეონიდეს, ეპისკოპსს გორისას)

დიდად პატივცემულის ბატონ მოსე ჯანაშვილის ამ წიგნში მოყვანილია უტყუარი ისტორიული საბუთები იმის შესახებ, თუ რა წილი ჰქონდათ სახელოვანს ჩვენს მამა-პაპებს პალესტინასა და ათონის მთაზედ. ამ წიგნის შემწეობით დაკვირვებული მკითხველი ცოტად თუ ბევრად შეიგნებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონიათ ქართველებს პალესტინასა და ათონის მთაზედ, არა თუ მარტო საქართველოსთვის, არამედ სხვა საქრისტიანო ქვეყნებისთვისაც... ამავე წიგნში განმარტებულია სამწუხარო გარემოება, თუ როგორ ჰმტრობდნენ ქართველებს ბერძნები იმ თავითვე და სცდილობდნენ გამოედევნათ იგინი ათონის მთიდგან და პალესტინიდგანაც. ბოლოს იქამდის მიაღწია უსამართლო მტრობამ ბერძნებისამ ქართველთა მიმართ, რომ მათ დღეს სურთ ერთი ქართველიც-კი აღარ იმყოფებოდეს ათონის მთაზედ და პალესტინაში, რომელთ მონასტრების სასარგებლოდ ქართველმა კეთილმსახურმა მეფეებმა შესწირეს საქართველოში დიდ-ძალი შემოსავლიანი ადგილ-მამული. დღეს ეს ადგილ-მამული მთლად ბერძენთა სამღვდელოების ხელშია და ქართველს არავითარი წილი არ უძევს. ამ ადგილ-მამულის შემოსავლით ინახება იერუსალიმის ბერძენთა სასულიერო სემინარია და სხვა მრავალი დაწესებულება ბერძნებისა, სწორედ იმ დროს, როდესაც ასე უსამართლოდ სდევნიან ისინი ამ ადგილ-მამულის შემწირავს და მისთვის ძველად თავდადებულს ქართველობას. პალესტინაში დღეს აღარც ერთი ქართველი ბერი არ მოიპოვება ბერძენთა მეოხებით, იმ პალესტინაში, სადაც ქართველთ ჰქონდათ მრავალი მონასტერი და მათ შორის შესანიშნავი მონასტერი წმიდა ჯვარისა, რომლის დასაწყისი თითქმის მეხუთე საუკუნეს ეკუთვნის და რომელიც განახლებულ იქმნა საქართველოს მეფის ბაგრატ მეოთხისა და მისის დედის ელენეს საფასით მეთერთმეტე საუკუნეში. როდესაც ჯვაროსანთა ჯარი იერუსალიმში შევიდა მეთერთმეტე საუკუნის გასულს, აქ იყვნენ ბერძნების, ქართველების და სომხების წარმომადგენელნი, რომელთაც საშიშს დროს თურქთა ბატონობისას არ დასტოვეს მაცხოვრის სამშობლო.

ამ ბოლო დროს ამ მონასტრების საქმის გამოსარკვევად საუკეთესო დრო დადგა... წარსულს ზაფხულს იმოგზაურა პალესტინასა და ათონის მთაზედ დიდად პატივცემულმა დეკანოზმა მამა პეტრე კონჭოშვილმა, რომელმაც დაახლოვებით გაიცნო ამ ქვეყანებში ქართველ მოღვაწეების მდგომარეობა და ამის შესახებ საყურადღებო წერილები დაჰბეჭდა წარსულს წელს „ივერიაში.“ წარსულს წელსვე დაიბეჭდა რამდენიმე წერილი ათონის მთის ქართველ ბერების შესახებ ამავე გაზეთში. იმავე წელსვე გამოსცა რუსულს ენაზედ ზემოდ მოხსენებული წიგნი ბატონმა მოსე ჯანაშვილმა საქართველოს ეკკლესიის პირველ მღვდელ-მთავრის ექსარხოსის ფლაბიანეს ლოცვა-კურთხევით და ნება-დართვით... ამ რუსულს ენაზედ დაწერილის წიგნის საშუალებით მრავალი პირი შეიტყობს იმას, თუ რა დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის ქართველობას ქრისტიანობის წინაშე, ნათლად წარმოიდგენს იმ აღუწერელსა და გამოუთქმელს უსამართლობას, იმ ძალ-მომრეობას,

რომელსაც ხმარობდნენ და ხმარობენ ბერძნის ბერები ქართველების დასაჩაგრავად და მათის სახსენებელის მოსასპობლად ათონის მთაზედ და პალესტინაში...

ბატონს მოსე ჯანაშვილს მოჰყავს თავისს წიგნში ერთი ფრიად საყურადღებო ადგილი იმ წერილიდგან, რომელიც იყო დაბეჭდილი გაზეთ „С. – Петербургския Ведомости“-ში... და რომელიც ამავე საგანს შეეხება. ეს სიტყვები წარმოუთქვამს რუსთა წმიდა პანტელეიმონის მონასტრის იკონომოსს მამა მისაილს... „მხოლოდ ბერძენთა ბერების გაუმაძღრობით“ - ჰბრძანებს მამა მისაილი - „აიხსნება შეტაკებანი ბერძენთა ბერებისა და ქართველთა მონასტრის შორის, ამბობენ, რომ პოლიცია არ ჩარეულიყო საქმეში, ცუდი ამბები დატრიალდებოდა... ხუმრობაა, ძმა ძმის წინააღმდეგ აღმხედრდა ხანჯლებით, დანებით და კეტებით ხელში. აბა იფიქრეთ, ნუ თუ ეს ბერთა საქმეა სწორედ იმ დროს, ოდეს მთელი განათლებული ქვეყნიერება ჩვენის დიდ-სულოვანის მეფის დაწყებით ჰქადაგებს ძმობას, მშვიდობიანობას და სიყვარულს?!“ (გვერდი 43). ამ სიტყვებს რუსთა ეკკლესიის პატიოსანის ძისას, ვფიქრობთ, განმარტება აღარ ეჭირვება. ბატონი მოსე ჯანაშვილი ურჩევს „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელს საზოგადოებას,“ რათა მან იკისროს ზრუნვა ქართველთათვის ბერძნების მიერ წართმეულ მონასტრების დაბრუნებისა... მართლაც, რომ ამ საზოგადოებას, რომლის თავმჯდომარედ ჰბრძანდება საქართველოს ეკკლესიის პირველი მწყემსთ-მთავარი, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი, ფლაბიანე შეუძლია აღძრას მხურვალე შუამდგომლობა უმაღლესის მთავრობის წინაშე ხსენებული საკითხის დასაბოლოებლად. მაგრამ სამღვდელოების ამ შუამდგომლობას ქართველმა კეთილშობილმა წოდებამაც მხარი უნდა დაუჭიროს.

თუ დავაკვირდებით ჩვენს ისტორიას, ცხადად შევიტყობთ, რომ ქართველს სამღვდელოებას მეგობრულად ჭირსა და ლხინში გვერდს უდგა ქართველი თავად-აზნაურობა, რომლის წარმომადგენელნი მსახურებდნენ წმიდა ეკკლესიას სხვადასხვა სამღვდელო ხარისხში. ეს ორი წოდება ძველად ორივ სამშობლოს და ეკკლესიის სასარგებლოდ ჰზრუნავდა... ამ ორივ წოდებისთვის ერთნაირად ძვირფასი იყო მართლ-მადიდებლობითი სარწმუნოება და ორსავე ერთნაირად გული შესტკიოდა ყოვლისავე მისთვის, რაც ქართველის ხალხის „წმიდათა წმიდას“ შეადგენდა... თითქმის თითოეულ ქართველის თავადისა და აზნაურის საგვარეულო ისტორიაში შეხვდებით რამდენსამეს, რომელთაც განათლება მიუღიათ პალესტინისა და ათონის მთის ქართველთა მონასტრების სასწავლებლებში, უღვაწნიათ, უშრომნიათ ამ მონასტრების სასარგებლოდ, სისხლი და ოფლი უღვრიათ მათთვის, შეუწირავთ თვისი სიმდიდრე მათდა გასამშვენიერებლად და აღსაყვავებლად. რამდენს მათგანს ენატრებოდა სულით და გულით თვისის თვალით ნახვა ამ ორის ქრისტიანობისთვის უძვირფასესის ადგილისა, - ბევრს მათგანს მოუვლია ეს მხარე, მოულოცავს იქაური მონასტრები; ზოგი მათგანი სიმშვიდით იქვე გარდაცვლილა და იქვე შავ-ბნელს სამარეში სამუდამოდ ჩასულა. ქართველები არასოდეს არ ივიწყებდნენ, პალესტინას და ათონის მთას, და ან რად დაივიწყებდნენ, როდესაც მათ ამ ადგილების წინაშე დიდი ამაგი მიუძღვოდათ... მათ წილი ედოთ ამ ადგილებში და ეს წილი უჩვენებდა უტყუვრად იმ საბუთს, რომ ქართველს ხალხს სიცოცხლის, წინსვლისა და განვითარების ძალა ჰქონდათ, რომ საერთაშორისო ცხოვრებაში მასაც შესამჩნევი ადგილი ეჭირა და არავის მისცემდა ნებას შეელახა მისი ისორიული უფლება ხსენებულს ქვეყნებში, დიდის შრომითა, ღვაწლითა და სახსრით მოპოვებული.

ზემოდ ვთქვით, რომ თითოეულის ქართველის თავადისა და აზნაურის გვარს ჰქონდა მონაწილეობა პალესტინის და ათონის ბედ-იღბალშიო: თითოეულს მათგანს ასეთი თუ ისეთი ამაგი მიუძღვის იქაურ არა თუ მარტო ქართველ მონასტრებისა, არამედ თვით ბერძენთა მონასტრების წინაშე, - ამ მონასტრებში ნასწავლი ქართველები სასარგებლო მოღვაწეები იყვნენ არა თუ მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ თვით საბერძნეთისათვის. გავიხსენოთ მეხუთე საუკუნეში მცხოვრები პეტრე (მურვანოსი), საქართველოს მეფის ძე, რომელიც პალესტინაში გაზის ეპისკოპოსად ჰმსახურებდა, აგრეთვე წმიდა ილარიონ საკვირველთ-მომქმედი, თოეფილე ტარსის ეპისკოპოსი, გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელი, თორნიკე ბერი და მრავალნი სხვანი, რომელნიც თავ-განწირულნი იყვნენ საბერძნეთის ინტერესების დასაცველად და ვით კეთილშობილი, ნამდვილი ქრისტიანები სიკვდილსაც-კი არ ერიდებოდნენ, ოღონდ ერთ-მორწმუნე ერისთვის რამ სარგებლობა მოეტანათ... სწორედ ზემოდ ხსენებულ წმინდა ადგილების მადლით თავისი თავი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა, თვისი ეროვნული თავისებურობა უვნებლად დაიცვა ქართველობამ ცეცხლსა, ნიავქარსა და ცხოვრების მღელავ ტალღებს შორის. ამის გამო ამ ადგილების უარყოფა, მათზედ ხელის დაბანვა, მათთვის თავ-განებება, მიტოვება, მივიწყება მათში არსებულ ქართველ მოღვაწეების სამარეებსა და მათს ნაშთებთან ერთად სწორედ იმ დროს, როდესაც ქართველობას ჰყავს დიდებული მფარველი ხელმწიფე იმპერატორი, რომლის მხოლოდ ერთს სიტყვას შეუძლიან მას დაუბრუნოს ის, რაც ეკუთვნის კანონით ხსენებულს ქვეყნებში, იმის შეუცდომელი მომასწავებელი იქნება, რომ მას (ქართველობას) თავის-თავზედაც ხელი აუღია, გული აღარ ერჩის თვისის მშობლიურ ღვიძლ ისტორიისათვის, ის აღარაფერია, აღარ ერობს, აღარ არის და თუ არის, მხოლოდ საცოდავი აჩრდილია თავისის სახელოვანისა და გმირთა გმირი მამა-პაპისა...

ათონის და პალესტინის ორი უმთავრესი მონასტერი მაინც ქართველობასვე უნდა დაუბრუნდეს. ამას მოითხოვს ისტორიული, იურიდიული და ზნეობრივი უფლება. საქართველოს საექსარხოსოს სამივე ეპარქიის სამღვდელოებამ და ტფილისის და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ თავიანთის წარმომადგენლების პირით უნდა აღძრან შუამდგომლობა თვისის მოწყალე ხელმწიფის წინაშე, რათა ქართველობას დაუბრუნდეს უსამართლოდ ბერძენთაგან წარტაცებული მონასტრები და მათთვის შეწირული დიდძალი ადგილ-მამული. ნუ დავივიწყებთ იმას, რომ განსვენებულმა ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე მე-III დიდი მონაწილეობა მიიღო ათონის ქართველ ბერების ბედ-იღბალში, სამართლიანადაც სცნო მათი საჩივარი, რომლითაც მათ მიჰმართეს, რამდენიმე ათასი მანათი შესწირა თვისთა საკუთარ საშუალებათაგან ათონის მთაზედვე ქართველთა ძველ იოანნე ღვთისმეტყველის მონასტრის განსაახლებლად... განსვენებულის ხელმწიფის უხვის შეწირულების მეოხებით დაჩაგრულს ქართველს ბერებს მიეცათ შეძლება ამ განახლებულს სავანეში ათონის მთაზედ დარჩენისა და მხურვალე ლოცვას აღუვლენდნენ ზენაარსს თვისის ქველმოქმედის ხელმწიფის დღე გრძელობისა და კეთილ წარმატებისათვის და დღესაც გულ-ამოსკვნით იგონებენ იმის სახელს... ბოლოს დროს აქედგანაც, ამ უკანასკნელ თავშესაფარიდგანაც უნდათ ბერძნებს განდევნონ ქართველი მოღვაწე ბერები და ესრედ მოაშორონ ქართველის ფეხი ამ წმიდა მთასა, რომლის ბედ-იღბალთან მკვიდრად შეკავშირებული იყო ქართველის ერის ბედ-იღბალიც... ათონის მთა და პალესტინა, - აი ეს ორი სახელწოდება, რომელიც მყარი ბურჯი

იყო ქართველთა სარწმუნოებისა და სულიერის ზრდა-წარმატებისა, - ეს ორი უძვირფასესი სახელი არა ერთსა და ორს ქართველს შთაბერავდა ძლევა მოსილს გრძნობას წმიდა ეკკლესიის სიყვარულისას, არა ერთსა და ორს ქართველს განუმტკიცებდა ერთგულებას თვისის სარწმუნოების მიმართ, არა ერთსა და ორს ქართველს აღაფრთოვანებდა, გაამხნევდა, გაატალკვესებდა ქრისტიანობის აღურაცხელ მტრებთან მედგარის ბრძოლის ჟამს... მტკიცე და ნათელხმოვანი სიმები თანაგრძნობა სიყვარულისა გაბმული იყო ქართველის გულსა და ამ ორს ადგილს შორის. ქართველი სულდგმულობდა ამ სულიერ კავშირით და სიყვარულით წმიდა ადგილების მიმართ; ის ღირსეულად ამაყობდა იმითი, რომ წილი ედო ამ ადგილებში, ის შესტრფოდა, შორით სალამს უძღვნიდა, მათი ნახვა, მათი მიმოხილვა სწყუროდა და მათ სთვლიდა თვისს მეორე სულიერ სამშობლოდ, გზის სიძნელეს არ უშინდებოდა და მიდიოდა მათდა მოსალოცავად... იქა ჰხედავდა ქართველ მოღვაწეებს, ამხნევებდა, მათგანაც თვით მხნევდებოდა და ესრედ კმაყოფილი, ლოცვა-ვედრებით ნუგეშცემული, თვისს სამშობლოშივე ჰბრუნდებოდა და მათის ნახვით თვისს თავს ბედნიერად სთვლიდა. ამ წმიდა ქვეყნებში ქართველებისაგან წილის დაკარგვა მათს სისუსტეს, მათს დალაჩრება-დაქვეითებას მოასწავებდა. ასე იყო ძველად, და თუ არ ვცდებით, რამდენადმე ახლაც ასეა...

ორინიანი.

ივერია – 1900. – N182. – 22 აგვისტო. – გვ.2-3.

ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდი, ეპისკოპოსი იმერეთისა.

„ჭყონდიდელები“ ბერვნი იყვნენ, გარნა უმეტესად ყოველთა ჭყონდიდლობა უკვდავ ჰყო ერთმა მაკურთხეველმა, რომელსაც დღეს ყველანი ანტონ ჭყონდიდელს ვუწოდებთ. „ქუთათლებიც“ საკმაოდ ჰბრწყინავდნენ, გარნა ქუთათლობა უმეტესად განაბრწყინვა ნეტარ ხსენებულმა გაბრიელ ეპისკოპოსმა, ძლიერმა სიტყვით და საქმით.

უზენაესის განგებულებით ქუთაისს მიწოდებულია დღეს ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდი, კაცი მხნე, სამშობლოს სულიერად აღორძინებისა და აღყვავების მოსურნე და მოწადინე. იგი ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცია და უმაღლესის სწავლით გამეცნიერებული.

იმერეთსაც ასეთი მაკურთხეველი ესაჭიროებოდა, იმ იმერეთს, სადაც როგორც ყველგან საქართველოში, სამკალი მრავალ არს და მუშაკნი ყოვლად მცირე, ერთი კაცი, რაც უნდა დიდის ნიჭის პატრონი იყოს, ბევრს ვერას გააკეთებს, თუ კეთილნი დამხმარებელნი არ ეყოლებიან. იმერეთში, ღვთით, არიან ბევრნი, რომელნიც, თუ თვისს მღვდელმთავარს მხარს დაუჭერენ, სანატრელად გაბრწყინდება „ქუთათლობა“ და ბევრს სიკეთეს მოუტანს ქვეყანას; სკოლების გამრავლება, წიგნების გავრცელება, ზნეობის ამაღლება და სხვა სათნოებათა აღორძინება მოელის ქვეყანას, სადაც კეთილი მწყემსი წინამძღვრობს და სამწყსოც უსმენს მას და ეხმარება. „ზრდილნი არიან იმერნი, მტერთა მიმცემი რისხვისაო.“ ამ „ზრდილობის“ შესაქმნელად უმეტეს ყოველთა უმოღვაწნიათ იმერთ მღვდელ-მთავრებს. სხვა რომ არა ვთქვათ, მარტო გაბრიელს იმდენი დაუთესნია კურთხეულს იმერეთში, რაოდენსაც ორიოდ-სამიოდე სემინარია ვერც-კი დასთესდა მრავალს წელს.

ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდი თუმცა წლოვანებით ახალგაზრდა, გარნა საქმით უკვე მხცოვანია: სკოლების ინსპექტორად რომ დანიშნეს იგი, ჩააბარეს 25 სკოლა, ორიოდე წლის შემდეგ-კი, ინსპექტორობა რომ დასტოვა, თავისს მოადგილეს გადასცა 55 კარგად გამართული სასწავლებელი და ესენიც სადა? - საინგილოში, ხევსურეთში, ოსეთში, სამცხეში და სხვა.

და გარნა მარტო სკოლები ამრავლა? განაბრწყინვა და განაახლა დარღვეული მონასტრებიც - ხირსისა, ნათლისმცემელისა და აგრეთვე ზედაზნისა და შიომღვიმისა თავისს საყვარელ ბიძას ყოვლად უსამღვდელოეს ალექსანდრესთან ერთად. საცა შევიდა ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდი, ყველგან შეიტანა მშვიდობა და სიყვარული და ამის მოწამენია, გარეშე კაცთა, ხევსურეთის ჭიუხიანი კლდეები, ოსთა „ქაზარნი“ (ქოხნი) და სამცხე-საინგილოს ტყე-ღრენი. უშიშრად ჰმგზავრობდა იგი მაჰმადიანობით გატაცებულ ინგილოთა შორის. ერთხელ მეჩეთში უთხრეს მას ყორაღნელებმა: „მამაო, გვიკვირს, ეგეთი ახალგაზრდა ხარ და უშიშრად დადიხარ ამ ტყე-ღრეში. ან დედა არ გყავა, ან მამა არ გყავა, ყორაღანში რაი გინდა შენ, ჩვენ არ გავქრისტიანდებით, არ სჯობს, წახვიდე შენს დედ-მამასთან და იქ იცხოვრო, შენც გაიხარო და შენი მშობლებიც გაახარო!“ – „რა გამახარებს მე, ძმებო, ეუბნებოდა აღელვებულს ბრბოს მქადაგებელი, ოდეს თქვენ ჰღალატობთ თქვენთა მამა-პაპათა ანდერძს, გადმოცემას, გვარსა და ტომს...“

ყოვლად უსამღვდელოესის სიტყვათა და ნამოძღვართ აღნუსხვას საჭიროდ არა ვთვლით, მხოლოდ დავასახელებთ მისს რაოდენსამე, ჭეშმარიტად რიტორებრივს, მოძღვრებას: კრწანისის, ერეკლეს ასის წლის მოგონების დღეს, რაფიელის მემზანაგობას (იუბილე), მეტეხის საპყრობილეს და სხვა, სჩქეფს სასოებითა და ნუგეშს გვცემს.

აქვე მოკლედ აღვნიშნავთ ეპისკოპოსის ლეონიდის წარსულს: მისმა უსამღვდელოესობამ ეპისკოპოსმა ლეონიდმა, მღვდლის სოლომონ ოქროპირიძის შვილმა, სწავლა დაამთავრა ჯერ სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში და შემდეგ კიევის სასულიერო აკადემიაში ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. ჯერ ისევ აკადემიაში იყო, როდესაც განაცხადა სურვილი ბერად შესვლისა და 1887 წლის 19 ივნისს აღკვეცილ იქმნა ბერად, ხოლო ამავე წლის 29 ივნისს აღყვანილ იქმნა იერო-დიაკონის ხარისხში. 1888 წელს მაისის 2-ს ხელ-დასხმულ იქმნა მღვდელ-მონაზონად. იმავე წლის 14 ივნისს მიიღო ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი. დაამთავრა რა აკადემიაში სწავლა, მისი თხოვნისა და საქართველოს ექსარხოსის განკარგულების თანახმად, ლეონიდი დანიშნულ იქმნა კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლების ინსპექტორად და ზაქათალის ოლქის მისსიონერად. 1889 წლის 1 იანვარს ებოძა ენქერი გულმოდგინეთ სამსახურისა და სამაგალითო ცხოვრებისათვის.

1889 წლის აგვისტოს 2-ს საქართველოს ექსარხოსმა, ყოვლად უსამღვდელოესმა პალლადიმ დაჰნიშნა ლეონიდი საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს წევრად.

1892 წლის 15 მაისს მისიონერად ყოფნის დროს სასარგებლო მოღვაწეობისთვის ებოძა გულის ჯვარი. დავალებულ თანამდებობათა სამაგალითო აღსრულებისათვის 1892 წლის 1 ნოემბერს აღყვანილ იქმნა იღუმენის ხარისხში და დაინიშნა ზედაძნის მონასტრის წინამძღვრად.

1893 წლის მაისის 6-ს უწმიდესის სინოდის განკარგულებით ლეონიდი აღყვანილ იქმნა არქიმანდრიტის ხარისხში და დაინიშნა ხირსის წმიდა სტეფანეს მონასტრის

წინამძღვრად, ხოლო ამავე წლის ნოემბერში, ყოვლად უსამღვდელოსის ექსარხოსის ვლადიმერის განკარგულებით, საქართველოს ეპარქიის მონასტრების ბლაღოჩინად.

გულმოდგინე სამსახურისათვის უმაღლესად ებოძა ორდენი წმიდა ანნასი მე-3 ხარისხისა 1896 წლის 15 მაისს. ხოლო იმავე წლის ნოემბრის ათს, უწმიდესის სინოდის განკარგულების თანახმად, ლეონიდი დაინიშნა სინოდის კანტორის წევრად. განათავისუფლეს სხვა თანამდებობათაგან, ხოლო დაავალეს თავმჯდომარეობა „დაბადების“ [შესაქმის] შემსწორებელ კომიტეტისა.

1897 წელს დაინიშნა საქართველოს საეკკლესიო მუზეუმის თავმჯდომარედ და იმავე წელს წმიდა იოანე ნათლის-მცემლის უდაბნოს წინამძღვრად.

უმაღლესის ბრძანებით 1898 წელს არქიმანდრიტ ლეონიდეს ებოძა ეპისკოპოსობა და დაინიშნა გორის ეპისკოპოსად და საქართველოს საექსარხოსოს პირველ ვიკარად. ეხლა იგი მოწოდებულია იმერეთის ეპარქიის განსაგებად. დარწმუნებულნი ვიყვნეთ, რომ მისი უსამღვდელოესობა ჭეშმარიტად კეთილ მწყემსობას გაუწევს ვრცელს ნაწილს იმიერ საქართველოსას და ყოველს თავისს მოქმედებას წინ წარუმძღვარებს სახარების სიტყვებს: „მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის.“

ივერია – 1900. – N204. – 20 სექტემბერი. – გვ.2–3.

ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის ქუთაისში მიბრძანება.

ამ თვის 16, შაბათს, ქსნის სადგურზედ განსაკუთრებული ვაგონი მიართვეს ქუთაისის ეპისკოპოსს ყოვლად-უსამღვდელოესს ლეონიდს. ამავე მატარებლით გაჰყვნენ ეპისკოპოსს გასაცილებლად ტფილისის სამღვდელოებისა და სინოდის კანტორის წარმომადგენელნი. ტფილისიდგან წამოსულთ მათ მეუფეგას მშვენიერი ჩუქურთმიანი წმიდა ნინოს ხატი მიართვეს და მღვდელმა პოლიევქტო კარბელაშვილმა გამოსათხოვარი სიტყვა მოახსენა ტფილისის სამღვდელოთა სახელით. გორის სადგურზედ მათს მეუფეგას დაუხვდა სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი მასწავლებლებითურთ და ლოცვა-კურთხევა აიღეს. რიონის სადგურზედ ქუთაისისა და სხვა სოფლების სამღვდელოება მიეგება. ქუთაისის სადგურზედ დილის რვა საათისთვის მთელი სამღვდელოება შეიკრიბა; ბევრნი პროვინციებიდგანაც მოსულიყვნენ. უკვე რვა საათს გარდაცილებული იყო, რომ მის მეუფეგასთან სადარბაზოდ ვაგონში ამოვიდნენ ქუთაისის გუბერნატორი და ქუთაისის თავად-აზნაურობის მარშლის მოადგილე თავადი ნიჟარაძე. სადგურზედ ჯერ გუბერნატორი და თავადი ნიჟარაძე გამოვიდნენ და შემდეგ ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი, რომელმაც ხალხი დალოცა. სამღვდელოებამ შემოსვა დაიწყო. როდესაც ეპისკოპოსი შემოსეს და ორთავ მხარეს დაფარნები დაადგეს, სამღვდელოება ხატებით, ჯვრითა და დროშებით ლიტანიით წარემართნენ საკათედრო ტაძრისაკენ. ყველა ეკკლესიებში ზარის რეკვა დაიწყეს. თან აუარებელი ხალხი მისდევდა ლიტანიას, ასე რომ გზაში პოლიცია ხალხს ძლივს იმაგრებდა; გზა-და-გზა ხომ სახლების ფანჯრები და აივანები სავსე იყო ხალხით. ვოგზალთან ახლოს დამწკრივებულნი იყვნენ ეპარქიალურ სასწავლებლის მოსწავლენი, რომელნიც ტაძრამდის გაჰყვნენ და მთელი წირვა მოისმინეს; ხოლო წირვის შემდეგ ტაძრის კათედრიდგან კარის ბჭემდის ორთავ მხარეს ჩამწკრივდნენ

და ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი ისე გააცილეს. ლიტანიის წინ ქალაქის ამქრების ბაირაღები მიჰქონდათ ხელოსანთა მოთავეთ. ვოგზლიდგან ტაძრამდის ქალაქის მოურავი ბატონი ლოლუა თან მისდევდა ლიტანიას. ლიტანია 9 $^1/_2$ საათზედ მივიდა ტაძარში. აქ ტაძრის დეკანოზმა ცაგარეიშვილმა და კელენჯერიძემ მისს მეუფებას სიტყვები მოახსენეს, რომლის შემდეგაც წირვა დაიწყო. წირვის შემდეგ მისმა მეუფებამ ფრიად საგულისხმიერო და გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა. ყოვლად-სამღვდელოს სიტყვის შემდეგ პარაკლისი იქმნა გარდახდილი. წირვის შემდეგ მისი მეუფება თავისს ახალს სადგურში წაბრძანდა, სადაც სამღვდელოებამ მიაცილა. აქ მცირედის პარაკლისის შემდეგ სამღვდელოება და მოსულნი სტუმარნი გამოეთხოვნენ მისს მეუფებას. ვისაც კი სამღვდელოთაგან ეპისკოპოსი არ იცნობდა, ქუთაისის ეკკლესიების ბლაღოჩინმა დეკანოზმა ყუბანეიშვილმა წარუდგინა მისს მეუფებას. იმ დღის თანამწირველნი ეპისკოპოსმა ჩაიზედ მიიწვია.

წირვის შემდეგ ეპისკოპოსი ინახულეს და მიულოცეს როგორც გუბერნატორმა, აგრეთვე სხვათა წარჩინებულმა კაცებმა, რომელთაც ეპისკოპოსმა ლეონიდმა შემდეგ დარბაზობა გარდაუხადა. მშვენიერი გრილი ამინდი ყველა ამას ხელს უწყობდა.

მათე.

ივერია – 1900. – N237. – 31 ოქტომბერი. – გვ.2.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დაბა ჭიათურა: - 25 ოქტომბერს, დილის 11 საათზედ, სახალხო მატარებლით ჭიათურაში მობრძანდა ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი, რომელსაც თან ახლდა ეპარქიის სკოლების უფროსი მამა მელიტონ კელენჯერიძე.

მართალია, იმ დღეს მეტის-მეტი ცუდი ამინდი იყო, მაგრამ მაინც მრავალი ხალხი მიეგება ახალს მღვდელთ-მთავარს. ჭიათურის რკინის გზის სადგურზედ, სხვათა შორის. ეპისკოპოსს შეეგებნენ: ადგილობრივი სამღვდელოება, სადგურის უფროსი, თავადი გ. ბეგთაბეგოვი, ჭიათურის ბოქაული თავადი პ. ყიფიანი, ჭიათურის სკოლის მასწავლებელი ბესარიონ ვაშაძე სკოლის მოწაფეებით და სხვანი. ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი სადგურიდგან პირდაპირ ადგილობრივს სამრევლო სკოლაში გაემგზავრა, სადაც ჩვეულებრივის გალობის შემდეგ მღვდელთ-მთავარი გაკვეთილებს დაესწრო; გამოსცადა მოსწავლეები საღმრთო სჯულში, ქართულსა და რუსულს ენაში და მოწაფეების ნაწერები ინახულა. ყოვლად-სამღვდელო თითქმის ორსაათნახევარს დარჩა სკოლაში, სადაც მისი მეუფება ძალიან კმაყოფილი დარჩა სკოლის წარმატებით. მასწავლებელმა ვაშაძემ ყოვლად-სამღვდელოს ვრცელი მოხსენება მიართვა სკოლის შესახებ. შემდეგ ეპისკოპოსმა ლოცვა-კურთხევა უსურვა მასწავლებელსა და მოსწავლეებს და ნაშუადღევის ორ საათზედ მღვიმის დედათა მონასტერში წაბრძანდა. მეორე დღეს ყოვლად-სამღვდელო მონასტრის ეკკლესიაში ბრძანდებოდა მწირველი. წირვის შემდეგ მღვდელთ-მთავარმა გრძნობიერი ქადაგება წარმოსთქვა; შემდეგ დაწვრილებით დაათვალიერა მონასტრის მამულები, რომლებიც დღემდის ზოგიერთების დაუდევრობითა და წყალობით შავი-ქვის

მაწარმოებლების ხელშია. მონასტრიდგან ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი საჩხერეში წაბრძანდა სკოლების დასათვალიერებლად და იქიდგან ქუთაისში დაბრუნდება.

შავი ქვის მაწარმოებელი.

ივერია – 1901. – N67. – 24 მარტი. – გვ.2–3.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფელი ითხვისი: (შორაპნის მაზრა). - როგორც გაზეთ „ივერიიდგან“ შევიტყეთ, ქუთაისში 23-25 თებერვალს საურთიერთო საზოგადოების შენობაში სამეურნეო საგნების შესახებ, მაგალითად, მევენახეობისა, სიმინდის მოყვანისა, ბამბისა და შინაური ფრინველების მოვლა-მოშენების შესახებ საუბრები გაუმართავთ. ძალიან კარგი და კეთილი და დიდად სასარგებლო და ნაყოფიერი საგნებიც შეურჩევიათ, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ, სოფლელნი, უცოდინარნი რუსულის ენისა, ისე ვუცქერით ამ ლექციებს, ვითომ პარჟში იკითხებოდეს და არა ქუთაისში, რადგანაც ხელი არ მიგვიწვდება, ვერ მოვისმენთ. ამისათვის, კარგს ინებებენ, ვისაც ჩვენის ბეჩავ სოფლისათვის გული შესტკივა, ლაპარაკს აღძრავდნენ, რომ იქ წამოთქმული დარიგებანი და ლექციები ჩვენ დაშორებულ სოფლის მეურნეთ გასაგებს ქართულს ენაზედ მოგვაწოდონ ბროშურებათ, ან და რომელსამე ქართულს ჟურნალ-გაზეთში დაისტამბებოდეს, რომ ამ გზით მაინც არის შევიძლოთ ჩვენთვის სასარგებლო საგნის გაცნობა!

სამი წელიწადია, რაც დაბა ყვირილაში პრაქტიკული სამევენახეო კურსი არსებობს და ყოველ-წლობით ოც-ოცი ყმაწვილი სწავლობს. პრაქტიკულად მოსწავლენი იმისთანა მშვენივრად ითვისებენ მევენახეობასა და სხვა-და-სხვა ბოსტნეულობის მოყვანას, რომ მნახველს სწორედ სასიამოვნოდ დარჩება. ამის გარდა, თავისს ცოდნას შემდეგ სოფელში ავრცელებენ და ასწავლიან, სხვა უფრო სასარგებლო და უცნობი მცენარეულობა როგორ ინდა ახეირონ, კარგის ჯიშის ხეხილები როგორ ამყნონ და ან ამაზედ კარგი რა იქნება, რომ ჩვენს დედაენაზედ დაწერილი ადვილად გასაგები წიგნაკები უფასოდ ვრცელდებოდეს ხალხში სხვა-და-სხვა დარგის მოსავლისა და მცენარეულობის შესახებ. ერთი ასეთი მაგალითი უკვე ხელთა გვაქვს: ამას წინაზედ საქარის სანერგის გამგეს ბატონს სტაროსელსკის ვთხოვეთ, რომ ამერიკულ ვაზის მოვლა-მოშენების დარიგება ქართულს ენაზედ დაებეჭდათ და ხალხში დაერიგებინათ და ბატონმა სტაროსელსკიმაც სიამოვნებით მოგვაწოდა იგი. და აი, დღეს ამ წიგნის წყალობით ყველა ოჯახის პატრონი სცდილობს ამერიკული ვაზი ააშენოს და მევენახეობა არ მოჰსპოს. მაგრამ ერთს შევნიშნავთ, რომ ასეთი წიგნაკები შესაფერის მდაბიო ენით იყოს ადვილად გასაგებად დაწერილი; უამისოდ წიგნი სარგებლობას ვერავის მოუტანს, უქმად დაკარგული შრომა იქნება...

ჩვენი სოფელიც ეღირსა გამოღვიძებას და მალე აქ ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლაც გვექნება გამოწყობილი, რომლის ასაშენებლადაც ფული უკვე ნახევარი შეკრებილია.

როგორც ნამდვილის წყაროებიდგან შევიტყეთ, ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზს ლეონიდს ჯეროვანი განკარგულება მოუხდენია და ეპარქიის ყველა ბლაღოჩინებისათვის მიწერილობანი გაუგზავნია, რომ ჩვენებურს, ეგრედ წოდებულს გაზვიადებულს სატირლებს უკლონ, რადგანაც იგი ხალხს მხოლოდ მიწასთან ასწორებს, აღარიბებს.

წარსულ თებერვლის 27-ში სოფელ ზოვრეთში (შორაპნის მაზრა) დაასაფლავეს აზნაური დარისპან ნიკოლოზის ძე მდივანი, რომელსაც მრავალმა თავად-აზნაურობამ სცა პატივი და დასაფლავებაზედ თავი მოიყარა. მიწვეული ბრძანდებოდა ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა და სასტიკად გაჰკიცხა ტირილი ესე ფარისევლური და მაზარალებელი. დამსწრე საზოგადოებაზედ სიტყვამ დიდი გავლენა იქონია.

პ. აბდუშელიშვილი.

ივერია – 1901. – N102. – 12 მაისი. – გვ.1-2.

ახალი ამბავი: - ხუთშაბათს, 9 მაისს, შიო მღვიმის მონასტერში მათმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, იმერეთისამ - ლეონიდემ და გორისამ - კირიონმა ადგილობრივ სამღვდელოების თანამწირველობით აკურთხეს იქ ახლად აშენებული ეკკლესია. ეკკლესიის კურთხევას მრავალი ხალხი დაესწრო.

იმერეთის ეპისკოპოსი ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი ჩუნეშის საბლაღოჩინო ოლქში.

(ქუთაისის მაზრა)

აწინდელი მღვდელ-მთავარი იმერეთისა, ყოვალდ-სამღვდელო ლეონიდი, რომელიც მოკლე დროის განმავლობაში სულით და გულით შეიყვარა სასარგებლო და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის თავისმა სამწყსომ... იმერეთის თითოეული კუთხე მოუთმენლად მოელის ყოვლად-სამღვდელოს ხილვას პირისპირ და მისი ბრძნულის დარიგების მოსმენას. ჩუნეშის საბლაღოჩინო ოლქს, რომელიც ქუთაისის ახლოს მდებარეობს, წილად ხვდა თვისს არე მარეზედ ეხილა მობრძანება ყოვლად-სამღვდელო ლეონიდისა აპრილის თვეში. ცამეტ აპრილიდგან 21 აპრილამდის ყოვლად-სამღვდელო წაბრძანდა ჩუნეშის საბლაღოჩინო ოლქში ეკკლესიათა დასათვალიერებლად. მათს მეუფებას თან ახლდნენ დეკანოზი ნესტორ ყუბანეიშვილი და ბლაღოჩინი ნესტორ შვანგირაძე. პირველს მათგანს მათმა მეუფებამ მიანდო საეკკლესიო საბუთების განხილვა. ყველგან მათს მეუფებას შესაფერის პატივისცემით უხვდებოდა სამღვდელოება და ხალხი. მათი მეუფება ყველგან ხალხს ესაუბრებოდა ადვილად გასაგები და ცოცხალის ენით სხვა-და-სხვა ცხოვრებისთვის საჭირო საგანთა გამო. მათმა მეუფებამ დიდი ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ჩუნეშის საბლაღოჩინო ოლქი ფრიად ჩამორჩენილია სწავლა-განათლების მხრით. აქ თითქმის არსად არაა საეკკლესიო-სამრევლო სკოლა, იმის და მიუხედავად, რომ ხალხს უყვარს სწავლა-განათლება... მხოლოდ აქ მოთავე დღემდის არავინ გამოჩენილა,

რომ სკოლების გახსნის შესახებ ხალხისთვის შეედგენინებინა განაჩენი და სასკოლო სადგომები აღეშენებინა... ყოვლად-სამღვდელო ლეონიდემ ყველგან განუმარტა ხალხს სწავლა-განათლების მნიშვნელობა და ურჩია მამაშვილურად საეკკლესიო სკოლები გაემართათ... ხალხი ეთანხმებოდა მათის მეუფების რჩევას... მათ მეუფებას არ მოეწონა ბევრი ეკკლესია, რომლებიც მართლაც შეუფერებელია ქრისტიანეთათვის: მათმა მეუფებამ ბევრგან დაკეტა შეუფერებელი ეკკლესია სიპატარავის და შესამჩნევად დაძველების გამო. ხალხმა აღუთქვა მათ მეუფებას ახალი ტაძრების აღშენება. ამასთანავე მათი მეუფება ხალხს განუმარტავდა, თუ რა-რიგ უყვარდა ძველს ქართველობას წმიდა ტაძრები და მათი გამშვენება, საღმრთო წერილი და მწიგნობრობა, რა ზომამდის თავგანწირული იყო იგი ცხოველის სარწმუნოებისა, ღვთის სიყვარულისა და საზოგადოდ საეკკლესიო საქმეებისათვის. მღვდელ-მთავარი შეეხებოდა თავის მოძღვრებაში კიდევ სხვა ბევრს საგანს და თითოეულის შესახებ იგი თავისუფლად და საფუძვლიანად საღმრთო წერილის თანახმად ესაუბრებოდა მსმენელთა, რაც თავის თავად მოწმობს იმას, რომ მათი მეუფება ღრმად მცოდნეა საღმრთო წერილისა და ღვთისმეტყველებისა.

ჩუნეშის საბლაღოჩინო ოლქის მცხოვრებთ არასოდეს არ დაავიწყდებათ ყოვლად-სამღვდელოს მობრძანება. თითოეული მისი სიტყვა ნაყოფს გამოიღებს, თითოეული მისი დარიგება შესაფერს ნიადაგს მოიპოვებს იმათს გულში. სამღვდელოების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, თითქმის ყველგან მღვდლები შესაფერის სიტყვით ეგებებოდნენ მღვდელ-მთავარსა, ლმობიერსა და შორსმჭვრეტელსა. ბანოჯის და ციხის გვერდში სიტყვით მიჰმართეს მათ მეუფებას სამრევლოს მღვდლებმა, რომელთაც პირუთვნელად დაასურათხატეს მათის მეუფების ხასიათი და გამოსთქვეს თვისი უღრმესი სიხარული მათის მობრძანების გამო. სხვათა შორის მღვდელმა იუსტინე ფანცხავამ მოახსენა მათს მეუფებას შემდეგი: „მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გაბრიელ ეპისკოპოსი სიტყვით, თუ საქმით წინ მიუძღოდა იმერეთის ეპარქიას ნათლის სვეტად... ამასვე მოველით თქვენის მეუფებისაგან აწმყოში... მეოცე საუკუნეში თქვენ გაუძღვებით იმერეთის ეპარქიას ქრისტეს ჯვრით ხელში და ფხიზელი მოქმედებით და დარწმუნებული ვართ, საიმედო ნავთსაყუდლამდე მიიყვანთ თქვენს სამწყსოს...“ იმედი არ გაუმტყუნდება უძველეს სამწყსოს იმერეთისას, რომლისთვისაც ძვირად საღირალია მღვდელ-მთავრის სიტყვა... მტკიცე სულიერი კავშირია დამყარებული იმერეთის მღვდელ-მთავრის და სამწყსოს შორის და ამ კავშირს ვერ შეჰმუსრავს თვით ბჭენი ჯოჯოხეთისანი. თვისის გაჭირვების, უბედურების, თვისის მხიარულებისა და ბედნიერების დროს იმერეთის სამწყსო ძველად მღვდელ-მთავრის მადლით მოსილ კალთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. სამშობლო ქვეყნისთვის, სიმართლისა და სიკეთისთვის, კაცთ-მოყვარეობისა და ქველ-მოქმედებისათვის გული შესტკიოდა იმერეთის მღვდელ-მთავარს ძველს დროში; მას არასოდეს უღალატნია თვისის უმაღლესის მოწოდებისათვის. ეს გარემოება აცისკროვნებდა ძველს ქართველს დასავლეთ საქართველოში ტამჯვათა შორის და აღაფრთოვანებდა გაჭირვების ჟამს. იგივე გარემოება არ უკლავდა მას იმედს საუკეთესო მომავლისას და შავ ბედთან მედგარს ბრძოლისათვის გაამხნევებდა. მეფე და დიდებული, თავადი და აზნაური მიმართავდნენ მას ასეთი სიტყვით:

„შენ რას ბრძანებ, მღვდელ-მთავარო?!
სიტყვა შენი გვიღირს ძვირად...“

აწინდელი მწყემსმთავარი იმერეთისა ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი თავ-გამეტებით, დაუღალავად დაბრძანდება სოფლიდგან სოფლად, ქალაქიდგან ქალაქად, დაბიდგან დაბად და დაბრძანდება ფეხით, ცხენით, ეტლით, გადადის მდინარეებზედ, მაღალ მთებზედ ბილიკით, - და ყველგან სთესს თესლსა კეთილსა, და ხარობს უზომოდ მათის მეუფების გული, რომ თესლი ესე მათის მოძღვრებისა ჰპოებს ნოყიერს ნიადაგს აღმოცენებისა და აღორძინებისათვის. ვისურვოთ მათის მეუფებისათვის დღეგრძელობა და ჯანის სიმრთელე იმერეთის სამწყსოს სულიერის წარმატების სასარგებლოდ.

ორინიანი.

ივერია – 1901. – N167. – 1 აგვისტო. – გვ.2–3.

ფელეტონი

–

უსამართლო საყვედური

–

ოცდაათი წელიწადი და მეტია, რაც ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში ხშირად ვკითხულობთ მიცვალებულზე ხარჯების შესახებ ჩივილს. ქართლ-კახეთიდამ გნებავთ თუ იმერეთ-სამეგრელოდამ ან მთებიდამ, ყოველგნით ჩივილი ისმის, ოჯახები გვეღუპება ვალებისაგან მიცვალებულის დამარხვითო. ეს ჩივილი საერთოა, ზოგან სოფლებს განაჩენებიც შეუდგენიათ (ადრეც და ახლაც) ხარჯების მოსპობაზე. ჩანს დრო მოსულა, ხალხი გრძნობს ხარჯების სიმძიმეს და მისი მოსპობა ესურვება.

ამგვარად ვხედავთ, რომ მიცვალებულზე სადილების და ქელეხების გამართვას აღსასრული უახლოვდება.

ყოვლად-სამღვდელოს იმერეთის ეპისკოპოსს განკარგულება მოუხდენია ამ მაზარალებელ ჩვეულების შესახებ. ბატონი აკაკი ბრძანებს „ივერიის“ 25 ივლისის ნომერში, ამ განკარგულებამ „მოულოდნელი უკმაყოფილება გამოიწვია ჩვენშიო. ჩანს რომ თვით სამღვდელოებას ვერ გაუგია ბრძნული აზრი იმერეთის ეპისკოპოსისაო, რომ გადასხვაფერებულად ჩასმენია საჭირო ჭეშმარიტებაო.“

იქნება ბატონი აკაკის მოჰგონებია ძველებური ნათქვამი:

ხუცესმა უთხრა ხუცესსა:
აღაპი არის რუსეთსა.
- **თუ ჭორი არ არისო,**
შორი არ არისო.

და ამიტომ უწოდებს იმერეთის ეპისკოპოსის განკარგულებას ბრძნულს. მაგრამ როდესაც ჩავიკითხავთ წერილს, ვხედავთ დაწუნებას და მივყევართ ამ სტრიქონებამდე: „აგრეთვე არ მოგვწონს ის განკარგულება, რომ მკვდარს სამ დღეს იქით ნუ გააჩერებთ დაუმარხავადაო.“ მაშასადამე არც პირველი საგანი მოსწონს, ესე იგი არ მოსწონს მოსპობა ზარით და ქელეხებით მიცვალებულის დამარხვისა.

ასე ბატონი აკაკი წინააღმდეგია დამღუპველ ადათის მოსპობისა: ის ბრძანებს, რომ ვითომც დიდი ხელის შემწყობი ყოფილიყოს ჭირისუფლებისა ქელეხები და ზარით დამარხვა. აი რას ამბობს:

„იმერეთში მთელი სოფელი ერთად მონაწილეობას იღებს თვითოეულის ჭირსა და ლხინში. რომ ვინმე მოკვდება გლეხობაში, ყოველი გლეხი ვალდებულია ან გადასახურავით მოვიდეს. თან (ან?) მოაქვს: ერთი ცხრა პური, დოქი ღვინო, ერთი დედალი და აბაზი ფულად. ვისაც არც ეს შეუძლია, შრომით იხდის, ხელზე ემსახურება, შეშას მოუტანს, წყალს გაუთბობს და მოვალეობას მაინც შეასრულებს. ეს ყველაფერი სავალდებულოა და დაკანონებული. (ხაზს ჩვენ ვუსვამთ).

ამგვარი ხელის შეწყობით ისე იმარხება მიცვალებული, რომ ჭირისუფლებს არა თუ არა ეხარჯებათ-რა და ვალი არ ატყდებათ, პირიქით მღვდლის გასასტუმრებელი და საორმოცო სულის მოსახსენებელი საწირავი რჩებათ... ნუ თუ ეს ჩვეულება ნაცვლად იმისა, რომ საყოველთაოდ შემოვიღოთ, უნდა აიკრძალოს.“

საქმეც ის არის, რომ ეს ჩამოთვლილი წესი, ვითომ საყოველთაოდ სავალდებულო, ადრე თუ ყოფილა, დღეს აღარ გახლავს. ამის დასამტკიცებელი საბუთი საერთო ჩივილია ამერ-იმერეთიდან. ყოველ გლეხს, ცხრა პურის და ერთი დედლის მომტანს თან რომ თხუთმეტი კაცი მიჰყვეს ზარით, - ეს ავიწყდება, მგონი, ბატონ აკაკის. ავიწყდება, რომ ერთი დოქი თხუთმეტ კაცს ყლაპად არ ეყოფა და ყლაპიც და ყლუპიც ჭირისუფალმა უნდა მიართვას.

მერე კიდევ: შორს მყოფი ჭირისუფალი სამ დღეში ვერ მოვა თავის მკვდრის დასამარხადაო. ეგ კი არ არის თავი მიზეზი დიდხანს ამმორვებულის ცხედარის შენახვისა, ის გახლავს, რომ ჭირისუფალს ხელში ფული არა აქვს, ეძებს აქეთ-იქით ფულის სესხს, პურს, თევზს, ღომს, რომ მოსულ ხალხს ამოუქოლოს მუცელი ორისა და სამის დღის განმავლობაში. სოფლიდგან-სოფელ მოსული ხალხი ცხენიანად უნდა შეინახოს და ცხრა პურის მომტანი თხუთმეტი კაცი გააძღოს.

რამოდენა ხარჯი და მწუხარება ატყდება ჭირისუფალს იმერეთში, დეე მოიწერონ იმერეთიდგან და მაშინ შევიტყობთ, მართლა ხალხი უკმაყოფილოა, თუ ეს უკმაყოფილება მოგონილი ზღაპარია მოქელეხე და ძირგავარდნილ ქვევრებისა.

ადათის და ჩვეულების გადავარდნა უეცრად არ შეიძლებაო. მაგალითად ბატონ აკაკის მოჰყავს რუსეთის ისტორიიდამ ვლადიმირ, ქრისტიანობის შემომღები და ნიკონი, საღმრთო წერილის შემსწორებელი. რუსეთში წარმართობა დიდხანს დარჩაო და ნიკონის შესწორებამ სექტანტობა გააჩინაო. აქედამ რა დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ? არც ქრისტიანობა უნდა შემოეტანა ვლადიმირს და არც საღმრთო წერილი უნდა შესწორებულიყო!

მაგრამ ეს ამაო მოსაზრებაა.

ჩვენს ისტორიასაც ჩავხედოთ. ანტონ პირველმა 1749 წელს შეჰკრიბა სამღვდელონი და კრებაში გამოაცხადა, მოისპოს ძველებური ჩვეულება: ორმოც დღეს ტირილი, თმების გლეჯა, თავ-პირის დასისხლიანება, ტანისამოსის ფხრეწა და სხვა. ხომ ამისთანები გადავარდა.

კიდევ მეორე მაგალითი: განსვენებულ ეპისკოპოზ გაბრიელის წინად, მიცვალებულზე ეპისკოპოზი რომ მოვიდოდა, თან ოცი, ოცდაათი სული სამღვდელო მიჰყვებოდა. დახვედრა ამისთანა ყოფილა, რომ ეპისკოპოზის მხლებლებს უნდა გაეშინჯათ საკლავი და ხშირად ატყდებოდა ლაპარაკი, ეს ძროხა არ ვარგაო. უნდა მოეყვანათ რამდენიმე დაწუნებულის ნაცვლად. გაბრიელ ეპისკოპოზი რომ პირველად მიიწვიეს, რასაკვირველია, სამღვდელოთაგან ბევრი ემზადებოდა თან გაჰყოლოდა.

ეპისკოპოზმა ორი-სამი კაცი წაიყვანა. გაკვირვებული იყო მთელი იმერეთი. მოიშალა ძველი ადათი და ჩვეულება: ცუდი იყო ეს ამბავი? მთელი იმერეთი ლოცავდა განსვენებულს.

ამ საზარალო ჩვეულებაზე დიდი ხანია ჩვენმა ქალაქებმა ხელი აიღეს. მიცვალებულს პატივსა სცემენ, ქელეხებიც შემცირდა და თითქმის ისპობა. ასე რომ ახლო ნათესავი ათი-თხუთმეტი კაცი თუ დარჩება სადილზე. მუზიკით დამარხვაც გადავარდა (ბატონი აკაკი სცდება, ვითომც კიდევ იყოს). ამ მეტ ხარჯებზე კათოლიკე და სომხის სამღვდელოება ხშირად ქადაგებს. რატომ მართლმადიდებელმა სამღვდელოებამ არ უნდა იქადაგოს. დაიღაც მისი მოვალეობაა ხალხის გამღარიბებელ და შემავიწროვებელ ჩვეულების მოსპობაზე ხმა ამოიღოს. არ გვჯერა, რომ იმერეთის უმრავლესობას ეპისკოპოზის განკარგულება არ მოსწონდეს. დამწუნებელი ამ განკარგულებისა მცირე იქნება, ისიც იმ წრეში, რომელსაც ალაპარაკებს გაუგებრობა ან ღვარძლიანობა.

ბატონ აკაკის ენანება ის, რომ სოფელში ერთმანერთის დახმარება მოისპობაო. ეს უსაფუძვლო აზრია. ყოველ დახმარებას თავისი ფორმა აქვს დროის მიხედვით. ძველი ფორმა დახმარება იცვლება და ისეთს ახალ ფორმას ითვისებს, რაც უფრო სასარგებლოა, რაც ადვილია და მკვიდრი. სამარხი კასები ვერა სჯობია ძველებურ დახმარებასაო, ბრძანებს აკაკი. ძველებური დახმარება ძალიან დიდი ხნის ამბავია, როდესაც პური და ღვინო ოჯახს ჰქონდა ბლომად, გაყიდვა არ შეეძლო, უნდა ეჭამა და ეჭმევინა. ახლა გლეხი სულს ძლივს იბრუნებს; საკუთარი საჭიროების დასაკმაყოფილებელიც ცოტა აქვს, არამც თუ სხვების გასაძღომი.

ამიტომ ყოვლად-სამღვდელო ლეონიდეს განკარგულება სწორედ დროზედ მისწრებაა გაჭირვების დროს დაეხმაროს ხალხს და დასაღუპავ ჩვეულების ტვირთი მოაცალოს.

ბატონი აკაკი ამბობს, ჭირისუფალს გული ერჩის, მიცვალებულის პატივისცემა ესურვებაო. ვინ არის მერე ამისი წინააღმდეგი? კიდევაც პატივი სცენ, კიდევაც იტირონ, ვისაც ეტირება, მაგრამ უეჭველად რომ სადილი უნდა აჭამო მოსულ ხალხს, ეს უნდა მოისპოს, ეს უშველებელი სადილის გამართვა. პატივისცემა სხვაგან მეტი იციან, დიდძალი ხალხიც შეიყრება მიცვალებულის გასვენებაზე და დასაფლავებაზე. არც სადილი იციან და არც ღვინის სმა. ტფილისში კათოლიკეთ და სომეხთა სამღვდელოება არც-კი ესწრება სადილ-ქელეხზე და ეს კარგ მაგალითადაც უხდება მრევლს.

უვარგისის ჩვეულების გამოსარჩლება იმისი ხელობაა, ვინც ეფერება დრო მოჭმულ ჩვეულებას; ჩვეულებას, რომელსაც აღარფერი საკეთილო აზრი აღარ შეჩენია. სასურველი არ არის ამისთანათა წრეში ითვლებოდეს რომელიმე მწერალი და მათში ბატონი აკაკი. არამედ ყოველთვის სასურველია მწერალს იმ წრეში ვხედავდეთ, რომელიც ამაღლებს ხალხს დაცემულის ჩვეულებისაგან, რომ უკეთეს გზაზე დააყენოს.

ბატონმა აკაკიმ დაწუნების სიტყვა გადაჰკრა სამარხ კასების შემოღებას ჩვენში. ეს დაწესებულება სასურველია რომ გავრცელდეს, მას შეუძლია კარგი სამსახური გაუწიოს ხალხს. სამარხს კასას ის ღირსება აქვს, რომ ფულის ანგარიშს თავისი ადგილი უჭირავს, მკვდარს პატივისცემა არ აკლდება და ჭირისუფლებს და მათ პატივისმცემლებს უმეტესს გონივრულ ერთმანეთის დახმარებას ასწავლის, ვიდრე უანგარიშო ქელეხები, ზარით ტირილი და აღაპები. იმერეთში უკვე დაიწყეს ამისთანა ამხანაგობების დაფუძნება და იმედია, თუ მეცადინეობა ვიხმარეთ, გავრცელდება. ახალის ფორმის დახმარება

გამწვრთნელი სკოლაც იქნება და გვასწავლის, რომ დახმარება იმას არა ჰქვიან, ერთს დღეს დიდ სადილზე ღვინით გამოვიბრუჟოთ და ჭირისუფალი გავაღატაკოთ.

პ. უმიკაშვილი.

ივერია – 1901. – N212. – 30 სექტემბერი. – გვ.2–3.

რაჭის ეკკლესიების მიმოხილვა იმერეთის ეპისკოპოზის ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის მიერ.

სვანეთისა და ლეჩხუმის მიმოხილვის შემდეგ, ხუთს აგვისტოს ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდი რაჭაში მობრძანდა. პირველად მათმა მეუფებამ ინახულა პირველი ტოლის ეკკლესია, ნახა ახალი ეკკლესიის შენობა, რომელიც მხოლოდ სამს არშინზე ამოყვანილია, და მეტად მოხარული დარჩა. ამ გარემოებამ დაანახვა მათს მეუფებას, რომ ტოლელებს ჰქონიათ მტკიცე სარწმუნოება, რომლის შესაფერადაც ახალს გეგმაზედ მშვენიერს ტაძარს იშენებენ. ყოვლად-სამღვდელომ დალოცა და აკურთხა იგინი.

ექვსს აგვისტოს, ფერისცვალებას, მათი მეუფება მეორე ტოლას მიბრძანდა, სადაც მწირველი ბრძანდებოდა ჩვენის პატივცემულ თავად ქაიხოსრო ყიფიანისა. ამავე დღეს საღამოს ინახულა ხვანჭკარის წმიდა გიორგის ეკკლესია, სადაც ბევრი ხალხი დახვდა მათს მეუფებასა. ყოვლად-სამღვდელომ ხალხის წინაშე გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც ამცნო ხალხს, თუ რა მომაკვდინებელი და დამღუპველი ცოდვაა შური, მტრობა და დაბეზღება ერთმანეთისა. ხალხი მეტად აღტაცებული იყო ახალი მღვდელმთავრის ხილვითა. გადასცა რა ლოცვა-კურთხევა ხალხს, მათი მეუფება თავადი ქაიხოსრო ყიფიანისას წაბრძანდა, რომელმაც იგი ღამის გასათევად მიიწვია. გულუხვმა მასპინძელმა ხშირი საუბრით მოკლედ გააცნო მათს მეუფებას რაჭის საზოგადოება. საუზმეზედ ასტყდა ბაასი სხვა-და-სხვა საყურადღებო საგნების შესახებ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი თავადი ქაიხოსრო გელოვანი, თავადი ლუარსაბ ყიფიანი, რევიზორი დეკანოზი ნესტორ ყუბანეიშვილი და რამდენიმე მღვდელი რაჭისა. ყოვლად-სამღვდელო ლეონიდმა ქართული ტერმინოლოგიის შესახებ აღძრა ლაპარაკი და გვამცნო თავისი მოსაზრება იმ უცხო ტერმინების შესახებ, რომლებიც ჩვენში იხმარებიან და მათი შესაფერი ქართული სახელი ვერ გვიშოვნია. საზოგადოდ, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი უსარგებლოდ ერთ საათსაც არა ჰკარგავს. მათი აზრია, ჰმოქმედებს თუ საუბრობს, რაიმე სასარგებლო საქმე გააკეთოს; ამ ნაირად თავისი მიბრძანებით სკოლას ჰქმნის ყველგან.

ამისდა მიხედვით თავისი სადგომიც შესაფერად აქვს მოწყობილი ქალაქ ქუთაისში. შეხვალთ თუ არა მისაღებ ოთახში, თვალწინ დაგხვდებათ ფართე რგვალი მაგიდა, რომელზედაც ყოველ-დღიური და ყოველ-თვიური დროგამოშვებითი გამოცემები აწყვია, რომ, რადგანაც მათს მეუფებას ბევრი მთხოვნელი ჰყავს. ერთთან საუბრის დროს მეორემ იკითხოს და დრო უსარგებლოდ არ დაჰკარგოს.

მეორე დღეს მათი მეუფება რიონის მარჯვენა მხარეს მდებარე ეკკლესიების დასათვალიერებლად წაბრძანდა. უკან დაბრუნებისას მათი მეუფება რიონის მარცხენა მხარეს დაჰყვა.

არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციოთ სოფელ ხონტიორას, სადაც ყოვლად-სამღვდელომ ნამდვილ მოციქულისებური სიტყვით დაამშვიდა დღემდე ორ დასად გაყოფილი მოწინააღმდეგე მრევლი. სოფელ ხონტიორში დიდი ხანია არსებობს ორი ეკკლესია, რის გამოც მრევლი ერთმანეთს ეცილებოდა: არა ჩემი ეკკლესია უნდა გაშტატდეს, არა ჩემიო. ვერ იქნა, ამ ბრძოლას ბოლო ვერ მოეღო და დიდი უსიამოვნობაც გამოიწვია არამც თუ ადგილობრივი მღვდლის შესახებ, რომელზედაც მუდმივი საჩივრები იყო ატეხილი, არამედ თვით ნეტარხსენებული გაბრიელის შესახებაც, რომლის ღვთაებრივს სიტყვას არ დაემორჩილნენ და უზრდელის სიტყვით შეუტიეს ერთხელ. ყოვლად-სამღვდელო ლეონიდს ყოველივე ეს ადრევე გაგებული ჰქონდა და ამიტომ არ ისურვა მიბრძანება სოფელ ხონტიორაში. მაგრამ შემდეგ დაფიქრდა და 27 აგვისტოს მათი მეუფება ხსენებულს სოფელში წაბრძანდა საწირავად. წირვას დიდძალი ხალხი დაესწრო, კაცი და ქალი. სამოციქულოც შესაფერის შენაარსისა შეჰხვდა ამ დღეს. აი სამოციქულოს სიტყვები: „ხოლო ნაყოფი სულისა არს სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სიტკბოება, სახიერება, სარწმუნოება, მყურდოება, მარხვა, მოთმინება.“ ამისდამიხედვით ყოვლად-სამღვდელომ სიტყვის დასაწყისში ღვთის განგებას მიაწერა ის გარემოება, რომ ამ დღეს ასე არეულს მრევლში მობრძანდა საწირველად. მერმედ განაგრძო სიტყვა და სამოციქულოს თვითოეული სიტყვა სამაგალითო მჭერმეტყველებითა და გრძნობით აუხსნა ხალხსა. დაკვირვებული მსმენელი უთუოდ შეამჩნევდა, რომ ყოვლად-სამღვდელოს ერთად-ერთი აზრი იყო სამუდამოდ მშვიდობის დამყარება ამ სოფელში. ღვთის წყალობით შესრულდა მღვდელ-მთავრის აზრი და მრევლმა ერთხმად შეჰფიცა მათს მეუფებას, რომ ამიერითგან მყუდროდ და მშვიდობით იცხოვრებენ და არ შეაწუხებენ არც მღვდელსა და არც უმაღლეს მთავრობას.

ოცდაცხრა აგვისტოს მათი მეუფება სოფელ მიქარწმინდაში იქმნა მიწვეული საწირველად. წირვის დროს გალობდნენ არქიელის მგალობელნი და ადგილობრივი სამრევლო სკოლის მოსწავლე ქალნი და ვაჟნი. წირვაზედ მათმა მეუფებამ სამაგალითო გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა შემდეგის ტექსტით: „ზე გვაქვდინ გულნი,“ და მართლაც შეეფერებოდა ასეთი ტექსტი იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღეს. სიტყვაში ყოვლად-სამღვდელომ ის აზრი გაატარა, რომ დიდი ტანჯვა, დევნა, წვალება, უსამართლობა შეჰხვდება ცხოვრებაში ყოველს სიმართლის მქადაგებელს, მაგრამ ყოველივე ეს სულგრძელობით უნდა მოითმინოს მართლმოყვარეობით გამსჭვალულმა, საუკეთესო მსოფლიოსკენ ჰქონდეს მიმართული გული და გონებაო.

ოცდა ათს აგვისტოს მათი მეუფება მღვდელმა ნესტორ გვენცაძემ მიიპატიჟა სოფელ ბარეულში საწირველად აქ მათს მეუფებას ხალხი შემოესია და სთხოვა დაებოლოებია ის დავა, რომელიც ბარეულელებსა და ღადიშელებს შორის არსებობს ეკკლესიების გამო. მათმა მეუფებამ ამის შესახებ უბრძანა ხალხს, რომ ხსენებული საქმე სინოდშია გასარჩევად გაგზავნილი და დაჰპირდა: „თუ მე მკითხეს რამე ამ საქმისა, ნურავინ იფიქრებს, ვისიმე მხარე დავიჭიროო.“

სადილის შემდეგ რაჭის სამრევლო-საეკკლესიო სკოლების მეთვალყურემ მღვდელმა სიმონ ჭელიძემ გამოსათხოვარი სიტყვა მოახსენა მათს მეუფებას, რომელშიაც მღვდელ-მთავრის საღმრთო მოღვაწეობა დაასურათა.

დამსწრე.

ივერია – 1902. – N58. – 16 მარტი. – გვ.2.

წერილი რაჭიდგან

ცრუ-მორწმუნეობა საშინელი სენია ადამიანის სულიერის აგებულებისა. იგი დამაბნელებელია ადამიანის ჭკუა-გონებისა. ცრუ-მორწმუნეობა დედაა ათას გვარის ბოროტებისა და დამაქვეითებელი და გამაღარიბებელი ხალხისა ზნეობრივად და ნივთიერად. ამისათვის ცრუ-მორწმუნეობა შეჩვენებული და აღკრძალულია მართლ-მადიდებელის ეკკლესიის მიერ; ცრუ-მორწმუნეობასვე უარჰყოფს, ებრძვის და სდევნის, როგორც სასულიერო, ისე საერო პრესსა და ყველა კეთილ-გონიერი და შეგნებული ადამიანი.

მაგრამ ვერც ეკკლესიას და ვერც პრესას ჯერ კიდევ ვერ გაუმარჯვნია ცრუ-მორწმუნეობაზე და ვერ აღმოუფხვრია. დღესაც ცრუ-მორწმუნეობას უფრო ბევრი მიმდევარი და თაყვანის-მცემელი ჰყავს, ვიდრე მართლ-მორწმუნეობას.

მაგალითად, ავიღოთ ერთგვარი ცრუ-მორწმუნეობა, ეგრედ წოდებული მარჩიელობა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, გულთმისნობა. ამ ცრუ-წინასწარმეტყველებას იმდენი თაყვანის-მცემელი და მუშტარი ჰყავს ჩვენს დაბა-სოფლებში ყოველს ორშაბათს და ხუთშაბათს, მეტადრე მაშინ, თუ ეს დღეები ახალს მთვარეზე შეხვდნენ, რომ არა გვგონია, რომელსამე ნამდვილ მეცნიერ ესკულაპს მთელის წლის განმავლობაში ეახლონ იმდენი მთხოვნელნი... მარჩიელ-გულთმისნები, როგორც მოგეხსენებათ, ადამიანის მყოფადსა და მომავალს, ბედნიერებასა და უბედურებას, სიცოცხლესა და სიკვდილს, ვითომ გაითვალისწინებენ, გაიგებენ, ბანქოს გაშლით, ლობიოს მარცვლების დალაგებით, ანუ ღრმა ჯამში ჩაყენებულ წყალში ჩახედვით!!!

ვინ მოსთვლის, თუ რამდენი ავადმყოფი გამოუსალმებია წუთი-სოფლისათვის ამ მაცდურ წინასწარმეტყველების რჩევა-დარიგებას და წამლობას, რამდენი კეთილი მეზობელი და სახლი-კაცი გადაუმტერებია ერთმანეთისათვის. მაგრამ ჩვენმა მდაბიო ხალხმა მაინც ვერ შეიგნო მარჩიელების გაიძვერობა... უმეცარ ხალხზე რაღა უნდა ვსთქვათ, როდესაც მარჩიელ-მისნების სახლში ვხედავთ გონება-გახსნილ, ნასწავლ ადამიანებად მიჩნეულებსაც! ამას წინად ერთის სოფლის ინტელიგენტი, სოფლის სკოლის მასწავლებელი, მისულა მარჩიელთან, მოწიწებით თაყვანი უცია მისის ყოველისფრის გამომცნობ სწავლა-მეცნიერებისათვის, მიურთმევია შესაწირავი - ათი შაური - და ურჩევინებია თავის მომავალ ბედ-იღბლის შესახებ!!!

როგორ დააკმაყოფილა მარჩიელმა ინტელიგენტის ცნობის მოყვარეობა, ამაზედ ვერას მოგახსენებთ, ხოლო ის-კი ჭეშმარიტებად მიგვაჩნია, რომ ესეთი სწავლა განათლების პატრონი მასწავლებლები ჩვენს მდაბიო ხალხში განათლების შუქს ვერ

მოჰფენენ და მათ ჯამაგირად გარდახდილი ფული სოფლებისათვის უნაყოფო ხარკად უნდა ჩაითვალოს...

ჩვენის ეპარქიის ახალ მწყემს-მთავრის, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის განკარგულებით ჩვენს სოფლებში საკმაოდ იცვალა ფერი ძველებურის წესით მიცვალებულის ტირილ-გამოტირილმა. წინანდებულად ბევრს მოტირლებს აღარ იწვევენ, მეტადრე მდაბიო ხალხი, მოზარეებს აღარავინ ჰპატიჟობს ტირილში. ამ მხრივ ხარჯი დაზარალებულ ჭირისუფალთა, რომლის მოსპობა სასარგებლო და მაშასდამე, საზრუნველი იყო, საკმაოდ მცირდება. მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ გადაჭარბება, ზომაზე გადასვლა არაფერში არ ვარგა. ძველიდამ, რასაკვირველია, ის უნდა მოვსპოთ, რაც უაზრო და საზარალოა, ხოლო რაც ჭკუაში მოსასვლელია, ის-კი პატივის-ცემით უნდა დავიცვათ.

სამწუხაროდ, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის გონივრული და ხალხისათვის დიდად სასარგებლო, როგორც გონებრივის, ისე ნივთიერის მხრივ, აზრი და განკარგულება, ზოგიერთმა სოფლელმა მწყემსმა ჯეროვანად ვერ შეიგნო, მიცვალებულის გვამს ყოველგვარი პატივისცემა აჰხადა, დღეს დილით რომ გარდაიცვალოს ადამიანი, ხვალ შუადღეზედ ჰმარხავენ; და ასე მალე დამარხვა ადამიანისა, რომელიც საშიშ გადამდებ სენით არ იყო შეპყრობილი, დიდი საცოდაობაა და მასთან საფრთხილოა. იქნება გაცივებულიც არ არის საცოდავის ადამიანის სხეული. ცხედარი მიცვალებულისა ხომ მოკლებულია სამღვდელოების მიერ დამშვენებას, იგი მათ მიერ დაობლებულია. მართალია, მოტირალისადმი მიგებება, სატაძრო შესამოსელი შემოსილის სამღვდელოებისა და გუნდრუკის კმევა ყოვლად უკანონო და შეუწყნარებელი იყო, მაგრამ თვით მიცვალებულთან დგომა შემოსილის სამღვდელოებისა არ უნდა ჩაითვალოს უაზრო ჩვეულებად... რადგანაც ეს სანახაობა დიდად ანუგეშებს და ამხნევებს სულიერად, როგორც გარდაცვალებულის ჭირისუფლებს, ისე ყველა ქრისტიანს ადამიანს.

ეს გარემოება აღონებს ხალხს... იმედი გვაქვს, მისი მეუფება ეპისკოპოსი განუმარტავს სოფლელ მწყემსთ თავისს განკარგულებას და მისს ნამდვილს აზრს.

ქაიხოსრო გელოვანი.

ივერია – 1902. – N94. – 4 მაისი. – გვ.2–3.

პანკისი (თიანეთის მაზრა). - კაი ხანია, რაც ბედმა ცოტა არ იყოს პანკისსაც გაუღიმა. 1892 წელს იანვრიდამ იმერეთის ეპისკოპოსმა ყოვლად-სამღვდელო ლეონიდემ, კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლათა ინსპექტორად ყოფნის დროს, დააარსა ერთ-კლასიანი სკოლა ხსენებულ საზოგადოების ხარჯზედ, გარდა მასწავლებლისათვის მოსამსახურისა და საჭირო შეშისა, რომელსაც სოფლის საზოგადოება შეჰპირდა განაჩენით. სკოლის შენობა იყო ფიცრული, სოფლის საზოგადოებისავე ხარჯით აშენებული, რომელიც ასე თუ ისე ასრულებდა დრომდე თავის დანიშნულებას. შემდგომ 1897 წელს, როცა ყოვლად-სამღვდელო კირიონი იყო ინსპექტორად, საჭიროდ იქმნა ცნობილი სკოლის აშენება. მისმა მეუფებამ, მაშინ მხოლოდ იღუმენმა, იშუამდგომლა „საზოგადოების“ წინაშე, რომ ქვით-კირის შენობისათვის სამყოფი ფული გადადებულიყო და შენობისათვის სახელმწიფო ტყიდამ ხის მასალა უფასოდ დაეთმოთ; იმავე წელს ეს

შუამავლობა შეწყნარებულ იქმნა: კავკასიაში ქრისტეანობის აღმადგენელ საზოგადოებამ გადასდო ამისთვის 1.400 მანეთი ფულად, ხოლო ხის მასალა შენობისათვის უმაღლესად დათმობილ იქმნა უფასოდ. სხვა-და-სხვა მიზეზების გამო სკოლის აშენების საქმე შეფერხდა 1898 წლამდე: „ობლის კვერი ცხვაო, ვეღარ გამოცხვაო.“ 1898 წელს ინსპექტორად დაინიშნა ბატონი ე. მამინაიშვილი, რომელმაც დააგვირგვინა ჩვენის სკოლის საქმე. მოვიდა ჩვენსა 1898 წელს ღვინობისთვის პირველში, მოახდინა საზოგადოების ყრილობა და გამოუცხადა ხალხს უმაღლესად ნაბოძები შემწეობა და საზოგადოების მოწყალება. და თან შეეკითხა, თუ რა შემწეობას ჰპირდება სოფელი თავის მხრივ ამ კეთილ საქმესაო... სოფლის საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება ამ სასიხარულო ამბავს და თავის მხრივაც შეჰპირდა 300 მანეთს ფულად ამაზედ დაადგინეს მაშინვე განაჩენი და მოაწერა ყველამ ხელი.

ძველი სკოლის აშენება უნდა იჯარით გაცემულიყო, მაგრამ ფულის სიცოტავის გამო დამტკიცებულ გეგმაზედ მისი აშენება არავინ იკისრა მოიჯარეთაგან. მაშინ შესდგა კომიტეტი. კომიტეტში იყვნენ: მღვდელი, მასწავლებელი, ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელი, დ. ვ. როსტომაშვილისა და ორიც სოფლისაგან ამორჩეული კაცი. ბატონი ინსპექტორი თავმჯდომარე იყო კომიტეტისა, ახსენეს ღმერთი და შეუდგნენ მეორე წლის თებერვლიდამ საქმეს და იმავე წლის ღვინობისთვის პირველისთვის შენობა მზად იყო და კურთხევის შემდეგ სწავლაც დაიწყო ახალს შენობაში.

შენობა გამოვიდა მშვენიერი, ფართო და მკვიდრი, ორ-პირია, კრამიტით დახურული; - ინსპექტორს არც შემდგომისთვის მოუკლია ჩვენის სკოლისათვის თავისი მზრუნველობა; როგორც სხვა სკოლებში, ჩვენს სკოლაშიაც დააარსა ბიბლიოთეკა, რომელსაც შესძინა 900-მდე რუსულ-ქართული წიგნი იმავე ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ხარჯით. როგორც ნამყოფი შეგირდები, აგრეთვე სხვა წერა-კითხვის მცოდნე ხალხიც სკოლის რაიონისა, დიდის ხალისით ეტანება ქართულს წიგნებს საკითხავად და მათ ცოდნის შესაფერისად ურიგებს წიგნებს მღვდელი, რომლის გამგეობაშიაც იმყოფება ხსენებული ბიბლიოთეკა. ამავე მღვდლის მეცადინეობით ახალ სკოლის შენობაში დაარსდა შარშან საკვირაო სკოლა თექვსმეტამდე მსურველიც დაიარებოდა, მაგრამ სოფლების სიშორისა გამო ვეღარ შესძლეს სიარული და ორის თვის შემდეგ ისევ თავი დაანებეს. სკოლის შენობის სათანადოდ მოწყობამ მოიზიდა შეგირდებიც საკმარისად, ასე რომ ახალს შენობაში სწავლის დაწყებიდამ აქამომდე დაიარება ორმოცამდე მოსწავლე ვაჟი და მათ შორის წრეულ 4 ქალიც, სულ ქისტები-მაჰმადიანები და ქრისტიანები. ბავშვები საკლასო ოთახში თბილად და თავისუფლად სხედან მეცადინეობის დროს და პირზედ ღიმილი მოსდით, როდესაც იგონებენ წინანდელს შენობაში სიცივისაგან კანკალ-ძაგძაგსა. მასწავლებელსაც ცხოვრება შედარებით გაუუმჯობესდა, რისთვისაც სწავლა წინანდელზედ წესიერია. ახლად აყვანილმა შეგირდებმა სრულებით არ იციან ხოლმე და არც ეყურებათ, გარდა ქისტურისა, სხვა ენა, და ვიდრე ისინი ცოტ-ცოტათი მიეჩვეოდნენ სკოლის წესსა და გაიგებდნენ რასმე მასწავლებლისას, მღვდელი უხსნის მათ ყოველსავე თავიანთ, ქისტურს ენაზედ. იგივე მღვდელი ასწავლის სკოლაში ქართულ-რუსულს გალობას ეს მეცხრე წელია უსასყიდლოდ, ჯამაგირად ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებამ საგნების მასწავლებელს აქვს 360 მანეთი წელიწადში, ხოლო მოსამსახურე და სკოლისათვის საჭირო შეშა სოფლის საზოგადოებისაა; საღმრთო სჯულის მასწავლებელს აქვს 100 მანეთი წელიწადში; სწავლას იწყებენ ყოველ წლის ღვინობისთვის

პირველიდამ და ათავებენ აპრილის გასულს. ამ ათის წლის არსებობის ნაყოფი სკოლისა შემდეგია: სამი დიაკვანია (მედავითნე), ერთი ეპარქიისა და ორიც ამავე საზოგადოების უწყებაში; ერთი ადგილობრივ სოფლის მწერალია და ერთიც თელავის სასულიერო სასწავლებელში სწავლობს; ორმა შარშან გაათავა და ისინიც აპირებენ სადმე სწავლის გაგრძობას, თუ მშობლებმა შემწეობა აღმოუჩინეს.

ქისტი ჩობანი.

ივერია – 1902. – N135. – 28 ივნისი. – გვ.2–3.

ბაღდადის საბოქაულო (ქუთაისის მაზრა). – 23 ივნისს დაათავა რევიზია მათმა ყოვლად-უსამღვდელოესობამ იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა სვირის საბლაღოჩინოს ეკკლესიებისა; აქ დაჰყო სულ ორი კვირა. ყველგან ხალხი აღტაცებით ეგებებოდა მღვდელ-მთავარს და დიდის სიამოვნებით ისმენდა მის მიერ წარმოთქმულ გრძნობით სავსე სიტყვებს. უმეტესი ნაწილი ეკკლესიებისა მათმა ყოვლად-უსამღვდელოესმა მოიწონა; განსაკუთრებით მოიწონა სოფელ ხანის ეკკლესია და სოფელ როდინაულისა. დანგრეული, დაძველებული და მასთან ძლიერ პატარა ეკკლესიები იძულებული იყო დაეკეტა და ამ საზოგადოებას მისცა წინადადება ახლები აეგოთ. დაკეტილ იქმნა ეკკლესიები: შუბნის, როკითის, ზედა-დიმის, ცხენთაროსი, სვირის (ძველი ხის ეკკლესია) და ობჩისა. ამ უკანასკნელ სოფელში სამი ეკკლესია არის სულ, ერთში წირვა შეწყვეტილია, რადგანაც ახალ ეკკლესიას აგებენ, მეორე თუმცა აუცილებლად უნდა დაკეტილიყო, რადგანაც შეკეთებას მოითხოვს, მაგრამ არ დაკეტილა, რადგანაც ხალხმა მოახსენა მღვდელ-მთავარს - ერთი თვის განმავლობაში დავიწყებთ განახლებასაო. დაკეტილ იქმნა აგრეთვე ეგრედ წოდებული „ხოპის ეკკლესია," შესანიშნავი ისტორიული ნაშთი.

ამ ათი წლის წინად სოფელ ობჩაში დაიწყეს ახალის ქვის შენობის აგება და საძირკველი კიდეც ჩაჰყარეს. 50 კომლმა, სოფლის სასამართლოს მახლობლად მცხოვრებმა, მოინდომა ცალკე ხის ეკკლესიის აგება სამინისტრო სკოლის მახლობლად, რისთვისაც ადგილი კიდევაც შეიძინეს. დანარჩენ 220 კომლს შეეძლო განეგრძო აგება დაწყებულის ტაძრისა, მაგრამ ჯიბრი გაუწიეს განდგომილებს, ასტეხეს საჩივარი და ორივე ეკკლესიის შენება შეჩერებულ იქმნა. ეხლა-კი იმედია, თუ ორივესი არა, ერთის შენება მაინც დაიწყება. სვირის ორ-კლასიან სასწავლებელში ბავშვების გამოცდა 10 ივნისს გათავდა. აქვე გაიმართა სალიტერატურო დილა 14 ივნისს და, 15-ში-კი ბავშვები დათხოვნილ იქმნენ. 220 მოწაფეთაგან სწავლა გაათავა 16-მა და მიიღო შესაფერი მოწმობა. მომავალ სამოსწავლო წლისათვის თავისუფალი ადგილი დარჩა მხოლოდ 20. სასწავლებელში სემოსვლის მსურველთა რიცხვი-კი ეხლავე ავიდა 40-მდე, და თუ სვირელებმა ერთი მასწავლებელი კიდევ არ მიუმატეს, ყველა მთხოვნელების შვილების მიღება სკოლაში შეფერხდება. 20 ივნისს სოფელ ობჩაში მცხოვრებ აზნაურის ქაიხოსრო ჯაფარიძის სახლებს შუაღამისას ცეცხლი გაუჩნდა. ვერაფერი ვერ გადაარჩინეს: დაიწვა ორი დიდი სახლი ყოველსავე ავეჯეულობით. ზარალი 5.000 მანეთამდეა. ამბობენ, სახლები ორს საზოგადოებაში ჰქონია დაზღვეულიო.

შარშანდელმა სიმინდის ცუდმა მოსავალმა წელს გვაცნო თავი: ბევრს სიმინდი შემოაკლდა და დღეს ბათმანი (ოყა) ღირს 60 კაპიკი. ეს-კი ამ 20 წლის განმავლობაში იშვიათი მაგალითია. სვირის სადგურის მახლობლად ყანებს რაღაც ჭია გაუჩნდა და

სიმინდს აოხრებს. ჭია აბრეშუმის ჭიის მაგვარია, მხოლოდ მოშავოა; სჭამს სიმინის ფურცლებს აბრეშუმის ჭიის სისწრაფით. არც ღვინოა იაფი: საპალნე (12 ფუთი) ფასობს 40-60 მანეთი.

აბრეშუმის ამოხვევას უკვე მიჰყვეს ხელი და წელს მაინცა და მაინც მის მოსავალს არავინ ემდურის. ზოგს წაუხდა იმის მიზეზით, რომ სამყოფი საკვები ვერ უშოვა. ყურადღების მისაქცევია ის მოვლენა, რომ თუმცა აბრეშუმის მოყვანამ იმატა, მაგრამ თუთის მოშენებას ვერ მისდევენ.

24 ივნისს უნდა შემდგარიყო წლიური საზოგადო კრება სვირის სამეურნეო საზოგადოებისა, ნაცვლად 22 თებერვალისა, როდესაც კრება არ შესდგა ცუდის ამინდისა და წევრების კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. დღესაც კანონიერი რიცხვი წევრებისა არ გამოცხადდა. ამისთვის ხელახალი კრება დანიშნულია 31 ივლისს, დილის 9 საათისათვის.

თორნიკე.

ივერია – 1902. – N139. – 4 ივლისი. – გვ.2.

ხარაგაულის საბოქაულო: - 25 ივნისს ჩვენი ბოქაული ბ. ღოღობერიძე ოდესაში წავიდა. მის ადგილას მობრძანდა დაბა საჩხერეში ბოქაულად ნამყოფი ბ. გაგუა.

ამ კვირაში სოფელ საღანძილეში (ხარაგაულის საზოგადოებაა) ყაჩაღები თავს დაეცნენ მონაზონს სალომე კიკნაძისას. წაღებით ბევრი არა წაუღიათ-რა. ბოროტ-განმზრახველნი მეორე დღეს ბელაგორის სადგურზედ შეიპყრეს ჟანდარმებმა და წარუდგინეს ადგილობრივ ბოქაულს. ეს ვაჟბატონები აქაური მცხოვრებლები აღმოჩნდნენ.

ამავე კვირაში, სოფელ ვახანში, გლეხს ვანო გუდაძეს, დიდი მთავრის ნიკოლოოზ მიხეილის ძის ტყის მცველი ოსი მოუკლავს. (ეს ტყე ბორჯომიდან ვახანამდის უწევს) როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, მკვლელობა ასრე მომხდარა: განსვენებულს ოსს გუდაძე ტყის გარეთ უნახავს ხელ-ცარიელი. მერმე გაუბრიყვებია და უთქვამს: რაღა ვერაფერი მოგიკლავს, ამ ტყეში შეგიყვან და რაც გინდა, ის მოჰკალი, მე თვითონ მოგეხმარებიო. ესეც თანახმა გამხდარა და შესულან ტყეში. როცა იქ მისულან, ტყის მცველს თოფის წართმევა დაუპირებია. მოსვლიათ ჩხუბი და ამ ჩხუბში ერთი იმათგანი, სახელდობრ ტყის მცველი ოსი მსხვერპლად შექმნილა. მკვლელი ვანო გუდაძე უკვე შეიპყრეს.

ჩვენის სამკითხველოს შესახებ მოგახსენებთ მხოლოდ იმას, რომ სამი-ოთხი თვე არის, რაც მოგვივიდა ნებართვა მისი გახსნისა, მაგრამ საქმის დასაგვირგვინებლად ჯერ აქაური მოღვაწენი ვერ შევკრიბეთ.

მათი ყოვლად-უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდი ამ ორს დღეში გაათავებს რევიზიას. როგორც იმის სიტყვებიდგან სჩანს, დიდად კმაყოფილი დარჩენილა ყველა იმისა, რაც ნახა ჩვენს სოფლებში. ხალხი აღტაცებით ეგებებოდა მათ მობრძანებას და სიამოვნებით ისმენდა მის ლმობიერს ქადაგება-მოძღვრებას.

ნეოფიტე.

ივერია – 1902. – N144. – 10 ივლისი. – გვ.2.

ხარაგაული:

იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის მობრძანება ხარაგულის საბლაღოჩინოში (შორაპნის მაზრა)

თიბათვის ბოლო რიცხვებში იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი მობრძანდა ხარაგაულის საბლაღოჩინოში სამრევლო ეკკლესიების დასათვალიერებლად. ყოვლად-სამღვდელომ დაათვალიერა ფარცხნალის, ვანის, ლეღვნის, მარელისის, ვახანის და ბაბის ეკკლესიები 2-ს მკათათვემდის. ყველგან მოიწონა ეკკლესიების მდგომარეობა და შესაფერს დარიგებას აძლევდა შეკრებილს ხალხს.

2 მკათათვეს ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი საღამოს ხუთს საათზე სოფელ ნებოძირში მობრძანდა. ეკკლესიის ეზოში დიდ-ძალი ხალხი მიეგება მათს მეუფებას, განსაკუთრებით ბევრი იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი... ეკკლესიის დათვალიერების შემდეგ მათი მეუფება გარეთ გამობრძანდა და ხალხს უთხრა ფრიად საგულისხმო სიტყვა დედათა მნიშვნელობის შესახებ.

მათმა მეუფებამ თავის სიტყვაში მოიხსენა უტყუარი მაგალითები ღვთისმშობლის წილხდომილ ივერიის განმანათლებელის წმიდა ნინოსი, შუშანიკისი და სხვათა ცხოვრებიდგან, განმარტა, რა მნიშვნელობა აქვს დედას თვისის შვილის აღზრდისა და განსაკუთრებით ზნეობრივის განვითარების საქმეში. დიდად იმოქმედა მსმენელებზე მარტივმა, მაგრამ ღრმა შინაარსიანმა მოძღვრებამ მღვდელ-მთავრისამ.

აქვე მოლითის მცხოვრებთა წარმომადგენელს აზნაურს რომანოზ ყიფიანს ყოვლად-სამღვდელომ მოუსმინა თხოვნა სასოფლო სასაფლაოს შესახებ. ყოვლად-სამღვდელომ დაავალა ბლაღოჩინს დეკანოზს ერმალოზ ვეფხვაძეს მოკლე დროში უკურთხოს მოლითელებს ახლადმოპოებული სასაფლაო.

ღამე ყოვლად-სამღვდელომ ადგილობრივ მღვდლის იასონ მხატვრიშვილისას გაათია. მეორე დღეს, 3 მკათათვეს, მათი მეუფება ზვარის სამრევლოში წაბრძანდა; აქ მან დაათვალიერა ჩრდილის და ზვარის ეკკლესიები. ორისავე ეკკლესიის ეზოებში ხალხი ბლომად მიეგება მათს მეუფებას, ორგანვე შესაფერი საუბარი დაუწყო სხვა-და-სხვა საგნებზე. მათს მეუფებას, დიდად მოეწონა ჩრდილის და ზვარის ეკკლესიები, რომელიც ააშენეს მცხოვრებლებმა თავისს ხარჯით ადგილობრივის მღვდლის ფარნაოზ ვეფხვაძის მეთაურობით. მათი მეუფება სადილად ხსენებულ მღვდელთან ბრძანდებოდა და საღამოს 4 საათზედ სოფელ წიფას წაბრძანდა. ამ სოფელში მათმა მეუფებამ მკითხავთა წინააღმდეგ იქადაგა. ღამე გაათია მღვდლის გიორგი ჭყოიძის სახლში. მეორე დღეს, 4-ს მკათათვეს, მათი მეუფება გაემგზავრა ძნელის გზით მთაზედ ხეფნიხევის მხარეს, რომელიც მივიწყებულ მხარედ ითვლება და სადაც მღვდელ-მთავრები იშვიათად დაბრძანდებოდნენ.

შესანიშნავია ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის მოგზაურობაში შემდეგი გარემოებანი: ხალხი მათს მეუფებას აღტაცებით ეგებებოდა, რადგანაც იცოდა, რომ თავის მშობლიურს ენაზედ მოისმენდა ადვილად შესაგნებს მოძღვრებას და ამ მოძღვრებას თვისის ზნეობრივის ცხოვრების მცნებად გაიხდიდა... ყველგან ხალხი დიდად კმაყოფილი და სულიერად დამტკბარი ბრუნდებოდა ეკკლესიებიდგან შინ და შეჰნატრიდა იმ დედას,

„რომელმაც აღზარდა მათი მეუფება“ (სიტყვა ერთის დედაკაცისა სოფელ ნებოძირში); ამას გარდა, მათს მეუფებას არ ეზარება სხვა-და-სხვა მოძღვრების მდაბიურად წარმოთქმა, - ამისთვის მას საღვთისმეტყველო ცოდნაც და ცოდნა ქართულის ენისაც შესწევს; მათის მეუფების მოძღვრება შეეხება სარწმუნოებას, მისს დაცვას, სწავლა-განათლების საჭიროებას და ყოველსავე იმას, რაც ერს ზნეობით აუმჯობესებს და სულით განამშვენიერებს.

მოგზაურობაში მათი მეუფება არ იღლება. უმეტეს ნაწილად ჯორით ან ცხენით დაბრძანდება, - მთა-გორიანს ადგილებში, ოღრო-ჩოღრო, უსწორ-მასწორო გზებით, აღმართ-დაღმართზედ, მიუვალს ადგილებში და ყველგან შეაქვს სახარების სწავლის შუქი.

მათი მეუფება ხარაგაულის საბლაღოჩინოს კეთილ-მდგომარეობით კმაყოფილი დარჩა... ამ კეთილმდგომარეობაში შესაფერი წილი უძევს, მღვდლებს გარდა, ბლაღოჩინ-დეკანოზს ერმალოზ ვეფხვაძეს, რომელიც ეს ოცი წელიწადია, ერთგულად იღვწის მისდამი რწმუნებულ ეკკლესიების კეთილ-მდგომარეობისათვის.

ქოჩორელი.

ივერია – 1902. – N146. – 12 ივლისი. – გვ.2–3.

რიონ-გაღმის კუთხიდგან.

ყოვლად-უსამღვდელოესის იმერეთის ეპისკოპოზის ლეონიდის მობრძანება.

ივნისის პირველ რიცხვებში ჩამობრძანდა ეკკლესიების და მრევლის დასათვალიერებლად ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი, ეპისკოპოზი იმერეთისა; მას ახლდნენ ქუთაისიდგან საკათედრო ტაძრის ბლაღოჩინი ნესტორ შვანგირაძე. აქ დახვდნენ მას ბლაღოჩინები შანიძე, მამფორია, მჭედლიძე და მამასახლისები. ყოვლად-სამღვდელოს მობრძანებამ მეტად გაახარა ყველა, დიდი და პატარა, მამაკაცნი და დედაკაცნი; ყველა მხიარულად მიეჩქარებოდა ეკკლესიებისკენ, რათა ენახათ ეპისკოპოზი და თან მოესმინათ მისი ტკბილი მოძღვრება. ეკკლესიისა და მისი ნივთების დათვალიერების შემდეგ, ყოვლად-სამღვდელო ყველგან მიჰმართავდა ხალხს სიტყვით, ყველგან ქადაგებდა სიყვარულს ღვთისადმი, ურთიერთისა და ქვრივ-ობლებისადმი, მშვიდობასა და წესიერებას ყველგან და ყველაფერში. რომელ სამრევლოშიაც მის მეუფებას ეკკლესია არ მოეწონა ან სიპატარავის გამო, ან სიბნელისა და მოუწყობლობის გამო, ყველგან სთხოვდა ხალხს შესდგომოდნენ ამ ნაკლის გასწორებას. კარგს ვითარებაში დახვდა და მოეწონა მას ბევრი ეკკლესიები, მაგალითად: კუშუბოურის, ბზვანის, დვალიშვილების და სხვა; დვალიშვილების ეკკლესიის მღვდელს საბაშვილს და მის მრევლს მადლობა გამოუცხადა ეკკლესიის კარგად მოწყობისათვის. მეტად ესიამოვნა მის მეუფებას, რომ დვალიშვილების ეკკლესია სავსე დაინახა ხალხით. არავინ არ დარჩენილიყო ოჯახში, ყველა ეკკლესიაში მოსულიყო სალოცავად. ს. დვალიშვილებში დარჩა ყოვლად-სამღვდელო თავის კრებით ერთი დღე და ღამე; მან დაათვალიერა აქაური გოგირდის აბანოები, რომელიც ძაილან მოიწონა. სამს ივნისს მისი მეუფება ეწვია ტობანიერის ორ-კლასიან სამინისტრო სასწავლებელს; მოსწავლეები რიცხვით 160 კაცი იყვნენ მწკრივად დაყენებულნი სასწავლებლის ეზოში და თავიანთი მასწავლებლებით ელოდებოდნენ ყოვლად-სამღვდელოს; დილის ცხრა საათზედ მისი მეუფება მობრძანდა ცხენით სასწავლებლის

ეზოში, სადაც მას მიეგება ზედამხედველი სასწავლებლისა მასწავლებლებითურთ; ლოცვა-კურთხევის მიღების შემდეგ, ზედამხედველმა მიიწვია მისი მეუფება სამასწავლებლო კლასებში. ყოვლად-სამღვდელომ დაათვალიერა ყველა კლასები, გამოსცადა მოსწავლეები, შემდეგ აკურთხა მოსწავლენი, დაურიგა თავის ხელით ყველას ჯვრები და თერთმეტის ნახევარზედ წაბრძანდა ეკკლესიაში. 9 ივნისს საზოგადოების თხოვნისამებრ სწირა ამაღლების ეკკლესიაში, სადაც დაბარებული ჰყავდა იმ დღისათვის ქუთაისიდგან კრებული; შემდეგ გამოსცადა ამაღლების სკოლის მოსწავლენი და ივნისის 10-ს წაბრძანდა სვირისაკენ.

.....

სოფელ ბზვანში აგრაფენა ჭალაგანიძისა, სტუდენტის სევ. ჭოღოშვილისა და სხვათა თაოსნობით იხსნება სამკითხველო. ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა ახლად განზრახულ სამკითხველოს შესწირა ოცი მანეთი, რომელიც გადაეცა სტუდენტს სევ. ჭოღოშვილს; ამას გარდა, შეაგროვეს კიდევ 40 მანეთამდე. ეხლა ნებართვას თხოულობენ და თან სამკითხველოს ბინა უნდა უშოვონ. მეტად საჭიროა, რომ სამკითხველოს კარგი გამგე მოუძებნონ. იმედია, დამაარსებლები ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევენ და სამკითხველოს კარგად მოაწყობენ თავიდგანვე.

ვლადო ბზვანელი.

ივერია – 1902. – N151. – 18 ივლისი. – გვ.2–3.

ყოვლად-უსამღვდელოესის იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის მობრძანება სარევიზიოდ სოფელ ითხვისში (შორაპნის მაზრა).

ითხვისი დიდი სოფელია და სვერის საბლაღოჩინოში თითქმის პირველი ადგილი უჭირავს, როგორც სიდიდით, ისე თავის სიმდიდრითა და შესაფერის ეკკლესიით. ეკკლესია დიდია, ქვითკირისა, მაღლობ ადგილზედ აშენებული, წმინდა იოანე ნათლის-მცემლის სახელობაზედ და ორ შტატიანია, ორი მღვდელი ჰყავს.

ამ ივლისის 14-ს, კვირას, ეკკლესიის გალავანს დიდ-ძალი ხალხი მოაწყდა სწორედ ისე, როგორც დღეობასა და დიდ საუფლო დღესასწაულებზედ სჩვევიათ; მრევლი მოელოდა ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის მობრძანებას; ხალხს მღვდელ-მთავრის მოლოდინში მხიარულება ეხატებოდა სახეზედ; მეათე საათი დაიწყო, მოუხშირეს ზარების რეკვას და ყოვლად-სამღვდელოც შემობრძანდა ეკკლესიაში, სადაც წირვა ახალი დაწყებული იყო და ეკკლესიაც მჭიდროდ გატენილი ხალხით.

წირვაზედ დამსწრე საზოგადოება მოუთმენლად ელოდა მღვდელ-მთავრის ჩვეულებრივ გრძნობიერ ქადაგებას და სწავლა-მოძღვრებას და მოლოდინიც შეუსრულდა: გათავდა თუ არა წირვა, მისმა მეუფებამ გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ნათლად განმარტა, თუ რა მნიშვნელობა აქვს მართლმადიდებელ ერისათვის წირვას, საზოგადოდ ღვთის მსახურებას და ეკკლესიის სიყვარულს და მასში ხშირად სიარულს. მლოცველმა ხალხმა დიდის გულ-მოდგინებით მოისმინა მღვდელ-მთავრის ქადაგება, რადგანაც თვითოეული სიტყვა ღრმა აზროვანი იყო, მნიშვნელოვანი და გულში ჩასაბეჭდი

და ამასთანავე მჭევრმეტყველი და ნათელი. რაღა თქმა უნდა, მღვდელ-მთავრის ქადაგებამ ძლიერი და სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე მლოცველ საზოგადოებაზედ.

ქადაგების შემდეგ, მისმა მეუფებამ ხალხს ლოცვა-კურთხევა უბოძა, დაათვალიერა ეკკლესია, ინახულა იქვე გალავანში ახლად აშენებული სამრევლო სკოლის შენობა. შენობა ერთ სართულიანია, ქვითკირისა, სამი ოთახი აქვს: ერთი დიდი - სკოლისათვის, ორი კი მასწავლებლის სადგომად გაკეთებული. შენობა ყველაფრით კარგია, მხოლოდ საკლასო ოთახს ფანჯრები მარჯვნივ აქვს დატანებული და არა მარცხნივ, როგორც პედაგოგიური წესი მოითხოვს. ბლაღოჩინმა იოსებ წერეთელმა და მღვდელმა ვლადიმერ კაპანაძემ, რომელთა თაოსნობითაც სკოლა აშენებულია, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდს მიზეზად მოახსენეს, რომ სკოლის შენობა ისეთ ადგილზედ არის აგებული, რომ ძლიერი ქარი და ქარიშხალი, რომელიც აქ იცის, შენობას მარცხნივ ჰხვდება და, ამიტომ საკლასო ოთახს მარცხნივ ფანჯრები და სინათლე არ მოუხერხდაო.

მისი მეუფება სრული კმაყოფილი დარჩა, როგორც ეკკლესიისა, ისე სკოლის შენობითაც. სკოლის შენობა მზად არის, მხოლოდ ხის ავეჯი აკლია; ამასაც ამ ზაფხულს მოიპოვებენ და მომავალ ენკენისთვიდგან სწავლაც გაიჩარხება.

დიდ ბედნიერებად ჩასათვლელია იმერეთის ეპარქიისათვის, რომ მისი სახელოვანი მწყემს-მთავარი ყოველ ეკკლესიას პირადად ნახულობს. მისი მეუფება არ ერიდება არც სიშორეს, არც ცუდ გზას, არც დაღალვას და არც ცუდს ამინდებს. ეკკლესიების რევიზიის დროს დიდ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას - არის თუ არა იმ ეკკლესიის მრევლში სკოლა და თუ არა, - რით სულდგმულობს, ან რა უფრო აკლია ხალხს. საზოგადოებაც ამიტომ დიდის პატივისცემით და სიყვარულით ეგებება თავისს ერთგულს მღვდელ-მთავარს, რომლის ენერგია და ხანგრძლივი სიცოცხლე ყველასათვის სანატრელი და დასაფასებელია ჩვენში...

იმ დღეს მისი მეუფება თან დამსწრე სამღვდელოებით სადილად მიპატიჟებული ბრძანდებოდა ეკკლესიის წინამძღვართან მამა ბლაღოჩინ იოსებ წერეთელთან და ნასადილევს წაბრძანდა სარევიზიოდ მახლობელ სოფლებში. როგორც ამბობენ, ყოვლად-უსამღვდელოესი ლეონიდი ამ ზაფხულს გაათავებს ეპარქიის ეკკლესიების რევიზიას.

ბ. ვაშაძე.

ივერია – 1902. – N162. – 1 აგვისტო. – გვ.2.

ჩვენებური ამბები

.....

იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის მობრძანება სოფელ შუქრუთში და სკოლის დაარსება.

შუქრუთი უძევს დაბა ჭიათურას აღმოსავლეთით ორი ვერსის მანძილზედ. სოფელი შეფენილია მაღლობზედ, ცნობილია შავი-ქვის მადნით, კარგის ჰავით და შრომის მოყვარე ხალხით. ამ საკმაოდ შეძლებულს სოფელს დღემდის სკოლა არა ჰქონდა.

26 ივლისს დილის ათ საათზედ მობრძანდა იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი. თუმცა სამუშაო დღე იყო, მაგრამ ეკკლესია მთლათ გაივსო ხალხით, დიდი და პატარა, ქალი და კაცი მონატრული იყვნენ ენახათ თავისი სახელოვანი მწყემს-მთავარი, მოესმინათ მისი სწავლა-მოძღვრება, მიეღოთ ლოცვა-კურთხევა და დამტკბარიყვნენ სულიერად. ყოვლად-უსამღვდელოესობამ დაათვალიერა ეკკლესია და მერე წარმოსთქვა გრძნობით სავსე ქადაგება და იმითი დაასრულა, რომ საზოგადოებას აუხსნა სწავლის მნიშვნელობა და თან ურჩია და დაავალა სკოლა დააარსეთო. ოღონდ სკოლის შენობა ააგეთ და მასწავლებლის ჯამაგირისათვის მე გამოგინახავთ სახსარსაო. ხალხმა აღტაცებით მოისმინა მადლიანი სიტყვა-დარიგება და თანხმობა გამოაცხადა. შემდეგ ეკკლესიის გალავანთან სკოლის შენობის ადგილიც უჩვენეს მათ მეუფებას. ადგილი მოიწონა და ჩაჩანიძესა და მღვდელ ვაშაძეს დაავალა ეზრუნათ სკოლის შენობის აგებისათვის.

27 ივლისს ყოვლად-უსამღვდელოესი ლეონიდი მწირველი იყო სვერს და 27-სავე საღამოს წაბრძანდა ტფილისს. ორი თვეა, რაც ეპისკოპოსი ლეონიდი მოგზაურობს იმერეთის დაბა-სოფლებში და უხვად სთესავს თესლს განათლებისას. მოსავლელი დარჩა მხოლოდ ორი საბლაღოჩინო და მასაც ნახავს ქალაქიდგან დაბრუნების შემდეგ.

ბ. ვაშაძე.

ივერია – 1902. – N204. – 25 სექტემბერი. – გვ.2–3.

დეკანოზის გრიგორ მაჭარაშვილის დასაფლავება

შაბათს, 21 სეკდემბერს, სოფელ ალში დაასაფლავეს ფოთის საკათედრო ტაძრის დეკანოზი გრიგორ მაჭარაშვილი. დილითვე შეკრბნენ განსვენებულის პატივის-მცემელნი. ბევრი განგებ ამ დღისთვის ჩამოვიდნენ ფოთიდგან: ქალნი და კაცნი. დასაფლავებას დაესწრო, სხვათა შორის, ფოთის ქალაქის მოურავი ბატონი ნიკო ნიკოლაძე, ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსის ავადმყოფობის გამო მის მაგივრად და მისის თხოვნით მობრძანდა იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე. დილის ცხრა საათზე მიცვალებული სამღვდელოებამ გამოასვენა და წირვის მოსმენისა და პანაშვიდის შემდეგ სასაფლაომდე ხელით მიასვენა სამღვდელოებამვე. სამგლოვიარო პროცესიას ამშვენებდა შემდეგი გვირგვინები:

1). ფოთის ორ-კლასიან სამრევლო სკოლისაგან: „მისგან დაარსებულ ფოთის ორ-კლასიან სამრევლო სკოლის მოწაფეთაგან:

თუმც შენ აღარ ხარ, საქმენი შენნი
იქნება ჩვენში დაუვიწყარი;
უფალსა ვვედრით, მწყემსო კეთილო,
მოგცეს ცხოვრება იქა ნეტარი.

2). ფოთის ქალთა პროგიმნაზიისა და ოლგას დედათა სკოლისაგან:

„ძვირფასს მამას მოყვარულ ასულთაგან.“

3). დაუვიწყარ დეკანოზს ფოთის ვაჭრებისაგან. (იმათგანვე ვერცხლის ხატი იმავე წარწერით).

4). მისგან დავალებულ ფოთის ქალაქისაგან დეკანოზ გრიგოლ მაჭარაშვილს.

5). ქრისტეფორე და ნინო ხუმატაძისაგან:

„სულიერ მამას, დაუვიწყარ დეკანოზს.“

6). დიმიტრი გუგუშვილის ოჯახობისაგან:

„დაუვიწყარ დეკანოზს.“

7). ლეონტი და მინადორა ჩაჩანიძისაგან:

„გზა ცხოვრებისა განვლე ყოვლად პატიოსნად და აღბეჭდეცა ნავალი.“

8). ძმისწულებისაგან.

9). სიძისა და დის-წულებისაგან.

10). ვერცხლის ხატი გურია-სამეგრელოს საეპარქიო საბჭოსაგან.

11). მაცხოვრის ვერცხლის ხატი ფოთის საკათედრო ტაძრის კრებულისაგან.

იყო კიდევ გვირგვინები სხვა კერძო კაცთაგანაც.

მღვდელ-მთავრის წირვაზედ გალობდა ორი გუნდი: ყოვლად-სამღვდელო ალექსანრდე ეპისკოპოზის გურულ-მგალობელთა გურულ კილოზედ და აქაურ სამრევლო სკოლის მოწაფეთა. განიცადენის დროს სიტყვა წარმოსთქვა მღვდელმა გიორგი გეგეჭკორმა. დაკრძალვის დროს-კი განსვენებულის მოღვაწეობა აღნიშნა და განმარტა ბატონმა ა-ნ წ-ძემ.

განსვენებულის ქვრივმა მიიღო მრავალი სამძიმრის დეპეშა ცნობილ კაცთა და დაწესებულებათაგან.

ფოთელებმა მათის საყვარელის მოძღვრისათვის საფლავზედ მატურის ასაგებად მოიტანეს 400 მანეთი.

ივერია – 1902. – N211. – 5 ოქტომბერი. – გვ.2.

ჩვენებური ამბები

ქუთაისი: - ყოვლად-სამღვდელო ლეონიდემ, როდესაც იმერეთის ეპარქიაში მოგზაურობდა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმერთა ზნე-ჩვეულებას: დაესწრო მიცვალებულების დასაფლავებას, რომელსაც ჩვენში დიდ-გაზვიადებულად ვასრულებთ. არაფრად მოეწონა მკვდრის გამოუსადეგარი და ცოცხლების ნივთიერად დამღუპველი ჩვეულება და კეთილ-მოწესე მღვდლებს მოელაპარაკა, როგორმე შეემსუბუქებინათ ესრედ-წოდებული ზარ-ტირილით დასაფლავება მიცვალებულისა; კიდეც გამოსცა ამ საგნის შესახებ ცირკულიარი და ვალდებულად ხდიდა ყველა მღვდელს, მიცვალებული მესამე დღეს უმოზარეებოდ დაესაფლავებინათ. ეს განკარგულება უმეტესობამ დიდის სიხარულით მიიღო. იმედია, ყველგან მალე გადავარდება დრო-მოჭმული და ხალხის დიდად მაზარალებელი ჩვეულება და მის მიერ გამოწვეული ოჯახის დამღუპველი ზარი-ტირილი.

იმერელი.

ივერია – 1902. – N222. – 18 ოქტომბერი. – გვ.2–3.

ზემო-იმერეთი

ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის რევიზია ზემო-იმერეთში

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდმა თავის ეპარქიის ეკკლესიების რევიზია დაიწყო 26 მაისს და დღესაც ეს რევიზია არ დასრულებულა.

ყველასათვის ცხადია, რომ ეგეთი ხანგრძლივი მოგზაურობა ძნელია და თითქმის აუტანელი, მაგრამ მათის მეუფების მტკიცე ხასიათმა ყოველ დაბრკოლებას სძლია. სძლია მისთვის, რომ თვით მათს მეუფებას კარგად ესმოდა, რა შედეგიც ექნებოდა ამ რევიზიას სამღვდელოებისა და საზოგადოებისათვის.

სწორედ მოციქულებრივის თავ-გამომეტებით და უანგარო სიყვარულით შეასრულა მათმა მეუფებამ პირდაპირ თვისი დანიშნულება და მოვალეობა. ზემო იმერეთში ბევრი სოფელი მისთანა იყო, რომ ოცი-ორმოცი წლის განმავლობაში არც-კი ჰღირსებოდა მღვდელ-მთავრის რევიზიას და ხილვას; ბევრნი მისთანა სამღვდელონიც იყვნენ, ათი წელიწადი და მეტიც არ ეხილათ არც ერთი მღვდელ-მთავარი.

უმეტეს ნაწილად მათ მეუფებას ხვდებოდა ცარიელი ეკკლესიები, გარდა კედლებისა მათში არაფერი მოიპოვებოდა, არც მხატვრობა და არც არავითარი სამკაული. ამ ნაკლულევანებათა ისე შეჩვეულნი იყვნენ მღვდელნიც და ერნიც, თითქმის აღარც ჰფიქრობდნენ, რომ ამ ნაკლს შევსება უნდა ბევრი სოფელი მოკლებული იყო მხნე და პატიოსან მოძღვარს.

ყველა ამ ნაკლულევანებას მიაქცია მათმა მეუფებამ ყურადღება და არ დაუტოვებია არც ერთი ეკკლესია დაუთვალიერებელად, არ დაუტოვებია არსად ხალხი, რომ ყველასთვის შესაფერი დარიგება არ მიეცა და მოძღვრება არ ეთქვა. ბევრს ეკკლესიაში აღკრძალულ იქმნა მღვდელ-მოქმედება. ამ ნაირად მღვდელმა და ერმა შეიგნეს, გაიხსენეს თავის მიერ დავიწყებული მოვალეობა. ყველა გამოფხიზლდა, ყველა მიხვდა ბევრს ავსა და კარგსა. არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, (გარდა უმცირესის ნაწილისა, სადაც შემკობილი ეკკლესიებია), რომ ხალხი ფაცა-ფუცში არ იყოს. ყველგან იწერენ წმიდა ხატებს, აახლებენ კანკელს, ჰყიდულობენ ეკკლესიისათვის სამკაულებსა, ავლებენ ეკკლესიებს გალავანსა. სოფელ პერევისაში, მათის მეუფების რჩევით, კიდეც მოიყვანეს ცნობილი მხატვარი ბატონი მრევლიშვილი, რომელიც უკვე შეუდგა აღნიშნულ ეკკლესიისათვის ხატების დამზადებას.

რევიზია მათი მეუფებისა ყველაფერს შეეხო: არ დაუტოვებია არც ერთი მხარე ერის ცხოვრებისა, რომ მათს მეუფებას არ გაეგოს, არ შეეტყოს, სად რა საჭიროებაა, სად რა უნდა გაკეთდეს... ბევრს სოფელში იხსნება სკოლები და სინათლის გზას მოკლებული ერი ეღირსება ნათელს.

ყოველმა მღვდელმა და ერმა მოიმკო ნაყოფი ღირსი საქმეთა თვისთა. საქებარმა ქება, საძაგელმა - აუგი.

ამ მოკლე წერილში არ შეგვიძლია გამოვსთქვათ და გამოვხატოთ ყველა ის კეთილი შედეგი, რომელიც მოჰყვა ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის რევიზიას. ღმერთსა ვსთხოვთ,

გვიცოცხლოს ჩვენი მხნე, კეთილგონიერი და ენერგიული მღვდელმთავარი მრავალს წელს და იმედია, ყველა ეკკლესია ისე გამშვენებული იქნება, როგორც სასურველია.

ლ. დ.

ივერია – 1902. – N256. – 29 ნოემბერი. – გვ.3.

ბიბლიოგრაფია

ილ. ნებოძირელი.

„იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი.“ 1902 წ.

ლეონიდი დაიბადა 1861 წელს, აღიზარდა სემინარიაში და კიევის აკადემიის კურსი შეასრულა 1888 წელს, ბერად აღიკვეცა 1887 წელს; 1888 წელსვე დაინიშნა მისიონერად და ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლათა ინსპექტორად და დიდის ნიჭითა და ცოდნით იმსახურა საინგილოს, ფშავ-ხევსურეთს, მთიულეთ-ოსეთს, სამცხეს ყველგან, საცა-კი ლეონიდი შედიოდა, თან შეჰქონდა ნათელი; ყველას, რასაც-კი ხელს ჰკიდებდა, კეთილად აბოლოვებდა, სულს უდგამდა მკვდარს საქმესაც-კი.

წლეულს, ზაფხულის ორს თვეს, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდმა მოიმგზავრა მთელი თავისი მრევლი. ნახა ეკკლესიები, ხალხი, სოფელნი, დაბანი. სარწმუნო კაცებმა გვითხრეს, რომ ამ ორის თვის განმავლობაში ყოვლად-სამღვდელო ლეონიდმა 200-მდე სიტყვა-ქადაგება წარმოსთქვა სხვა-და-სხვა საჭირ-ბოროტო საგანზეო, რომელს დაბა-სოფელშიაც მივიდოდა, ყველგან დიდძალი ხალხი უხვდებოდაო, ყველგან სიტყვას ამბობდა და ყველას უმოძღვრებდაო. ხშირად, დღეში სამ-ოთხ გზის უხდებოდა სიტყვის თქმაო. ჩვენ გვაკვირვებდა მისი მხნეობა, მჭევრ-მეტყველებაო.

იმედი გვაქვს, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის მოგზაურობისა და მიმოხილვის ამბებს მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებითურთ გამოსცემენ ისინი, რომელნიც ამ მიმოხილვის დროს თან ახლდნენ ჩვენს სასიქადულო მღვდელ-მთავარს.

წიგნი კარგად არის შედგენილი. შიგ ჩართულია, ლეონიდის სურათის გარდა, სურათი ნეტარ-ხსენებულის მამა მთავრის გაბრიელისა, მრავალ მოღვაწის ალექსანდრე ეპისკოპოსისა და გაიოზ ნაცვლიშვილისა, რომელიც პირველი რექტორი იყო თელავის სასულიერო სემინარიისა და ბოლოს მთავარ-ეპისკოპოსი ასტრახანისა და მოზდოკისა.

მოსე ჯანაშვილი.

ივერია – 1903. – N34. – 11 თებერვალი. - გვ.2-3.

უგანათლებულესის სამეგრელოს თავადის ნიკოლოოზ დავითის ძის გვამის წასვენება ტფილისიდგან მარტვილის მონასტრამდე და მისი იქ დასაფლავება

ცხრა საათი იქმნებოდა ღამისა, როცა სამგლოვიარო მატარებელი ტფილისიდგან, სადაც არა ჩვეულებრივი თანაგრძნობა და პატივის ცემა გამოუცხადა ცხედარს აუარებელმა საზოგადოებამ და ნამეტნავად დაბალმა ხალხმა, დაიძრა. კასპის სადგურზედ დახვდნენ თავადი ამილახვრები, დიმიტრი ამილახვრის მეთაურობით და მრავალნი სხვა პატივისმცემელნი, რამდენიმე შემოსილი მღვდლებით და მაშხალებით. გააღებინეს სამგლოვიარო ვაგონი და მოკლე პანაშვიდი გადაუხადეს; შემდეგ ამისა სამძიმარი გამოუცხადეს განსვენებულის შვილს უგანათლებულესს თავადს ნიკოლოოზს და მის სიძეს თავად ობოლენსკის, რომელნიც პეტერბურგიდგან მოსდევდნენ ცხედარს. გორის სადგურზედაც, თუმცა უდროვო იყო და საშინელი ცივი ქარბუქიც უბერავდა, მაინც დახვდა იქაური ქართველი ოფიცრობა და ბევრი სხვა პატივის მცემელნი და აგრეთვე გორის მთელი სამღვდელონი. აქაც გააღებინეს სამგლოვიარო ვაგონი და პანაშვიდი გადაუხადეს. განსვენებულის შვილმა დიდი მადლობა გამოუცხადა ყველას ამ გვარის თანაგრძნობისათვის. ამის შემდეგ რიონამდინ მატარებელი დიდხანს აღარსად შეჩერებულა. რიონის სადგურზედ-კი, თუმცა დილის ოთხი საათი იქნებოდა და ძალზედაც ციოდა, მაგრამ დიდძალი ხალხი დახვდა. სხვათა შორის, დახვდნენ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი სმაგინი თავისის ცოლით, ეპისკოპოსი ლეონიდი თავის კრებულით და მგალობლებით, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ლორთქიფანიძე, მაზრების წინამძღოლებით, კ. ბ. ლორთქიფანიძე, ნ. პ. პრინცი და ბევრნი სხვანი უგანათლებულესის პატივისმცემელნი. აქაც ეპისკოპოსმა ლეონიდმა გადაუხადა პანაშვიდი მიცვალებულს და სამძიმარი უთხრა მის შვილს. შემდეგ სამტრედიიდან დაწყობილი ახალ-სენაკამდინ თითქმის ყველა სადგურში, რადგან ეს სადგურები სამეგრელოშია, ხვდებოდა დიდძალი ხალხი მღვდლებით და მცირე პანაშვიდს უხდიდა.

მთელი ახალი-სენაკი, სადაც მატარებელი გაჩერდა დილის მერვე საათზედ, გაჭედილი იყო ხალხით. აქ სამგლოვიარო მატარებელს დახვდნენ განსვენებულის ნიკოლოოზის და პრინცესა სალომე მიურატისა თავის შვილებით, კნეინა ელისაბედ ბაგრატიონ-მუხრანსკისა ზუგდიდისა, სენაკისა და ლეჩხუმის თავად-აზნაურობა თავის მარშლებით, მაზრების უფროსებით, სამეგრელოს და გურიის ეპისკოპოსი ალექსანდრე მთელი თავისი კრებულით და მგალობლებით, აუარებელი ხალხი. ტევა აღარ იყო არც ვაგზალზედ და არც მის გარშემო ქუჩებზედ; როდესაც სამგლოვიარო ვაგონი გააღეს და თავად-აზნაურობამ ცხედარი ვაგონიდგან გამოასვენეს ასტყდა მთელ ხალხში ერთი საშინელი მწუხარების ვაება, მოთქმა-ტირილი, თავში ცემა. სამხედრო მუსიკა, რომელიც პრინც ნაპოლეონის განკარგულებით ქუთაისიდგან იყო გამოგზავნილი, უკრავდა სამგლოვიარო მარშს. განსვენებული რამდენსამე ხანს გარეთ პავილიონში, რომელიც ამ შემთხვევისთვის იყო მწვანით აგებული, დაასვენეს; ყოვლად უსამღვდელოესმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ კრებულით პანაშვიდი გადაუხადა, და შესაბამი სიტყვაც წარმოსთქვა, განსვენებულის დასახასიათებლად. შემდეგ პანაშვიდისა ერთის ვაებით და

ტირილით მთელი სამი-ოთხი საათი ესალმებოდნენ ყველანი და ნამეტნავად უკლავდნენ კაცის გულს მის მოსამსახურეთ ნამეტანი ტირილ-მოთქმანი. იქნებოდა თორმეტის ნახევარი, როდესაც პროცესია დაიძრა ახალ-სენაკიდგან და შეუდგა მარტვილის გზას. მთელი ახალ-სენაკის ქუჩები გატენილი იყო ხალხით და ყველა ესალმებოდა თავისს საყვარელს ბატონს, როგორც სამეგრელოში განსვენებულს ეძახიან. თითონ პროცესიაც გაჭიმული თითქმის სამ ვერსტზედ დიდებულ სანახავს წარმოადგენდა: წინ მოუძღოდა ახალ-სენაკის მაზრის უფროსი რიაზანოვი თავის სტრაჟნიკებით, შემდეგ განსვენებულის შვილი უგანათლებულესი თავადი ნიკოლოოზი ეტლით, შემდეგ სამგლოვიაროთ მორთული ამფიონი, რომელზედაც ესვენა ცხედარი, მას უკან მოსდევდა ეტლით განსვენებულის და პრინცესა სალომე მიურატისა, მისი სიძე თავადი ობოლენსკი, პრინცესას შვილები, ეპისკოპოსი ლეონიდი თავის კრებულით და აუარებელი ნათესავობა და საპატიო სტუმრები. მარჯვნივ და მარცხნივ სამგლოვიარო ამფიონისა სამას ოთხას ცხენოსანი სულ შავებში შემოსილი და ბევრი გლეხკაცობა, იმ საშინელ ტალახში ქვეითად, ტირილით აცილებდნენ თავის საყვარელ მფარველს ბატონს. თითქმის მთელ გზაზედ სენაკიდან დაწყობილი მარტვილამდინ ხალხი მოსულიყო შორეულ სოფლებიდგან და ბზას, ღვიას და დაფნის ფოთოლს უგებდა განსვენებულის სამგლოვიარო ეტლსა. ძველ-სენაკში დახვდა დიდძალი ხალხი წოდების განურჩევლად მრავალის სამღვდელოებით. აქ იყო ამ შემთხვევისათვის საგანგებოდ სათავად-აზნაურო სკოლის ახლო აგებული, მწვანით და გვირგვინებით მშვენივრად მორთული სამგლოვიარო ფარდული. აქ განსვენებულს მოკლე პანაშვიდი გადაუხადეს და რამდენიმე კარგი სიტყვაც წარმოსთქვეს. შემდეგ ძველ-სენაკისა მარტვილამდინ კიდევ ხუთგან ექვსგან, სადაც აგებული იყო მწვანით გრეხილი კამარები და ხალხი შემოსილი სამღვდელოებით უცდიდა, შეაჩერეს პროცესია და მცირე პანაშვიდები გადაუხადეს. ყველა სოფლებში, სადაც-კი პროცესიამ გაიარა, სამგლოვიარო შავი ბაირაღები იყო გამოკიდული. შვიდი საათი იქნებოდა, როდესაც ცხედარი მარტვილში აასვენეს და სობოროში დაასვენეს. აქ კიდევ მოკლე პანაშვიდი აუგეს და თან მოყოლილი საზოგადოებაც დაიშალა. ზოგი მათგანი, რომელნიც-კი საპატიო სტუმარნი იყვნენ, გრიგოლ ეპისკოპოსისაგან აგებულ ახალ სახლში მოათავსეს და ზოგნი-კი დაბრუნდნენ იქვე ნოვოღალევში, რომელიც ორი ვერსტის სიშორეზედ არის მონასტრიდგან.

მეორე დღეს მარტვილის სობორო, სადაც წირვა და პანაშვიდი იყო გადახდილი, ეპისკოპოსი ლეონიდისაგან, გაჭედილი იყო ხალხით. საკვირველი ეს არის რომ, თუმცა მთელი დღე თოვლდა და მუხლამდი ტალახი იყო, მაგრამ მაინც დასაფლავებამდინ სულ მოდიოდა და მოდიოდა ხალხი თავის ბატონის გამოსასალმებლად. დაკრძალვის დღეს, ესე იგი ხუთ თებერვალს, მშვენიერი მზიანი დღე გამოვიდა. ამ გარემოებამ უფრო ხელი შეუწყო, რომ სობოროს გარდა, მთელი მისი უშველებელი ეზო გავსებულიყო ხალხით. იმ დილით ქუთაისიდგან მოვიდა სამხედრო ქუთაისის გუბერნატორი სმაგინი. თითქმის ყველა სხვა წარჩინებულნი პირნი. ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდი დიდის კრებულით იყო მწირველი. წირვის შემდეგ გადახდილ იყო პანაშვიდი, რომლის შემდეგ ეპისკოპოსმა ლეონიდმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. შემდეგ ლეონიდისა სიტყვა წარმოსთქვეს თავადმა ჩიქოვანმა, ოზურგეთის თავად-აზნაურობის მაზრის წინამძღოლმა თავადმა კ. ერისთავმა, თავადებმა: ვ. გ. მაჩაბელმა, ვერმიშოვმა, დგებუაძემ და რამდენიმე კიდევ პირმა, სამწუხაროდ ეპისკოპოსი გრიგოლი, რომლისაგანაც ბევრი ელოდა სიტყვას,

შემდეგ სამწუხარო ამბის გაგონებისა, ავად გამხდარიყო და ვერ შესძლო მონაწილეობა მიეღო სამეგრელოს თავადის ნიკოლოოზის დასაფლავებაში. ამის შემდეგ გამოეთხოვნენ ცხედარს ჯერ მისი მახლობელნი და შემდეგ მისი პატივისმცემელნი. აგრეთვე გამოეთხოვნენ გულ-საკლავი სიტყვებით და გოდებით ყველა მისი წინანდელი მოსამსახურენი, რომელთაც მოაკლდათ ნამდვილი მოსიყვარულე ბატონი.

თავადი სამეგრელოსი დაასაფლავეს შიგ ეკკლესიაში თავის მამის დავით დადიანის მახლობლად. მონასტრის ეზოში იყო გამართული ფიცრის ფანჩატურები, სადაც უმასპინძლეს მოსულ დაბალ ხალხს. დიდ-კაცებისთვის-კი გრიგოლ ეპისკოპოსისაგან აგებულ სასახლეში იყო გამართული სამარხო სადილი, რომლის შემდეგ ხალხი დაიშალა. რიგის მიმცემად და გამგებელად იყვნენ თავადები ა. ქოჩაქიძე, იონა მეუნარგია და გ. ალშიბაია. ამ რიგათ სამეგრელო გამოესალმა თავის ერთს საუკეთესო წარჩინებულ შვილს.

სანუგეშო და სასიამოვნო ის არის, რომ მისი მემკვიდრე შვილი უგანათლებულესი სამეგრელოს თავადი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე აპირებს ჩვენ ქვეყანაში დასახლებას. ზამთარს გაატარებს ზუგდიდს და საზაფხულოდ გორდში იქნება. ამასთანავე სურს შეისწავლოს ქართული ენა. ღმერთმა ინებოს, რომ მანაც ის სიყვარული დაიმსახუროს ხალხისა, როგორც განსვენებულმა მისმა მამამ დაიმსახურა.

ვ. მ.

ივერია – 1903. – N38. – 18 თებერვალი. - გვ.1.

ახალი ამბავი: - ჩვენის მხცოვანის მღვდელ-მთავრის შრომითა და ღვაწლით განახლებულ შიო-მღვიმის მონასტრის დღესასწაულზედ წინა დღითვე ჩამობრძანებულიყო მხცოვანის ძმისწული ყოვლად სამღვდელო ლეონიდი თავის კრებულით. ტფილისის ფერისცვალების მონასტრიდან იყვნენ ძმანი ამ მონასტრისანი, აგრეთვე იყვნენ ტფილისიდანვე მოლოზანნი. ძმანი ქართულადა გალობდნენ და მონოზანნი დედანი - რუსულად.

მკაცრი და შეუფერებელი ამინდი იყო. მაინც ოთხშაბათს, როგორც დილით, ისე საღამოთი, საკმაო მლოცავნი მოჰყვნენ მატარებელს. მცხეთას რომ მოუახლოვდა დილის მატარებელი, ხალხში რაღაცა უსიამოვნო ჩოჩქოლი შეიქმნა, რკინის გზის გამგეობას დაჰვიწყებოდა განკარგულება მიეცა, შიო-მღვიმის მონასტრის დასასვენებელთან მატარებელი შეეჩერებინათ (თურმე სწრაფი მატარებელი არა ჩერდება). ეს საქმე როგორც იყო მოაგვარეს. მატარებელი შეჩერდა. ხალხი გადალაგდა; მონასტრის ურემი უცდიდა მლოცავთ. გადაალაგეს ბარგი და გაუდგნენ ფეხით გზას. თუმცა უამინდო ამინდი იყო, მაინც ერთი მეორეს გასდევდა. მთელი ღამე ქარი დაჭრილ ლომივითა ღრიალებდა, მაგრამ ყველას თბილად დაებუნაგა მხცოვან მღვდელ-მთავრის ღვაწლით აშენებულ სახლებში; მეორე დღეს ახლო-მახლო სოფლებიდანაც ემატებოდა ხალხი; - სასოებით წირვა მოისმინეს, ისადილეს და გაუდგნენ გზას.

რკინის გზას უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ერთი ისეთი ფარდული ვერ მოუხერხებია, ადამიანმა თბილად გაატაროს მატარებლის მოსვლამდის დრო. მლოცავნი ფეხით ჩამოვიდნენ მცხეთამდინ ქალიცა და კაციც, რადგან პლატფორმაზე ცდა არ შეიძლებოდა. საჭიროა ყურადღებას მიაქცევდნენ ამ გარემოებას, ვისიც-კი ჯერ არს.

ივერია – 1903. – N53. – 7 მარტი. - გვ.1.

ახალი ამბავი: - გუშინ, 6 მარტს, იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის წინადადებით ყვირილაში უნდა ჰქონოდათ კრება შორაპნის მაზრის ბლაღოჩინებს, თითოეულ საბლაღოჩინოდან მოწვეული იყო აგრეთვე ორი-სამი ნასწავლი მღვდელი. კრებაზე ექმნებოდა ბაასი ღვთისმსახურების გარეშე საუბრების გამართვის შესახებ ეკკლესიაში. ამ კრებას მათი მეუფებაც უნდა დასწრებოდა.

ივერია – 1903. – N60. – 15 მარტი. – გვ.3.

ყოვლად-უსამღვდელოესის იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის მობრძანება დაბა ყვირილაში და შორაპნის საბლაღოჩინოების სამღვდელოთა კრება.

6-ს ამ მარტს, ხუთშაბათს, დილის 6 საათზედ დაბა ყვირილაში მატარებლით მობრძანდა იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი. რკინის გზის სადგურზედ ყველასაგან დიდად პატივცემულს მწყემსთ-მთავარს მიეგება შორაპნის მაზრის სამღვდელოება და ყვირილის საზოგადოება. სადგურიდგან მისი მეუფება წაბრძანდა ყვირილის ცნობილ ვაჭრის გედევან ზურაბის ძის ჩუბინიძის სახლებში, რომელიც წინდაწინ იყო მომზადებული მღვდელ-მთავრისა და სამღვდელოების მისაღებად. აქ მისმა მეუფებამ მიიღო იმ დღისთვის განგებ დაბარებული სამღვდელოება დილის 9 საათზედ და მიჰმართა გრძნობიერის სიტყვით, რომელშიაც ცხადად დაასურათა სამღვდელოების მოწოდება, მათის სამსახურის წმინდა აზრი და დიდი მოვალეობა. მღვდელ-მთავარმა სხვათა შორის ბრძანა: - „ჩვენი ძველები გაცილებით უფრო მტკიცედ ასრულებდნენ ქრისტიანობრივ მოვალეობას და უფრო მტკიცედ იდგნენ სარწმუნოებაზედ, ვინემც ახლანდელებიო; დღეს-კი, ჩვენდა სამწუხაროდ, ზოგიერთი ცრუ ნასწავლები ისე უყურებენ ქრისტეს სარწმუნოებას, როგორც დრო მოჭმულს და დრო გადასულს საგანს. საჭიროა ისევე განვაახლოთ გულ-მხურვალე სიყვარული ქრისტეს სარწმუნოებისა; ამიტომ, წირვა-ლოცვისა და სხვა მღვდელ-მოქმედების შესრულების გარდა, თითოეული თქვენგანი მოვალეა იზრუნოს ხალხის კეთილ-წარმატებისა და დაწინაურებისათვის სარწმუნოებისა და ზნეობის მხრივ, რისთვისაც მე მსურს, მამანო, სოფლის ეკკლესიებშიაც შემოვიღოთ წესად და სოფლის სამღვდელოებაც ვალდებულად გავხადოთ, რომ თითოეულმა თქვენგანმა წირვა-ლოცვაზედ წარმოსთქვას დროის შესაფერისი ქადაგება, სწავლა-მოძღვრება და გაჰმართოს საღმრთო-ზნეობრივი საუბრები, ამისათვის საჭირო იქნება შემუშავდეს განსაკუთრებული პროგრამა და შესდგეს სახელმძღვანელოდ და ხალხში მუქთად დასარიგებლად ზნეობრივ-სარწმუნოების სხვა-და-სხვა შინაარსის წიგნაკები. ამასთანავე სასურველია თითოეულს საბლაღოჩინოს ოლქში დაარსდეს ისეთი წიგნთსაცავი, რომლითაც სარგებლობა შეეძლოს მთელ საბლაღოჩინოს სამღვდელოებას, რისთვისაც საჭირო იქნება გამოვიწეროთ სასურველი წიგნები და ჟურნალები. ამიტომ

დაგიბარეთ დღეისთვის და გთხოვთ, თითოეულმა თქვენგანმა გამოსთქვას თავისი საკუთარი აზრი და შეხედულობა ამ საქმის შესახებ.“

სამღვდელოებამ დიდის ყურადღებით და სიხარულით მოისმინა და მიიღო მწყემს-მთავრის საგულისხმო სიტყვა და წინადადება. შემდეგ, მისის მეუფების თავმჯდო-მარეობით, დაიწყო კრება, რომელზედაც თითოეულმა თავის, აზრი წარმოსთქვა და განსაკუთრებით-კი დეკანოზმა მამა დავით ღამბაშიძემ დაწვრილებით განუმარტა სამღვდელოებას, თუ რა წესით და პროგრამით უნდა იქმნას შედგენილი საუბრებისა და ქადაგების წიგნაკები და სახელმძღვანელონი და რა ნაირად უნდა დაწესდეს წიგნთ-საცავი. ბოლოს მამა დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ განუცხადა კრებას, რომ „თუმცა სასურველია თითოეულ საბლაღოჩინოს ექნეს საკუთარი წიგნთ-საცავი, მაგრამ, ვგონებ, ეს ჯერ-ჯერობით საძნელო იყოს შეუძლებლობისა გამო და ამიტომ, ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება მთელმა შორაპნის მაზრის სამღვდელოებამ (შორაპნის მაზრაში სულ 6 საბლაღოჩინოა) ერთი წიგნთ-საცავი დააარსოს. ამ სამაზრო წიგნთ-საცავს ჩემის მხრივ ათასის მანეთის წიგნებს შევსწირავ იმ პირობით-კი, რომ წიგნთ-საცავი დაარსდეს ყვირილას ეკკლესიის გალავანშიო.

ბატონმა გ. ჩუბინიძემ მოახსენა ყოვლად-უსამღვდელოესს: „ყვირილის ეკკლესიის გალავანში მომავალ წიგნთ-საცავს მე ავუშენებ ჩემის საკუთარის შრომითა და ხარჯით შესაფერ ქვითკირის შენობასაო.“ ეპისკოპოსმა ლეონიდმა და სამღვდელოთა კრებამ მადლობა გამოუცხადა ამ კეთილ საქმისთვის, როგორც მამა დეკანოზს დავით ღამბაშიძეს, აგრედვე ბატონ გ. ჩუბინიძეს.

ბევრის კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: „შესდგეს კომისია 12 სამღვდელოთაგან, 6 წევრნი იყვნენ და ექვსნი მათნი კანდიდატიო. ამ კომისიას დაევალოს მიღება და გასინჯვა ქადაგებისა და საუბრებისა, მათი შედგენა და წყაროების გამოძებნა აღსაბეჭდავად და სხვა.“

რაიცა შეეხება წიგნთ-საცავის დაარსებას, ამაზედ იმ საბლაღოჩინოების სამღვდელოებამ, რომელიც დაბა ყვირილაზედ დაშორებულია, განაცხადა, რომ სიშორისა გამო ვერ შევიძლებთ ყვირილიდან თავთავის დროზედ ვისარგებლოთ წიგნთ-საცავით, თუ ჩვენს-ჩვენს საბლაღოჩინოში არ გვექნება წიგნთ-საცავიო. ძალიან სასურველია, რომ თითოეულ საბლაღოჩინოს საკუთარი წიგნთ-საცავი ექნეს, მაგრამ ბევრს ხარჯს მოითხოვს და ამისათვის კრებამ შემდეგი დაადგინა: „ეს საგანი ხელ-მეორედ გაირჩეს საბლაღოჩინოების მომავალ კრებაზედ და, თუ შესაძლებელად დაინახონ, თითოეულმა საბლაღოჩინომ საკუთარი წიგნთ-საცავი დაიარსოს. ან არა და ერთი „ცენტრალური“ წიგნთ-საცავი დაარსდეს მთელს შორაპნის მაზრაში, სახელდობრ დაბა ყვირილაში, ხოლო იმ საბლაღოჩინოებში, რომელიც დაშორებულია, დაარსდეს წიგნთ-საცავის განყოფილებანი; წიგნთ-საცავისა, წიგნებისა და ჟურნალების გამოსაწერად და სხვა ხარჯების დასაფარავად, რომელიც-კი გამოწვეული იქნება წიგნთ-საცავით, თითო ეკკლესიის კრებულმა წლიურად უნდა გადაიხადოს სამი მანეთი ფული.

სამღვდელოებამ ხელი მოაწერა ამ დადგენილებას და კრებაც დასრულდა ნაშუადღევის 4 საათზედ.

ყოვლად-უსამღვდელოეს ლეონიდს სადილი გაუმართა ზემოხსენებულმა გედევან ჩუბინიძემ. მის მეუფესთან ერთად მიწვეულნი იყვნენ მამანი, მღვდელნი, დეკანოზნი, კეთილმოწესენი და აქაური მაზრის უფროსი და მისი თანაშემწე.

5 საათზედ მისი მეუფება მიაცილეს რკინის გზის სადგურზედ, სადაც სამღვდელოებას და დამსწრე საზოგადოებას უბოძა ლოცვა-კურთხევა და წაბრძანდა ქუთაისს.

მღვდელი ბესარიონ ვაშაძე.

ივერია - 1903. – N131. – 19 ივნისი. - გვ.2.

ჭელიშის მონასტერი და მისი წინამძღვარი

იყო დრო, როდესაც მთელს რაჭაში სასულიერო სამსახურის მოსურნე ჭელიშის მონასტერში იღებდა საღმრთო სწავლა-განათლებასა. აქ შეხვდებოდით ურიცხვ ხალხს, რომელნიც ვარჯიშობდნენ საეკკლესიო გალობაში, და საღმრთო წერილის კითხვაში. ამ მონასტერში ნასწავლნი დღესაც მსახურებენ რაჭის ეკკლესიებში და ატკბობენ მსმენელის ყურს საღმრთო წერილის მშვენიერის კითხვითა.

მაგრამ გავიდა დრო და ამ მონასტერს მოაკლდა მოსწავლეთა რიცხვი. სემინარიელთა რაოდენობამ იმატა, ასე რომ მონასტერში სწავლა მიღებულნი ვეღარ შოულობენ სასურველს ადგილს; ამისთვის მონასტრის ცხოვრება შეჩერდა, აღარ არის ის მოძრაობა, რასაც ადრე ვხედავდით.

აი, ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება აწინდელმა ჭელიშის მონასტრის წინამძღვარმა, დიდათ პატივცემულმა არქიმანდრიტმა ამბროსიმ (ხელაია) და სურს ისევ განაცხოველოს მონასტრის ცხოვრება.

ყველასათვის ცხადია, რომ ახლანდელნი სემინარიელნი ძლიერ სუსტობენ ქართულ წირვა-ლოცვაში; ამის მიზეზი ყველასათვის აშკარაა. ამის გამო მამა ამბროსის აზრად აქვს ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის ნებართვით ის სემინარიელნი, რომელნიც სამღვდელოდ ემზადებიან უთუოდ ვარჯიშობდნენ საღმრთო წერილის კითხვაში ამ მონასტრის ზღუდეთა შორის. აზრი ყოვლად პატიოსანია და, იმედია, ახლო მომავალში განხორციელდება. მაშინ ჩვენს მონასტრებს ხომ სიცხოველეც მოემატება!!!

საზოგადოდ მამა ამბროსი განათლებული და მშრომელი კაცია. იგი დაბრძანდება რაჭის ყველა კუთხეში, ათვალიერებს ძველს ეკკლესიებს და ჰკრებს სასარგებლო ცნობებს.

ვუსურვებთ მამა ამბროსის წადილის განხორციელებას და ყოველ მის საქმის წარმატებას ჩვენის ეკკლესიის და სამღვდელოების სასარგებლოდ.

მღვდელი სიმონ ჭელიძე.

ივერია – 1903. – N143. – 3 ივლისი. – გვ.2–3.

ფელეტონი

ქართველები რუსეთში

ისტორიული მასალა

(ვუძღვნი იმერეთის ეპისკოპოზს ლეონიდეს)

I

საქართველო დიდი ხნით ემზადებოდა რუსეთის ქვეშევრდომობას; ამ განძრახვის განხორციელებას უფრო ხელს უწყობდა გარეშე მტრების შემოსევა და საქართველოს აკლება. რამდენისამე საუკუნის განმავლობაში არ შესვენებულა ქართველის კაცის მაჯა, არ დამცხრალა მისი გონება, აზრი და მოქმედება სულ ომში და თავის დაცვაში იყო. დღე არ იყო მისთის მოსვენება და ღამე. ერთის მხრივ მონგოლები, თემურ-ლენგი და თათრები, ხოლო მეორეს მხრივ - ლეკები და სპარსელები მოსვენებას არ აძლევდნენ, ჰჟლეტდნენ და ხოცავდნენ ქართველებს.

მეთხუთმეტე საუკუნეში საქართველო სამ სამეფოდ გაიყო და ხუთ პატარ-პატარა სამთავროდ, თვითოეული მეფე და მთავარიც თავისთვის სცხოვრობდა, თავისთვის ჰფიქრობდა და მხოლოდ თავის ბედნიერებას ეძებდა. ამ გვარმა დანაწილებამ და მარტო თავის თავისთვის ფიქრმა და ზრუნვამ, საუბედუროდ, ძლირ ცუდად იმოქმედა საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზედ. ამ გვარმა დაკნინებამ და დანაწილებამ თან-და-თან დაასუსტა ქვეყანა და ეს სისუსტე გონიერად გამოიყენა ერთის მხრივ სპარსეთმა და მეორეს მხრივ - ოსმალეთმა.

გაჭირვების დროს ქართველი მეფეები ხშირად რუსეთს მიაშურებდნენ ხოლმე, როგორც უფრო ახლო სახელმწიფოს და შველას სთხოვდნენ... ეს სპარსეთმა და ოსმალეთმა ძლიერ კარგად იცოდა და ყოველს ღონისძიებას ჰხამრობდნენ, ქართველების ამ გვარი მსვლელობა რუსეთში მოესპოთ. ამ სურვილის განსახორციელებლად ხშირად ათათრებდნენ ქართველებს, ასახლებდნენ თავიანთ ქვეყნიდან და მათ მაგიერ სპარსელები და ოსმალები გადმოჰყავდათ. ერთის სიტყვით, რაც შეეძლოთ, ავიწროებდნენ ქართველებს.

ამ დროს კახეთის მეფედ იყო ირაკლი I, რომელიც ყეენს არაფრად მოსწონდა; ერთხელ მიიწვია იგი სპარსეთში და დააპატიმრა. მის მაგიერ კახეთში დასვა მეფეთ ძე მისი დავით III (იმამ ყული ხანი). რადგან დავით სპარსეთში იყო აღზრდილი მაჰმადის რჯულზე, ამისთვის, როგორც ჭეშმარიტს მაჰმადიანს სძულდა თავის ქვეშევრდომების სარწმუნოება და სცდილობდა კიდეც კახეთის სრულად გამაჰმადიანებას, მაგრამ როდესაც დაინახა კახელების თვისდამი ერთგულება და როდესაც გაიცნო და დაუახლოვდა ქართლის მეფეს, ღვთის მოყვარე ვახტანგს, დავითი სრულიად გამოიცვალა. მანამდე მაჰმადიანობის მოტრფიალე, ახლა ქრისტიანობისა და სამღვდელოების მფარველი შეიქმნა.

როდესაც ქართლ-კახეთი ლეკთაგან იყო შეწუხებული ვახტანგი სპარსეთში იმყოფებოდა, რადგან ყეენი მეფობას არ აძლევდა მაჰმადიანობის მიუღებლობის გამო. ვახტანგი იძულებული შეიქმნა გარეგნობით მიეღო მაჰმადიანობა. მიიღო და 1719 წელს იგი ქართლის მეფედ იქნა გამოცხადებული.

მოსვლისთანავე ქართლში ვახტანგმა ჯერ მოწინააღმდეგე ერისთავები დაიმორჩილა და შემდეგ კახეთის მეფის შემწეობით უნდოდა ლეკების დამშვიდება, მაგრამ ამ დროს კახეთის მეფე გარდაიცვალა და ეს კეთილად დაწყებული საქმე სულ ჩაიშალა. კახეთში გამეფდაკონსტანტინე II, მაჰმად ყული ხანი და იმერეთში ალექსანდრე V (1722-1752) 1722 წელს რუსებმა დაიპყრეს კასპიის ზღვის ნაპირები, რომლებიც ეკუთვნოდა სპარსელებს. ამ საქმეში ყეენმა ქართლ-კახეთის მეფეები გაამტყუნა. ამისთვის ყეენის ბრძანებით, კახეთის მეფემ კონსტანტინე მეორემ წაართვა ქართლი ვახტანგსა და თვითონ დაიპყრა. ვახტანგ VI-მ ვერ აიტანა ამ გვარი დამცირება და მრავალი სასულიერო და საერო კაცითა და მხლებლებით გადასახლდა რუსეთს.

მეფე ვახტანგი, სანამ რუსეთში წასვლას გარდასწყვეტდა, დიდს ხანს იმალებოდა იმერეთში და იქიდგან ადევნებდა თვალყურს თავის სამეფოს მდგომარეობას; მაგრამ, რაც დრო მიდიოდა, უფრო და უფრო ირევოდა მისის სამეფოს საქმეები. ბოლოს სამეფოს დაბრუნების იმედიც დაეკარგა და სრულებით იმედ-დაკარგულმა გადასწყვიტა რუსეთში წასულიყო. წასვლის წინ მეფემ მისწერა მაშინდელ ასტრახანის გუბერნატორს ვოლინსკის, ნება მომეცით ასტრახანში მოსვლისა და მანდ დროებით დაბინავებისაო. ვოლინსკიმ ეს თხოვნა ხელმწიფეს მოახსენა 17 სეკდემბერს 1723 წ. და, ხელმწიფის ნებაყოფლობით აცნობა მეფეს, ნება გაქვს შენის ამალით გადმოსახლდე საქართველოდგან და დროებით დაბინავდე ასტრახანშიო. ხელმწიფეს სურვილი იყო, რომ საქართველოს მეფე ვახტანგი წმიდა ჯვრის ციხეში დარჩენილიყო საცხოვრებლად, რომელიც სამზღვარზედ იყო აგებული და ქალაქს დაშორებული, მაგრამ, როდესაც მეფე ვახტანგის დამ, ეკატერინე დავითის ასულმა, იმერეთის მეფის არჩილის მეუღლემ, აცნობა ხელმწიფეს დაწვრილებით, თუ რა სიღარიბეში იყო ამ დროს მეფე ვახტანგი; ხელმწიფემ გაჰგზავნა ვახტანგთან თავადი ფრანგისტან თურქესტანოვი და დავით ნაზაროვი, თან აცნობა, რომ სრული ნება გაქვს რუსეთში გადმოხვიდე და სადაც გსურს, იცხოვროვ.

1724 წლის ივნისის თვეში ორი თავადი, თურქესტანოვი და ნაზაროვი წავიდნენ მეფე ვახტანგთან და თან წაიღეს გენერალ-მაიორ კროპოტოვის სახელზედ დაწერილი ბრძანება, რომელშიაც დაწვრილებით იყო მოხსენებული. თუ რანაირად მიეღოთ მეფე ვახტანგი წმიდა ჯვრის ციხეში, ანუ თერკში და ან რანაირად ეცათ პატივი მისთვის. ამავე დროს ნაბრძანები ჰქონდა სენატსაც, გაეგზავნა საჩქაროდ მეფე ვახტანგის მისაღებად დანიშნული ფული, რაიცა სენატმა მსწრაფლ აღასრულა. 5 ივნისს მისცა ბრძანება ასტრახანის გუბერნატორს ვოლინსკის და დაავალა, რომ ყველაფერი,რაც ბრძანებაშია მოხსენებული, შეუცვლელად აღასრულეო. ვახტანგმა მიიღო თუ არა ამ ბრძანებასთან ერთად ფული, გაემგზავრა და წავიდა რუსეთს. ვახტანგ მეფე 1724 წლის 8 ნოემბერს მივიდა ასტრახანში და დროებით იქ შეჩერდა. მეფეს ჰსურდა შეეტყო ამ ქვეყნის ავ-კარგი, რუსთა მკვიდრთა მათდამი პატივისცემა და მრავალნი ადგილობრივი გარემოებანი.

მეფესთან მრავალი მხლებლები მიჰყვნენ. მეფის მხლებელთა შორის ბევრნი ბრწყინვალე გვარეულობისანიც იყვნენ. როგორც მაგალითად: ქათალიკოსი ქრისტეფორე; ტფილისელი მიტროპოლიტი პავლე და ორი ეპისკოპოზი: რუისის ეპარქიისა - ნიკოლოოზ მროველი, მანგლისისა - არსენი მანგლელი, ეპისკოპოზი იოანნე და ურბნისისა - ნიკოლოოზ ურბნელი. ამათ გარდა მეფეს ახლდნენ მრავალნი არქიმანდრიტნი, მღვდელ-მონაზონნი, მთავარნი და მედავითნენი სულ 145 კაცამდე. ეს მარტო სასულიერონი. საეროთა შორის იყვნენ: თავადი დიმიტრი ორბელიანი, მეფე ვახტანგის ქვისლი, თავადი

ნოდარ ბარათაშვილი, გერასიმე და შიო ჯავახიშვილები, თავადი დიმიტრი შალიკაშვილი, თავადი მამუკა დავითიშვილი, თავადი მელქისედეკ ბარათაშვილი, ვახტანგ თურქესტანიშვილი, სოლოღაშვილი, ხერხეულიძენი, თავადი ამილახვრები. აზნაურნი: ბორის ეგოროვი, გაბრიელ და ივანე მაჭავარიანები, მიხეილ და მათე ჩხეიძეები და დავით თუხარელი. ამ თავადების გვარებში ამილახვრებს პირველი ადგილი ეჭირათ და სამსახურშიაც იყვნენ რუსეთში. მაგალითად, ილია ბორისის ძე თურქესტანიშვილი პოლკოვნიკი იყო; თავადი იაგორ ვასილის ძე ამილახვარს დეისტ. ტაინი სოვეტნიკის ჩინი ჰქონდა და კოლეგიის პრეზიდენტი იყო. მოკვდა მოსკოვში და იქვეა დასაფლავებული. დეისტვ. სტატსკი სოვეტნიკი თავადი ევგენი ვასილის ძე ამილახვარი სამოქალაქო განყოფილების თავმჯდომარედ იყო. ისიც მოსკოვში გარდაიცვალა. თავადი ელისე პოტაპის ძე ამილახვარი გენ.მაიორი იყო. [ბუტკოვი. Материалы для новой ист. Кавказа часть 1 стр. 65, 66, 67,]. სასულიერო წოდების კაცნი ასტრახანში სულ თავისუფლად ჰგრძნობდნენ თავიანთ თავს. არც ერიდებოდნენ რუსთა მკვიდრთა და არც არაფერს ჰკითხავდნენ ადგილობრივ სასულიერო მთავრობას. დადიოდნენ მართლმადიდებელ ეკკლესიებში, სწირავდნენ, ლოცულობდნენ; მღვდელ-მთავრები აკურთხებდნენ მღვდლებს, დიაკვნებს და მთავრებს. ასრულებდნენ ყოველგვარ მღვდელ-მსახურებას და სცხოვრობდნენ თავისებურის ცხოვრებით. იმ დროს ასტრხანის ეპარქიას განაგებდა ეპისკოპოზი ლავრენტი, თვითონ ბუნებით კეთილი და გონიერი ადამიანი. მღვდელ-მთავარი ლავრენტი პირველ ხანებში ძლიერ კარგად უყურებდა ქართულ სასულიერო წოდების ღვთის სამსახურს და მათს ცხოვრებას, მაგრამ შემდეგ, როდესაც ჩვენმა სამღვდელოებამ საქციელითაც და მოქმედებითაც ქართველური გადაჭარბება გამოიჩინა მღვდელ-მთავარი ლავრენტი იძულებული შეიქმნა ეცნობებინა ყოველივე უწმინდესის სინოდისათვის და თავისი თავი დაეხსნა ქართველების საყვედურისა და პასუხის გებისაგან: „ქალაქ ასტრახანში სულ 9 მართლმადიდებელი ეკკლესია�აო,“ სწერდა მღვდელ-მთავარი ლავრენტი უწმინდეს სინოდს, „ამ 9 ეკკლესიაში ექვსი ეკკლესია ქართველებმა დაიჭირეს; დანარჩენი სამი ეკკლესია ვერასოდეს ვერ შესძლებს ჩემდა რწმუნებული ქალაქის სამღვდელოება შეინახოს, ჩემს განკარგულებას არ ემორჩილებიან ქართველები, ვსთხოვ უწმინდეს სინოდს მომცეს დარიგება და დახმარება, თუ როგორ მოვიქცე ამ შემთხვევაში.“ [Доношение Астраханскаго Епископа Лаврентия въ Свят. Синодъ отъ 14 апреля 1725 года.].

ამის შესახებ უწმინდეს სინოდს დიდხანს არ დაუყოვნებია, ფიცხლავ მისცა ბრძანება ეპისკოპოზს ლავრენტის, ასეთის შინაარსისა: „იმ სასულიერო კაცთა, რომელნიც საქართველოდგან მეფე ვახტანგს გადმოჰყვნენ და დღეს ქალაქ ასტრახანში იმყოფებიან - გიბრძანებთ სცეთ დიდი პატივი და მისცეთ ნება, რომელ ეკკლესიაშიაც ან მრევლშიაც ისურვონ სამსახური - არ დაეშალოთ. თავიანთ ადათზედ და რჯულზედ შეასრულონ წირვა-ლოცვა, კურთხევა, ქორწინება და ყველაფერი; თქვენ არაფერში არ გაერიოთ და არც დაუშალოთ...“ [უწმინდესი სინოდის უქაზი 25 ივნისს 1725 წ.].

თუმცა ამ გვარი ყურადღება უწმინდესი სინოდისა ქართველებისათვის დიდად სასიამოვნო იყოო, მაგრამ ქართველებს დიდხანს არ უსარგებლიათ ასტრახანის ეპარქიის მმართველის ყურადღებით. მეფე ვახტანგი არ იყო კმაყოფილი თავის მდგომარეობით. არ მოსწონდა ასტრახანში დაბინავება, თავის დიდებულების მოუწყობლობა, და შეუძლებლობა. მუდამ იმასა ფიქრობდა, რომ უმაღლეს მთავრობას, როგორმე მისთვის

უფრო მეტი ყურადღება მიექცია და მის მდგომარეობის შესაფერი ჯამაგირი გაეჩინა... ეს, რასაკვირველია, შესაძლებელიც იყო, მხოლოდ არა ასტრახანში, არამედ იქ, სადაც მათი ხელმწიფე იმპერატორი სცხოვრობდა. ამ ფიქრებით მოცულმა მეფემ 1725 წელის მაისში წაიყვანა სამი მღვდელ-მთავარი: არქიეპისკოპოსი ქრისტეფორე, მიტროპოლიტი პავლე და ეპისკოპოსი ნიკოლოოზი ას-ორმოცდა-თხუთმეტის მხლებლებით და რუსეთის დედაქალაქ მოსკოვს მივიდა. ასტრახანში დარჩა სამი ეპისკოპოზი და 61 ერის კაცი. შემდეგში არც ესენი დარჩენილან აქ დიდხანს. ყოველ წლივ აქედგან თითო, ორ-ორი ქართველი მიდიოდა მოსკოვს და ან რუსეთის სხვა რომელსამე დიდ ქალაქში... ქართველთ მღვდელ-მთავარნი, მივიდნენ თუ არა მოსკოვს, მაშინვე მიართვეს თხოვნა უწმინდესი სინოდის კანცელარიას და ითხოვეს დაგვინიშნეთ შესაფერისი ჯამაგირები, მოგვეცით საზრდოდ პური და მოახდინეთ განკარგულება, რომ წასვლა-წამოსვლის დროს უფლება გვქონდეს სახელწიფო ცხენებითა და ეტლით ვიაროთო. უწმინდესი სინოდის კანცელარიამ ვერ გადასწყვიტა ეს თხოვნა და სინოდს მიჰმართა. მაგრამ სინოდსაც ძლიერ გაუჭირდა ამ საგნის გადაწყვეტა, რადგან მოსულ ქართველების რიცხვი ისე ბევრი იყო, რომ იმათი ჯამაგირი ძლიერ ბევრს ფულს თხოულობდა და საშუალება-კი არსად იყო, სინოდი შეჩერდა და ფულის ძებნას შეუდგა. ეს იწყინა არქიეპისკოპოსმა ქრისტეფორემ და გაჯავრებული თვითონ წავიდა პეტერბურგში; მივიდა და პირდაპირ ითხოვა ჯამაგირების დანიშვნა; დიდის თათბირის შემდეგ სინოდში დაადგინეს: „მიეცეს ქართველებს ჯამაგირი იმ ფულისგან, რომელიც გადადებულია პალესტინიდგან მოსული მღვდელ-მთავრების და მათის კრებულის საზრდოთ. აქედგან დაენიშნოთ 2.000 მან. რადგან ხანდისხან, ორ წელიწადში ერთხელ მოდიან ამ ქვეყნებიდგან რუსეთში და ეს ფული-კი ტყუილად ინახებაო. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ ქართველებიც სამზღვარგარედ მცხოვრებლებათ იწოდებიანო.“ შემდეგ 1728 წლის ივლისის 19 უწმინდესმა სინოდმა გადასდო 3.000 მანეთი ქართველების ყოველ წლიურ ჯამაგირად და გაანაწილა ამ რიგად: ხუთ ეპისკოპოზს 150 მანეთი თითოს წელიწადში; ხუთს არქიმანდრიტს 70 მანეთი თითოს; ექვს წინამძღვარს - მონაზონს ხუთ-ხუთი თუმანი თითოს; ერთს უფროს მღვდელს 40 მანეთი. ერთს არქიდიაკონს 25 მანეთი; ექვს მღვდელს 25 მანეთი თითოს; შვიდს დიაკონს 15 მანეთი თითოს; ორს ბერს 7 მანეთი თითოს. ამას გარდა უნდა მისცემოდათ პურიც. ეპისკოპოზებს ხუთ-ხუთი კერძი თითოს, არქიმანდრიტებს სამ-სამი, წინამძღვრებს ორ-ორი, დანარჩენს მღვდლებს და სხვას- თითო-თითო კერძი. ამასთან ნაბრძანები იყო, რომ მღვდელთ-მთავრებს, საჭიროების დროს მისცემოდათ ეტლი და ცხენები.“ [უწმინდესი სინოდის უქაზი 26 ოქტომბერს 1728 წ. N1855].

თ. ხუსკივაძე.

(შემდეგი იქნება)

ივერია – 1903. – N144. – 4 ივლისი. – გვ.3–4.

ფელეტონი

ქართველები რუსეთში

ისტორიული მასალა

(ვუძღვნი იმერეთის ეპისკოპოზს ლეონიდეს)

II

რუსეთში გადასახლებულ სასულიერეროთა შორის, ყველაზე უფრო ღირს შესანიშნავი და საგულისხმიერო მანგლისის ეპისკოპოზის იოანეს ცხოვრება იყო. „უბედურ ვარსკვლავზედ დაბადებულიო,“ რომ იტყვიან სწორედ ამაზედ ითქმოდა. როგორც ჩვენში, ისე რუსეთშიაც ბედი არ სწყალობდა ამ წმიდა მამას. იგი იყო შთამომავლობით კეთილ-შობილი, სცხოვრობდა გარესჯის უდაბნოში, იქვე აღიკვეცა ბერად და ღვთის ლოცვა-დიდებაში ატარებდა დროს. მეფე ბაქარმა სთხოვა ეპარქიის მართვა-გამგეობა, მაგრამ რადგან ქვეყანა საშინელ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო თათრების შემოსევით, ვერ გაჰბედა ასეთი მძიმე მოვალეობა ეკისრნა და ამ უდაბნოდგან იძულებული იყო ხირსის უდაბნოში გადასულიყო. დიდ ხანს სცხოვრებდა და მოძღვრებდა აქაც, მაგრამ არც ამ გვარ მოღვაწეობით დაკმაყოფილდა. უდაბნოს თავი დაანება და ქადაგება-მოძღვრებას მიჰყო ხელი. შეიმოსა ღვთის სიტყვა-ქადაგებით და გაუდგა გზას - დაღესტნის მიდამოებში ღვთის სიტყვის საქადაგებლად. დაბინავდა ქალაქ დარუბანდს, სადაც 1727 წელს ფელდმარშალის დოლგორუკოვის შემწეობით ააგო ჯერ ხისა და შემდეგ ქვითკირის ეკკლესია [იხ. თხზ. მურავიოვისა - Грузия и Армения ч.1. стр.140.] ასტრახანში მღვდელთ-მთავარი იოანნე დარუბანდიდგან გადმოვიდა. უწმიდესი სინოდის უქაზის ძალით ებრძანა მთელის თვისის კრებულით გადმოსულიყო ასტრახანში და წმიდა სამების მონასტერში დაბინავებულიყო. ეპისკოპოსი იოანნეც ასე მოიქცა. მოვიდა ასტრახანში და ამ ზემოხსენებულ მონასტერში დაბინავდა და გაჰმართა ყველაფერი რიგზედ. მის გარშემო დაბინავდა ეპისკოპოზის კრებული: მღვდლები, დიაკვნები და მათი ოჯახები, განგებ მათთვის გაკეთებულ სახლებში, მაგრამ რადგან არც პური და არც მონასტრის მდგომარეობა არ მოსწონდა ყოვლად სამღვდელო იოანნეს, დიდ ხანს აქ აღარ დარჩენილა. მაშინდელ მღვდელთ-მთავარს ყოვლად სამღვდელო ილარიონს მიმართა თხოვნით, რათა დაეთმო მისთვის ქალაქს გარეშე ცარიელი მიწა და ნება მიეცა აეგო იქ ეკკლესია. ყოვლად სამღვდელო ილარიონმა დიდის სიამოვნებით დააკმაყოფილა იოანეს თხოვნა, მისცა ცარიელი ადგილი ეკკლესიის ასაგებად და თან ყოვლად სამღვდელო იოანეს საცხოვრებელ სახლების გასამართავი ადგილებიც მიუმატა. ამ გვარ გარემოებით გახარებული და ღვთაებრივ სამსახურის სურვილით აღტყინებული ყოვლად სამღვდელო იოანნე შეუდგა ეკკლესიის აშენებას; ააგო ღვთისმშობლის სახელზე ხის ეკკლესია და გამართა ეკლესიის ახლოს ბინები თავისთვის და თავის კრებულისათვის. 2 ივლისს 1744 წ. აცნობა უწმიდეს სინოდს, რომ ამა და ამ ადგილას ეკლესია ავაშენეო და გთხოვთ, ეს ეკლესია დღეიდგან მონასტრად იწოდებოდესო. უწმიდესმა სინოდმა მიიღო ეს ცნობა, მაგრამ, რადგან არ იცოდა, ვის ნება-რთვით აშენდა ეს ეკლესია, ან რა საშუალება ჰქონდა ამ ეკლესიას, მოსწერა ასტრახანის ეპისკოპოზს ილარიონს, რომ ეკკლესია იწოდებოდეს ყოვლად სამღვდელო იოანეს სასახლის ეკლესიად და არა მონასტრადო. ამ გვარის პასუხით ყოვლად სამღვდელო იოანე კმაყოფილი არ დარჩა და ხელმეორედ შეუდგა ამ

საქმის გამობრუნებას. მისცა თხოვნა და აუხსნა სინოდს თუ რა მოსაზრებით ავაშენე ეს ეკლესია და რად მინდა, რომ იგი მონასტრად იწოდებოდესო, სხვათა შორის მოახსენა სინოდს, რომ, „მე მსურს ეს ეკლესია მონასტრად იწოდებოდეს, პირველად, იმ მიზეზისა გამო, რომ ჩემთან არიან არქიმანდრიტები, ბერები, მღვდელთ-მონოზნები და სხვანი, რომელნიც, როგორც სხვა რუსეთის მონასტრებში, ისე აქაც, ჩემი სიკვდილს შემდეგ მონასტერში დარჩებიან და ლოცვა-კურთხევით მოიხსენიებენ მათ იმპერატორებითს უდიდებულესობასაო. მეორედ იმიტომ, რომ ამ ეკლესიაში, რომელიც ჩემის შრომითა და კეთილ კაცთა შემწეობით არის აღშენებული, მსურს სიკვდილის შემდეგ, აქვე განისვენოს ცოდვილმა ჩემმა სულმა და აქ ვიყო დასაფლავებული.“

ამ მეორე თხოვნის გამო უწმიდესმა სინოდმა მოსწერა ყოვლად სამღვდელო ილარიონს დაუყოვნებლივ ეცნობებია სინოდისთვის თავისი აზრი იმის შესახებ, არის თუ არა შესაძლებელი დავაკმაყოფილოთ იოანნეს თხოვნაო და მისი ეკლესია მონასტრად დავაწესოთო. თუ შესაძლებელად მიგაჩნია, რა მოსაზრებით მიგაჩნიაო და სხვანი [უქაზი უწმიდეს სინოდისა 1744 წ. N1854.]. ყოვლად სამღვდელო ილარიონს ქართველების მხარე ეჭირა და ყოვლად სამღვდელო იოანნეს მოღვაწეობას კეთილის თვალით უყურებდა. ამიტომ დაუყოვნებლივ აცნობა უწმიდეს სინოდს, რომ იოანეს სასახლის ეკლესია, შესაძლებლად ვპოვებ, იწოდებოდეს მონასტრად შემდეგის მოსაზრებითაო. ერთი რომ ეს ეკლესია, სწორედ, მონასტრის გეგმაზედ და მოთხოვნილების შესაფერ არის აგებული, ესე იგი, ამ ეკლესიას გარშემო პატარ-პატარა სენაკნი, საბერო სახლები აქვს გაკეთებული, სადაც დღესაც სდგანან და სცხოვრობენ ბერები. მეორე, ის ქართველები, რომლებიც დიდისხნით შეპყობილნი არიან თათრებისაგან და შემდეგ განთავისუფლებულები, მხოლოდ აქ შოულობენ ბინას, იხსენებენ დავიწყებულ სარწმუნოებას და ღვთის მსახურებას; აქ კიდევ მხოლოდ ყოვლად სამღვდელო იოანეს შეუძლია თავის დედა-ენაზედ ქადაგებით და მოძღვრებით გამოაბრუნოს, დააყენოს ჭეშმარიტს გზაზედ გზა და კვალ დაბნეულნი აქ მოსულნი ქართველნიო.

ამგვარი აზრი მოიწონა სინოდმა და ყოვლად სამღვდელო იოანეს სასახლე ეკლესია მონასტრად დაჰნიშნა; უფროსობა და ყოველივე განკარგულება ყოვლად სამღვდელო იოანეს მიანდო. ამგვარად დაგვრგვინდა ყოვლად სამღვდელო იოანეს თხოვნა და სურვილი. ყოვლად სამღვდელო აღტაცებული იყო სიხარულით, მაგრამ მალე მწუხარება დაერთო ამ სიხარულს. 1747 წლის 23 ივლისს მოვიდა უქაზი, რომლის ძალითაც ყოვლად სამღვდელო იოანეს სასახლე ეკლესია მონასტრად იქნა ცნობილი. იმავე წელის აგვისტოს 30-ს გაჩნდა ცეცხლი და მთელი ამდენის ხნის ნაშრომ-ნაღვაწი მონასტერი და მასთან აგებული საბერო სახლები სულ მთლად ცეცხლის მსხვერპლი შეიქმნა. გადაარჩინეს მხოლოდ საეკლესიო სამკაული, ხატები და შესამოსელი, დანარჩენი ყოველივე ცეცხლის ალმა შთანთქა. ამ ადგილის მაგიერ მთავრობამ მეორე ადგილი აძლია ყოვლად სამღვდელო იოანეს, მაგრამ ასტრახანში დარჩენა აღარ ისურვა და ყიზლიარში გადასახლდა. ყიზლიარში ყოვლად სამღვდელო იოანეს გარდა ბევრი სხვა ქართველებიც სცხოვრობდნენ იმ დროს. აქ ყოვლად სამღვდელო ისევ მხნედ შეუდგა მონასტრის აშენების საქმეს და აგვისტოშივე მეორე წელს, ესე იგი 1748 წ. მისცა უწმიდეს სინოდს თხოვნა, მომეცით ნება ასტრახანის მაგიერ ახალი ეკლესია ავაგო ყიზლიარშიო. სთხოვა აგრეთვე, მომეცით მონასტრის ახლოს თავისუფალი ადგილები მღვდელ-მონოზნებისა და ბერებისათვის საცხოვრებლადაო, მაგრამ ამ თხოვნამ თითქმის წელიწადზედ მეტი

დაიგვიანა. მაშინ ყოვლად სამღვდელო იოანემ ხელ-მეორედ გაახსენა უწმიდეს სინოდს თავისი თხოვნა და ნახევარი წლის შემდეგ მოვიდა უარი. ამან ძლიერ შეაწუხა ყოვლად სამღვდელო, მაგრამ სულით მაინც არ დაცემულა. სინოდის უარმა ვერ მოუსპო იმედი. მეორე წელს კიდევ ითხოვა და კიდევ უარი მოუვიდა. მეორედ სინოდი სწერდა, თუ საჭიროება მოითხოვს, ეგ ძველი მონასტერი გაადიდე და შეაკეთეო. ადგილი საცხოვრებლად უნდა მისცემოდა იმდენი, რამდენიც საჭირო იყო საქართველოდგან გადმოსულ ქართველებისათვის. ადგილობრივ გუბერნატორს ისე უნდა გაენაწილებინა მათ შორის ეს ადგილები, რომ არც მეტი და არც ნაკლები არ მისცემოდათ სანამ ეს მიწერ-მოწერა გათავდებოდა, ყოვლად სამღვდელო იოანემ ამ ჯვართ-ამაღლების მონასტერთან თავისუფალ ადგილას კიდევაც ააგო სახლები და მოიმზადა ხის მასალა დანარჩენი სახლებისათვის. მისი თხოვნა, თუმცა დაკმაყოფილებული იყო უწმიდესი სინოდისაგან, მაგრამ ისე არა, როგორც ყოვლად სამღვდელო იოანეს სურდა. მისი სურვილი იყო, ახალი მონასტერი აეგო და იოანე ნათლისმცემლის სახელობაზედ ეკურთხებინა. ამ აზრის განსახორციელებლად მიჰმართა თხოვნით იმ დროს შესანიშნავს და ქალაქ მოსკოვში მყოფ ყოვლად სამღვდელო იოსებს, სამებელს არქიეპისკოპოზს, რათა დაჰხმარებოდა ამ საქმეში და უწმიდეს სინოდისაგან მიეღო ნება ყიზლიარში ახალი მონასტერის აგებისა. ყოვლად სამღვდელო იოსებს დიდად ესიამოვნა ეს ამბავი, იცნობდა ყოვლად სამღვდელო იოანნეს კეთილ და ღვთისმოსავ ადამიანად და თვითონ პირადად მიიქცა უწმიდეს სინოდში და ითხოვა ყოვლად სამღვდელოს თხოვნა დაეკმაყოფილებინათ და თან დასძინა: - თუ ყოვლად სამღვდელო იოანეს არ მისცემთ ახალი მონასტრის აგების ნებას, მე, მოხუცებულს მღვდელ-მთავარს მაინც მომეცით ნება, რათა წავიდე ჩემის კრებულით ქალაქ ყიზლიარში და ყოვლად სამღვდელო იოანნესთან ერთად ავაგო ეკკლესია იმ ადგილას, სადაც დღეს ყოვლად სამღდელო იოანნეს ხის სახლები და საბერო ბინები აუშენებიო. ყოვლად სამღვდელო იოსების თხოვნას სინოდმა პატივი სცა, დააკმაყოფილა მოხუცი მღვდელ-მთავარი და მისცა ნება ეცხოვრა ყოვლად სამღვდელო იოანესთან ერთად ქალაქ ყიზლიარში. გახარებული ყოვლად სამღვდელო იოსებ სამებელი მოემზადა სამგზავროდ და წამოვიდა ყიზლიარში, მაგრამ უეცრივ გახდა ავად და ქალაქ სარატოვში პირველ სექტემბერს 1750 წელს გარდაიცვალა. მისი გვამი გადმოასვენეს ქალაქ ასტრახანში და 28 სექტემბერს 1750 წ. დაასაფლავეს მიძინების ეკლესიაში. 28 მარტს 1751 წ., ესე იგი, რამოდენისამე თვის შემდეგ ყოვლად სამღვდელო იოანნეც გარდაიცვალა ყიზლიარში. ყოვლად სამღვდელო იოანნემ დასტოვა ანდერძი, რომელშიაც სთხოვდა მთავრობას ნება მიეცათ, იმისი გვამი სიკვდილის შემდეგ ისევ მის სამშობლო საქართველოში წაესვენებინათ და იქ მისვე აგებულ მონასტერში დაესაფლავებინათ, მაგრამ არც სიკვდილმა უშველა ყოვლად სამღვდელოს. არც აქ შესრულდა იმისი თხოვნა. სიკვდილის დღეს მონასტრის არხიმანდრიტმა მოახსენა ადგილობრივ ეპისკოპოზს, რადგან არც გზები და არც ამინდი გვაძლევს ნებას, რომ ყოვლად სამღვდელო იოანეს გვამი საქართველოში წავასვენოთ, მოგვეცით ნება, აქვე მონასტერში დავასაფლავოთ და წესისამებრ პატივი ვცეთ მის ხსენებასაო. ეს საქმე ადგილობრივმა მღვდელთ-მთავარმა ვერ გარდასწყვიტა; მან უწმიდეს სინოდს აცნობა და სინოდმა დააკმაყოფილა ეს თხოვნა და თან დასძინა, რომ ყოვლად სამღვდელო იოანნეს გვამის საქართველოში წასვენების დროს მიეცეს ნება წაჰყვნენ თან გვამს მხოლოდ ის ქართველნი, რომელნიც ისურვებენ, ძალ-დატანებით-კი ნურავის ნუ გაატანთო. უწმიდესი სინოდის გარდაწყვეტილებამ ძლიერ გაახარა მთელი

მაშინდელი ქართველობა და ყოვლად სამღვდელო იოანნეს ძმამ, ნიკოლოზ სააკაძემ გადმოასვენა მიცვალებულის გვამი და დაასაფლავა ტფილისის სიონის ტაძარში. როგორც ვიცით სახალხო გადმოცემით უკანასკნელი მეფე საქართველოსი გიორგი ხშირად ახდევინებდა ხოლმე ამ წმიდა მამის საფლავს და მუხლ მოდრეკილი თავის ოჯახობის განსაკურნებლად თაყვანსა სცემდა ხოლმე მის წმინდა ნაწილებს.

როგორც ყოვლად სამღვდელო იოსებმა, ისე იოანნემ სიკვდილის შემდეგ დასტოვეს ანდერძი, რომლის ძალითაც მთელი მათი მოძრავი ქონება საქართველოს ღარიბ მონასტრებსა და ეკლესიებში უნდა დარიგებულიყო. მათი ქონება იყო საეკლესიო წიგნები, ხატები, სახარების და სხვა-და-სხვა საეკლესიო ნივთები. ადგილობრივმა ეპისკოპოზმა არ იცოდა, რანაირად მოქცეულიყო ამ შემთხვევაში, რადგან მაშინდელი კანონმდებლობაში ამის შესახებ არაფერი არ იყო ნაჩვენები. ამის გამო მიიქცა უწმინდეს სინოდში და ითხოვა, აეხსნათ, რანაირად უნდა მოქცეულიყო ამ შემთხვევაში, რადგან მემკვიდრე-ძმა იოანნესი ნ. სააკაძე თხოულობს ანდერძის შესრულებასაო. უწმიდესმა სინოდმა მოსწერა ყოვლად სამღვდელო ილარიონს, რადგანაც არც საჭიროა ჩვენთვის ქართული საეკკლესიო წიგნები და, არც ანდერძი არის ჩვენთვის დატოვებული, დაუყოვნებლივ მიეცით ნება წაიღონ და დაარიგონ საქართველოში თანახმად ყოვლად სამღვდელო იოანნეს სურვილისა, ამ უქაზის ძალით ყველა ეს ნივთები წამოიღო ნ. სააკაძემ საქართველოში და დაურიგა აქაურ ღარიბ მონასტრებსა და ეკკლესიებს.

თ. ხუსკივაძე.

(დასასრული იქნება)

ივერია – 1903. – N145. – 5 ივლისი. – გვ.2–3.

ფელეტონი

ქართველები რუსეთში

ისტორიული მასალა

(ვუძღვნი იმერეთის ეპისკოპოზს ლეონიდეს)

III

(დასასრული)

ყოვლად-სამღვდელო იოანნეს მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს. 1759 წლის 2 იანვარს გადავიდა რუსეთს საქართველოდგან ალავერდის მიტროპოლიტი ნიკოლოოზი; იმას გაჰყვა თან არქიმანდრიტი გრიგორი და მთელი კრებული მიტროპოლიტისა. მიტროპოლიტს ნიკოლოოზს სურდა ასტრახანით მოსკოვს მისულიყო, იქიდგან პეტერბურგს და იქ ხელმწიფე იმპერატორი ენახა. ამ აზრით მისცა მან ასტრახანის მაშინდელ გუბერნატორს ჟილინს თხოვნა, რომ ნება მომეცი მოსკოვს და იქიდგან პეტრებურგს წავიდეო. ჩვენს ქვეყანაში ისე შევიწროებულია ხალხი და სარწმუნოებაც ლეკებისაგან, რომ იქ ცხოვრება არ შემიძლიან და ხელმწიფე იმპერატორს რაიმე შველა უნდა ვსთხოვოვო. თან ისიც დასძინა, რომ პეტერბურგში ჩემი ნათესავი ბატონიშვილი, მეფე ბაქარის ასული სცხოვრობს და პირადად მისი ნახვაც მსურსო. გუბერნატორმა და ადგილობრივმა მღვდელთ-მთავარმა გაარჩიეს რა საბუთები, რომლის ძალითაც

მიტროპოლიტი და არქიმანდრიტი გრიგორი გადმოსულიყვნენ საქართველოდგან - დაადგინეს ესე ყოველივე ეცნობოს უწმინდეს სინოდს და მის განკარგულებით ვიხელმძღვანელოთო. იმავე დღესვე გაჰგზავნეს ამბავი უწმინდეს სინოდს და ითხოვეს, მიეცეს ნება საქართველოდგან გადმოსულს მიტროპოლიტს ნიკოლოოზს და არქიმანდრიტს გრიგორს მოსკოვში და იქიდგან პეტერბურგს წამოსვლისა თუ არაო. უწმიდესმა სინოდმა დაუყონებლივ აცნობა, რომ არაფრის გულისათვის აქ წამოსვლის ნება არ მისცეთ მაგათ, რადგან მათი აქ მოსვლა, ჯერ ერთი რომ სრულიად არაფრისათვის საჭირო არ არის და მეორე - თუ ასე გაახშირეს აქ სიარული და ყველას ჯამაგირი დაენიშნა, მთავრობას ძლიერ გაუჭირდება, სადა აქვს წყარო მაგისათვის და ან საშვალებაო. ამას თან მოჰყვა სასტიკი უქაზი ასტრახანის გუბერნატორის სახელზედ; ფიცხელი ბრძანება ეძლეოდა ადგილობრივ ადმინისტრაციას, თვალყური ადევნე მანდაურ ქართველებსა და დღეიდან არამც თუ მოსკოვსა და პეტერბურგს წამოსვლის ნება აღარ მისცეთ, არამედ ასტრახანის და ყიზლიარის გარეშე სოფლებშიაც არსად გაუშვათო.

მიტროპოლიტ ნიკოლოოზის შესახებ-კი მოვიდა სინოდის ასეთი ბრძანება: „რადგან იმისთანა გაჭირვებულ მდგომარეობაში, როგორშიაც დღეს მისი ქვეყანაა, მიტროპოლიტს არ ჰქონდა ნება სამწყსო მიეტოვებინა და აქ, რუსეთში გადმოსულიყო, ამისათვის ფიცხლავ ებრძანა დაბრუნდეს თვისსავე სამშობლოში და თავის სამწყსოს მოუაროს.“

თუმცა ასეთი ბრძანება მოუვიდა უწმინდესი სინოდისაგან მიტროპოლიტ ნიკოლოზს, მაგრამ ამით მაინც არ შეშინებულა და არც დაძრულა ადგილიდან. მიტროპოლიტმა მეორე დღესვე მიჰმართა თხოვნით თავის ნათესავს ქვრივს ანნა ბაქარის ასულს გრუზინსკის, რომელიც იმ დროს მოსკოვში სცხოვრობდა და გავლენაც ჰქონდა მაშინდელ რუსებზე. იმან დაწვრილებით აუწერა სინოდს გაჭირვებული მდგომარეობა მიტროპოლიტისა და პირადათ სთხოვა, მიეცათ ნება ამ მოხუცებულობის დროს მაინც განესვენა რუსეთში. კნეინა ანნას თხოვნაზედ სინოდმა ვეღარა აწამა-რა, პატივი სცა და მისცა ნება მოხუცებულ მიტროპოლიტს ყიზლიარიდან გადასახლებულიყო და ეცხოვრა მხოლოდ ასტრახანში და არა სხვაგან სადმე. მიტროპოლიტ ნიკოლოზს მისცეს ნება ეცხოვრა მხოლოდ ივანოვის მონასტერში, მაგრამ ისე-კი არა, როგორც ამ მონასტრის უფროსსა და გამგეს, არამედ როგორც უბრალო მოსულს სტუმარს. თუ მიტროპოლიტი ისურვებდა წირვა-ლოცვის შესრულებას მონასტერში, უსათუოდ ადგილობრივ მღვდელთ-მთავრისათვის უნდა ეცნობებინა და მისის ნებართვის შემდეგ შესდგომოდა ღვთის მსახურებას.

როდესაც მიტროპოლიტი ასტრახანში გადმოვიდა, საკრებულო ტაძარში დააფიცეს და შემდეგ, მისის თხოვნისა თანახმად, ივანოვის მონასტერში-კი არ დაუბინავებიათ, ფერისცვალების მონასტერში მისცეს ბინა. მიტროპოლიტის კრებულში სხვათა შორის იყვნენ: არქიმანდრიტი იოანნე, მღვდელ-მონაზონი გრიგორი, არხიდიაკონი თომა, მღვდელი კირილე დავიდოვი, ბერები და მოსამსახურენი მათნი.

თუმცა მისცეს ბინა მიტროპოლიტს ნიკოლოზს და დააკმაყოფილეს მისი თხოვნა, მაგრამ ასტრახანში ცხოვრება არ მოსწონდა და სულ მოსკოვში წასვლას სცდილობდა. ამისთვის გაჰმართა ისევ მიწერ-მოწერა თავის ნათესავ ბაქარის ასულთან და მის შვილ ლეიბ-გვარდიის ისმაილის პოლკის კაპიტან ბატონიშვილ ალექსანდრე გრუზინსკისთან და წერილი წერილზედ მიდიოდა ასტრახანიდგან. თითქმის ტირილით შესთხოვდა მოხუცი მღვდელ-მთავარი დედა-შვილს, მომხედეთ და ასტრახანიდგან გადამაყვანინეთო:

გარდა ცუდის პურისა და მოუწყობლობისა," სწერდა იგი თავის ნათესავს, „სიღარიბე ილაჯს მიწყვეტს, წამლის სასყიდელი ფული არა მაქვს, არც ექიმის გასასტუმრებელი და არც სხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელიო. ყოველ დღე ავად ვარ და მიშველეთ, მომეცით ღონისძიება, რომ მოსკოვში გადმოვსახლდე როგორმეო."

ალექსანდრესა და მისს დედას, ბატონიშვილებს, სიბრალულის გრძნობა აეშალათ და ყოველი ღონის ძიება იხმარეს მიტროპოლიტი მოსკოვში გადაეყვანათ. დედა-შვილმა 1760 წელს შეიტანეს თხოვნა უწმინდეს სინოდში, რომ საქართველოს სხვა მღვდელთ-მთავრების მსგავსად, მათ ნათესავს მიტროპოლიტ ნიკოლოზსაც მისცემოდა ნება მოსკოვში გადმოსახლებისა და ადგილობრივ მღვდელთ-მთავრების ნებართვით წირვა-ლოცვისა აქაურ მართლმადიდებელ ეკკლესიებში. ამასთან ისიც დასძინეს, რომ ორივე დედა-შვილი თავმდები ვიქნებით მისი, რომ სხვას მიტროპოლიტი არაფერს მოითხოვს და სრული კმაყოფილი იქნება, თუ-კი ნებას მისცემთ და მოსკოვში ცხოვრება შეეძლებაო. თუ სინოდს არ ექნება ღონისძიება მიუჩინოს ბინა მონასტერში, ჩვენ მოგვცეს ნება, რომ ჩვენს საკუთარ ოჯახში იცხოვროს მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა, როგორც ჩვენმა ნათესავმაო.

სინოდს არ შეეძლო უარი ეთქვა ისეთ მიღებულ და დიდის კაცებისათვის, როგორიც იყვნენ ბატონიშვილი ალექსანდრე გრუზინსკი და მისი დედა. რამდენისამე ხნის შემდეგ სინოდმა ნება მისცა მიტროპოლიტ ნიკოლოზს გადასახლებულიყო მოსკოვში თავის კრებულით, იმ პირობით-კი, რომ არც მეტის ჯამაგირის თხოვნა შეეძლო, რაც დაწესებული იყო საქართველოდგან გადმოსულ მღვდელთ-მთავრებისათვის და არც სხვაგან ცხოვრება, გარდა მის ნათესავ ბატონიშვილ ალექსანდრეს ოჯახისა. მიტროპოლიტს ნიკოლოზს სინოდი ნებას აძლევდა ღვთის-მსახურება შეესრულებინა მოსკოვის ეკკლესიებში, მხოლოდ ყოველთვის ადგილობრივ მიტროპოლიტის სურვილისამებრ.

ამ გვარად მოახერხა მიტროპოლიტმა მოსკოვში გადმოსვლა და დაბინავება. სანამ მიტროპოლიტი გადმოსახლდებოდა რუსეთში, თეიმურაზ მეფეს გადაჰყვა რუსეთში არქიეპისკოპოზი იოანნე. მიტროპოლიტ ქრისტეფორეს წაჰყვა თან მიტროპოლიტი ტიმოთე, რომელმაც თავის ნებით ანანურის ეკკლესიიდგან გამოიტანა წმიდა ნინოს ჯვარი და მიართვა იმ დროს მოსკოვში მცხოვრებს მეფე ვახტანგის ძეს ბატონიშვილს ბაქარს. ბაქარის შვილიშვილმა ეს წმიდა საჩუქარი - ჯვარი წმიდა ნინოსი მიართვა საჩუქრად იმპერატორს ალექსანდრე I-ს, როცა იგი რუსეთის ტახტზედ ავიდა, ალექსანდრე I-მა ეს წმინდა ჯვარი და განძი საქართველოს ეკლესიისა რამდენისამე ხნის შემდეგ უკანვე დაუბრუნა საქართველოს ეკლესიას და ინახება დღეს ტფილისის სიონის ტაძარში. [Муравьевъ. Грузия и Армения. т.1. стр. 52.].

1762 წლის დამლევს მივიდა მიტროპოლიტი ტიმოთე ყიზლიარში; მეორე დღესვე მისცა ციხის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტს სტუპიშინს რაპორტი და დაწვრილებით აუწერა თავისი მგზავრობის ამბავი: „1737 წელს ვიმყოფებოდი რუსეთშიო," - სწერდა მიტროპოლიტი ტიმოთე; - „იმერეთის მეფის ალექსანდრე გიორგის ძის ბრძანებით ვიყავ რუსეთში გამოგზავნილი. სამი წელი დავყავი რუსეთში და 1740 წელს დავბრუნდი ისევ ჩემს მეფესთან ამბის მისათანად. მოვედი ყიზლიარში. აქ მითხრეს, რომ საქართველოში გადასვლა აქედგან ძლირ ძნელიაო, რადგან ურჯულო მტრებს უჭირავთ მთელი არე-მარეო. მთელი ჩემი ხაბაკი, ეტლები და ავეჯეულობა დავტოვე და მე ოთხის კაცით გავუდექ გზას რათა შემესრულებინა ხელმწიფე იმპერატორის ბრძანება და წერილი მისი მიმერთმია იმერეთის მეფის ალექსანდრესათვის. მაგრამ გზაში დამიჭირეს ლეკებმა და

ექვსი თვე მეცა და ჩემი მხლებლებიც დაჭერილნი ვიყავით; ორი მხლებელი გამიყიდეს და ორი სადღაც გამიქრეს, ვერა გავიგერა. თვითონ ღამე გამოვიარე და სამი ღამე სულ მარტომ, ქვეითი ვიარე. ბოლოს სოფელ ხრეითამდე მივედი [სოფელი ხრეითი დღესაც არის - შორაპნის მაზრაში, რკინის გზის ყვირილას სადგურიდგან 30-40 ვერსის მანძილზედ], აქედან გადასვლა აღარ შემეძლო და საიმედო კაცის ხელით გავუგზავნე მეფეს რუსეთის ხელმწიფის მონაწერი წერილი და მე-კი ისევ რუსეთისაკენ გამოვბრუნდი. აქედგან იერუსალიმს წავედი, იერუსალიმიდგან კონსტანტინოპოლში, სადაც რუსეთის ელჩი დოლგორუკოვი ვნახე და შეევეედრე: გავეგზავნე რუსეთში, ყიზლიარს, ჩემი დატოვებული ეტლი და ნივთები ჩამებარებინა და კიევის წმინდანების თაყვანისცემის ღონისძიებაც მოეცა ჩემთვის. ელჩი დიდის სიამოვნებით დამთანხმდა, მაგრამ ამ დროს გავხდი ავად და კონსტანტინეპოლშივე დავრჩი. ახლა მივდივარ რუსეთში და გთხოვთ მიშუამდგომლოთ რუსეთის მთავრობის წინაშე, რათა გამიშვან პეტერბურგს და, თუ ეს შეუძლებელი იქმნება, მაშინ მომცენ ყიზლიარში ცხოვრების ნება და დამინიშნოთ მეც და ჩემ კრებულსაც შესაფერი ჯამაგირი.“

ეს რაპორტი ციხის უფროსმა გაგზავნა უწმინდეს სინოდში; სინოდმა უყურადღებოდ დასტოვა; რადგან 21 მარტს 1762 წ. იმპერატორ პეტრე მე-III უქაზის ძალით ნაბრძანები იყო, რომ „არც ერთი საზღვარგარეთიდან შემოსული ბერი, მათ რიცხვში საქართველოდგან გადმოსული ბერებიც არ მიიღოთ და არც რაიმე ადგილი მისცეთ მონასტერშიო.“ ამ უქაზის გამო მიტროპოლიტის თხოვნა უყურადღებოდ დასტოვეს, მაგრამ მიტროპოლიტი ამით მაინც არ დაკმაყოფილდა და კიდევ განუმეორა უწმინდეს სინოდს თხოვნა, რომელიც ბოლოს სინოდმა ჰპოვა დაკმაყოფილების ღირსად, დაუნიშნა იმასაც და მის კრებულსაც ჯამაგირები და 5 ივლისს 1764 წ. გამოუგზავნა უქაზი, რომლითაც ნება ეძლეოდა გადმოსახლებულიყო მიტროპოლიტი ტიმოთე რუსეთს და ეცხოვრა პეტერბურგს, მაგრამ განგებამ მაინც თავისი გაიტანა; 28 ივლისს ღამით ფერისცვალების მონასტერში დაეცა დამბლა და გარდაიცვალა. სიკვდილის შემდეგ არაფერი არ დარჩენია, არც ფული და არც რაიმე ქონება. მიტროპოლიტი დაასაფლავეს ასტრახანს, იმავე მონასტერში, სადაც გარდაიცვალა.

IV

ქართველები ისე არ გადადიოდნენ რუსეთში, რომ ყიზლიარში არ დაბინავებულიყვნენ. ყიზლიარი ქართველების კალონიათ შეიქმნა, რადგანაც ამ ქალაქში ბევრმა ქართველობამ მოიყარა თავი 1759 წელს ნიკოლოოზ სააკაძემ მიიღო მთავრობისაგან ნებართვა და ღვთისმშობლის სახელზედ ააგო ეკლესია, მაგრამ ამ აკლესიას არც თავისი საკუთარი მღვდელი ჰყავდა და არც 1767 წლამდის კურთხევა ღირსებია. შემდეგ კურთხევისა მსახურებდა შტატ გარეშე მყოფი მღვდელი, როცა-კი იმ დროს იქ მცხოვრები არქიმანდრიტი ევდოკიმოსი ნებას მისცემდა. ეკლესიის ამგვარ მდგომარეობას მიაქცია ყურადღება იქაურმა ეპისკოპოზმა და დანიშნა ამ ეკლესიის მმართველად ჯვართ-ამაღლების მონასტერში მცხოვრები მღვდლები და დაავალა, რადგან ეგ ეკლესია ქალაქ გარეშეა, მის გალავანში დასაფლავდეს ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანე, რომელიც ქალაქ ყიზლიარში გარდაიცვლება და ეკლესია ესე იწოდებოდეს სასაფლაოს ეკლესიადაო.

ეს ამბავი უცებ მოედო მთელს ქართველს მრევლს, აცნობეს მაშინვე ამ ეკლესიის აღმაშენებელის ქალიშვილს კნეინა მარიამ ნიკოლოზის ასულს ჯავახოვისას და სთხოვეს

შემწეობა. კნეინა მარიამმა იმ წამსვე გაჰგზავნა ქაღალდი უწმიდეს სინოდში და სთხოვა, „რადგან მონასტრის მღვდლები სრულებით არ ცდილობდნენ გააუმჯობესონ ეს ეკლესია, ამისათვის გთხოვთ ამ ეკლესიას ცალკე მღვდელი დაუნიშნოთ და მონასტრის დამოკიდებულობა მოსპოთ; ამასთან ისიც უნდა გთხოვოთ, რომ სანამ ამ ეკკლესიას ააშენებდნენ, მე შევწირე ამ ეკლესიისთვის ორი დიდი ზარი, რომელიც დღემდის ინახება მონასტერში და არ გადაცემულა დანიშნულებისამებრ. გთხოვთ განკარგულება მოახდინოთ, ეს ზარები დაუყოვნებლივ გადაეცეს იმ პატარა ეკლესიას და მღვდელიც ცალკე დაენიშნოს.“

უწმიდესმა სინოდმა მოსთხოვა პასუხი იქაურს მღვდელ-მთავარს და პასუხის შემდეგ კნეინა მარიამის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქმნა.

1783 წლის 24 ივლისს გიორგიევსკის ციხეში მიიღეს ქართლ-კახეთის მეფის ირაკლის თხოვნა და პირობა. მეფე უქვეშევრდომილესად თხოულობდა: მე, ჩემი შვილებით და მთლად ჩემის შთამომავლობით მიმიღოს რუსეთმა თავის მფარველობის ქვეშეო. პირობაში ეწერა: 1). „დღეის დღიდგან საქართველოს უფროსს არქიეპისკოპოზს რუსეთის დანარჩენ არქიეპისკოპოზთა შორის მერვე ადგილი უნდა ეჭიროს და ამასთან უწმიდესი სინოდის წევრიც უნდა იყოსო. 2). მეფე ირაკლის ქვეშევრდომი თავად-აზნაურობა უნდა ყოფილიყო აღჭურვილი ისეთისავე უფლებით, როგორიცა აქვთ მინიჭებული რუსეთის კეთილშობილთ, 3). ქართლ-კახელებს თავისუფლად უნდა შესძლებოდათ რუსეთში გადასახლებაც და დაბრუნებაც და ეს მათთვის არავის არ უნდა დაეშალა; 4). ქართლ-კახელების ვაჭრებს შესძლებოდათ თავისუფლად ევაჭრათ რუსეთში და ჰქონოდათ ისეთივე უფლებანი, რაც რუსეთის მკვიდრ ვაჭრებს აქვთ და სხვა.

ამის შემდეგ საქართველო დაუკავშირდა რუსეთს და იმ მისვლა-მოსვლასაც ბოლო მოეღო, რომელსაც ამ დაკავშირებამდის ვხედავდით. როგორც ზევით ნათქვამიდან დავინახეთ, რუსეთში ბევრი ქართველი წარჩინებული გვარეულობის წარმომადგენელი გადასახლებულა, ბევრი იქვე გარდაცვლილა და არის დასაფლავებული რუსეთის სხვა-და-სხვა გუბერნიასა და ქალაქში. ქართველები, რასაკვირველია, ისე არ გარდაიცვლებოდნენ, რომ მათის არსებობის რაიმე ნაშთი არ დარჩენილიყო, მაგრამ რადგან თავის დროზე ყურადღების მიმქცევი არავინ იყო, ბევრი მათ შორის სრულებით დაიკარგა და გაჰქრა, ზოგიც დღესაც იპოვება, მაგრამ სიშორისა გამო ჩვენთვის ხელმიუწვდენელი შექმნილა. როგორც სჩანს სმოლენსკის ეპისკოპოზის ნიკანორის აღწერილობიდგან. ასტრახანში ვლადიმერის ეკკლესიაში არის დასაფლავებული საქართველოს ორი მეფე: ვახტანგ ლევანის ძე და თეიმურაზ ნიკოლოზის ძე. აქვე არიან დასაფლავებულნი სამნი მღვდელთ-მთავარნი: არქიეპისკოპოზი იოსები, მიტროპოლიტი რომანოზი და მიტროპოლიტი ტიმოთე. მეფე ვახტანგი ჰმარხია წინა სვეტის ახლოს. მის საფლავზე იყო აღმართული თითბერის პატარა ფიცარი, რომელზედაც რუსულის ასოებით ეწერა: „Отъ корени Иессеева и ветви Давидова, колена Соломонова, родился въ мире 1675 г. Сентября 15 дня, Грузинскаго государства 6-ой царь Вахтангъ. Вселился въ сей гробъ 1763 г. Марта 26 дня за престелъ и за венецъ. Ныне сие зримя, благословления прошу.“ [პირთაგან იესესა და შტოთა დავითისათა და ტომითა სოლომონისათა დაბადებულ არს ქვეყნად 1675 წ. სექტემბრის 15-ს საქართველოს მეფე ვახტანგ მე-VI გარდაიცვალა 1763 წ. მარტის 26-ს დღესა ტახტისა და გვირგვინისათვის. ახლა მხედველსა ამას ჩემსა გთხოვთ კურთხევასა. ავტ.] სად დაიკარგა ეს ფიცარი, დღეს აღარავინ იცის; იგი საფლავზე აღარ არის აღმართული, ხოლო ეს წარწერა

შენახულა ეკლესიის წიგნებში, ამბობს ავტორი - თეიმურაზ მეფის საფლავი და მიტროპოლიტთა იოსებისა და რომანოზისა არის იმავე ეკლესიის ჩრდილოეთ-დასავლეთის კუთხეში, ხოლო მიტროპოლიტ ტიმოთეს საფლავი-კი დღესაც არავინ უწყის რა ალაგს არის. უწინ ამ საფლავებზედ ყველგან ყოფილა წარწერა ქართულად და რუსულადაც, მაგრამ 1801 წელს, არქიეპისკოპოს პლატონის ბრძანებით ეს ყველაფერი წაუშლიათ და ქართველი მღვდელმთავრების საფლავებზედ ხელ მეორედ აღარასფერი აღარ წაუწერიათ. არ ვიცით აგრეთვე არაფერი მღვდელმთავარ გრიგორის საფლავის შესახებ. ვიცით მხოლოდ ის, რომ იყო დასაფლავებული წმიდა მაცხოვრის მონასტერში, რომელიც დღეს სრულებით გაუქმებულია. ასტრახანის ღვთისმშობლის ეკკლესიაში იპოვება დღესაც ქართული სახარება, რომლის პირველ გვერდზედ აწერია ქართულად: „სადიდებლათ წმიდა სამებისა და ყოვლად სადიდებელისა სრულიად რუსეთის იმპერატრიცისა ანნა იოანნეს ასულისა და ნება-ყოფლობით ბატონიშვილისა ბაქარ ვახტანგის ძისა, კურთხევითა უწმინდეს სინოდისათა, მის ხელმძღვანელობით და არქიეპისკოპოს იოსების სადიდებლად იყო დაარსებული სტამბა ქალაქ მოსკოვში და დაიბეჭდა სახარება ესე ქრისტეს აქით 1739 წ. 15 ივნისს.“ ამ ფურცლის მეორე გვერდზე არის ქართული ღერბი. ყდა ვერცხლით არის მოჭედილი, შუაზედ მაცხოვარია გამოსახული და ოთხივ კუთხით ოთხი მახარებელი.

აქვე ინახება საფლავის ქვა, რომელზედაც აწერია ქართულათვე: „აქ არის დასაფლავებული გვამი კახეთის მდივნისა გურგენისა.“ დანარჩენი წაშლილია. არ სჩანს არც წელი და არც დანარჩენი სიტყვები. არის აქვე მეორე საფლავის ქვაზედ წარწერით: 1727 წ. ივლის 16 აქ გარდაიცვალა ღამის მე-3 საათზედ ქართველი ბატონიშვილი ბაქარის ასული კნიაჟნა პარასკევა სამის წლისა და არის დასაფლავებული ამ ადგილას.“ ეს ქვა დღეს ეკკლესიის შიგნივ ინახება და არის კედელში ჩატანებული, საკურთხევლის უკან.

1903 წ. აპრილი. თ. ხუსკივაძე.

ივერია - 1903. – N152. – 18 ივლისი. - გვ.2.

კიევის აკადემიის რექტორის ყოვლად სამღვდელო პლატონის მობრძანება ქუთაისს

ორშაბათს 7-ს მკათათვეს დილით მღვდელმა ა. გ-ძემ ჩამოიტანა ამბავი, ყოვლად სამღვდელო პლატონი უეჭველად ქუთაისს მობრძანდებაო. ყოვლად სამღვდელო ლეონიდს ძლიერ ესიამოვნა ეს ამბავი და შეუდგა თადარიგს მისს რიგიანად დასახვედრად. საღამოთი იმავე მღვდელმა გ-ძემ მიიღო ტელეგრამა, რომ ყოვლად სამღვდელო პლატონი ვეღარ მოვა ქუთაისს, რადგან ეშურება, ხვალ უეჭველად ბათომს უნდა იყოსო. თქვენი მტერი, რომ გვეწყინა, ვინც-კი გავიგეთ მისი მოსვლა და მერმე მოუსვლელობა; მით უმეტეს, რომ მივხვდით მიზეზს. ვიფიქრეთ, უეჭველად ვინმე კეთილის მყოფელმა ურჩია ყოვლად სამღვდელო პლატონს, არა ღირს, ქუთაისში შებრუნებაო. (არც მოვტყუებულვართ, როგორც თვით ყოვლად სამღვდელომ აღიარა) მეორე დღეს ე. ი. 8-ს ამ თვისას რიონის სადგურზედ ყოველად სამღვდელო პლატონს

დაუხვდნენ კიევის დეკანოზი ვიშემირსკი, რომელიც სტუმრად არის ქუთაისში კათედრის დეკანოზ გ. ცაგარელთან, კიევის აკადემიის სტუდენტი მესამე კურსისა მღვდელი ნ. ლეჟავა და მღვდელი ალ. გიორგაძე, რომელიც გასცნობოდა ყოვლად სამღვდელოს ტფილისში. ამ პატივცემულთ დაარწმუნეს ყოვლად სამღვდელო პლატონი, რომ დიდად საინტერესოა ქუთაისის ნახვა, განსაკუთრებით გელათის მონასტერისაო, და შემოაბრუნეს ქუთაისს. იმ ღამეს ყოვლად სამღვდელო პლატონმა ყოვლად სამღვდელო ლეონიდესთან მოისვენა. მეორე დღეს 9-ს ამ თვისას დილის 6 საათზედ ორივე ეპისკოპოზი, მღვდელ მ. კ-ძის, მღვდელ ნ. ლ-კას, მღვდელ ა. გ-ძის და მღვდელ ი. მ-შვილის თანხლებით გაემგზავრნენ გელათის მონასტრის დასათვალიერებლად.

გელათის მონასტერში ყოვლად სამღვდელოთ დაუხვდა მთელი კრებული, უგალობეს ღირსაარსი. ხატების მთხვევის შემდეგ ყოვლად სამღვდელო პლატონი პირდაპირ ხახულის ღვთისმშობლის ხატთან. მთელ საათზედ მეტი გავიდა და ყოვლად სამღვდელო პლატონი კიდევ ვერ შორდებოდა ხატსა. მოაგონეს, დღეს წაბრძანებას აპირებთ და სხვა ნივთებს ვეღარ დაათვალიერებთო. „თუნდაც ხუთი დღე დავრჩე, მაინც კარგად უნდა დავათვალიეროო. რა მდიდარი თემაა აკადემიის სტუდენტებისთვის და ხელს-კი არავინა ჰკიდებსო, ჯერ არსად მინახავს ამის აღწერაო.“

სწორედ შუადღის ორი საათი იყო როცა სტუმარ-მასპინძელი დაბრუნდნენ ქუთაისს. აქ ყოვლად სამღვდელო ლეონიდს სადილი ჰქონდა მომზადებული. სადილის დროს ბევრი რამ უსურვა ყოვლად სამღვდელო პლატონმა ყოვლად სამღვდელო ლეონიდს, საქართველოს და მის ახალ თაობას. განსაკუთრებით ახალ თაობას უსურვა ყოვლად სამღვდელო პლატონმა, რომ მეტი შნო და უნარი გამოეჩინოს თავის მამულის სიძველეთა შესწავლაში. ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა სთხოვა ყოვლად სამღვდელო პლატონს მიაქციოს ყურადღება თავის აკადემიაში ქართველ ახალგაზრდობას და გამოზარდოს საქართველოს კარგი მამულიშვილები. ყოვლად სამღვდელო პლატონმა სინანული გამოაცხადა, რომ აკადემიაში, ცოტაა ქართველი სტუდენტი და ბევრის გაკეთება არ შეუძლიანთო.

მართალია ჩვენ, ქართველები ტკბილი სიტყვითაც აღტაცებაში მოვდივარ, დიდი ნუგეში გვეწვეთება გულში და, თუ სტუმარმა შეგვაქო, მეტი ქათინაური გვითხრა, ხომ ცას ვეწევით, მაგრამ ყოვლად სამღვდელო პლატონი სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზედ. იგი ლაპარაკში პირდაპირი და მოურიდებელია, არ უყვარს ქათინაურები, ნაკლულევანებას პირდაპირ ამბობს, შეხედულება დროის შესაფერი, ფხიზელი, ჭეშმარიტი, ადამიანური, დიდად დაკვირვებული და თავდაჭერილი კაცი უნდა იყოს, ამასთანავე ღრმად განათლებული. იმედია ამისთანა კაცი პოლიტიკას არ გამოუდგება, ჩვენ ქართველებზედ ნამდვილ შეხედულობას იქონიებს, ადამიანებად ჩაგვაგდებს და ჩვენ შვილებს ჩაუნერგავს მამულის სიყვარულს, ურომლისოდაც ეს შვილები არც ჩვენ გამოგვადგებიან და არც ჩვენს მფარველად მოწოდებულს რუსეთის ჰუმანურ სახელმწიფოს.

საპატიო სტუმარი ყოვლად სამღვდელო პლატონი საღამოს 4 საათზედ დიდის მადლობით გამოეთხოვა მასპინძლებს და გაემგზავრა ბათომს. დიდი მადლობელი დარჩა ყოვლად სამღვდელო იმათი, ვინც ურჩიეს შებრუნება ქუთაისს, რადგან დიდი კმაყოფილება მიიღო. თავის თავს უბედურად ჩასთვლიდა, რომ გელათის მონასტერი არ ენახა. სამიოდე მოძღვარმა ბათომამდე გააცილა.

გზა მშვიდობისა და მრავალჟამიერ სიცოცხლე გულწრფელ სტუმარს.

მნახველი.

ივერია - 1903. – N161. – 30 ივლისი. - გვ.2.

სამრევლო სკოლების მასწავლებლები და მათთვის საზფხულო საგანგებო კურსები გალობისა ქუთაისში

15 ივლისს ქუთაისში კურსებზედ დასასწრებლად შეგროვდნენ სამრევლო სკოლების მასწავლებელნი და დაესწრნენ წირვას. მწირველი ბრძანდებოდა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი. წირვის შემდეგ მისმა მეუფებამ გრძნობით სავსე სიტყვით მიჰმართა მასწავლებელთ და შემდეგ შეგროვდნენ პეტრე-პავლეს სამრევლო სკოლის შენობაში. აქაც ბატონმა იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების ზედამხედველმა ვასილ ვასილის ძე ვასილიევმა მასწავლებლებს ჯეროვანი სიტყვა უთხრა და აუხსნა მნიშვნელობა გალობის კურსებისა.

16 ივლისს დაიწყო ქუთაისში სამრევლო სკოლების მასწავლებელთა საზაფხულო საგანგებო კურსები გალობისა. წელს მოწვეული იყო 50-ზედ მეტი მასწავლებელი იმერეთის ეპარქიიდგან, მაგრამ 35-ზედ მეტი არ გამოცხადებულან. ძლიერ ცუდად მოიქცნენ ისინი, ვინც კურსებზედ მოიწვიეს და არ ინებეს დასწრება. ასეთი საგანგებო კურსი გალობისა მასწავლებლებს ჯერ არას დროს არა ჰქონიათ. სამწუხაროდ, ჩვენს სამრევლო მასწავლებლებს არ ეხერხებათ ნოტების საშუალებით სიმღერა გალობა, რის გამოც გალობის მხრივ სკოლები ძლიერ დაქვეითებულნი არიან. წელს ხსენებული კურსი გალობისა იმედს გვაძლევს, რომ კურსებზე დამსწრე მასწავლებლები თავიანთ სკოლებშიაც გააჩაღებენ მშვენიერს საეკლესიო გალობას, რაც ძლიერ სასურველია ყველასათვის. ერთადერთი მოთხოვნილება ჩვენის ეკკლესიერებისა არის გალობა, რომელიც კაცს უღვიძებს გულში ლმობიერებას ღვთის მსახურებისადმი და ღირსეულს პატივისცემას სარწმუნოებისას.

ვისაც თვალ-ყური უდევნებია ჩვენის სოფლის ცხოვრებისათვის, მისთვის ცხადია, რომ დაბად და სოფლად რაღაც თავის ნება გალობით ძლიერ დამახინჯებულია ეკკლესიებში წირვა, ეს სულიერი სარკე ჩვენის სულიერის მოთხოვნილებისა. უთუოდ ამის ბრალია, რომ ეკკლესიებში სიარულით უმეტესობა თავს არ იწუხებს, რის გამოც ბევრს ზნეობა უსნეულდება და უფუჭდება.

ფრიად საჭიროა, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ ადგილობრივმა მღვდლებმა და სოფლის მასწავლებლებმა და ეკკლესიებში წირვა ნამდვილ ციურ სცენად დაგვიხატონ კარგის მგალობლების შეძენით. ამ სამსახურს ადვილად შესძლებს სამრევლო სკოლა თვისის მოწაფეებით, თუ მასწავლებელი და მღვდელი ზარმაცი არ არიან სკოლის წარმატების საქმეში. ნურას უკაცრავად გამჟღავნებისათვის, რომ ზოგიერთ მამა მღვდლებს სულაც არაფრად არ ეპიტნავებათ სკოლა და მისს ხელმძღვანელ მასწავლებელს არაფერს დახმარებას არ უწევს სკოლის საქმეში. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მოვლენა დიდად სამწუხარია. თუ მამა მღვდელმა მოინდომა და მასწავლებელს თავისი უხასიათობით გული არ გაუტეხა, ბევრი რამ კარგის გაკეთება შეუძლიანთ სკოლის და მრევლის შესახებ. ასეთს პატიოსან მამებსაც ბევრს ვიცნობთ. ზოგიერთ მივარდნილ სოფლებში

მასწავლებლებად არიან მთავრობისაგან გამოგზავნილნი შორის მხრიდგან და თუ იმათ მდგომარეობას და აუტანელ სამნელო მოღვაწეობას სამოსწავლო ასპარეზზედ თავის მხრივ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია ადგილობრივმა მღვდელმა, ამ მახლობელ უფროსებმა სამრევლო სკოლებისამ, მაშინ სკოლის საქმე, ეჭვი არ არის, სამწუხარო მდგომარეობაში ჩავარდება. რა უნდა ქნას უცხო მასწავლებელმა უცხო საზოგადოებაში, თუ მას ადგილობრივმა მამა მღვდელმა საქმე არ გაუწინამძღვრა და მისდამი მთავრობისაგან ჩაბარებულ სკოლას ნამდვილი მმართველობა არ გაუწია?!

მთავრობისაგან დანიშნულ მმართველ მღვდელს მინდობილი და დავალებული აქვს, რომ მასწავლებელს შეუკრიბოს მოწაფეებისაგან სწავლის ფული და თავისს დროზედ ჩააბაროს, მაგრამ ამაზედ თავსაც არ იწუხებენ. ეს კი აუცილებლად საჭიროა და უთუოდ ყველამ უნდა აასრულოს თავისი მოვალეობა. ქებითა და დიდის პატივით უნდა ვახსენოთ ის მცირე (ძლიერ მცირე) რიცხვი პატიოსან მამა მღვდლებისა, რომელნიც ჯეროვანს, ყურადღებას აქცევს სკოლას. ასეთს სკოლებში როგორც სწავლა-განათლების საქმე ისე სკოლის და მასწავლებლისა სასურველ კალაპოტშია ჩაყენებული. გალობაც ასეთს სკოლებში რიგიანია და ამის გამო მრევლი დიდს პატივს სცემს სკოლას და მასწავლებელს. ვიმეორებთ, საჭიროა, რომ მღვდლები ზრუნავდნენ სკოლისათვის, თორემ სწავლა-განათლება ვერ მოიკიდებს ფეხს ჩვენში.

დავუბრუნდეთ ჩვენს დღევანდელს სალაპარაკო საგანს, ესე იგი, გალობას და გალობის კურსებს. ყველამ ვიცით, რომ გალობა გრძნობათა დამატკბობელი, წირვის დამამშვენებელი და სულის ჩამდგმელია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წელს კურსებზედ დამსწრე მასწავლებლები თავიანთ სკოლებში გალობას გაამშვენებენ და მით მრევლისაგან პატივის-ცემას დაიმსახურებენ. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ გალობის კურსებს სათავეში უდგანან ხელმძღვანელად და განსახორციელებლად ისეთი გალობაში დახელოვნებულნი, როგორნიც ბრძანდებიან ბ. ნ. ჩეტვერუხინი და მთავარ-დიაკონი მამა პლატონ ცქვიტიშვილი. ბატონი ჩეტვერუხინი ასწავლის სამრევლო მასწავლებლებს გალობის თეორიას და ნოტების კითხვას. მამა პლატონ ცქვიტიშვილი - ქართულ გალობას.

გალობის სწავლა სწარმოებს ორჯერ დღეში: დილის 7 საათიდგან ორ საათამდე (ნაშუადღევს) და საღამოს 6 საათიდგან 8 საათამდე. „კურსისტები“ გროვდებიან „პეტრე-პავლეს საეკლესიო სკოლის შენობაში. კურსებზედ, სწავლების დროს, ყოველთვის დადის თვით „ინიციატორი“ ამ კურსისა, იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების ზედა-მხედველი ბატონი ვასილ ვასილის ძე ვასილევი, კარგად მცოდნე და მოყვარული გალობისა. დიდს შრომას და მონაწილეობას იღებს ბატონი ვასილევი მასწავლებლების ხმების ვარჯიშობის დროს: უსინჯავს მათ ხმებს, უჩვენებს საგალობლებს წიგნებში და უსწორებს შეცდომებს.

აგრეთვე კურსებს სამაგალითო ყურადღებას აქცევს შორაპნის მაზრის სამრევლო სკოლების ზედამხედველი მამა სიმონ მჭედლიძე. კურსების წინ-სვლას თვალ-ყურს ადევნებს აგრეთვე მღვდელი მამა ილია მათიკოვი და მღვდელი მამა ტიმოთე კაპანაძე.

მასწავლებლებს თვიურ ხარჯად მიეცათ თორმეტ-თორმეტი მანეთი; კურსების გათავებისას მიეცემათ აგრეთვე სამგზავრო ფულიც. მასწავლებლები დიდის ხალისით ეკიდებიან გალობის სწავლას და ღმერთმა გაუმარჯოს მათ. კურსები გაგრძელდება 15 მარიამობისთვემდე.

მელქისედეკ მიდოსვაჟი.

ივერია - 1903. – N166. – 5 აგვისტო. - გვ.1.

ტფილისი

ყოვლად სამღვდელონი - გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზი ალექსანდრე და იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდე ამ ჟამად შიო მღვიმეს მონასტერში იმყოფებიან.

ივერია - 1903. – N169. – 9 აგვისტო. - გვ.1.

ქუთაისის ტაძრის რესტავრაცია

ამას წინად მოხსენებული გვქონდა, ქუთაისის საკათედრო ტაძრის განახლებას შესდგომიან, ტაძრის გუმბათი და კედლები მხატვრობით უნდა მოირთოსო. ეხლა შევიტყეთ, რომ ქუთაისის საეპარქიო გამგეობას [ეპისკოპოს ლეონიდს] რავდენიმე მხატვარი მიუწვევია, სხვათა შორის, ბატონი მრევლიშვილიც, და მოლაპარაკება ჰქონია, როგორ უნდა გამშვენიერდეს ტაძარი. ვერც ერთ მხატვართან საქმე ვერ დაუჭერია, რადგანაც ფასში ვერ მორიგებულან. ბოლოს ეს საქმე მხატვარს ნიშანიანს უკისრია. ბატონი მრევლიშვილი და სხვები 10.000 მანათსა თხოულობდნენ, ბატონ ნიშნიანს-კი 6.000 მანათად აუღია.

ფასის დაკლება ადვილია, რასაკვირველია, მაგრამ მხატვრობაც არის და მხატვრობაც. როგორც გვითხრეს, ბატონ მრევლიშვილს სდომებია საუკეთესო მხატვრები მიეწვია ტფილისიდგან, მოელაპარაკნა, შრომა გაენაწილებინა იმის გვარად, ვის რა უფრო ეხერხება, და ისე შესდგომოდნენ საქმეს. რა თქმა უნდა, რომ ბატონი მრევლიშვილი ეცდებოდა თავი არ შეერცხვინა თავის სამშობლოში და მოძმეთა შორის. ბატონ ნიშანიანს-კი მოსარიდებელი არა აქვს-რა.

ამას გარდა, წინად განზრახული იყო თურმე ოქროს ვარაყით მოერთოთ გუმბათი და კედლები. ასე ჰქონდათ ნათქვამი ბატონ მრევლიშვილისთვის; ხოლო შემდეგ ეს განზრახვა შესცვალეს და ამით სამუშაოს ფასი შესამჩნევად შეამცირეს. ტაძარი ისე არ იქმნება დავარაყებული, როგორც წინად უნდოდათ. ეს გარემოება ბატონ მრევლიშვილს რომ სცოდნოდა, იქმნება, ისიც დათანხმებულიყო. ამ ნაირი ვაჭრობა ხელოვნურ საქმეში მოწამეთის ტაძრის გამშვენიერებას გვაგონებს. ვიღაც უბრალო მთხუპნავისთვის მიენდოთ ეს მძიმე საქმე, და ძველი ტაძარი სრულიად დაუმახინჯებია. არა გვგონია, რომ ბატონი ნიშანიანი ამ გვარი უცოდინარი იყოს მხატვრობისა; ხოლო ერთს კაცს არ შეუძლიან საეკლესიო მხატვრობა ყოველ მხრივ სისრულით იცოდეს. ამასთანავე ბატონი ნიშანიანი, შესაძლოა, კარგი და გამოჩენილი მხატვარიც იყოს; მაგრამ ის უცხო კაცია, უცხო ხელოვნების მცოდნე და არა ჩვენებურისა.

რას ეგვანება, რომ ქართველი წმიდანები სხვა ხალხთა სახეს წააგვანდეს. არ შეიძლება, რომ სახის გამომეტყველება უცხო ტომის მხატვარმა უნაკლულოდ შეასრულოს, ნიმუშებიც რომ თვალწინ ედვას, უკეთუ საგანგებოდ არ ექმნება ქართული ხელოვნება, ქართველთა ზნე-ჩვეულება, სული და გული შესწავლილი და შეთვისებული. ბატონ

ნიშანიანს, როგორც ვიცით, ეს ცოდნა ჯერ არ გამოუჩენია. თვისი ცოდნა პირველად ქუთაისის ტაძარში უნდა სცადოს და გამოიჩინოს.

რადგანაც ბატონ ნიშანიანცთან ხელშეკრულობა უკვე დადებულია და ვეღარ მოიშლება, საჭიროა სხვაფრივ როგორმე გამოკეთდეს ეს საქმე. ჩვენ გვგონია, რომ ნიშანიანცის ნახატს მუდმივი ყურადღება უნდა ადევნონ მცოდნე მხატვრებმა და ყოველი მისი ნაწარმოები შეამოწმონ ნაწილ-ნაწილად და არა მაშინ, როცა საქმე სულ დასრულდება. ამისათვის ურიგო არ იქმნება ტფილისიდგან მიიწვიონ მსწავლული მხატვრები და ისე დასდონ თვისი მსჯავრი ბატონ ნიშანიანის ნამუშევარს. აქ არსებობს კიდეც მხატვართა ბიურო, რომელიც ამგვარ საქმესა კისრულობს. სადაც 6.000 მანათი უნდა დაიხარჯოს, იქ 300-500 მანათი მხატვართა გასამრჯელოდ საანგარიშოც არ არის.

ივერია - 1903. – N178. – 21 აგვისტო. - გვ.1-2.

გალობის კურსი
სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის ქუთაისში

14 აგვისტოს დასრულდა საზაფხულო გალობის კურსი სამრევლო სკოლების მასწავლებლებისა. ხსენებულ დღეს „კურსისტებს“ გალობაში ეგზამენი ჰქონდათ. ეგზამენს დაესწრო მისი ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდი. აგრეთვე იმყოფებოდნენ ეგზამენზედ იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე ვასილიევი, შორაპნის მაზრის მეთვალყურე მამა სიმონ მჭედლიძე, მამა ილია მათიკოვი, ლოტბარები: მთავარ-დიაკონი მამა პლატონ ცქიტიშვილი და ბატონი ნიკოლოოზ ნიკოლოზის ძე ჩეთვერუხინი და ბევრიც სხვა.

ეგზამენი დაიწყო დილის 8 საათზედ და გასტანა შეუწყვეტელად 12 საათამდე. საეგზამენოდ გაჰყავდათ ოთხ-ოთხი მასწავლებელი, რომელთაც თითო-თითოდ ჰკითხავდნენ გალობის თეორიას. გალობას თავთავის ხმებზედ და ლოტბარობის წესს; კარგად იყო თუ ავად, როგორც იყო მასწავლებლებმა გაიარეს საეგზამენო გასაჭირი და ბევრი მათგანი იმავე დღეს გაეშურა თავის სოფლისაკენ. ასე არის თუ ისე, წლევანდელმა გალობის კურსმა იმდენი სარგებლობა მაინც მოუტანა მასწავლებლებს, რომ შესძინა თეორიული ცოდნა სამრევლო სკოლებში გალობის გასაწყობად.

როგორც გვქონდა ნათქვამი, კურსისტებს ასწავლიდნენ რუსულ-ქართულ საეკკლესიო გალობას და გალობის თეორიას - ნოტების კითხვას. დილის პირველი გაკვეთილები უნდებოდა რუსულ გალობას და ბოლონდელი - ქართულს. ამგვარად ქართული გალობა სუსტად მიდიოდა, რადგანაც რუსულ გალობაში დაღლილ მასწავლებლებს ხალისი აღარა რჩებოდათ. ამ გარემოებამ აიძულა მასწავლებლები სიტყვიერად მიემართათ იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე ვასილიევისათვის თხოვნით, რომ პირველი გაკვეთილები ქართულ გალობისათვის დაეთმოთ. ბატონმა მეთვალყურემ შეიწყნარა ასეთი თხოვნა და კურსების დასასრულს ქართული გალობა დილაობით სწარმოებდა.

კურსების დასრულებისთანავე მასწავლებლებს სამგზავრო (პრაგონი) ფული დაურიგდათ, თითოს 15 მანეთი, თუმცა ეს ბევრს არ ეყო. ვინც კურსებზედ ავად გახდა,

იმან საექიმო ფულიც მიიღო. ამავე დროს ლოტბარები იღებდნენ, როგორც გვითხრეს: ცქიტიშვილი 50 მანეთს და ბატონი ჩეთვერუხინი - 180 მანეთს.

მელქისედექ მიდოსვაჟი.

ივერია - 1903. – N180. – 23 აგვისტო. – 1-2.

საბლაღოჩინო
წიგნთ-საცავ-სამკითხველოები
(ვუძღვნი ქუთაისის სამღვდელოებას)

სასულიერო ჟურნალი „სტრანნიკი“ ერთს საყურადღებო საგანს ეხება: „მცირე მოსაზრება სოფლის სამღვდელოების წიგნთ-საცავ-სამკითხველოებისა და საბლაღოჩინო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს საქმის შესახებ.“

ორი ავტორი ერთსა და იმავე საგანზე ლაპარაკობს. მეორე წერილი შედეგია პირველისა, ერთი მეორეს ხსნის, ერთი მეორეს ემოწმება.

წერა-კითხვის მცოდნე და განათლებულ ადამიანისათვის რომ წიგნია საჭირო, ბევრი ლაპარაკი არ უნდაო, - ამბობს პირველი სტატიის ავტორი. წიგნთ-საცავ-სამკითხველოების საქმე ზარმაცად მიიზლაზნება წინაო, თუმცა მაგალითები იმ წიგნთ-საცავ-სამკითხველოებისა, რომელთაც აარსებენ დაბალ ხალხისა და საზოგადოებისათვის ცხადად გვიმტკიცებს, რომ ამ საქმეს დიდი წარმატება მოელის: წიგნი იყოს, თორემ მკითხველი ყოველთვის იქნებაო.

უფრო ნელის ნაბიჯით მიდის თურმე ეს საქმე რუსეთის სამღვდელოებაში. ეს სამღვდელოება გამოაცხადებს სურვილს, თუ საეპარქიო მთავრობა თვით მისცემს წინადადებას წიგნთ-საცავ-სამკითხველოების დაარსების შესახებ, სულ ერთია, საქმეს არაფერი ჰშველის: ერთს ადგილას საკმარისად სთვლიან საეპარქიო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს და ადგილობრივ საეკლესიოს, მეორეში - სამაზროს, მესამეში - საბლაღოჩინოს. სერიოზულად-კი არც თვითონ სამღვდელოება ეკიდება საქმეს, არც საეპარქიო მთავრობა. ეს უკანასკნელები მოისმენენ წინააღმდეგ აზრს ან ბლაღოცინისას, ან სამღვდელოების კრების მხრივ და დამშვიდდებიან, საქმე გათავებულად მიაჩნიათ.

ერთი მიზეზთაგანი, რომელნიც აგვიანებენ წიგნთ-საცავ-სამკითხველოების დაარსებას, იმალება თვით სამღვდელოებაში. ეს მიზეზია წიგნისადმი აპატია, ნამეტნავად სერიოზულ წიგნისადმი. ეს სნეულება (თუ ასე შეიძლება ვუწოდოთ) სამღვდელოებას ეპარება სემინარიებში. მეტი ნაწილი სემინარიების შეგირდებისა, განსაკუთრებით უკანასკნელ კლასებისა, ნაკლებად კითხულობენ წიგნებს, იმ წიგნებსაც-კი, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ შესასწავლ საგნებთან. ეს ფაქტია, რომელიც მტკიცდება აგრეთვე სემინარიელების აკადემიაში შესვლის დროს. თითქმის აკადემიის ყველა მომავალი სტუდენტი მიდის იმ ცოდნით, რომელიც მოთავსებულია სახელმძღვანელოებში. სახელმძღვანელოებს სიტყვა-სიტყვით იზეპირებს და უეჭველია, გონებაშიაც ფურცლავს და სთვლის წიგნის გვერდებს. ესეთი უნუგეშო მოვლენა იქიდამ წარმოსდგება, რომ სემინარიის პროგრამა ვრცელია, დრო-კი ნაკლები და მასწავლებელნი ჩქარობენ კურსის შესწავლას, არა კითხულობენ, რამდენი გაკვეთილი აქვთ მიცემული სხვა

საგნებში, არ კითხულობენ, მოასწრებენ თუ არა მოწაფეები, და აძლევენ დასასწავლად 10-20 გვერდს.

ამის გამო მომეტებული ნაწილი შეგირდებისა იძენს აპატიას მეცნიერებისადმი და სიძულვილს, სიყვარულის მაგიერ. კურს-დამთავრებული ახალგაზრდა ღვთის მეტყველი ისვრის გვერდზედ იმ სახელმძღვანელოებს, რომელთაც თავი მოაბეზრეს ექვსის წლის განმავლობაში, და წინანდელ სულის შემხუთავ საგნებს თავს ანებებს. რაკი მღვდლობას მიიღებს, კურს-დამთავრებული მთელს თავის ყურადღებას მიაპყრობს პრაქტიკულ მოქმედებას და თუ დრო დარჩა, კითხულობს მხოლოდ გაზეთებს (თუ კი კითხულობს!). სერიოზულ წიგნზედ არც-კი ჰფიქრობს. შემდეგ, როდესაც ჩაიყურყუმელავებს ცხოვრების მორევში, იქნება იგრძნოს კიდეც წიგნის საჭიროება, მოინდომოს განახლება თავის ცოდნისა, მაგრამ... არა აქვს წიგნი... და საჭიროა საშუალება მის მოსაპოვებლად.

ზემო სათქვამს ჩვენც ჩვენის მხრივ დავუმატებთ, რომ ჩვენი სემინარიები უარეს გარემოებაში არიან, ვინემ შიდა-რუსეთისა. ჩვენს სემინარიებში, სადაც საგნებს ასწავლიან რუსულ ენაზედ, პროგრამა-კი ისეთივეა, როგორიც შიდა-რუსეთში, შეგირდებს უძნელდებათ სწავლა; აქ უფრო უჭირდებათ გაზეპირება, უფრო მეტად იღლებიან, უფრო მეტი აპატია და სიძულვილი იბადება წიგნებისადმი, ვიდრე რუსეთში, სადაც სამშობლო ენაზე ასწავლიან საგნებს.

მეორე მიზეზიო, განაგრძობს ავტორი, რომელიც ხელს უშლის წიგნთ-საცავ-სამკითხველოების გავრცელებას, არის სამღვდელოების კარჩაკეტილი ცხოვრება. ძალიან იშვიათ შემთხვევაში იკრიბება სამღვდელოება ერთად, ჩვენ, მოძღვარნი, არ მივუძღვით წინ მრევლის ცხოვრებას, იშვიათად ვცდილობთ ჩავაყენოთ ცხოვრება კალაპოტში, არ შეგვიძლიან თავის დროზედ შევნიშნოთ რაიმე მოვლენა მთელის მრევლისო, ან თვითოეულ ადამიანის ცხოვრებაში. საზოგადო მოქმედების გეგმის უქონლობას ის შედეგი მოსდევს, რომ ერთი მოძღვარი მთელს თავის ძალღონეს ანდომებს ეკლესიის გამშვენებას, მეორე სკოლის საქმით არის გატაცებული, მესამე მოძღვრებას ეძალება, სთხზავს ქადაგებას, მეოთხე მეურნეობას, მეხუთე მღვდელ-მოქმედებას - წირვა-ლოცვას მხნედ ეკიდება. ამ გვარად ყველა მოძღვართაგანს აუღია ერთი რომელიმე კერძო ცხოვრებისა და მით არის გატაცებული.

აპატია, განკერძოება, უსოლიდარობა სამღვდელოთა შორის დიდი დაბრკოლებაა წიგნთ-საცავ-სამკითხველოების დაარსებისა. აქედან ის-კი არ უნდა დავასკვნათ, რომ წიგნთ-საცავ-სამკითხველონი საჭირონი არ არიან, რომ მათ მუშტარი არ ეყოლება, რომ მათი არსებობა საცოდაობის ყოფა-ცხოვრება იქნება. პირიქით წიგნთ-საცავ-სამკითხველოებმა უნდა მოსპონ აღნიშნულნი დაბრკოლებანი, უნდა აღძრან ცნობის მოყვარეობა სამღვდელოებაში, გააცხოველონ მათი მოქმედება.

იშვიათია იმისთანა სოფელი სადაც მარტო ოფიციალურ გამოცემას იწერენ: თითქმის ყველგან იწერენ ან გაზეთსა, ან ჟურნალს. მაშასადამე წიგნთ-საცავ-სამკითხველოების დასაარსებლად ნიადაგი მზად არის, თუმცა შეიძლება ძალიან კარგად არ იყოს განოყიერებული.

რაგვარი წიგნთ-საცავ-სამკითხველოები უფრო გამოადგება სამღვდელოებას, რომელი უფრო მეტს სარგებლობას მოუტანს, რომელი უფრო მოსახერხებელია: საეპარქიო, სამაზრო, თუ საბლაღოჩინო?

საეპარქიო წიგნთ-საცავ-სამკითხველოები ვერაფერს ვერ მისცემენ სოფლის სამღვდელოებას. ფოსტით წიგნების გაგზავნ-გამოგზავნა ხელის მომწერის ხარჯზედ, წიგნის საღირალის დატოვება დაუკარგავს კითხვის ხალისს ღარიბს სამღვდელოებას და მიყრუებული კუთხეები უწინდებურად უწიგნოდ დარჩებიან. საეპარქიო წიგნთ-საცავ-სამკითხველოები სარგებლობას მოუტანენ მარტო ქალაქელ სამღვდელოებას, ერის კაცთ, რომელნიც ეძებენ სასულიერო შინაარსის წიგნებს და იმათ, რომელნიც სპეციალურ კი საგნების შემუშავებას მისდევენ.

საეპარქიო წიგნთ-საცავ-სამკითხველოებზე მეტი მნიშვნელობა ექნება სამაზრო წიგნთ-საცავ-სამკითხველოებს, რადგან უფრო ახლო იქნებიან სამღვდელოებაზედ, მაგრამ აქაც მრავალი დაბრკოლებაა: საჭიროა სახლი, გამგე, რომელსაც ჯამაგირი უნდა ეძლიოს, სახლის გათბობ-განათება, მოსამსახურე; ნახევარი შემოსავალისა მოუნდება დასახელებულ საჭიროებათ და არა წიგნების შეძენას. ამასგარდა, ფოსტით ყველა მღვდელს არ შეუძლიან წიგნის მიღება, რადგან ფოსტა ყველგან არ არსებობს და ფოსტა პასუხისმგებელიც არ იქნება, თუ წიგნი დაიკარგა.

სხვაგვარ გარემოებაში იქნება საბლაღოჩინო წიგნთ-საცავ-სამკითხველოები. უწინარეს ყოვლისა საბლაღოჩინო წიგნთ-საცავ-სამკითხველო ისეთი დაწესებულება კი არ არის, რომელიც შორსა დგას მკითხველებზედ, სადაც კომიტეტი და მმართველი ჯამაგირს იღებენ; ეს დაწესებულება ახლოა ყველა წევრთან. საბლაღოჩინო ყველა წევრის ინტერესი მჭიდროდ არის შეკავშირებული წიგნთ-საცავ-სამკითხველოსთან. წიგნებს და ჟურნალებს კომიტეტი-კი არ ირჩევს გამოსაწერად, რომელიც მოუცლელობისა გამო, იქნება არც-კი კითხულობს, ირჩევს ყველა წევრი, მთელი საბლაღოჩინო. წელიწადში არა ერთხელ და ორჯერ მოხდა ხოლმე საბლაღოჩინო კრება. ამ კრებაზედვე შეუძლიან გადასწყვიტოს სამღვდელოებამ, რომელი წიგნი და ჟურნალია მისთვის საჭირო. ესევე კრებანი გადასწყვეტენ, რა საშუალებით იწერონ საჭირო წიგნ-ჟურნალები, რავდენიც უნდა მოუმატონ საშუალება, ანუ დაუკლონ, - არავის ნებართვას საჭიროებენ. სამღვდელოების ხელშია წიგნთ-საცავ-სამკითხველოების წარმატებაც და მათი შემცირებაც. საშუალების მხრივ საბლაღოჩინო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დიდი უპირატესობა აქვს, ვიდრე არსებულ წესს, ესე იგი საეკლესიო წიგნთ-საცავებს. ეხლა ეკლესიები და მღვდლები ცალ-ცალკე იწერენ წიგნ-ჟურნალებს, თითო კრებული ცალკე სარგებლობს გამონაწერით. ასე არ იქნება საქმე საბლაღოჩინო წიგნთ-საცავ-სამკითხველოების არსებობის დროს. საჭირო არ იქნება ყველა ეკლესიამ, ყველა მღვდელმა, ყველა წიგნ-ჟურნალი გამოიწეროს: ერთი წიგნი, ერთი ჟურნალი ყველას ეყოფა. ეკლესიებს ხარჯი მოაკლდებათ, წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შეუძლიან გამოიწეროს ყველა სასულიერო ჟურნალები შეიძინოს კლასიკური თხზულებანი საღვთისმეტყველო მეცნიერებისა და თანდათან, საშუალების-დაგვარად, შეივსოს ახალ ავტორების ნაწარმოებით. ახალი ავტორების არჩევაც არ გაუძნელდება სამღვდელოებას: ყველა ჟურნალში იპოვება შინაარსი და კრიტიკული გარჩევა ახალი წიგნებისა, სამღვდელოებამ მარტო ის აირჩიოს, რაც მოეწონება. საბლაღოჩინო კრებაზე ყველა მღვდელს შეუძლიან გამოსთქვას, რომელი წიგნი მიაჩნია საჭიროდ ან ღირსად გამოწერისა. ასე და ამ გვარად, როდესაც ყველა წევრი ინტერესით მოეკიდება საქმეს, ყველასათვის საინტერესო და საყვარელ საქმედ გადაიქცევა საბლაღოჩინო წიგნთ-საცავ-სამკითხველო.

უპირველეს ყოვლისა, თუ სუყველა არა, სახლი და მმართველი მაინც მუქთი უნდა იყოს. მაგალითად, წიგნთ-საცავი შეიძლება მოთავსდეს ეკლესიაში - მის საკანდელაკოში (ризница), ან რომელისამე მღვდლის სახლში, მმართველად უნდა იყოს კრებულის რომელიმე წევრი. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ყველა საბლაღოჩინოში მოიპოვება მღვდელი, დიაკონი, ან მედავითნე, რომელიც თავის ნებით და სიყვარულით ემსახურება ამ საქმეს.

ამ გვარად საბლაღოჩინო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დიდი უპირატესობა აქვს საეპარქიო წიგნთ-საცავ-სამკითხველოზედ და სამაზრო ხომ შესადარებელიც არ არის. არც ისე ძნელია საბლაღოჩინო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსება. საჭიროა თანხმობით მოქმედება საეპარქიო მთავრობისა და სამღვდელოებისა; საჭიროა მხოლოდ მტკიცე სურვილი და შეგნება წიგნთ-საცავ-სამკითხველოს მნიშვნელობისაც და სარგებლობისა.

მეორე წიგნში მოთავსებულ სტატიის ავტორს მოჰყავს ინგლისის მეცნიერის ჯონმერტელის შემდეგი აზრი: „თუ ოდესმე შესაძლო იქნება ვთხოვო ზეცასა იმისთანა ნიჭი, რომელიც გამამხნევებდა ცხოვრებაში, გადამაქცევდა სიხარულის და ბედნიერების წყაროდ და ბოროტების ფარად, მთელს ჩემს სიცოცხლეში, - ვინც რა უნდა სთქვას, თუნდაც მთელმა ქვეყანამ შემიკრას შუბლი, - მე ვითხოვდი წიგნის კითხვის ხალისს. მიეცით ადამიანს კითხვის ხალისი, საშუალება მის დასაკმაყოფილებლად და თქვენ იმას გააბედნიერებთ უეჭველად.“ მართლაც-და, ვინ არ იცის, რა გამაცოცხლებელია, გამამხნევებელი გავლენა აქვს მაშვრალ ადამიანზედ შესაფერ წიგნის ან ჟურნალის წაკითხვას...

თვით ცხოვრება გზავნის სამღვდელოებას წიგნისაკენ, რომელიც სასტიკად ჰკიცხავს ადამიანს, ცხოვრების მოვლენათა გარეშე მაყურებლად მდგომარეს.

ამ ზემო აღნიშნულ ავტორების განმარტებას საჭირო არ არის ჩვენის მხრივ დავუმატოთ რამე. ვისაც ყურნი ასხიან სმენად, ისმენენ.

ეს ორი წელიწადია, რაც ერთმა ნაწილმა ქუთაისის სამღვდელოებისამ შეადგინა წესდება საბლაღოჩინო წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი. ეს წესდება განხილულ იქმნა ქუთაისის საბლაღოჩინო კრებაზედ და წარდგენილ ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის ლეონიდისადმი. ყოვლად სამღვდელო დიდის თანაგრძნობით მიეგება და გრძნობით აღსავსე მოწონების რეზოლიუცია დააწერა წესდებას. მაგრამ ამ საქმის განხორციელებას დიდი მეცადინეობა უნდა.

ერთი მღვდელთაგანი.

ივერია - 1903. – N196. – 14 სექტემბერი. - გვ.1.

ქუთაისის და მოწამეთის ტაძრების რესტავრაციის გამო

„ივერიის“ N169-ში დასტამბულია წერილი ქუთაისის ტაძრის რესტავრაციის შესახებ, რომელშიაც გაკვრით მოხსენებულია, ვითომც მოწამეთის ძველი ტაძარი ვიღაც მთხუპნავს დაუმახინჯებია. თუ ეს ცნობა შეეხება წინანდელ მხატვრობას, სწორედ რომ მართალია: ამ ორმოციოდე წლის წინად ვიღაც ბერძენსა თუ ნაბერძნალს ეკკლესიის კედლებზედ

ნაცნობი ბერები, გენერლები და გულგაღეღილი ქალები გამოეჭიმა. მნახველი ან იღიმებოდა ან ბრაზმორეული გარეთ გარბოდა, რომ მეორედ მოწამეთის ტაძარში ფეხი აღარ შეედგა. ის მხატვრობა მოიშალა ეპისკოპოზის ლეონიდის დროს და მხატვარმა ანდრეევმა გაამშვენიერა ეკკლესია. საქართველოს ეკკლესიის წმიდანები განსვენებულის საბინინის წიგნიდგან გადახატა. იქმნება მცოდნე კაცს არ მოეწონოს არც საბინინისა და არც ანდრეევის ხელოვნება, მაგრამ აქ სიტყვა „მთუთხნავი“ მაინც მოსატანი არ არის. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ მოწამეთის ეკკლესია არც ძველია და არც ნაშენობით არის თვალსაჩინო.

რაც შეეხება ქუთაისის ტაძრის რესტავრაციას, „ივერიაში“ დასტამბული ამბავი მართალია: ეკკლესიის დახატვა მიუნდვიათ ბატონ ნიშანიანისათვის...

ჭეშმარიტად სამწუხაროა, რომ ჩვენ ფრიად ცოტა დახელოვნებული მხატვრები გვყავს და თუ გვყავს, ისინიც საეკკლესიო მხატვრობას არ ეტანებიან, ასე რომ იძულებულნი ვართ ჩვენის ეკკლესიის გამშვენიერება მივანდოთ უცხოელსა (ბატონი ნიშანიანი ოსმალელია), არა-მართლმადიდებელს, რომელსაც ქართულის მხატვრობისა და გემოვნებისა არა გაეგება რა.

ქუთათური.

ივერია - 1903. – N198. – 17 სექტემბერი. - გვ. 2.

კიდევ ქუთაისის ტაძრის რესტავრაციის გამო

(წერილი ქუთაისიდან)

ამ ზაფხულს სააგარაკოდ ვიყავ წასული და გაზეთები არ მითვალიერებია. დავბრუნდი თუ არა ქუთაისში, დავუწყე თვალიერება ქართულს გაზეთებს და სხვათა შორის „ივერიის“ N169-ში შემხვდა წერილი „ქუთაისის ტაძრის რესტავრაცია.“ ხალისიანად დავიწყე კითხვა, მეგონა საყურადღებო იქმნებოდა, მაგრამ, ორიოდე სტრიქონის ჩაკითხვის შემდეგ, დავრწმუნდი, რომ ავტორი ტყუილს უფრო ამბობდა, ვიდრე მართალს. მართალია მხოლოდ ის, რომ იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო ლეონიდის გულითადი სურვილი იყო ბატონ მრევლიშვილისათვის მიეცა მოხატვა ქუთაისის ტაძრისა. სწორედ ამის გამო, მრავალ ნაცნობ მხატვართა შორის მარტო იგი მიიწვია ქუთაისში თავის საკუთარის ხარჯით ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად. ყოველივე დანარჩენი კორესპონდენტის წერილში მოკლებულია სიმართლეს და უფრო ზღაპარსა ჰგავს, ვიდრე მართალს ამბავსა.

ყველაზე მეტად საწყენია კორესპონდენტის აზრი მოწამეთის მონასტრის გამშვენების შესახებ. „ვიღაც უბრალო მთხუპნავისათვის მიუციათ ეს მძიმე საქმე და ძველი ტაძარი სრულიად დაუმახინჯებიაო,“ - მოსთქვამს ვითომდა საქმისათვის გულშემატკივარი კორესპონდენტი.

ნეტავი ვიცოდეთ, რომელ ისტორიულ საბუთების ძალით უწოდებს კორესპონდენტი მოწამეთის ეკკლესიას ძველს ტაძარს? უნახავს-კია თავის თვალით მოწამეთის წინანდელი მხატვრობა? ხოლო თუ უნახავს, უკითხავს ვისთვისმე, როდის და ვინ მოჰხატა ეს ეკკლესია?

წერილის დამწერისა რა მოგახსენოთ და აქ-კი ყველა შეგნებულმა იცის, რომ მოწამეთის მახინჯი, ყოვლად უვარგისი და ჩვენის ეროვნების დამამცირებელი მხატვრობა არავითარს სიძველეს არ წარმოადგენდა. საკმაოა გავიხსენოთ, რომ ამ აკკლესიის დასავლეთ კედელზე გადაღებული იყო სახე იმ დროინდელ მაღალ-ხარისხოვანთა, გენერალთა და მათთა თანამეცხედრეთა. ყველანი შარავანდედ-მოსილნი იყვნენ, ვითა წმინდანები.

აი რა სიძველეს მისტირის დრკუ კორესპონდენტი!

ახლა იკითხეთ, ბატონო, ვინ იყო ის გამოჩენილი მხატვარი? ის იყო გადმოსახლებული ბერძენი, რომელსაც საოცრად უსარგებლია ჩვენის ბერების გონება-დახშულობით და სწორედ რომ შეუბღალავს და შეუგინებია ყოველი ჩვენი წმინდანი. მაგალითად, დავით აღმაშენებელის სურათი წარმოადგენდა ტფილისელ მეზაფრანე სპარსის მზგავსებას, ხოლო წმიდა ნინო - ყავახანის დედაკაცსა. ეს რად გინდათ. ძველი კანკელი ახლაც შენახულია. გაშინჯონ ეს მხატვრობა მცოდნე კაცებმა და ვნახოთ, რას იტყვიან კორესპონდენტის მსჯელობის შესახებ.

ახლანდელი მხატვრობა-კი მოწამეთაში ანდრეევის ხელობაა და როგორი მოთხუპნულია იგი, შეგიძლიანთ გაიგოთ იმათგან, ვისაც უნახავს მისი ნამუშევარი შიო-მღვიმის მონასტერში. ჩვენის წმინდანების სახენი უმეტ-ნაკლებოდ არის გადაღებული საბინინის წიგნიდან. მაგრამ შეიძლება კორესპონდენტი ამ მხატვრობასაც სდებდეს წუნს. ვინ იცის, კაცია და გუნებაო!

რაიცა შეეხება იმ გარემოებას, რომ ქუთაისის ტაძრის მოხატვა მიეცა არა ქართველს, არა-მართლმადიდებელს, არამედ სრულიად უცხო კაცს, ეგ რასაკვირველია სამწუხაროა, მაგრამ რას იზამთ, რომ ქართველობაში ასე ნაკლებად არიან სპეციალისტები და სხვა-და-სხვა ხელოვნების დარგის ზედ-მიწევნით მცოდნენი?! არამც თუ საეკკლესიო მხატვრობა არ არის ჩვენ შორის განვითარებული, არამედ ბევრ სხვა ხელოვნებაშიაც ვკოჭლობთ და კარგი ხელოსნობაც-კი გვიჭირს.

ვითომ და ქართველობისათვის გულ-შემატკივარი კორესპონდენტი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სხვაზე მეტად იმას არ შესტკივა გული თავის ქვეყნისათვის. სამშობლოს სიყვარულს პრივილეგიათ მარტო ის ვერ გაიხდის.

ძველის-მოყვარული.

ივერია - 1903. – N210. – 3 ოქტომბერი. - გვ.2-3.

სად. აბაშა (სამეგრელო) – 28 სეკდემბერი. ამას წინად „ცნობის ფურცელის“ კორესპონდენტი იწერებოდა აბაშიდგან, ახლო-მახლო სოფლებში გაცხარებული მიწის მიჯვნაო, გლეხნი და აზნაურნი მიწის მზომელს დასდევენ კუდშიო, რათა მათი საკუთრება სხვამ არ დაიმიჯნოსო. შემდეგ განაგრძობს, აბაშა მოქეიფეთა ბუდეაო და იქაურ ყმაწვილებს დაფა, ზურნა-დუდუკი და ფაეტონით „კატაობის“ მეტი არაფერი ახსოვთო. დასასრულ გვაცნობებს. სოფლის ხალხს უთავბოლო ხარჯები ქორწინება-ტირილის დროს ღუპავსო და, საბედნიეროდ, ამ ბოლო დროს ბევრმა შეიგნო მავნებლობა ძველის ჩვეულობისა და ამიტომ ზოგი ამესამედებს ხარჯს, და ზოგი სულაცა სპობსო. მაგალითიც იქვე მოჰყავს. ერთი აზნაური გარდაიცვალა. ჭირისუფალმა მეზობლები და

ნათესავები მოიწვია. მღვდელს აწირვია და მიცვალებული დაასაფლავა, ასე რომ არც წასაბურავი ჰქონია და არც სასმელ-საჭმელი ხალხისთვისო, რის გამო ვითომც ესეთი წესი ბევრს სწყენოდეს და კიდეც გარდაეწყვიტოთ, ამიერიდგან ჭირისუფალს აღარ მიეკარონ არც ჭირში და არც ლხინშიო. წერილის ავტორი დასძენს, ვითომც ასეთი ტირილი მიცვალებულისა ჩვენში პირველი მაგალითი იყოს.

ეს ყოველივე სიმართლეს მოკლებულია.

გაცხარებული მიწის მიჯვნა კვათანის საზოგადოებასა და მის ახლო-მახლო, წელს-კი არა, ამ სამის წლის წინად იყო. წელსაც არის მიწის მიჯვნა, მაგრამ მიწის მზომელს თან არავინ დასდევს. ყველა დარწმუნდა, რომ უსაფუძვლოდ სხვის ადგილის დაჩემება ხარჯის მეტს სარგებლობას არავის მოუტანს და ყველა თავ-თავის საქმეს ადგია. როცა რიგი მივა რომელსამე მამულზე, მისი პატრონი მხოლოდ მაშინ გამოცხადდება და თავის მამულს იმიჯნავს.

დაფა, ზურნა-დუდუკი აბაშაში სანთლით საძებნელია და მოქეიფე ძმა-ბიჭებს აქ, არათუ ყოველდღე, წელიწადში ორჯერ თუ ნახავს კაცი. ვისა სცალიან ეხლანდელ დროში საქეიფოდ და ისიც ყოველ დღე? ან სად არის შეძლება და საქეიფო ადგილი აბაშაში? აქ ორიოდე სამიკიტნოა და თუ იქ ვინმემ სადილი სჭამა და ხანდისხან ერთხელ „ოდელია რანუნი“ იმღერა, ნუთუ ეს საძრახისი დროის გატარებაა?!

რაც შეეხება იმას, რომ ხარჯები ქორწინება-ტირილის დროს ჩვენს ხალხს ღუპავსო და, საბედნიეროდ, ამ ბოლო დროს ბევრმა შეიგნო მავნებლობა ამ ძველის ჩვეულებისაო, - ამას-კი ჭეშმარიტად მართალს ამბობს. ხოლო ის კი სიმართლეს მოკლებულია, ვითომც იმ აზნაურიშვილს, რომელსაც აქ ამას წინად შვილი გარდაეცვალა და მიცვალებული, თანახმად ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზ ლეონიდეს მიერ ნათქვამ სიტყვისა, უზაროდ და უზეიმოდ დაასაფლავა, ამისთვის ვინმე დანდურებოდეს? ან-კი ბრიყვის მეტი ვინ დაენდურებოდა. ასეთის წესით მიცვალებულის დასაფლავება ჩვენში პირველი არ არის, როგორც კორესპონდენტი ბრძანებს. ეტყობა ზემოთ ნათქვამი თავისივე სიტყვები დავიწყებია: - „ხოლო „საბედნიეროდ“ ამ ბოლო დროს ბევრმა შეიგნო მავნებლობა ძველი წესისა და ეხლა ამესამედებს ხარჯსაო, ბევრი სულაც სპობსო.“

ვ. მ-ლია.

ივერია - 1903. – N212. – 5 ოქტომბერი. - გვ.2.

რაჭის სამღვდელოება ჭელიშის მონასტერში

თხუთმეტი სეკტემბერი ჭელიშის მონასტრისათვის ბედნიერი დღე იყო. ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის ლეონიდის წინადადებით ამ დღეს ჭელიშის მონასტერში შეიკრიბნენ რაჭის სამღვდელოების წარმომადგენელნი. კრების წინ მათმა მეუფებამ წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, რომელშიაც სისტემატიურად აუხსნა დამსწრე სამღვდელოებას აწინდელი მისი უფერული მდგომარეობა და უჩვენა საღსარი ამ მდგომარეობის გაუმჯობესებისა.

ყველასათვის ცხადიაო, ბრძანა მღვდელმთავარმა, თუ როგორ დაეცა ხალხში ქრისტეს სარწმუნოება და დაქვეითდა ჩვენი საღვთისმეტყველო ლიტერატურა. მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა ვართ ისევ ჩვენ, ვინაიდგან გულგრილად ვუყურებთ ხალხის

განათლების საქმეს და მით ჩამოვრჩენილვართ უკან რუსეთის სამღვდელოებას, რომელმაც იაფ-ფასიანი ქრისტიანულ-ზნეობრივი შინაარსის წიგნაკების გამოცემით და უსასყიდლოდ ხალხში გავრცელებით განამტკიცა რუსის გულში ქრისტეს სარწმუნოება, - ხოლო ამავე სამღვდელოების საუკეთესო წარმომადგენლებმა დაუღალავის შრომით აღაყვავეს სამშობლო ენაზედ საღვთისმეტყველო ლიტერატურა. ჩვენი ქართველი სამღვდელოება, რომელსაც ბედმა არგუნა რუსეთის სამღვდელოებასთან ერთად მხარდამხარ მოქმედება და განვითარება, ვალდებულია მიბაძოს მის მაგალითს და იმავე გზით და საშუალებით ეცადოს განანათლოს სამწყსო, აღუნთოს გულში ნამდვილი ლამპარი ქრისტეს სწავლა-მეცნიერებისა და მით პირნათლად შეასრულოს თავისი დანიშნულება და მოვალეობა. ამ აზრის განსახორციელებლად საჭიროა დაახლოვებით გავიცნოთ რუსული სასულიერო ლიტერატურა, გავხსნათ უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოები ჩვენისავე ხარჯით, ვბეჭდოთ პატარა წიგნაკებათ ცხოვრება წმიდა მამათა და მოწამეთა ხალხში გასავრცელებლად, - ხოლო ეკკლესიის კათედრიდგან წარმოთქმულ ცხოველ სიტყვით თვალ-საჩინოდ დავანახოთ ხალხს მისი ღირსება და ნაკლულევანებაო.

მღვდელმთავრის წინადადებას დიდის თანაგრძნობით მიეგება რაჭის სამღვდელოება და დაადგინა გახსნას ერთი წიგნთ-საცავ-სამკითხველო საშუალო ადგილას, რომლის სისრულეში მოსაყვანად უნდა გაიღოს კრებულმა თითო თუმანი, ესე იგი მთელის რაჭის სამღვდელოებამ არა ნაკლებ რვაასის მანეთისა წელიწადში. ხოლო ქადაგების საქმის გასაუმჯობესებლად არჩეულ იქმნა კომისია, რომელმაც წინდაწინვე უნდა მიაწოდოს სამღვდელოებას ის თემები, რაზედაც უნდა წარმოსთქვას სიტყვა, ხელნაწერი სიტყვები უნდა დაუბრუნდეს კომისიას, რომლის შემოწმების შემდეგ წარმოითქმებიან თვით ეკლესიაში.

ამნაირად რაჭის სამღვდელოება ფაქტიურად შეუდგა დღეს თავის მოწოდების საქმეს და მზად არის განაქარვოს ის ცრუ აზრი ახალ მოდის ნასწავლთა, რომელნიც ხორცმეტად სთვლიან თანამედროვე სამღვდელოებას.

სხვაგან რაც უნდათ ის სთქვან, ხოლო ჩვენი ქართველი სამღვდელოება იმ თავითვე სამაგალითო იყო საზოგადო სამსახურის ყოველს სფეროში და ვიმედოვნებთ, რომ იგი არც დღეს უღალატებს იმ ტრადიციებს, რომლებიც გადმოსცემია სახელოვან წინაპართაგან!!!

ისეთი წიგნთ-საცავ-სამკითხველო და მქადაგებელთა კომისია, როგორიც რაჭაში დაარსდა დღეს, დაუარსებია შორაპნის სამღვდელოებას. ჩვენი აზრია იაფ-ფასიანი წიგნაკების განსახილველად და საბეჭდავათ მთელი სამღვდელოებისათვის დაარსდეს ერთი კომისია, რომელიც განიხილავს სამაზრო კომისიების ნამოქმედარს და შემდეგ გამოსცემს ან გაზეთად ან ცალკე წიგნებად. ეს შეერთებული ძალა აუცილებლად საჭიროა საქმის მტკიცე ნიადაგზე დაყენებისათვის. ამ გზით გამსჭვალული რაჭის სამღვდელოება, როგორც ერთ უღელ-ქვეშ მყოფი, თანაგრძნობის ხელს უწვდის შორაპნის სამღვდელოებას იმ იმედით და რწმენით, რომ მისთვისაც სასიამოვნო იქნება ერთად მოქმედება ამ ნამდვილ, დროს შესაფერ საქმეში. რაც შეეხება იმ ადგილს, სადაც უნდა იმოქმედოს შეერთებულმა კომისიამ, ამაზედ შემდეგში გამოვსთქვამთ ჩვენს აზრს.

მღვდელი სიმონ ჭელიძე.

ივერია - 1903. – N217. – 11 ოქტომბერი. - გვ.1.

ახალი ამბავი: ტფილისი - ამ სამის წლის წინად ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის კირიონის თაოსნობით უწმინდეს სინოდს მოხსენდა აზრი რუსეთის სასულიერო აკადემიაში საქართველოს საეკლესიო ისტორიის და არხეოლოგიის შესწავლისათვის კათედრის დაარსებისა. რავდენადაც გვახსოვს, ამ მოხსენებაზედ ხელი უწერიათ ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსებს - გურია-სამეგრელოსას ალექსანდრეს, იმერეთისას ლეონიდს და კირიონს. დღეს ნამდვილად შევიტყეთ, რომ კისლოვოდსკიდამ მიტროპოლიტის ანტონის წინადადებით, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის საბჭოს უკვე დაუარსებია აღმოსავლეთის ეკლესიის ისტორიის კათედრა და მასთან საქართველოს ეკკლესიის ისტორიისაც. პროფესორიც უკვე დასახელებულიაო.

ივერია - 1903. – N256. – 30 ნოემბერი. - გვ.1-2.

ახალი ამბავი: ტფილისი, 30 ნოემბერი. - დღეს, როდესაც საქართველოს ეკლესია თაყვანსა სცემს სახელს წმიდა ანდრია პირველ-წოდებულისას, რომელმაც სხვათა შორის, დასავლეთ საქართველოსაც მოჰფინა სახარების მოძღვრების ცხოველმყოფელი სხივები, საჭიროდ მიგვაჩნია ვთქვათ ორიოდე სიტყვა მოციქულთა მიმბაძავის ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს შესახებაც...

ოფიციალური სამღვდელმთავრო მსახურება ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრესი საქართველოს ეკლესიის სასარგებლოდ უკვე დასრულდა. დღეის შემდეგ ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე, ეს მხცოვანი და მადლით მოსილი იერარქი საქართველოს ეკლესიისა იცხოვრებს თავის მიერ განახლებულს წმიდა შიოს მყუდრო მონასტერში, რომლის ზღუდეთა შორის ასე უყვარდა ყოფნა და ლოცვა და ვედრება ღვთისა.

ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სამურზაყანო, გამაჰმადიანებული საქართველო და აფხაზეთი, ერთის სიტყვით, მთელი ძველი ისტორიული საქართველო იცნობს ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს და მისი სახელის მიმართ ღრმა პატივისცემის გრძნობით გამსჭვალულია.

ყაზანის სასულიერო აკადემიაში კურსის დამთავრების შემდეგ 1850 წელს, ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე მთელი ორმოცდაცამეტის წლის განმავლობაში იღვწვის თვისის მშობლიურის ეკკლესიისათვის? იღწვის, ასულდგმულებს, ყოველგვარს დახმარებას უწევს ამ ეკკლესიას, გული სტკივა მისთვის. ქართული ტაძარი, ქართული წირვა-ლოცვა, ქართული მოძღვრება, ქართული საეკლესიო გალობა, ქართული სასულიერო მწერლობის განვითარება, ქართველის ერის გულში მშობლიურ სიწმინდეთა მიმართ მხურვალე სიყვარულის გაღვიძება და ღრმად ჩანერგვა - აი საგანი, რომელსაც მხურვალედ ემსახურებოდა ღვთივგაბრძნობილი მწყემსთ-მთავარი. სამშობლოსა და ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს შორის გაბმული იყო სიყვარულის და თანაგრძნობის ძაფი. უუხუცესი მწყემს-მთავარი ჰფიქრობდა, სუნთქავდა, მოძრაობდა, სცოცხლობდა და იღვწოდა სამშობლოსთვის, ისე როგორც ქრისტე ჰზრუნავდა თვისის ხორციელის სამშობლოსა და ღვიძლის ერისათვის. „გზას წარმართთასა ნუ მიხვალთ, უბრძანა მან თვისთა მოწაფეთა, როცა გაჰგზავნა საქადაგებლად, - და ქალაქსა სამარიტელთასა ნუ შეხვალთ, არამედ მივედით უფროს ხოლო ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა

ისრაელისათა.“ (მათე: 10,5-6). თუ რა რიგ სწყუროდა იესოს აღყვავება თვისის ხორციელის სამშობლოსი და მშობელ ერის აღდგენა და წარმატება, სჩანს შემდეგ მის სიტყვებიდანაც: „იერუსალიმ! იერუსალიმ! რაოდენ გზის ვინებე შეკრება შვილთა შენთა, ვითარცა სახედ შეიკრიბნის მფრინველმან მართვენი თვისნი ქვეშე ფრთეთა თვისთა, და არა ინებეა?!“ (მათე: 23,37).

ნურავინ იფიქრებს, რომ სასულიერო წოდების კაცნი არ არიან ვალდებულნი სამშობლოს წარმატებას ემსახურონ. უამისოდ მათი სამსახური განყენებულია, ჰაერზეა დაკიდული. - ერის არსებაში, მის სულსა და გულში არა აქვს მოპოებული ნიადაგი. სამშობლოს სულიერი წარმატებისათვის სამსახური მოითხოვს, რომ მოღვაწემ იცოდეს ზედ-მიწევნით მშობლიური ენა, უყვარდეს მშობლიური მწერლობა, ქირდვით არ ეპყრობოდეს ყოველსავე, რასაც მშობლიური ბეჭედი აზის, თანაუგრძნობდეს მოძმე ერის საუკეთესო და კანონიერს მისწრაფებას... უამისოდ სასულიერო მოღვაწისა და სამწყსოს შორის დიდი უფსკრული გაჩნდება და ის ჭეშმარიტი მწყემსის მსგავსი არ იქნება, არამედ ემსგავსება სასყიდლით დადგინებულს, რომელმაც „იხილის რა მგელი მომავალი, დაუტევნის ცხოვარნი და ივლტინ; და მგელმან წარიტაცნის იგინი და განიბნინის ცხოვარნი.“ (იოანე: 10,12).

დღეს, როდესაც ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ სამსახურს თავი დაანება, ზნეობრივს მოვალეობად ვთვლით ჩვენის გულის და სულის სიღრმიდამ ვუძღვნათ მათს მეუფებას მხურვალე მადლობა ყოვლისა მისთვის, რაც მან იღვაწა ჩვენის ქვეყნისათვის, რომელსაც ნაკლებად ჰყავს უანგარო მოღვაწენი. შემკული და გამსჭვალული ცხოველის სარწმუნოებით, რომელიც თვინიერ საქმეთა მკვდარ არს. მათი მეუფება უხვად ჰფენდა თვისის ქველმოქმედების მადლს საქართველოს ყოველს კუთხეს, ამიერ-იმერეთში. ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩვენ თვალთწინ ინგრეოდა და იბღალებოდა, თითქმის ისპობოდა სხვათა შორის ისეთნი შესანიშნავნი ტაძარ-მონასტერნიც, რომელნიც ძველად განათლების შუქს ჰფენდნენ საქართველოს არე-მარეს; თვით ნანგრევნი მათნი იდუმალად ჰგლოვობდნენ თავის აოხრებას, უმწეობას, უპატრონობას და თანაც თითქოს დასტიროდნენ ქართველთა გულ-გრილობას მშობლიურ სიძველეთა მიმართ. ჰკითხეთ დღეს წმიდა შიო მღვიმელის, იოანე ზედაძნელის, წმიდა ჯვრისა, დავით გარეჯელის მონასტრებს და სხვა ძველს ნაშთებს ქართულის ხუროთ-მოძღვრებისას, ვინ იზრუნა მათთვის, ვინ აღადგინა, ვინ განაახლა, ვინ არ დაზოგა მათთვის შრომა-ღვაწლი და თვისი ქონება?! ისინი გეტყვიან და მოგითხრობენ, რა ღვაწლი, რა ამაგი დასდო ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ.

დიდი ფული დახარჯა მათმა მეუფებამ ქართულ საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღებისათვის და მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებთა დასაბეჭდად. საბა სულხან-ორბელიანის „ლექსიკონი,“ ანტონ კათოლიკოზის „მზა-მეტყველება,“ მისივე „სწორ-მეტყველება,“ ამბროსი ნეკრესელის „მოძღვრებანი,“ წმიდა შიოს მონასტრის გუჯრები და მრავალი სხვა ხელთ-ნაწერი დაიბეჭდა ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს საფასით. საეკლესიო სიძველეთ-საცავს მათმა მეუფებამ შესწირა 2.200 მანეთი ძველ-საყურადღებო ქართული ხელნაწერების დასაბეჭდად. 21.000 მანეთი მათმა მეუფებამ წმიდა შიოს მონასტერს შესწირა, ამავე მონასტერში თვისის ძმისწულის იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის მხურვალე დახმარებით განაახლა ქართულს გემოვნებაზე ღირსის მამის შიოს საფლავზე აღშენებული ძველი ტაძარი. 11.700 მანეთი ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ შესწირა წმიდა იოანე ზედაძნელის მონასტერს.

რამდენს ახალგაზრდა ქართველს, განათლების მოსურნეს, აღმოუჩინა მათმა მეუფებამ ნივთიერი დახმარება და მისცა საღსარი სწავლის შეძენისა?! ტფილისის სასულიერო სემინარიასა და საეპარქიო დედათა სასწავლებელში მათმა მეუფებამ სტიპენდიები დააარსა. ან-კი ვინ ჩამოთვლის მათის მეუფების შეწირულებას სხვა-და-სხვა საქველმოქმედო საქმისათვის?!. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მათს მეუფებას ამ მხრივ მეცხრამეტე საუკუნეში ვერც ერთი ქართველი მღვდელთ-მთავარი ვერ შეედრება.

ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს მოკლე, მაგრამ გრძნობიერი სიტყვები, სხვა-და-სხვა დროს წარმოთქმული, მეტად საგულისხმოა. მათს მეუფებას მრავალ-სიტყვაობა არ უყვარდა, მოკლედ მოსჭრიდა აზრსა, და ცხად-ჰყოფდა მსმენელთათვის. პირმოთნეობა, გველაძუობა, ქვეშქვეშობა, უსაბუთო ქედის მოხრა მათს მეუფებას სძულდა... ძე ქართლის შუაგულისა, ქართველის დედის ძუძუთი აღზრდილი, ყოვლად-სამღვდელო გულახდილი და პირდაპირია... ეს დიდი ღირსებაა ადამიანისა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დუმილი, ხმის ამოუღებლობა საზოგადო ინტერესებს არსებითად ჰვნებს...

დღეს მათს მეუფებას, ჩვენს საყვარელს მწყემს-მთავარს, შეუძლიან გაითვალისწინოს დამშვიდებით მთელი თვისი ხანგრძლივი სიცოცხლე, შემკული და დაგვირგვინებული მისის სახელის უკვდავ-მყოფელის სახელოვანის საქმეებით. შეუძლიან დანარჩენი დღენი თვისის სიცოცხლისა მყუდროებით და სიმშვიდით განატაროს მონასტრის ზღუდეთა შორის... სვინიდისი, ეს მოუსყიდველი მსაჯული, არ დაუწყებს ქენჯნას მის სულსა, არ დააყვედრებს უმოქმედობას, უქმად ყოფნას, ცხოვრების გზის განვლას კვალის აღუბეჭდავად. დარწმუნებული ვართ, რომ თავის საყვარელს სამშობლოს სულკურთხეული მღვდელ-მთავარი არც დღეის შემდეგ დაივიწყებს თვისთა ლოცვათა ჟამს და ხშირად შესთხოვს მაცხოვარს, რომ მის წმიდა დედის ხვედრს საქართველოს არ მოაკლოს აწმყოსა და მომავალში უანგარო და გულშემატკივარნი მოღვაწენი... მტკიცენი ხასიათით, მდიდარნი ცოდნით, სპეტაკნი ზნეობით, განთქმულნი ნამდვილ ადამიანობით, ცნობილნი ჭეშმარიტის ქართველობით...

ივერია - 1903. – N268. - 16 დეკემბერი. - გვ.2.

ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს წაბრძანება შიო-მღვიმის მონასტერში

როგორც „ივერიამ“ აუწყა მკითხველთ, 30 ნოემბერს ყოვლად-სამღვდელო გურია სამეგრელოს ეპისკოპოზი ალექსანდრე გამოეთხოვა თავისს საყვარელს სამწყსოს. პატივის-მცემლებმა მხცოვანს მღვდელ-მთავარს გამოსათხოვარი სადილი გაუმართეს, სადილზედ მრავალ-მგრძნობიერი სიტყვები წარმოითქვა. იმავ ღამეს, როდესაც უნდა გამომგზავრებულიყო მათი მეუფება, ფოთის რკინის გზის სადგურზედ დიდ-ძალი ხალხი შეკრებილიყო; ყველას სურდა უკანასკნელად კიდევ ეხილნა თვისი ძვირფასი მღვდელ-მთავარი და ლოცვა-კურთხევა მიეღო მისგან. ყოვლად-სამღვდელომ დალოცა ყველანი და გულდაწყვეტილი გამოეთხოვა სამწყსოს. ღამის თორმეტ საათზედ დაიძრა მატარებელი, მოაშორა უძვირფასესი მეუფე ფოთსა და დასტოვა გულ-დათუთქული საზოგადოება.

სადგურ სამტრედიაში მათ მეუფებას შეეგება იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდი და აქედამ ერთად განაგრძეს მგზავრობა აღმოსავლეთ საქართველოსკენ. გორის რკინის გზის

სადგურზედ მიეგებნენ მათ მეუფებას გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწე მ. პიროსი და გორის სამღვდელოება.

შიო-მღვიმელის „პლატფორმაზე“ ყოვლად-სამღვდელოს შეეგებნენ უდაბნოს მამები და აქედამ იგი წაბრძანდა ურმით. შუა დღის ორ საათზედ მიბრძანდა უდაბნოში, ეკკლესიის კარებთან მათ მეუფებას მიეგებნენ მამანი ჯვრითა და წმიდა აიაზმით. შებრძანდა ეკკლესიაში და ღირსი მამა შიოს პარაკლისი გადაიხადა.

პარაკლისის შემდეგ ჯვარი გადასახა მამებს და მოკლე, მაგრამ მგრძნობიარე სიტყვით მიჰმართა.

აი დაახლოვებით რა ბრძანა მღვდელ-მთავარმა:

„მე განგებამან ღვთისამან მარგუნა ეს უდაბნო და შეწევნითა ღვთისათა და ღირსისა მამისა შიოსითა შევუდეგ მე ამ უდაბნოს გამშვენიერებას. მახსოვს მე ის დრო, როცა ამ უდაბნოში ერთი ბერისა და მორჩილის მეტი არავინ იყო და არც შესაძლებელი იყო, რომ მეტი ყოფილიყო, რადგან საცხოვრებელი ბინა არ ჰქონდათ და, მადლობა ღმერთს, დღეს იმას მოვესწარ, რასაც თქვენ თვითონ ჰხედავთ: მე მსურდა მღირსებოდა აი აქ ცხოვრება და ღმერთმაც ასე ინება. ის კაცი შესაბრალისია, ვინც სახლს ააშენებს და შიგ დაბინავებას ვერ მოასწრებს. მე ბედნიერად ვსთვლი ჩემ თავს პირველად იმიტომ, რომ ასე თუ ისე მოვაგვარე ამ წმინდა მამის საფლავი, მეორედ მით, რომ თქვენა გხედავთ ჩემთან და, მესამედ ვეღირსები, ჩემი უკანასკნელი დღენი ამ წმიდა უდაბნოს ზღუდეში განვლიო.“

შემდეგ აკურთხა ყველანი და გაემართა თავისს საცხოვრებელ სენაკში.

ვ. ს.

ივერია – 1904. – N37. – 13 თებერვალი. – გვ.3.

რიონ გაღმის კუთხე

-

ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის მობრძანება

ორ თებერვალს, საღამოს, მობრძანდა ტობანიერში ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსი იმერეთისა ლეონიდი კრებულითურთ. სამს და ხუთს თებერვალს აკურთხა მუხაყურის საზოგადოებაში ორი ეკლესია; პირველი წმიდა კვირიკეს და ივლიტას სახელზედ და მეორე - ღვთისმშობლის სახელზედ. ხუთს ამ თვეს, საღამოს, წაბრძანდა მისი მეუფება სამტრედიაში.

ვლადო ბზვანელი.

ივერია – 1904. – N44. – 20 თებერვალი. – გვ.2.

ტფილისი

როგორც ნამდვილად შევიტყეთ, იმერეთის ეპარქიის თავად-აზნაურობის სამღვდელოებისა და საზოგადოდ მკვიდრთა წარმომადგენლებს განუზრახავთ მათის მეუფების იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის ხსენებულს ეპარქიაში

სარწმუნოების და ეკკლესიის სასარგებლოდ საკეთილო მოღვაწეობა რაიმე კეთილის საქმით აღნიშნონ. მათმა მეუფებამ მთელი თვისი ვრცელი ეპარქია, სხვა-და-სხვა დაბრკოლებათა მიუხედავად, მოკლე დროში ფეხდაფეხ დაიარა, - ბევრგან დააარსა საეკლესიო სკოლები და ახალ ტაძრების აღშენება შთააგონა სამწყსოს, ყველგან საღმრთო სიტყვა იქადაგა და მით განამტკიცა სარწმუნოება და ზნეობა ერში, რაც ძლიერ საჭიროა ჩვენს ეჭვით აღსავსე საუკუნეში.

ივერია - 1904. – N110. – 11 მაისი. - გვ.2.

საქართველოს საეკლესიო ისტორია
პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში

ყოვლად სამღვდელო კირიონმა, ეპისკოპოსმა ორიოლისამ, მოსვლისთანავე პეტერბურგში ინახულა, როგორც მიტროპოლიტები და წევრნი უწმინდესის სინოდისა, აგრეთვე ზოგიერთი პროფესორები, რომლებთანაც ჰქონდა მიწერ–მოწერა. სხვათა შორის ჰნახა ი. ი. სოკოლოვი, პროფესორი აქაურის სასულიერო აკადემიისა. ეს პროფესორი იმ კათედრის პროფესორია, რომელიც დააარსდა აკადემიაში საქართველოს მღვდელ–მთავრების: ალექსანდრესი, ბესარიონისა, ლეონიდისა და კირიონის შუამდგომლობის შემდეგ. შუამდგომლობა იყო აღძრული 1900 წელს. საგანი შუამდგომლობისა ყველამ კარგად იცის, რადგანაც ამ საგნის შესახებ თავისს დროზედ საკმარისად იყო დაწერილი ჟურნალ–გაზეთებში. სამწუხაროდ, საქართველოს საეკკლესიო ისტორიის კათედრის მაგიერად სხვა–და–სხვა მოსაზრებით, დააარსეს კათედრა ბიზანტიის საეკლესიო ისტორიისა, შემდეგ განყოფისა აღმოსავლეთის და დასავლეთის ეკკლესიათა, ესე იგი თითქმის იმ დროიდგან, როდესაც რუსეთმა მიიღო ქრისტეანობა. თუმცა პირდაპირი დანიშნულება ამ ახალის კათედრისა არის ისტორია საბერძნეთის ეკკლესიისა, მაგრამ თანახმად მიტროპოლიტის ანტონის რეზოლიუციისა, უნდა იქმნეს მიქცეული ჯეროვანი ყურადღება საქართველოს საეკკლესიო ისტორიასაც. ამ აზრით ახალგაზრდა პროფესორი ი. ი. სოკოლოვი შესდგომია ქართულის ენის შესწავლას და საკვლაოდ აპირობს საქართველოში გამომგზავრებას, რომ ადგილობრივ შეისწავლოს ჩვენის ეკკლესიის სიძველენი. ყოვლად სამღვდელო კირიონს სთხოვა დახმარება ამ საქმეში და აგრეთვე ყველა საქართველოს საეკკლესიო მასალების შეგროვება და გამოგზავნა აქაურ სასულიერო ბიბლიოთეკაში. აგრეთვე პროფესორმა გამოაცხადა თვისი სურვილი, რომ ამას შემდეგ საქართველოს სემინარიებიდან აქაურ აკადემიაში წამოვიდნენ ხოლმე სწავლის დასამთავრებლად ქართველებიო. დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ახალგაზრდა სემინარიელები, მუდამ სამშობლო ისტორიის მოყვარულნი, იკისვრენ აქეთ გამომგზავრებას და საქართველოს ისტორიის შესწავლას.

მღვდელ–მონაზონი ტარასი.

ივერია - 1904. – N174. – 29 ივლისი. - გვ.2-3.

გელათის მონასტერში
25 ივლისს.

გულმა ვეღარ მომითმინა, როდესაც გელათის მონასტრის გაძარცვა გავიგე და დავაპირე ჩვენის დამცვირებულ სიწმინდის სანახავად წავსულიყავ, მით უმეტეს, რომ გატანილ ნივთების შესახებ ერთმანეთის წინააღმდეგი ცნობები მოდიოდა. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას.

აი რა მიამბეს გელათის ბერებმა მონასტრის უმთავრეს ტაძრის გაძარცვის შესახებ: ორშაბათს, 19 ივლისს, საღამოს ასე 4 საათზე, როდესაც საღამოს ლოცვა დგებოდა, შემოვიდა ტაძარში ერთი ყმაწვილი, იყიდა სანთელი, დაანთო ერთ-ერთი ხატის წინ, და რა დაინახა, რომ ეკლესიაში სულ 10-მდე კაცი იქმნებოდა მხოლოდ, რომელთაგან ერის კაცთაგანი მხოლოდ ორი მოხუცი იყო, [საღამოობით საზოგადოდ გარეშე მოსიარულენი ცოტანი ესწრებიან. ქალაქიდამ ამოსულნი უფრო წირვაზედ მოდიან], დანარჩენი კი ბერები (მათ გარდა ერთი შემოსილი მღვდელმონაზონი საკურთხეველში თუ სამსხვერპლოში იყო, რაიცა ვერ შეუნიშნავს ამ ყაჩაღს), დაუძახა თავისს ამხანაგებს, რომელნიც რიცხვით 6, შიშველ ხანჯლებით და ბერდანის თოფებით შემოცვივდნენ ტაძარში (ამათ გარდა, ორი ეკკლესიის დასავლეთის კარებში დაეყენებინათ, ერთი კიდევ - მონასტრის ალაყაფის კარებთან). ამ შვიდმა კაცმა დაიწყო ფარფაშობა. ხუთმა მოუყარეს თავი ტაძარში მყოფ მლოცველ ბერებს, დააწვინეს სულ ყველა იატაკზე საწიგნესთან და დაადგნენ თავს ამოღებულ ხანჯლებით. დანარჩენებმა ორმა მოჰკიდეს ხელი ეკონომოსს, რომელსაც ებარა მონასტრის სალაროს გასაღები და ძალით, სიკვდილის მუქარით გააღებინეს სალაროს კარები. შემდეგ ერთი მათგანი გამობრუნდა უკან და სანთლების საყიდავ ადგილთან გაშალა ტომარა, მეორემ კი, რომელიც სალაროში დარჩა, ჩაამტვრია არქეოლოგიურ სიძველეთა მინიანი შკაფი და დაიწყო ზიდვა... ნივთები გამოჰქონდა სალაროდან მეორე ამხანაგთან, რომელიც ტომარაში ჰყრიდა. მაგრამ ამ დროს გარედ შეიქმნა თოფის სროლა და ყვირილი: მორიგე მღვდელი, რომელიც შემოსილი ტრაპეზში იყო და რომელიც ყაჩაღებს შეუმჩნეველი დარჩათ, გამოვარდა გარეთ ჩრდილოეთის კარებით, მორთო ყვირილი, მივარდა სამრეკლოს და შემოჰკრა ზარს. აი ამ შემოსილ მღვდელ-მონაზონს დაუწყეს თოფის სროლა გარედ დარჩენილმა ორმა ყაჩაღმა.

თოფის ხმაზე და მღვდლის ყვირილსა და ზარის რეკვაზე სოფელი შეიძრა. ყველამ, ვინც ყანებში იყო, დაანებეს თავი თოხს და თოფებით მონასტრისაკენ გამოეშურნენ. ტაძარში მყოფ ყაჩაღებს თოფის ხმის გაგონებაზე ეგონათ, ეს არის სოფელმა მოგვისწროვო და უშველეს თავს თავის ტომრიანათ. წაღებული აქვთ სამი თეფში (ერთი მათგანი ბარძიმია 2 $^1/_4$ გირვანქა სულ წმიდა ოქროსი იყო, ძვირფასი ქვებით მორთული), ოქროს ბეჭედი დავით აღმაშენებლისა და 3-4 საკათალიკოსო შესამოსი, პანაგია, მძიმედ მომარგალიტებული, ისე რომ კაცს ხელში აღება ემძიმებოდაო. სარტყელი (ხალხში თამარ მეფისად ხმობილი), აგრედვე განსაკუთრებით მდიდრულად მომარგალიტებული.

დანარჩენი ნივთები კი, მათ შორის იმერეთის მეფეთა დიაღ ძვირფასი სამეფო გვირგვინი, იმერთა კათალიკოზთა და გაენათელ მიტროპოლიტთა მიტრები, კათალიკოზთა წირვის დროს სახმარებელი ქოშები (ხალხში თამარ მეფისად ცნობილი) და სხვები გადარჩნენ ავაზაკთა მურტალ ხელს (სულ მონასტერში გაძარცვამდე 25 ძვირფასი არქეოლოგიური ნივთი იყო, ახლა ბევრად ნაკლებია).

ეჭვს გარეშე კია, ის მღვდელ-მონაზონი ტრაპეზში რომ არ დარჩენოდათ შეუმჩნეველი, არაფერს დაზოგავდნენ და, საფიქრებელია, როგორც ბერებიც ამბობენ, ყოველივე წაეღოთ.

ფულად წაიღეს ვარაუდით 300 მანეთამდე და მეტიც. დანამდვილებით კი არ იციან, რადგან იმ ფულის გარდა, რომელიც საყდარში იპოვეს, წაიღეს კიდევ რაც კრუჟკებში იყო, ხოლო თუ ამაებში რამდენი იყო, არავინ იცის.

ასე და ამგვარად, ერთს დღეს დავკარგეთ, და იქნება სამუდამოდაც, ძვირფასი ისტორიული ნივთები და დავკარგეთ ჩვენისავე დაუდევრობით. ამდენის სიმდიდრის პატრონს მონასტერს ერთი ხეირიანი ებგური (დარაჯი) არ ჰყავდა დღისით. [ღამით კი მონასტერს დაქირავებული ჰყოლია რამდენიმე ადგილობრივი სოფლელი მონასტრის სადარაჯოდ, თითქოს ავი კაცის ხელი მარტო ღამით მოქმედობდეს]. მართალია, მონასტერს მიჩენილი ჰყოლია ორი დარაჯი („სტრაჟნიკი“), რომელნიც უწინაც და ახლაც მონასტრის მოშორებით, ასე ორ ვერსზე არიან ბინათ, მაგრამ ვიდრე ისინი ზევით მონასტერში ამოვიდოდნენ (მათ სოფლელებიც ამოჰყვნენ), ყაჩაღებმა თავს უშველეს, რადგან იქავე, მონასტრიდან ორიოდე ნაბიჯზე ტყეა. ათიოდე წუთი რომ დაყოვნებოდათო, გადმომცა ერთმა ბერმა, ხალხი მოგვეშველებოდა და არაფერს გავატანდითო.

მახსოვს, კარგა ხანია მას აქედ, სადღაც, მგონი „მწყემსში,“ წავიკითხე წერილი ისტორიულ ნივთების მონასტრებიდამ მუზეუმებში გატანის წინააღმდეგ. - ეს ნივთები რომ მუზეუმებში წავიღოთ, მონასტრებს დიდება და სახელი მოაკლდებაო. კარგი და პატიოსანი. მაგრამ ამ არქეოლოგიურ ძვირფასს ნივთებს პატრონობა აღარ უნდა? საიმედო დარაჯების მიჩენაა საჭირო. მაგრამ ჩვენ არც ამის უნარი გვქონია. საგონებელი იყო, რომ ამ უბედურების შემდეგ მაინც ისწავლიდნენ ჭკუას ისინი, ვისაც ამ მონასტრის ბედი აბარიათ და დარაჯებს დააყენებდნენ, მაგრამ ვინ არის პატრონი? მონასტერი ისევ ღვთის ანაბარადაა გაშვებული, როდესაც ჩემთან მოლაპარაკე მოხუცებულ ბერს შევეკითხე, რა არის მიზეზი მეთქი, მან მხოლოდ ხელები გაშალა და მწარედ თავი ჩაიქნია. ეს არ დარჩათ შეუნიშვნელი სამს ახალგაზრდა ქალს, რომელნიც მოსკოვიდან წამოსულიყვნენ, სხვათა შორის გელათის სანახავადაც, და იმ დღეს ქუთაისიდან ეტლით მონასტერში ამოიარეს ნაწირევს. საკვირველი დაუდევარნი ყოფილხართ ქართველებიო, მითხრა ერთმა იმათთაგან. ანუ თუ ძნელი იყო ამ სიძველეთა ან სადმე უშიშარ ადგილს მოთავსება (თუნდა მუზეუმებში), ანდა ადგილობრივ ყარაულების მიჩენაო.

ამ ქალებმა დაათვალიერეს მონასტერი და დიდად გულ-დაწყვეტილნი დარჩნენ, როდესაც არქეოლოგიური ნივთები არ უჩვენეს. თურმე ახალის განკარგულებით სიძველეთ მხოლოდ იმათ უჩვენებენ, ვისაც ნებართვა ექნება აღებული. ეს კი ჩვენს ქალებს არ სცოდნოდათ და ნება არ ჰქონოდათ გამოთხოვილი. დიაღ, კარგი და მოსაწონი, თუმცა დაგვიანებული, განკარგულება უნებებიათ. ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. მაგრამ არ შემიძლია აქ არ აღვნიშნო ერთი კონტრასტი: უწინ ყველას, ვინ იცის საიდან მოსულს ბიჭ-ბუჭებსაც კი უჩვენებდნენ მონასტრის სიმდიდრეს, ახლა კი შორიდან მოსული სტუმრები ხახა-მშრალი გაუშვეს.

ცოტა რამ ძველ და ახლანდელ ქართველთა ფსიქოლოგიის შესახებ. მოვიყვან პირველ მაგალითს, რომელიც კი შემხვდა ჩვენის მატიანის გადაფურცვლის დროს.

„...შეიქმნა კლვა და მოსრვა ნოინთა. და წარმოავლინა (ყაინმა) ელჩი მეფისად (დიმიტრი თავდადებულისად) და აწვია ურდოსა მეფე. მეფემან მოუწოდა კათალიკოზსა აბრაჰამს და ეპისკოპოსთა და ყოველთა მთავართა სამეფოთა მისისათა და ბრძანა: განრისხებულ არს ყაინი და ყოველი მთავარი მისი მოუწყვედიან და აწ მე მიწოდს წინაშე მისსა: ვჰგონებ ბოროტის ყოფასა, თუ არ წარვიდე ურდოსა. და წარვიდე მთიულეთს, სიმაგრეთა შინა, და დავიცვა თავი ჩემი და აჰა ყოველი სამეფო წინაშე მათსა ძეს: იხილეთ, რავდენი ქრისტეანე სიკვდილსა მიეცემის და ტყვე იქმნების და ეკკლესიანი შეიგინებიან და მოოხრდებიან, ხატნი და ჯვარნი დაიმუსრვიან და უკეთუ წარვიდე ყაინს წინაშე, დასტურობით უწყი, მომკლავს, და აწ სიბრძნითა თქვენითა განაგეთ, მე ესრედ ვჰგონებ: მრავალ-მღელვარე არს საწუთო ესე, დაუდგრომელ და წარმავალ; დღენი ჩვენნი სიზმარებრ და აჩრდილებრ წარვლენ და უნებელ და მსწრაფლ თანაგვაძს წარსვლა სოფლისა ამისგან; რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი მოკვდეს და მე ტვირთ მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან. აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაინს წინაშე და იყოს ნება ღვთისა! უკეთუ მე მომკლან, ვჰგონებ ქვეყანაი უვნებლად დარჩესა.“

ასეთი მაგალითები ბევრია ჩვენს წარსულში. გადაშენდნენ ახლა ასეთი ადამიანნი, არა, მკითხველო?!

ს. კ-ძე.
26 ივლისს 1904 წ.
ქუთაისი.

ივერია – 1904. – N179. – 4 აგვისტო. – გვ.2–3.

წერილი
რედაქციის მიმართ
ბატონო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ 174–ე ნომერში დაბეჭდილია წერილი გელათის გაძარცვის შესახებ ვიღაცა ს. კ–ძესი, რომელიც სრულიად უსაფუძვლოდ და უსამართლოდ მკიცხავს და რაღაცა სამდურავებს მდებს. საჭიროა სიმართლის გამოქვეყნება. ამისთვის, იმედია, არ დამიჭერთ ალაგს თქვენ გაზეთის უმახლობელეს ნომერში საპასუხო წერილისთვის.

ს. კ–ძე სხვათა შორის ამბობს: „თურმე ახალის განკარგულებით სიძველეთ მხოლოდ იმათ უჩვენებენ, ვისაც ნებართვა ექნება აღებული. დიახ, კარგი და მოსაწონი, თუმცა დაგვიანებული, განკარგულება უნებებიათ. ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო, სწორეთ ამაზეა ნათქვამი. მაგრამ არ შემიძლია აქ არ აღვნიშნო ერთი კონტრასტი: უწინ ყველას, ვინ იცის, საიდან მოსულს ბიჭ–ბუჭებსაც კი უჩვენებდნენ

მონასტრის სიმდიდრეს, ახლა კი შორიდან მოსული სტუმარი ხახა–მშრალი გაუშვეს!!! – მოყვანილი სიტყვები თავიდამ ბოლომდე სრული სიცრუე და უტიფრობაა. პირველსავე მისვლაზე გელათის მონასტერში ბეჯითად უბძანე, ვისდამიც ჯერ არს, რომ ჩემ ნება დაურთველად ძველი ნაშთები სალაროში არავისთვის არ ეჩვენებიათ და ვისაც ჩემი ნებართვა ექნებოდა, იმათთვისაც მხოლოდ უნდა დაენახვებინათ შუშის შკაფში დაწყობილი ნივთები, შკაფის გაღება სასტიკად ჰქონდათ აღკრძალული. ეს განკარგულება ჯეროვანადაც სრულდებოდა: ჩემი ბარათის მიღების შემდეგ გაუღეს სალარო: ყოვლად სამღვდელო კირიონს, კნეინა მაჩაბლისას, კნეინა წერეთლისას, ეს გარემოება უნდა მოეხსენებოდეს, თუ მეხსიერება არა მღალატობს, დიდად პატივცემულს თავად აკაკი წერეთელს, ბატონს ალ. ხახანაშვილს, უმაღლესის სასახლის ხუროთმოძღვარს სვინინს, ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მხატვრობის მასწავლებელს კრასნუხას და სხვებსაც მრავალთა, რომლების სახელების ჩამოთვლა, რასაკვირველია, არ შემიძლია. ამ მოკლე დროში დაათვალიერეს გელათის სალარო, სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზმა მარკოზ ტყემალაძემ და მღვდელმა პ. კარბელაშვილმა და მათ შესახებაც წინდა წინ სიტყვიერად მქონდა ნათქვამი ბერებისათვის, რომ ყველაფერი ეჩვენებიათ. შესაძლოა ხანდისხან არღვევდნენ ამ განკარგულებას, მაგრამ, აქედან ვგონებ, ის დასკვნა არ გამოდის, რომ მხოლოდ ურმის გადაბრუნების შემდეგ დამენახოს გზა და დაგვიანებული განკარგულება მომეხდინოს. რა წესები იყო ჩემამდე, ყველას უჩვენებდნენ თუ არა ძველ ნივთებს, ამისი მე არა ვიცი რა და არც ვსაჭიროებ გაგებას. აი ნამდვილი გარემოება საქმისა და ვერ გამიგია, რა მოსაზრებით მიუმართავს ს. კ–ძეს სიცრუისთვის და რათ შეუწუხებია თავი ჩემთვის გაკვეთილის მოცემით რაღაცა კონტრასტის შესახებ! „საგონებელი იყო, ბრძანებს კიდევ ს. კ–ძე, რომ ამ უბედურების შემდეგ მაინც ისწავლიდნენ ჭკუას ისინი, ვისაც ამ მონასტრის ბედი აბარიათ და დარაჯებს დააყენებდნენ, მაგრამ ვინ არის პატრონი? მონასტერი ისევ ღვთის ანაბარადაა დაგდებული!!! რჩევისათვის, რომ ჭკუა ვისწავლო, გულწრფელად ვმადლობ დარბაისელ დამრიგებელს, მაგრამ კიდევ იძულებული ვარ გავიმეორო, რომ მოყვანილი სიტყვებიც სიცრუის მხრით ახასიათებენ ს. კ–ძეს. კორესპონდენტს შეუძლია მიბრძანდეს ქუთაისის გუბერნატორთან და მისგან პირადად გაიგოს, როდის და რა ზომები იყო ჩემის მხრით მიღებული, რომ გელათის მონასტერს მისცემოდა უკლებლივი დარაჯი და რითი დათავდა დღეს ეს ჩემი თხოვნა–მეცადინეობა. თუ პატრონობა არ გამიწევია მონასტრისათვის, გუბერნატორი ხელს არ დამაფარებს და მაშინ ს. კ–ძემაც ჯვარს მაცვას! ვისაც გელათის მონასტრის დღევანდელი გარემოება კარგათ აქვს შესწავლილი, იმისათვის სრულებით ცხადი და აშკარაა, რომ ამ მონასტერს არას გზით არ შეეძლო, არ შეუძლია და, თუ იგივე პირობები დარჩა, არც მომავალში შეეძლება, ნამეტანი სიღარიბის გამო, იყოლიოს დღისით და ღამით ყარაულები. მართალია, ს. კ–ძე ბრძანებს: „იმდენი სიმდიდრის პატრონს მონასტერს ერთი ხეირიანი ებგური არ ჰყავდა დღისითო.“ მაგრამ, ალბად, სიმდიდრედ ამ შემთხვევაში იგი გულისხმობს ძველს ძვირფას ნივთებს და ამ ნივთებს თუმნიანი ოქროები ხომ არ ჰსცვიოდათ, რომ მონასტერს ამითი დაეჭირა ებგური და სხვა საღსარი კი, როგორც მოგახსენეთ, მონასტერს არ მოეპოება.

ს. კ–ძეს საუმჯობესოდ მიაჩნია ძველი ნივთების წაღება მუზეუმებში. ბატონი ბრძანდებით, წაიღეთ, მაგრამ იქ კი სიმთელით იქნებიან დაცულნი? მოგახსენებთ – არა და ამისი მტკიცე საბუთიც ხელთ მიჭირავს.

აღნუსხავს რა დაკარგულ ნივთებს, ს. კ–ძე სწერს: „წაღებული აქვთ სამი თეფში (ერთი მათგანი ბარძიმია 2 $^1/_4$ გირვანქა სულ წმიდა ოქრო იყო, ძვირფასი ქვებით მორთული.“)

ს. კ–ძეს წარმოდგენით, თეფში და ბარძიმი ერთი და იგივეა. ვაი ჩვენ უბედურობას და სარწმუნოებრივ სიბნელეს! კაცი, რომელიც ინტელიგენტისა და ქრისტიანის სახელს ატარებს, იმდენად უვიცია სარწმუნოებისა და გულ გარეცხილი ეკკლესიურ ცხოვრებაზე, რომ ვერ გაურჩევია ერთი მეორისაგან თეფში და ბარძიმი! აი სატირალი და საგოდებელი, ეს სარწმუნოებრივი გაველურებაა, რადგანაც ამან, მხოლოდ ამ სარწმუნოებრივის გრძნობის უქონლობამ გახადა შესაძლოდ გელათის სიწმინდავეთა შეგინება და არა უებგურობამ! მერწმუნეთ ასეა, ბატონო ს. კ–ძე!

ეპისკოპოსი იმერეთისა ლეონიდი.

ივერია – 1905. – N19. – 9 თებერვალი. – გვ.3.

სიმართლე მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის ოქონის ხატის შესახებ

1888 წელს, ივლისის მიწურულებში მე და ძვირფასი ბიძაჩემი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ვიყავით მოსკოვში. ბიძაჩემმა გაიხსენა, რომ მოსკოვში სახლობს ქართველთ ბატონიშვილების ჩამომავალი და უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის ქვრივი გრაფინია ტოლსტაია, რომელსაც ჩემს ახალგაზრდობაში ვიცნობდი და ვგონებ, ახლაც სასიამოვნოდ დარჩეს ქართველ მღვდელთ-მთავრის ნახვაო. გადავწყვიტეთ მასთან სადარბაზოდ მისვლა. ქალბატონმა ტოლსტაიამ დიდის აღტაცებით მიგვიღო და მთელი დღე თავისთან დაგვტოვა. რადგანაც ტოლსტაია ღრმა მოხუცებულობისა გამო ვეღარ დაიარებოდა და სავარძლით მოძრაობა დიდად დაღალავდა, მან უბრძანა დაახლოვებულ პირს ეჩვენებინა ჩვენთვის კარის ეკკლესია და მისი სამკაულ-განძეულობა. ეკკლესიის სამკაულთა უძვირფასეს ნაწილს შეადგენდნენ ქართველთა სიწმინდენი მხედრულისა და ხუცურის წარწერებით. გვიამბეს, რომ ძვირფასი სასახლე, დიდებული ბაღი და ეკკლესია მთელის მოწყობილობით გრაფინიას სიკვდილის შემდეგ მისის ანდერძით მოსკოვის სამღვდელოების საკუთრებად შეიქნებაო. გული ჩაგვწყდა, მწარე დარდმა მოგვიცვა, ვიფიქრეთ, ასე გვეკარგება და ხელიდან გვეცლება მამა-პაპათაგან შენაძენიო, მაგრამ რა ჩარა იყო, რომ არ გავჩუმებულიყავით დაისევ გულში არ ჩაგვეკლა მწარე დარდი!

ჩვენი ყურადღება მიიქცია განსაკუთრებით ოქონის ხატმა. ვთხოვეთ ეს ხატი გამოეტანათ ეკკლესიიდან სადარბაზო ოთახში. აქ გრაფინიას ავუხსენით - ეს ხატი იმითია ძვირფასი და საყურადღებო, რომ როგორც მის მორთულობას ეტყობა, იგი სალაშქრო ხატია, მას იკეთებდნენ მკერდზე მღვდელთ-მთავრები და მიუძღოდნენ მხედრობას, მითი ლოცავდნენ და ამხნევებდნენ სარწმუნოებისა და მამულისათვის თავდადებულებს. დიდის თხოვნითა და ვედრებით შევეხვეწეთ, - ამ ძვირფას განძს ნუ დაუკარგავთ საქართველოს, თქვენდა სასახელოდ, თქვენ წინაპართა სულის საოხად ამოდენა სიწმინდეთაგან ეს ერთი ხატი მაინც დაუბრუნეთ ქართველთ ეკკლესიასო. გასჭრა მუდარებამ, დაგვთანხმდა გრაფინია და ბრძანა: „მომეცემა თუ არა შემთხვევა, ამ თქვენ მიერ გამორჩეულ ხატს გამოვგზავნი ჩემის სახელის სამუდამოდ მოსახსენებლად მცხეთის

დედათა მონასტერში დასაცავადო.“ ფრიადი მადლობა შევწირეთ კეთილ ბატონიშვილს და გახარებულნი დავბრუნდით მოსკოვიდან ტფილისში.

იმ ხანებში აწ განსვენებული იღუმენია ნინო ემზადებოდა მოსკოვში წასვლას იოანნიკე მიტროპოლიტის სანახავად. ამ მიტროპოლიტმა დაუტოვა იღუმელია ნინოს ხუთასი თუმანი სამთავროს მონასტრის გალავანში წმიდა ნინოს ძველ სამლოცველოსთან ახალი ეკკლესიის ასაშენებლად. იღუმენიამ აღნიშნული ფული მთლად დაახარჯა ეკკლესიის შენობას, მაგრამ შენობის მოთავებას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლდა. იღუმენიამ იფიქრა - მოსკოვში წავალ, იოანნიკე მიტროპოლიტს ვნახავ, წარვუდგენ ანგარიშს მის მიერ ნაწყალობებ ფულისას, გავაცნობ შენობის გეგმას, ავუხსნი მონასტრის უღონობას და გამოვთხოვ ლოცვა-კურთხევას ამ საჭიროებისათვის მოსკოვში ფულის შესაკრებად.

რა თქმა უნდა, ბიძაჩემმა და მე დაწვრილებით ვუამბეთ დედა იღუმენია ნინოს ყველაფერი შესახებ ტოლსტაიას დაპირებისა და დავავალეთ, თვითონაც ცდილიყო ხსენებულ ხატის შეძენას. დაბრუნდა თავის დროზე იღუმენია ნინო მოსკოვიდან და ჩვენდა გასახარებლად, თან ჩამოიტანა ოქონის ხატი. მე, როგორც მონასტერთა კეთილმოწესემ (ბლაღოჩინმა), ვნახე თუ არა პირველად, რომ აღნიშნული ოქონის ხატი ესვენა იღუმენიას საცხოვრებელ ოთახში და არა ეკკლესიაში, ვთხოვე იღუმენიას, ხატი დაესვენებინა უეჭველად ეკკლესიაში, მაგრამ მან მიბრძანა: - აზრადა მაქვს ეს ხატი დავასვენო ახალ ეკკლესიაში და მის კურთხევამდე ნუ გადამატანინებ ძველ ეკკლესიაშიო. შემდეგში მე იმერეთში წამოვედი და იმ ხატისთვის თვალი აღარ მიდევნებია.

აი, შეურყეველი ჭეშმარიტება ოქონის ხატის შესახებ, აი ის, რაც ჩემის საკუთარის თვალით ვნახე, ჩემის ყურით მოვისმინე და ჩემის ენით გავარიგე, რაც არა ერთგზის მიამბნია სიტყვა-სიტყვით ჩემ მრავალ ნაცნობთათვის. მე არასოდეს გულშიაც არ გამიტარებია მეთხოვნოს განსვენებულის იღუმენიასთვის მამა პოლ. კარბელაშვილის მოციქულობით ოქონის ხატი გორის ოქონის ეკკლესიას დაუბრუნეთ-მეთქი; არ შემეძლო ამ აზრით მიმეგზავნა იგივე მამა კარბელაშვილი ღრმად პატივცემულ ბატონ ნ. ალექსი-მესხიშვილთან და ცხადია, ნათქვამი ჩემს შესახებ ბატონ ნ. მესხიშვილის წერილში (იხილე „ივერია“ N14, თებერვლის 2-სა) შედეგია რაღაც უცნაურ და საეჭვო გარემოებისა. მართალია, ყოვლად სამღვდელო კირიონს სურდა ოქონის ხატი მიექცია გორის ოქონის ეკკლესიაში, მაგრამ ვერ დაითანხმა ამაზე იღუმენია და ვერ დაითანხმა იმის გამო, რომ იღუმენია ბრძანებდა - ტოლსტაიამ ეს ხატი დაუთმო მცხეთის დედათა მონასტერს და არა სხვა რომელსამე ეკკლესიასაო.

ეპისკოპოსი ლეონიდი.

ივერია - 1905. – N44. – 3 აპრილი. - გვ.3.

ახალი ამბავი: - იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ ამერ-იმერეთის სინოდალურ კონტორას ვრცელი მოხსენება წარმოუდგინა 21 მარტს გატაცებულ 1849 მანათის და 76 კ. შესახებ, რომელიც შვიდმა შეიარაღებულმა კაცმა წაართვა სასულიერო სასწავლებლის მეთვალყურეს ი. კობახიძეს. წართმეულ ფულიდან ჯერ-ჯერობით 280 მან. უპოვნიათ. ყაჩაღებიდან ორი მოუკლავთ, ორი დაუჭრიათ და სამი შეუპყრიათ.

ივერია - 1905. – N46. – 6 აპრილი. - გვ.3.

ახალი ამბავი: - გუშინ, 5 აპრილს, დილის მატარებლით ტფილისში ჩამოვიდა იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი და წევრი ქართლ-კახეთის სასინოდო კონტორისა არქიმანდრიტი გიორგი. ამბობენ, ეპისკოპოსმა ლეონიდმა ექსარხოსს საექსარხოსოს სამღვდელოებათა კრების მოწვევა უნდა სთხოვოსო.

ივერია - 1905. – N48. – 8 აპრილი. - გვ.3.

ახალი ამბავი: - საქართველოს ექსარხოსთან შესდგა ტფილისში მყოფ ეპისკოპოსების თანდასწრებით კრება, რომელმაც, იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის განცხადებისა თანახმად, გადასწყვიტა, აღიძრას შუამდგომლობა ქუთაისის სემინარიის ხელ-ახლად გახსნის შესახებ.

ქუთაისის ცხოვრება

ეპისკოპოსის საგანგებოდ გაწვევა ტფილისში

ეპისკოპოს ლეონიდმა უკვე დაამტკიცა სამღვდელოების მიერ კრებებზე დადგენილი ჟურნალები და გაუგზავნა ექსარხოსს დასამტკიცებლად. დღეს, 4 მარტს ლეონიდი ტფილისში გაიწვია ექსარხოსმა, რა საქმის გამო, არ ვიცით. კრებების გათავებისას ტფილისში ექსარხოსთან იყო რაღაც საქმეების გამო აქაური სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ლ. კალტიპინი.

ივერია - 1905. – N49. – 9 აპრილი. - გვ.3.

ახალი ამბავი: - ხუთშაბათს, 7 აპრილს, ტფილისიდან შიო მღვიმის მონასტერში ეტლით წავიდა იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი.